V- XVIII

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში (V-XVIII საუკუნეები)

ვახტანგ კობალაძე

თბილისი
2021

რედაქტორი: პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

Contents

შესავალი 5

თავი 1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია 7

§ 1. საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება 7

§ 2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ჩამოყალიბების საფუძვლები მსოფლიო აზროვნებაში 8

§ 3. საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიები 10

თავი 2. საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების საკითხი 19

§ 1. სუვერენული სახელმწიფოები - საერთაშორისო ურთიერთობების თანასწორუფლებიანი სუბიექტები 19

§ 2. იერარქიულობა საერთაშორისო სისტემაში 37

თავი 3. ომი და მშვიდობა, საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ინსტრუმენტები 42

§ 1. ომი 42

§ 2. ძალა, ძლიერება 46

§ 3. ხალხის, ჯარის ფსიქოლოგიური განწყობა, როგორც ძლიერების კომპონენტი 50

§ 4. საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ინსტრუმენტები 52

§ 5. პატრონ-ყმობა, როგორც საგარეო პოლიტიკური სტრატეგია 57

§ 6. ძალის დემონსტრაცია 59

§ 7. რაციონალიზმი, პრაგმატიზმი 61

§ 8. მოკავშირეობის საკითხი 64

§ 9. მშვიდობა 70

თავი 5. ეროვნული ინტერესები, პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში 74

§ 1. ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოება 74

§ 2. იდეალური ლიდერი 82

§ 3. პატარა ქვეყანა 91

თავი 4. პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და ზნეობრივ-რელიგიური საკითხები 93

§ 1. რელიგიურ-ზნეობრივი პოლიტიკა 93

§ 2. რაციონალური რელიგიურობა 101

§ 3. მონარქია 103

თავი 6. დავით IV აღმაშენებლის შეხედულებები 108

დასკვნა 112

მასალები წყაროებიდან (ვრცლად) 115

§ 1. მასალები: სუვერენული სახელმწიფოები -- საერთაშორისო ურთიერთობების თანასწორუფლებიანი სუბიექტები 115
§ 2. მასალები: იერარქიულობა საერთაშორისო სისტემაში 128
§ 3. მასალები: ომი, ძალა, ძლიერება, საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ინსტრუმენტები 133
§ 4. მასალები: რაციონალიზმი, პრაგმატიზმი 156
§ 5. მასალები: მოკავშირეობის საკითხი 159
§ 6. მასალები: მშვიდობა 165
§ 7. მასალები: ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოება 167
§ 8. მასალები: იდეალური ლიდერი 182
§ 9. მასალები: პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში 200
§ 10. მასალები: რელიგიურ-ზნეობრივი პოლიტიკა 203
§ 11. მასალები: რაციონალური რელიგიურობა 214
ბიბლიოგრაფია 218

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა, რომელიც გარეშე ძალებზე დიდადაა დამოკიდებული და მისი, როგორც პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენს, ანუ მისთვის სასიცოცხლო ინტერესები ყოველთვის ყურადღების ცენტრში დგას.

ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია ისეთი სამეცნიერო დისციპლინის გარეშე, როგორსაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორია წარმოადგენს. მართალია, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ საკითხები, რომლებსაც იგი შეისწავლის უძველესი დროიდან კაცობრიობისა და, მათ შორის, საქართველოს ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ საკითხებზე ქართველ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეებს საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდათ, რაც საფუძვლად ედო ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და ქმედებას, რომელიც ქვეყნის ბედსა და მის განვითარებას განსაზღვრავდა. მოცემული ნაშრომის მიზანი, სწორედ იმ შეხედულებების შესწავლაა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ აზროვნებაში არსებობდა, V-XVIII საუკუნეებში.

აღნიშნული პერიოდის ქართული აზროვნება მრავალი მეცნიერის - ისტორიკოსის, იურისტის, ფილოლოგის, პოლიტოლოგის მიერ არის შესწავლილი. მართალია, ესა თუ ის მკვლევარი ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიულ საკითხს შეეხო, მაგრამ სპეციალური შრომა ამ სფეროში არ გვქონია. არადა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, როგორც მეცნიერების განვითარება საქართველოში, წარმოუდგენელია ამ დისციპლინის ადგილობრივი ისტორიული ფესვებისაგან მოწყვეტით. ისევე, როგორც მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ისტორიის კვლევა, ამ სფეროში რომელიმე ერის წვლილის მხედველობაში მიუღებლად, არასრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემდა შესასწავლი საგნის შესახებ.

ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების კვლევას თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერი ერი პირველ ყოვლისა, საკუთარ ფესვებს უნდა დაეყრდნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას, როგორც ერს გადაგვარება უწერია. ამ ფესვებზე დაყრდნობა აზროვნების ყველა სფეროშია აუცილებელი და მათ შორის, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროშიც. ეს, ერთი მხრივ, აზროვნების განვითარების ბუნებრივ ჯაჭვს წარმოადგენს; მეორე მხრივ კი, ქართული აზროვნების ძველი ნიმუშების გაცნობა ხელს შეუწყობს ეროვნული თვითშეგნების დაცვა-ამაღლებას.

ამ საკითხის კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას ისიც შეადგენს, რომ თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებისათვის, იმ ფუნდამენტური ხასიათის დაბრკოლებების გადალახვისათვის, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე უძველესი დროიდანვე იდგა, ბუნებრივია, მეტად ძვირფასია ქართველი მოაზროვნეების პოზიციების გათვალისწინება. მით უფრო, რომ ეს ის პიროვნებები არიან, რომლებმაც, სულ ცოტა, თავიანთი ეპოქის საგარეო პოლიტიკის ძირითადი თავისებურებები ასახეს, ან კიდევ, მეტიც, წვლილი შეიტანეს მათი თანამედროვე პერიოდის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში.

ამდენად, ქართველი ერის ფიზიკური არსებობა, თუ მისი თვითშეგნება დღევანდელ დღემდე მოიტანეს.

წინამდებარე ნაშრომი გაგრძელებაა ავტორის 2003 წლის სადისერტაციო ნაშრომისა „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში“ (V-XIII საუკუნეები), რომლის საფუძველზეც, თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტორს პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. აღნიშნული ნაშრომი ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენდა.

ნაშრომი შეძლებისდაგვარად იყენებს იმ მეცნიერთა განსაკუთრებით საყურადღებო შეხედულებებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხებიან ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებს. ამავე დროს, გამოთქმულია ავტორის აზრი ამ შეხედულებებთან დაკავშირებით.

ნაშრომი მიზნად ისახავს მიაკვლიოს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორიულ საკითხს, რომელიც აღნიშნული პერიოდის ქართულ აზროვნებაში წარმოჩნდა და ეს ყველაფერი მკითხველამდე მიიტანოს. ამავე დროს, ნაშრომში ამა, თუ იმ საკითხზე, თუ მოაზროვნეზე მსჯელობისას, შეძლებისდაგვარად შეფასებებიც არის მოცემული, როგორც თანამედროვე მეცნიერების თვალთახედვიდან, ინტერესებიდან გამომდინარე, ისე განხილული პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით.

საგანგებო ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, რომელთა აქტუალობა დღევანდელ პირობებშიც დიდია როგორც საქართველოს, ისე მთლიანად მსოფლიოს წინაშე.

ნაშრომის მიზანია, აგრეთვე, წარმოაჩინოს განხილული პერიოდის ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების განვითარება, თუ ცვლილება და გაარკვიოს ამის მიზეზები; ამავე დროს, შეადაროს ისინი თანამედროვე თეორეტიკოსთა თვალსაზრისებსაც.

ნაშრომი, მასში განხილული საკითხების მიხედვითაა თავებად და ქვეთავებად დაყოფილი, მაგრამ, მთელ რიგ შემთხვევებში, თხზულებებიდან ისეთი ნაწილების ამოკრება, რომლებიც მხოლოდ ერთ რომელიმე საკითხს ეხებოდა, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამასთანავე, განხილული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხებიც მეტად ურთიერთდამოკიდებულია. ასე რომ, ნაშრომში ერთი აზრის გარკვეული განმეორებების შემთხვევები მაინც გვხვდება. ნაშრომის საკითხების მიხედვით დაყოფაც იმას არ გამორიცხავს, რომ ამა თუ იმ პარაგრაფში მოტანილი ფაქტები, თუ მსჯელობა შეიძლება სხვა საკითხებსაც მიესადაგოს.

ნაშრომში გამოყენებულია არაერთი მეცნიერული შრომა, რომელიც ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებს ეხება. თუმცა, იგი ძირითადად პირდაპირ ისტორიული წყაროებს ეყრდნობა.

ნაშრომი იყენებს V-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ თხზულებებს, ქართული სამართლის, ნუმიზმატიკურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებს; VI ს.-ის ეგრისელთა აზროვნება ბიზანტიელი ისტორიკოსების პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობების მიხედვით არის განხილული.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ისტორიული წყაროებიდან გამოყენებული მასალები ვრცელი სახით (დალაგებული ქრონოლოგიურად ავტორებისა და საკითხების მიხედვით), რათა სხვა მკვლევრებს გაუადვილდეთ მოცემულ მასალაზე მუშაობა.

საკმაოდ მწირია V-VIII საუკუნეების დროინდელი საქართველოს ისტორიის წერილობითი ქართული წყაროებიც. ამის გამო, ავტორმა გამოვიკვლია აღნიშნული ეპოქის

როგორც ქართული, ისე უცხოური (ძველაღმოსავლური, ანტიკური, ბერძნულ-რომაული, სომხური, ბიზანტიური და არაბული) წყაროები, რომლებიც საქართველოზე გვაწვდიან ცნობებს. თუმცა, მათშიც შესწავლილ საკითხებზე ან ფრიად მწირი ცნობებია, ან კი ისინი სანდო არ არის. რაც შეეხება მომდევნო, VIII ს.-ის შემდგომი დროის ქართულ წყაროებს, ისინი განვლილი პერიოდების შესახებ ბევრ ცნობას გვაწვდიან და, ამ დროს, ძველი წყაროებით სარგებლობენ, მაგრამ, გასათვალისწინებელია ის, რომ მათი თანამედროვე ეპოქა ამ წყაროებზე თავის გავლენას მოახდენდა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის დასაწყისში, ავტორმა V საუკუნეზე ადრინდელი წყაროებიც შეისწავლა, მაგრამ, მასალის სიმწირის გამო, ნაშრომი V საუკუნის აზროვნების ნიმუშების განხილვით იწყება.

თავი 1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

§ 1. საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, როგორც სტენლი ჰოფმანი აღნიშნავს, „ერთდროულად ძალიან ძველიცაა და ძალიან ახალიც“[1]. ძველია, რადგან ადამიანები მეტ-ნაკლებად მუდამ ინტერესდებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალური საკითხით, მაგრამ ახალია, რადგან საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე საერთაშორისო ურთიერთობებმა, როგორც დამოუკიდებელმა სამეცნიერო დისციპლინამ, მხოლოდ XX ს-ში მიიღო[2]. ამავე საუკუნეს ეკუთვნის საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გავლენიანი თეორიების შექმნა.

მაინც რას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, ანუ, „საერთაშორისო ურთიერთობათმცოდნეობა“[3]? ამ ცნების საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. ბრიტანელი მკვლევრის პ.რეინოლდსის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება ე.წ. მიკრო და მაკრო დონეებად დაიყოს. პირველი შეისწავლის საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი ინდივიდების, ჯგუფების, სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების ქმედებებს, მეორე კი – მათ შორის არსებულ ნებისმიერი სახის ურთიერთქმედებასა და მათ ურთიერთმიმართებას დინამიკაში.[4]

---

[1] Цыганков П.А., Международные отнояюшения, Москва, 1996, ст.11.

[2] ა.რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 1996, გ.ვ.8.

[3] ზ.დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998, გვ.383

[4] P.A.Reynolds, An introduction to International Relations, Longman, London, 1990, p.7, წიგნიდან ა.რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 1996, გ.ვ.8.

„საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ზღვრული ობიექტი საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომელიც საერთაშორისო ასპექტში განიხილება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების საგანი არის საერთაშორისო ასპექტში განხილული საზოგადოებრივი ურთიერთობები“[5]. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობათმცოდნეობა არის მეცნიერება, „რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივ ურთიერთობებს საერთაშორისო ასპექტში და ადგენს მის კანონზომიერებებსა და თავისებურებებს“[6].

საერთაშორისო ურთიერთობები საკმაოდ მრავალდისციპლინარული მეცნიერებაა. საგნის შესწავლა მოითხოვს ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, საერთაშორისო სამართლის, რელიგიის და სხვა საკითხებში გარკვეულ ცოდნას. რატომ წარმოიშობა ომი? როგორ შეიძლება სტაბილურობის მიღწევა? რატომ არსებობს უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის? საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ცდილობს სწორედ ამ და სხვა მსგავს კითხვებს უპასუხოს. საერთაშორისო ურთიერთობები შეისწავლის საკითხთა ფართო წრეს, დაწყებულს, ვთქვათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალთა ბალანსიდან, დამთავრებულს ლიდერების იდეოლოგიური და პერცეფციული განწყობილებებით.[7] იგი ცდილობს ახსნა მოუძებნოს საერთაშორისო მოვლენებს, ჩაწვდეს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთქმედების ხასიათს; ამ ურთიერთქმედების მაგალითებზე დაყრდნობით, შეიმუშავოს რაღაც ძირითადი პრინციპები, კანონები თუ დებულებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება წარსულის ახსნა და მომავლის წინასწარმეტყველება.[8]

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებას ბიძგი პირველმა მსოფლიო ომმა მისცა, რომლის საზარელმა შედეგებმა განამტკიცა აზრი იმის თაობაზე, რომ საგარეო პოლიტიკა მაქსიმალურად საჯარო უნდა გახდეს. ყურადღების ცენტრში მოექცა ომისა და მშვიდობის საკითხები და ყოველივე ამან საერთაშორისო პრობლემების სერიოზული კვლევის საჭიროება განაპირობა.[9] სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა დიდ ბრიტანეთში ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული „საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის შესავალი“ (1916 წ.) და უელსის საუნივერსიტეტო კოლეჯში (ქ. აბერსვითი, დიდი ბრიტანეთი) საერთაშორისო ურთიერთობათა პირველი კათედრის გახსნა.

§ 2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ჩამოყალიბების საფუძვლები მსოფლიო აზროვნებაში

მეოცე საუკუნის მოაზროვნეები პირველები არ იყვნენ ვინც საერთაშორისო ურთიერთობების ასპარეზზე მიმდინარე მოვლენების მეცნიერული შესწავლა და გააზრება სცადეს. ჯერ კიდევ თუკიდიდე (471-400 ძ.წ., ათენი) თავის „ისტორიაში“ აღწერს და იყენებს

[5] ზ.დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, იქვე, გვ. 388.

[6] ზ.დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, იქვე, გვ. 388.

[7] Paul R. Viotti, Mark V. Kauppi, International Relations Theory, Third Edition, USA, 1998, გვ. 1.

[8] დ.პუჩალასა და კ.ნ.ვოლცის გამონათქვამების გამოყენებით წიგნიდან T. L. Knutsen, A history of International Relations theory, Manchester and New York, 1992.

[9] ა.რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, 1996, გვ.9.

ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ძალთა ბალანსი, მოკავშირეობა, დიპლომატია, სახელმწიფო სტრატეგია, გამალებული შეიარაღება, ძლიერებისა და სისუსტის აღქმა და სხვა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ომის წარმოშობის მიზეზების კვლევას. პელოპონესის ომის (V ს. ძვ. წ.) მაგალითზე იგი დაასკვნის, რომ ამ ომის დაწყება განაპირობა შიშმა ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორის ძლიერების განუხრელი ზრდის გამო. თუმცა ასეთ შიშს, როგორც ომების წარმოშობის მიზეზს, იგი არა იმდენად ადამიანის ბუნებას უკავშირებს, რამდენადაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ხასიათს. კერძოდ კი იმას, რომ მსოფლიოში არ არსებობს ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც თანაბარ წესებს გაავრცელებდა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე ყველა სუბიექტის მიმართ. ამის შედეგად არსებულ ქაოსში კი გაბატონებულია ძალა, რომელიც განაპირობებს კიდეც სახელმწიფოთა ქცევასა და ბედს.[10]

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნიკოლო მაკიაველის (1469-1527 წწ., ფლორენციის რესპუბლიკა, იტალია). იგიც წერდა ძალაზე, ძალთა ბალანსზე, ალიანსებისა და კონტრალიანსების ფორმირებაზე, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების წარმოქმნის მიზეზებზე. თუმცა, მისი ყურადღება უპირველეს ყოვლისა მიპყრობილი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების, სახელმწიფოს გადარჩენის მიმართ, რომელიც მისთვის სახელმწიფოს მმართველთან იგივდებოდა. მაკიაველის ყველაზე ცნობილი თხზულება "მთავარი" წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიპოვო, შეინარჩუნო და განავრცო ძალაუფლება. საბოლოო მიზნისთვის, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოება წარმოადგენს, მაკიაველის დასაშვებად მიაჩნდა ნებისმიერი საშუალების გამოყენება. მმართველნი კეთილნი (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით) უნდა იყვნენ, თუკი მათ ეს შეუძლიათ, მაგრამ უნდა შეეძლოთ ბოროტებასაც მიმართონ, თუ ეს საჭიროა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაში, მაკიაველი ეფუძნება არსებულ საზოგადოებრივ, თუ საერთაშორისო ურთიერთობებს, და არა იმას რაც უმჯობესია რომ არსებობდეს.[11]

თომას ჰობსი (1588-1679 წწ., ინგლისი) თავის „ლევიათანში" საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ მახასიათებლად მის ანარქიულობას ასახელებს. იგი საერთაშორისო ურთიერთობებს ხატავს, როგორც ყველა სახელმწიფოს ომს ყველას წინააღმდეგ, სიტუაციას, რომელშიც ბატონობს ეჭვი, უნდობლობა და კონფლიქტი.

ჰუგო გროციუსის (1583-1645 წწ., ჰოლანდია) თხზულებები გამსჭვალულია იმის დასაბუთებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული ანარქიის დაძლევისათვის აუცილებელია კანონებისა და წესების ანუ საერთაშორისო სამართლის შემუშავება, რომლის მიმართაც მორჩილებას სახელმწიფოები ივალდებულებენ. ასეთ შემთხვევაში, გროციუსის აზრით, ცენტრალური ძალაუფლების არარსებობის მიუხედავად, შესაძლებელია საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეული წესრიგის დამყარება.[12]

კარლ ფონ კლაუზევიცის (1780-1831 წწ., პრუსია) გამონათქვამი „ომი არის პოლიტიკური საქმიანობის სხვა საშუალებებით გაგრძელება" საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ომი, ეროვნული უსაფრთხოების საკითხები მისი ყურადღების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა. მისი აზრით, სახელმწიფოს ძლიერების სამხედრო ელემენტი

---

[10] Paul R.Viotti, Mark V.Kauppi, International Relations Theory, Third Edition, USA, 1998, გვ. 57-59.

[11] Paul R.Viotti, Mark V.Kauppi, International Relations Theory, Third Edition, USA, 1998, იქვე, გვ.60-61.

[12] Paul R.Viotti, Mark V.Kauppi, International Relations Theory, Third Edition, USA, 1998, იქვე, გვ.62.

მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველთვის პოლიტიკურ ელემენტზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით საინტერესოა, ასევე, კლაუზევიცის მიერ დახატული ის გაურკვევლობა, რომელიც თან ახლავს ომის პირობებში სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და დასახული გეგმების განხორციელების დროს ამ უკანასკნელთა დაბრკოლებებად ან წინააღმდეგობებად გადაქცევის პრობლემა. კლაუზევიცი პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ერთ-ერთ მამამთავრად ითვლება.[13]

§ 3. საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიები

თანამედროვე პირობებში, როცა საერთაშორისო ურთიერთობების უამრავი თეორია არსებობს, ძალზე ძნელია მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანთა გამოყოფა, მათი კლასიფიკაცია. ამ საკითხისადმი მეცნიერთა მიდგომა განსხვავებულია. მაგალითად, პოლონელი მეცნიერი ი.კუკულკა „არამარქსისტულ ზოგად მიდგომებს“ შორის, რომელთაც „საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი თეორიების პრეტენზიები აქვთ“, შემდეგ თეორიებს გამოჰყოფს: 1. ჰ.მორგენთაუს პოლიტიკური რეალიზმი; 2. რ.არონის ომისა და მშვიდობის თეორია; 3. ქ.რაითის ფაქტორების თეორია; 4. ჯ.ლისკას საერთაშორისო ეკვილიბრიუმის (წონასწორობისა) და 5. ი.გალთუნგის კავშირების თეორიები[14].

ამერიკელი მეცნიერის დ.ს.ფაფფის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი თეორიებია: 1. დიპლომატიის ისტორია; 2. სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ანალიზი; 3. მარქსიზმ-ლენინიზმი; 4. პოლიტიკური იდეალიზმი; 5. ნაციონალ-სოციალიზმი (ან ფაშიზმი); 6. პოლიტიკური რეალიზმი; 7. ბიჰევიორიზმი; 8. საგარეო პოლიტიკური ანალიზი.[15]

რუსი მეცნიერი პ.ციგანკოვი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს შორის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს: 1. პოლიტიკურ იდეალიზმს; 2. პოლიტიკურ რეალიზმს; 3. მოდერნიზმს; 4. ტრანსნაციონალიზმს; 5. ნეომარქსიზმს[16].

ჩვენი აზრით, ყველაზე მართებული შემდეგი კლასიფიკაციაა: 1. კლასიკური მარქსიზმი და ნეომარქსიზმი; 2. ლიბერალიზმი: პოლიტიკური იდეალიზმი, ლიბერალური (დემოკრატიული) მშვიდობის თეორია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებისა და ტრანსნაციონალიზმის თეორიები; 3. პოლიტიკური რეალიზმი და ნეორეალიზმი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

როგორც ცნობილია, კ.მარქსმა ძირითადი ყურადღება ეკონომიკასა და ეკონომიკურ კლასებს მიაპყრო. მარქსის აზრით, მსოფლიო ისტორია კაპიტალიზმით იწყება, რადგან კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველს მსხვილი მრეწველობა წარმოადგენს, რომელიც ერთიან მსოფლიო ბაზარს ქმნის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის განვითარებას განაპირობებს. ბურჟუაზია მსოფლიო ბაზრის ექსპლუატაციის მეშვეობით, ყველა ქვეყნის წარმოებასა და მოხმარებას კოსმოპოლიტურს ხდის და გაბატონებული კლასი ხდება არა

---

[13] Paul R. Viotti, Mark V. Kauppi, International Relations Theory, Third Edition, USA, 1998, იქვე, გვ.61-62.

[14] Ю.Кукулка, Проблемы теории международных отношений, (перевод с польского) Москва, 1980, ст.103.

[15] D.S. Papp, Contemporary international relations, New York, 1994, p.11.

[16] Цыганков, დასახ. ნაშრომ., გვ. 27-28.

მარტო ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატატორულ, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით ბატონობა-მორჩილების ხასიათს იძენს. ეს კი მიზეზი ხდება კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციისა. აქედან გამომდინარე, ეროვნული სუვერენიტეტი, სახელმწიფო ინტერესები მეორადია. ობიექტური კანონები მსოფლიო საზოგადოებას ქმნიან, რომელშიც კაპიტალისტური ეკონომიკა ბატონობს, ხოლო მისი მამოძრავებელი ძალა კლასთა შორის ბრძოლა და პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული მისიაა.

მარქსის მოძღვრება გააგრძელა და გააღრმავა ვ.ლენინმა თავის ნაშრომში „იმპერიალიზმი-კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური“ (1912 წ.). ლენინის მიხედვით, კაპიტალიზმი, რომელიც განვითარების სახელმწიფო-მონოპოლისტურ სტადიაში შევიდა, იმპერიალიზმად გარდაიქმნა. იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ მსოფლიოს პოლიტიკური განაწილების შემდეგ, წინა პლანზე მონოპოლიების მიერ მისი ეკონომიკური განაწილება გამოდის. მონოპოლიის წინაშე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (სადაც მოგების შედარებით მაღალი პროცენტია) კაპიტალის ექსპორტისა და ბაზრების საკითხი სულ უფრო მწვავდება. კონკურენტულ ბრძოლაში ისინი ერთმანეთს ეჯახებიან, რაც მსოფლიო პოლიტიკურ კრიზისებს, ომებსა და რევოლუციებს იწვევს.

თანამედროვე მეცნიერთაგან კლასიკური მარქსიზმის მიმდევრებად შეიძლება ჩაითვალონ პ.ბარანი, პ.სუიზი, ს.ამინი და სხვები; მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მათი შეხედულებები საკმაოდ არაერთგვაროვანია, თუმცა ბევრი რამ საერთოც გააჩნიათ. ამიტომაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ამ მიმდინარეობას **ნეომარქსიზმი** მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ.

ძირითადი განსხვავება კლასიკურ მარქსიზმსა და ნეომარქსიზმს შორის ისაა, რომ კლასიკური მარქსიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობებს საერთაშორისო არენაზე და მის განმსაზღვრელ ფაქტორად კლასთა ბრძოლას ასახელებს. ნეომარქსიზმს კი საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსად მიაჩნია დაპირისპირება ბირთვსა და პერიფერიას შორის, ანუ მდიდარ „ჩრდილოეთსა“ და ღარიბ „სამხრეთს“ შორის.

ნეომარქსიზმის შეხედულებით, ეკონომიკურად ნაკლებგანვითარებული ქვეყნები ინდუსტრიულ სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებული, რომლებიც მათ ძარცვასა და ექსპლუატაციას აწარმოებენ. საერთაშორისო ურთიერთობების სივრცე ნეომარქსისტებს გლობალური იმპერიის სახით წარმოუდგენიათ, რომლის პერიფერიაც ცენტრის მიერ ჩაგვრას დეკოლონიზაციის შემდეგაც განიცდის, რაც ეკონომიკური გაცვლის უთანასწორობასა და არათანაბარ განვითარებაში ვლინდება[17].

პოლიტიკური იდეალიზმის სახელწოდებით ცნობილი თეორია I მსოფლიო ომით შეძრწუნების, შიშის ტალღაზე წარმოიშვა და ყურადღებას ძირითადად საერთაშორისო, განსაკუთრებით გლობალური ხასიათის კონფლიქტის თავიდან აცილების გზების ძიებას უთმობს.

იდეალისტური თვალთახედვით, ადამიანები უმთავრესად კეთილნი არიან და, საკუთარ კეთილდღეობასთან ერთად, სხვებზეც ფიქრობენ. ამიტომ ომი, კონფლიქტი, მხოლოდ სარეთაშორისო სისტემის ცუდი სტრუქტურისა და დაუხვეწავი ინსტიტუტების მიზეზია. მშვიდობა ყველა სახელმწიფოს საერთო ინტერესი და სურვილია. „ომი არ არის ადამიანის ბუნების გარდაუვალი შედეგი, ის ამ ბუნების გარკვეულ პირობებში გამოვლენაა“-

[17] Papp დასახ. ნაშრ., გვ. 11-16; Цыганков, დასახ. ნაშრ. გვ. 15-16, 27-28.

წერდა I მსოფლიო ომის შემდგომი ხანის გავლენიანი ინგლისელი ავტორი გ.ლ.დიქინსონი, ხოლო ამერიკელი გ.მარი აცხადებდა: „ომის აპოლოგეტები არ არიან მართლები, როცა ომს ადამიანის ბუნების ელემენტად თვლიან. ომი სახელმწიფოს მოქმედების ფორმაა...პოლიტიკური პროგრამის ნაწილია“. ბრიტანელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი კი ომს კაცობრიობის „მომაკვდინებელ სენს“ უწოდებდა[18].

იდეალისტების აზრით, ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტა შესაძლებელი და აუცილებელია. ამისათვის საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, დემოკრატიზაცია, მასზე ზნეობისა და სამართლიანობის ნორმების გავრცელებაა საჭირო. დემოკრატიული სახელმწიფოების მსოფლიო თანამეგობრობას, საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერისა და ზეწოლის პირობებში, შეუძლია მის წევრებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტები მშვიდობიანი გზებით დაარეგულიროს, კერძოდ, საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების მეთოდებით, საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობისა და როლის გაზრდით, რაც ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს. იდეალისტებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საჯაროობა და საზოგადოების ფართო ფენებში მშვიდობის იდეის გავრცელება პოლიტიკურ პრაქტიკაში გარდატეხას შეიტანდა.

იდეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული თემაა საყოველთაო განიარაღებისა და ომზე, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტზე უარის თქმის პირობებში, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა. იდეალისტებისათვის მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ანარქია და სუვერენული სახელმწიფოების სისტემა ყველა უბედურების მიზეზი და ამიტომაც მიუღებელია[19].

ლიბერალური (დემოკრატიული) მშვიდობის თეორიის თანახმად, მსოფლიოში მშვიდობის დამყარების გასაღები სწორედ დემოკრატიზაციაშია.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა წამოაყენა თეზისი, რომლის თანახმადაც კაცობრიობა აუცილებლად მივა საყოველთაო და მარადიულ მშვიდობამდე, ვინაიდან მისი განვითარება საბოლოოდ რესპუბლიკური, დემოკრატიული წესწყობილების საყოველთაო დამკვიდრებას გამოიწვევს. ეს თეზისი შემდეგ უკვე XX საუკუნეში არაერთმა მეცნიერმა აიტაცა და განავრცო. ისინი აღნიშნავენ, რომ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში იქმნება და ძლიერდება საშუალო ფენა, მაღლდება განათლების დონე და ა.შ. საშუალო ფენა სისხლხორცეულად არის დაინტერესებული მშვიდობიანი ვითარებით, რომელშიც იგი გააგრძელებს ვაჭრობას, წარმოებას და საკუთარ სიმდიდრეს გაზრდის. ამიტომ საშუალო ფენა დაინტერესებულია მშვიდობით, საერთაშორისო თანამშრომლობით. დემოკრატიულ სახელმწიფოში, ამავე დროს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არ უწყობს ხელს უკიდურესი ნაციონალისტური, შოვინისტური, თუ იმპერიალისტური პოლიტიკის დამკვიდრებას და საგარეო პოლიტიკაში ომის იდეის გაბატონებას.

ლიბერალური (დემოკრატიული) მშვიდობის თეორიის მიმდევრები მიუთითებენ ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების ურთიერთობებზე, რომელთა შორისაც უკვე რამდენიმე ათწლეულია ომი არ ყოფილა და, პირიქით, სულ უფრო ვითარდება მშვიდობიანი თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში. ჯ. ლევი და დ.ლეიკი აცხადებდნენ, რომ დემოკრატიულ რეჟიმებს შორის არსებული მშვიდობიანობა

[18] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.10.

[19] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 10-12; Papp, დასახ. ნაშრ., გვ.11-16; Цыганков, დასახ. ნაშ., გვ.19.

„საერთაშორისო პოლიტიკაში თითქმის კანონია“. დემოკრატიული ქვეყნები ე. წ. „მშვიდობის ზონას“ ქმნიან, რომელიც საკმაოდ სწრაფად ფართოვდება. თუ მეორე მსოფლიო ომის წლებში მხოლოდ 12 დემოკრატიული ქვეყანა დარჩა, დღეს მსოფლიოს სახელმწიფოთა 40 პროცენტზე მეტი დემოკრატიულია. ძალა და სიმდიდრე სწორედ ამ ქვეყნებშია თავმოყრილი. ამავე დროს, მსოფლიოს დემოკრატიზაციის პროცესი გრძელდება.

მ.დოილს მიაჩნია, რომ ლიბერალური რეჟიმის მქონე სახელმწიფოების ურთიერთობებში არ არსებობს ძლიერი და სუსტი, აზრი ეკარგება ეროვნული ინტერესებისა და ძალთა წონასწორობის პრინციპებს. თუ სახელმწიფოები მტკიცედ დაიცავენ ლიბერალურ პრინციპებს, მაშინ მათ შორის ურთიერთობებში ორმაგი სტანდარტი აღარ იქნება. თუმცა „დემოკრატიულ მშვიდობამდე“ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, საერთაშორისო მშვიდობა უტოპია აღარ არის და ლიბერალურმა სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთობით ეს დაამტკიცეს.[20]

პ.ციგანკოვი **ტრანსნაციონალიზმის** სახელწოდებით სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობას მოიხსენიებს, რომელთა შორის, მოკლედ რომ ვთქვათ, საერთო ის არის, რომ, მათი თვალთახედვით, თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთაშორისი, ანუ ინტერნაციონალური ურთიერთობები, ტრანსნაციონალურად გარდაიქმნება[21]. იგივე შეხედულებები ა.რონდელს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის სახელწოდებით აქვს თავმოყრილი[22]. ამიტომაც, შესაძლებლად ჩავთვალეთ ეს ორი განსხვავებული სახელწოდება გაგვეერთიანებინა.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის, ასე ვთქვათ, მანიფესტი, რ.კიოჰეინისა და ჯ.ნაის წიგნია „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“ (1977 წ.), რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ბუნდოვანი წინადადება არასაკმარისად გაცნობიერებულ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ შეგრძნებას გამოხატავს, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი იცვლება“[23]. ამ თეორიის მიმდევართა აზრით, საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილე სახელმწიფოები და სხვა მოქმედი პირები ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ასევე კულტურულად, ეკოლოგიურად და ა.შ. ურთიერთდამოკიდებულება ზღუდავს ავტონომიას, სუვერენულობას. მან შეიძლება სიკეთე, მშვიდობა, სტაბილურობა მოიტანოს, მაგრამ შეიძლება ნეგატიურ შედეგებამდეც მიგვიყვანოს. ეს პროცესი თავისთავად მიმდინარეობს და ეკონომიკის, ტექნოლოგიების, ვაჭრობის განვითარებისა თუ განვითარების საჭიროების, ეკოლოგიური და სხვა მოვლენების შედეგია. მრავალგანზომილებიანი მსოფლიოს პირობებში, სამხედრო ძალა ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღარ არის, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში, გარკვეული ტიპის ურთიერთობებში, სამხედრო ძალის, ძლიერების მნიშვნელობა კვლავაც დიდია. ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებასთან ერთად, საერთაშორისო კონფლიქტებმა სხვა ფორმა უნდა მიიღონ (მაგალითად, „სავაჭრო ომები“) და შესაძლოა კონფლიქტების ახალი მიზეზებიც გაჩნდეს.

---

[20] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.80-81.

[21] Цыганков, დასახ. ნაშრ., გვ.27-28.

[22] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.132-142.

[23] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.132.

საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოები მისი მთავარი მოქმედი პირები არ არიან. მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ბოლო ხანებში მომძლავრებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა არასახელმწიფოებრივ მონაწილეებსაც. სახელმწიფოთა ქმედებების განსაზღვრის თვალსაზრისით, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურა მონოპოლისტი არ არის. სხვა არასტრუქტურული ფაქტორებიც არსებობს. სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების უნიტარულ მონაწილეს არ წარმოადგენს. ყოველი სახელმწიფოს შიგნით არსებული ეკონომიკური და ფინანსური ძალები, არასახელმწიფეობრივი ორგანიზაციები, ბიუროკრატები, გავლენიანი ინდივიდები და დაინტერესებული ჯგუფები „ხლეჩენ“ სახელმწიფოს. სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესთა ჯგუფების, მოქალაქეების პირადი კონტაქტებიც დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებზე.

სამხედრო უსაფრთხოება მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არ არის. სხვადასხვა პირობებში წინა პლანზე ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები იწევს.

ინტეგრაცია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე ხელს უწყობს სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობა იმდენად აუცილებელი ხდება, რომ ომის წარმომშობი პირობებიც კი ძალზე იზღუდება. საერთაშორისო ორგანიზაციები ამ მხრივ, მეტად ეფექტური ხდება. ამიტომ ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებას ხელი უნდა შეეწყოს, რადგან მტკიცე მშვიდობის დამყარების ფაქტორი სწორედ ის არის. მაგრამ, ამავე დროს, ცალკეული სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს[24].

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებისა და ტრანსნაციონალიზმის თეორიები, ფაქტობრივად, პოლიტიკური იდეალიზმის თავისებურ გაგრძელება-მოდერნიზებასა და პოლიტიკური რეალიზმის კრიტიკას წარმოადგენენ.[25]

პოლიტიკური რეალიზმი (რომელიც, თავის მხრივ, იდეალიზმის კრიტიკაა), საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში ყველაზე გაბატონებული სკოლაა. იგი II მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი კლასიკოსები, ძირითადად, ამერიკელი მეცნიერები ჰ.მორგენთაუ, რ.ნიბური, ჯ.ქენანი, ჰ.კისინჯერი და სხვები არიან.

კლასიკური პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელთა აზრით, პოლიტიკა, ისევე, როგორც მთლიანობაში საზოგადოება, ობიექტური კანონებით იმართება, რომლის ფესვებიც ადამიანის უცვლელ ბუნებაშია. ადამიანები ბუნებით კეთილნი არ არიან, მათ ერთმანეთზე ბატონობის ინსტინქტური სურვილი აქვთ. აქედან გამომდინარე, ომი ყოველთვისაა მოსალოდნელი და მისი, როგორც ასეთის, საბოლოო აღმოფხვრა შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში ყოველმა სახელმწიფომ, პირველ რიგში, საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნოს. საერთაშორისო პოლიტიკაში გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა. მართალია, კოლექტიური უსაფრთხოება ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში შეიძლება დადებითი შედეგების მომტანი იყოს მისი წევრი სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ეროვნული უსაფრთხოების მთავარი დასაყრდენი კოლექტიური უსაფრთხოება არ უნდა იყოს. სახელმწიფოს თვითონ უნდა შესწევდეს უნარი თავისი ეროვნული (ძირითადად სამხედრო) უსაფრთხოება უზრუნველყოს, რისთვისაც

[24] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.132-142.

[25] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.39.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ძლიერი შეიარაღებული ძალების არსებობას აქვს. საერთოდ ძალა, სამხედრო ძლიერება, საერთაშორისო ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

სახელმწიფოს ძლიერება შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: გეოგრაფიული მახასიათებლები, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი, მოსახლეობა, მთავრობა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძლიერებაა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობაში, როგორც ძლიერების კომპონენტში, არა მარტო რაოდენობა იგულისხმება, არამედ ეროვნული ხასიათი და პატრიოტული სულისკვეთება.

რაც შეეხება მთავრობას, მას იმის უნარი უნდა შესწევდეს, რომ თავისი პოლიტიკით მოსახლეობა შეაკავშიროს, მისი მობილიზაცია მოახდინოს. დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის ლიდერის დახვეწილ დიპლომატიას, პოლიტიკურ მოქნილობას, მანევრირების უნარს. ძირითადი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების - იძულებისა და მოლაპარაკების სწორ გამოყენებას[26], თუმცა, ისტორიული სინამდვილე და ეროვნული ინტერესები დიპლომატიის შესაძლებლობებს გარკვეულ ჩარჩოებს უქმნიან.

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელთა აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ძლიერების ქონას, არამედ ამგვარ რეპუტაციასაც. ამიტომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში საგულისხმო ადგილი ძლიერების დემონსტრირების, პრესტიჟის პოლიტიკას უკავია[27].

სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკური პარტიები თუ მოსახლეობის დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობენ, ან ამ პოლიტიკას წარმართავენ, თავიანთ შეხედულებებს, გადაწყვეტილებებს ეროვნული ინტერესებით ასაბუთებენ და ამართლებენ. ეროვნული ინტერესები გულისხმობს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც ცალკეული პირების, ჯგუფების ინტერესებს კი არ წარმოადგენს, არამედ მთელი ერის, სახელმწიფოს ინტერესებს (დასავლურ ლიტერატურაში ხშირად ერი სახელმწიფოს სინონიმად იხმარება[28]). ყოველი სახელმწიფო მოწოდებულია დაიცვას საკუთარი გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სახე, გარეშე ძალთა ხელყოფისაგან. დ.ს.ფაფფი იდეოლოგიაზე ამახვილებს ყურადღებას: „იდეოლოგიური კრიტერიუმი ზოგჯერ ეროვნული ინტერესის მნიშვნელოვან მახასიათებლად გამოიყენება. ქვეყნების უმრავლესობა ფორმალურად თუ არაფორმალურად იდეოლოგიას, როგორც საკუთარი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად, ისე თავისი პოლიტიკის გასამართლებლად იყენებს“[29]. მორალურობა და ლეგიტიმურობა, მისი აზრით, ეროვნული ინტერესის განსაზღვრის მნიშვნელოვანი საკითხებია. ამ მხრივ კულტურულ, ეთნიკურ, რასობრივ მსგავსებებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ[30].

პოლიტიკური რეალიზმის შეხედულებით, ქვეყნებს შორის ინტეგრაცია იქამდე გრძელდება, სანამ იგი ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ნებისმიერი მთავრობა, დემოკრატიულია იგი, თუ არა, ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას გაატარებს, რადგან დაუნდობელ ანარქიულ ასპარეზზე ეს ერთადერთი ლოგიკური არჩევანია[31]. თუმცა, ხშირია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ საკუთარი ინტერესების ეროვნულად გამოცხადება, მაგრამ ამის თავიდან აცილება, ობიექტური

---

[26] Цыганков, დასახ. ნაშრ., გვ.197.

[27] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ 39-59; Papp, დასახ, ნაშრ., გვ.11-16.

[28] Papp, დასახ, ნაშრ., გვ.86.

[29] Papp, დასახ. ნაშრ., გვ.46.

[30] Papp, დასახ. ნაშრ., გვ.46.

[31] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ88.

ანალიზის გზით, ინტერესების „რაციონალური ბირთვის“ განსაზღვრის მეშვეობითაა შესაძლებელი, როგორც ამას ჰ.მორგენთაუ აღნიშნავს[32].

განსხვავებულია ეროვნული ინტერესების საფეხურები და მათი დიაპაზონიც სახელმწიფოთა მასშტაბების მიხედვით განსხვავდება. პატარა ქვეყნისათვის გადარჩენის ინტერესები ყოველთვის ყურადღების ცენტრში დგას. შესაძლოა სხვათა თვალში ისინი შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ძალზე შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გამო, მათი უზრუნველყოფა უკიდურესად ძნელი საქმეა.

რ.გილპინის აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი ყველა ეროვნული ინტერესი დაიკმაყოფილოს, თუ საგარეო პოლიტიკურ მიზანს მიაღწიოს, იგი მათ სხვადასხვა კომბინაციებს ირჩევს.[33]

პოლიტიკური რეალიზმისათვის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მონაწილეები, სუბიექტები, ეროვნული, სუვერენული სახელმწიფოებია. საერთოშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს სწორედ სახელმწიფოები იღებენ. ამავე დროს, ისინი უნიტარული მოქმედი პირები არიან, ანუ სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში გამოდის, როგორც ერთიანი, მთლიანი ძალა. სახელმწიფო თავის ქმედებაში რაციონალურ ანალიზს უნდა ემყარებოდეს და რეალურად, როგორც წესი, ასეცაა.

პოლიტიკა ავტონომიურია ეკონომიკის, ეთიკისა თუ ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებისაგან. ამიტომაც პოლიტიკის სფეროში ქმედებების შეფასება არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა და წესების თანახმად უნდა მოხდეს, არამედ პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკოსი უზნეო უნდა იყოს, მაგრამ მისთვის უმაღლესი ზნეობა მისი ქვეყნის ინტერესებია. საერთოდ, პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს არა იქიდან, თუ რა უნდა იყოს, არამედ რეალური მდგომარეობიდან, იქიდან, რაც არის.

აქვე აღსანიშნავია, რომ პ.ციგანკოვის აზრით, ჯერჯერობით „არც ერთ თეორიულ სკოლას არ შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში მორალის არსისა და როლის საკითხის საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზია ჰქონდეს“[34].

პოლიტიკური რეალიზმის თვალით დანახული საერთაშორისო პოლიტიკა ქვეყნებს შორის გადარჩენისათვის დაუსრულებელი ბრძოლაა, ამდენად, მშვიდობა კონფლიქტის მხოლოდ სხვა ფორმაა.

რ.არონი მშვიდობის 3 ტიპს გამოჰყოფს: 1. წონასწორობა; 2. ჰეგემონია; 3. იმპერია.

ჯ.ქენანის აზრით, საერთაშორისო სისტემა იერარქიული ხასიათისაა, ანუ მასში დიდი სახელმწიფოები ბატონობენ, ხოლო პატარა სახელმწიფოების „სუვერენული სტატუსი სრული უაზრობაა“[35] და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატარა ქვეყნები ერთმანეთთან ომით მსოფლიო მშვიდობას დიდ ზიანს მიაყენებენ.

ჰ.კისინჯერი სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკურ სტრუქტურაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურის მქონე სახელმწიფოები რევოლუციურ-ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას არ წარმართავენ, ე.ი. ქვეყნების შიდა პოლიტიკურ სტრუქტურას საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

---

[32] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

[33] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[34] Цыганков, დასახ. ნაშრ., გვ.234.

[35] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.45-47.

რეალისტური თვალთახედვით, საერთაშორისო ურთიერთობებში ძალა, მისი გამოყენება შეუძლებელია გამოირიცხოს, ომი ყოველთვის შეიძლება მოხდეს, თუმცა შესაძლებელია მშვიდობის შენარჩუნება-გახანგრძლივება ძალთა წონასწორობის მეშვეობით. ძალთა წონასწორობის მექანიზმი შემდეგია: სხვადასხვა სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ალიანსებს კრავენ რომელიმე სხვა ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამრიგად მის ძალას აწონასწორებენ.[36] მაგრამ ძალთა წონასწორობის შენარჩუნება თავისთავად მშვიდობას არ გულისხმობს. სახელმწიფოები ძალთა წონასწორობის აღსადგენად ან შესანარჩუნებლად ომსაც მიმართავენ, რომელიც ხშირად პრევენციულ ხასიათს ატარებს, ანუ მიზნად ისახავს პოტენციური მეტოქის აღზევება არ დაუშვას.[37]

ძალთა წონასწორობის კონცეფციასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირების საკითხს. „კავშირები მოკავშირეთა საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე იქმნება, მაგრამ მათი დეკლარირება საკმარისი არ არის. სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ ისეთი კავშირი, რომელშიც მოკავშირეთა მიზნები პოლიტიკის კოორდინაციაში, ამოცანებში და ღონისძიებებში, დეტალურად შემუშავებული მოქმედების გეგმებში პოულობს გამოხატულებას. კავშირი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ მოკავშირეთა ინტერესებისა და მიზნების მთავარი ასპექტები მაინც არ ემთხვევა ერთმანეთს, თუ მათ სერიოზულად არა აქვთ განსაზღვრული და შემუშავებული თავიანთი მონაწილეობისა და მოქმედების ძირითადი პრინციპები და ურთიერთვალდებულებები. თუ ასე არ მოხდა, კავშირის დამდები შეთანხმება ფარატინა ქაღალდს ემსგავსება“.[38]

ზოგჯერ, ერთსა და იმავე კავშირში სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური პრინციპების მქონე მოკავშირეებს ვხვდებით, მაგრამ, უფრო ხშირად მოკავშირეებს ბევრი რამ საერთო აქვთ. მართალია, პოლიტიკური რეალიზმი იდეოლოგიურ, ეთნიკურ, კულტურულ სოლიდარობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მომენტები დიდ როლს ასრულებს და თუმცა, ძნელი სათქმელია რამდენად რეალურია ეს, მაგრამ ს.ჰანთინგთონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მომავალში დიდი კოალიციების შექმნა ცივილიზაციურ-კულტურულ-რელიგიური ფაქტორებით იქნება განპირობებული, მაინც ყურადღებას იმსახურებს.[39]

პოლიტიკური რეალიზმის კლასიკურმა სკოლამ, სხვა თეორიების მიმდევართა მხრიდან მწვავე კრიტიკა განიცადა. ამ თეორიის ნაკლოვანებები თვით მისმა მიმდევრებმაც დაინახეს, ამიტომაც მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა (ქ.უოლცი, რ.გილპინი, ჯ.გრეიკო, ბ.ბუზანი და სხვ.) კლასიკური სკოლის ტრადიციების შენარჩუნების პარალელურად, იგი ახალი რეალიების გათვალისწინებითა და სხვა თეორიული მიმდინარეობების მიღწევების მხედველობაში მიღებით გაამდიდრეს. სწორედ ამ ახალ მიმდინარეობას ვუწოდებთ ნეორეალიზმს.

ნეორეალიზმის „მანიფესტად“ ამერიკელი ქენეთ უოლცის შრომა „საერთაშორისო პოლიტიკის თეორიაა“ აღიარებული. ნეორეალიზმი მსოფლიოს განიხილავს არა როგორც ცალკეული სახელმწიფოების ერთობლიობას, არამედ როგორც სახელმწიფოთა სისტემას.

---

[36] Papp, დასახ. ნაშრ., გვ.11-16.

[37] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.112.

[38] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.68.

[39] S.P. Huntington, The clash of civilizations?, "Foreign Affairs", Summer 1993, N.3, pp. 22-49.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ხასიათი არა სისტემის ურთიერთქმედებაში მყოფი მონაწილეებითაა განპირობებული, არამედ საერთაშორისო სისტემის თვისებებით (ასეთი შეხედულების გამო ამ მიმდინარეობას ხშირად სტრუქტურულ რეალიზმს ან სტრუქტურალიზმს უწოდებენ). სტრუქტურა საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ურთიერთქმედების შედეგია, მაგრამ იგი ამ ურთიერთქმედების უბრალო ჯამი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ფენომენია, რომელსაც ძალუძს სახელმწიფოებს როგორც თავს მოახვიოს რაიმე, ისე ხელსაყრელი პირობებიც შეუქმნას.

ნეორეალიზმის თანახმად, საერთაშორისო სისტემის მთავარი მახასიათებლები შემდეგია: 1. საერთაშორისო სისტემა ანარქიული უფროა, ვიდრე იერარქიული; 2. სისტემაში ურთიერთქმედებენ ერთი და იმავე ფუნქციების მქონე, მსგავსი ერთეულები - სახელმწიფოები; 3. სისტემის შემადგენელ სახელმწიფოთა შორის შესაძლებლობათა, ძლიერების განაწილება იცვლება ერთი ისტორიული ეპოქიდან, ციკლიდან მეორემდე.

ვინაიდან სუვერენულ სახელმწიფოთა ზემდგომი, უზენაესი ხელისუფლება, „ცენტრალური მმართველობა“ არ არსებობს, სისტემის ყოველი მონაწილე ფართო დიაპაზონში მოქმედებს - „გადარჩენიდან მსოფლიო ბატონობამდე“, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ძალთა წონასწორობა ამგვარი სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. რაც უფრო ნაკლებია უძლიერესი სახელმწიფოების რიცხვი, მით უფრო სტაბილურია საერთაშორისო სისტემა. ძალის, ძლიერების განაწილება – დიდმნიშვნელოვანია, რადგან სტრუქტურებს „განსაზღვრავს არა მათში წარმოდგენილი ყველა მონაწილე, არამედ მონაწილეთა შორის ყველაზე უფრო ძლიერები.“ ამავე დროს, <u>დიდი სახელმწიფოების ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან</u> არ შეიძლება როგორც ანარქიული ისე შევაფასოთ, რადგან ყველაზე ხშირად, იგი თვით დიდების ნებაზეა დამოკიდებული.[40]

„ნეორეალიზმის კონცეფციაში სუსტი და ძლიერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება. სუსტი სახელმწიფოები ისე არ მოქმედებენ, როგორც ძლიერები, რადგანაც სუსტების შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია არა მხოლოდ გლობალური, არამედ რეგიონული მასშტაბითაც. ბუნებრივია, რომ სუსტი ქვეყნები ცდილობენ გამონახონ მფარველი ან ისეთ კავშირში შევიდნენ, რომელიც მათ საფრთხისაგან გადაარჩენს. ძლიერი ქვეყნები არა მარტო გადარჩენაზე ფიქრობენ, არამედ ცდილობენ რეგიონში თუ გლობალურ დონეზე პოზიციები გაიუმჯობესონ.“[41] მიუხედავად ამისა, ორივე კატეგორიის ქვეყნებს შორის ფუნდამენტური მსგავსებაა, ვინაიდან ისინი ანარქიული საერთაშორისო სისტემის ელემენტებს („მოქმედ პირებს“) წარმოადგენენ და ერთსა და იმავე „თამაშის წესებს“ ემორჩილებიან. განსხვავება მხოლოდ მათ ძლიერებაში და, აქედან გამომდინარე, შესაძლებლობებშია.[42]

ბ.ბუზანი რეგიონულ სისტემებს გლობალურ სისტემასთან დამოკიდებულებაში, შუალედურ როლს აკისრებს. მეზობელი სახელმწიფოები ისე ხშირად ხდებიან ერთმანეთზე დამოკიდებული, რომ ერთის ეროვნული უსაფრთხოების მეორისაგან განსხვავება შეუძლებელი ხდება, ანუ რეგიონული ქვესისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება უსაფრთხოების კომპლექსია[43].

---

[40] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.40-41.

[41] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.42.

[42] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.42.

[43] Цыганков, დასახ. ნაშრ., გვ.29-31.

ნეორეალიზმი საერთაშორისო სისტემაში გარკვეულ როლს ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა მონაწილეებს; ხედავს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. მიუხედავად ამისა, ნეორეალიზმის მოდელის მიხედვით, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაშიც სახელმწიფოები საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვიან და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ხასიათიც ამითაა განსაზღვრული. მართალია, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა ვითარდება და, ამის შედეგად, შრომის საერთაშორისო განაწილებაც ძალზე გაღრმავდა, მაგრამ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა მაინც სახელმწიფოთა პოლიტიკური კონკურენციის ჩარჩოებში რჩება. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ერთი ბაზრის, ერთი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ანალოგად წარმოდგენა არ შეიძლება და ეს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განსხვავებებზე, უთანასწორობაზე, მეტოქეობაზე თვალის დახუჭვას ნიშნავს.

ვინაიდან საერთაშორისო სისტემა შედგება სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან თავიანთი შესაძლებლობებით უფრო მეტად განსხვავდებიან, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფოს შიგნით – ცალკეული რეგიონები, და ამავე დროს ეს სახელმწიფოები პოლიტიკურად და ეკონომიკურად თუ მტრები არა, მეტოქეები მაინც არიან, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში სრულ ურთიერთდამოკიდებულებასა და ინტეგრაციაზე საუბარიც კი ზედმეტია.[44]

სახელმწიფოთა შორის მეტოქეობას, ნეორეალისტური შეხედულებით, ადამიანის ბუნება კი არ განსაზღვრავს, არამედ ანარქიული საერთაშორისო სისტემა, მაგრამ ომის, როგორც ასეთის მოსპობისა, არც ნეორეალიზმს სჯერა და ამიტომაც ამ მხრივ რაიმე პროგრამასაც არ გვთავაზობს[45].

ქ.უოლცის აზრით, „ძალა რჩება სახელმწიფოს საგარეო მიზნების მიღწევის საშუალება, რადგან დაპირისპირებული ინტერესების მოგვარების შედეგიანი, სანდო პროცესი არ არსებობს, ხოლო ეს კონფლიქტები აუცილებლად წარმოიქმნება მსგავს ერთეულთა შორის ანარქიის პირობებში.“[46]

თავი 2. საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების საკითხი

§ 1. სუვერენული სახელმწიფოები - საერთაშორისო ურთიერთობების თანასწორუფლებიანი სუბიექტები

როგორ წარმოედგინა საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები ქართულ აზროვნებას განხილულ პერიოდში და როგორ წარმოედგინა ქართული სახელმწიფოს, ისევე, როგორც, ზოგადად, სახელმწიფოს ადგილი საერთაშორისო სისტემაში?

---

[44] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.41.
[45] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., გვ.71-73.
[46] ა.რონდელი, დასახ. ნაშრ., https://eon.ge/wp-content/uploads/2021/02/saertashoriso-urtiertobebi.pdf, გვ.42.

იქიდან გამომდინარე, რომ ფულადი ერთეულის მოჭრა, მისი სახე, ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხარისხზე გვიქმნის წარმოდგენას, ქართულ სახელმწიფოებში მოჭრილი მონეტები ჩვენთვის საინტერესო საკითხების განხილვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ.

ქართლის გარკვეულ დამოუკიდებლობას უსვამს ხაზს VI-VII სს.-ის ქართლის ერისმთავართა სახელზე მოჭრილი მონეტები, რომლებზეც „რელიგიურ-ეროვნული სიმბოლო-ჯვარია“ გამოსახული[47]. არაბთა ბატონობის დროს კი საქართველოში მოჭრილი მონეტები არაბულ წარწერებსა და მუსლიმურ რელიგიურ ემბლემებს ატარებს. XI ს.-ის მონეტებზე „წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ქართულია. ეს წარწერები შეიცავს ქართველ მეფეთა სახელებს და მათ ბიზანტიურ ტიტულებს“.[48] X-XI ს.-ის მონეტებზე ქრისტიანული სიმბოლოები - ჯვარი და ღვთისმშობლის გამოსახულება ჩნდება[49], რითაც ქართული სამეფო კარი იმას უსვამს ხაზს, რომ საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია ქრისტიანობაა. საქართველოს ძლიერების ხანაში XII-XIII სს. ბიზანტიური ტიტულები ქრება. თუმცა, მონღოლთა მიერ საქართველოს დამორჩილების დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით, ერთმანეთს ცვლის როგორც ოკუპანტ, ისე ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ მოჭრილი მონეტები. მართალია ამ უკანასკნელთა დიდ ნაწილზე ქართველი მეფე-მთავრები არიან აღნიშნული, გვხვდება ქართული წარწერები და ქრისტიანული სიმბოლოები, მაგრამ ამავე დროს, ბევრ მათგანზე მითითებულია იმ სახელმწიფოების მეფეთა სახელებიც, რომლებსაც ქართული სამეფო-სამთავროები ემორჩილებიან, უცხოენოვანი, მათ შორის, მუსლიმურ რელიგიასთან დაკავშირებული წარწერები და სიმბოლოებიც. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, არ ქრება გარეშე ძალთაგან დამოუკიდებლობის სურვილი - სუვერენულობის შეგნება და ქართული სამეფოების შედარებითი გაძლიერების დროს, ისეთი ფულის ერთეულები იჭრება, რომლებზეც სხვა სახელმწიფოების ზეგავლენის ნიშნები არ იკითხება.[50]

განხილული პერიოდის საქართველოს ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაკვირვებისას, ასევე აშკარად ჩანს სუვერენული თვითშეგნების განვითარება. თუკი ადრეულ ხანებში, მაგალითად, ტაძრის აშენების დათარიღება, როგორც წესი, ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების მეფეთა ზეობასთანაა დაკავშირებული და ქართველი ხელისუფალნი ზოგჯერ არც კი იხსენებიან, თანდათანობით უცხოელ ხელმწიფეთა ადგილს ქართველი მეფე-მთავრები იკავებენ.

მაგალითად, ბოლნისის ტაძრის წარწერაზე (Vს.) აღნიშნულია: „ოც წლისა პეროზ მეფისა ზე, ვიწყე შენებაჲ ამის ეკლესიაჲსაჲ.“[51] როგორც ვხედავთ, სპარსეთის შაჰია მოხსენიებული, რომელიმე ქართველი მეფე, თუ მთავარი კი საერთოდ არ იხსენიება.

აბასთუმნის ეკლესიის წარწერაც (685/711წწ.), აშენების თარიღის აღსანიშნავად, უცხო სახელმწიფოს, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მეფობას (იუსტინიანე II-685-695, 705-711) იშველიებს, თუმცა აქ ქართველი მამფალი „არშუშა პატრიკიოსი“ და „ქართველთა ერისთავიცაა“ მოხსენიებული[52], მაგრამ, მას, ბიზანტიის „მეფესთან“ შედარებით, დაბალი ტიტული აქვს და თანაც ბიზანტიური - „პატრიკიოსი“, რაც ამ სახელმწიფოსადმი მის დამოკიდებულ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

---

[47] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ.50.
[48] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ.61.
[49] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ.61.
[50] ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი, http://geonumismatics.tsu.ge/ge/.
[51] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.66; წარწერები აქაც და შემდეგაც აღდგენილი სახითაა მოტანილი, შემოკლებების გარეშე.
[52] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.101-103.

IX ს.-დან ჩნდება წარწერები, სადაც მხოლოდ ქართველი ხელისუფალნი იხსენიებიან და თანაც სუვერენი მმართველის, ხელმწიფისა, თუ მეფის სახელწოდებით. მაგალითად, 864 წ.-ის არმაზის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებელი გვამცნობს, რომ მშენებლობა დაიწყო „ჴელმწიფობასა გიორგისსა“[53].

914 წ.-ის ერედვის (შიდა ქართლი) წმ. გიორგის ეკლესიის დათარიღებაშიც „კონსტანტინე მეფის ხელმწიფობა“ მოიხსენიება.[54]

ნიშანდობლივია X ს.-ის 80-იანი წწ.-ის ივანე სულასძის საამშენებლო წარწერა ზარზმის სამონასტრო ანსამბლზე: „მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან: უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუავლინნა“[55].

როგორც ვხედავთ, მართალია დავითი თავისი ბიზანტიური ტიტულით მოიხსენიება, მაგრამ თვით ბიზანტიელ „მეფეთა“ სახელები არ არის მოხსენიებული. ის ფაქტი, რომ ეს წარწერა სამონასტრო ანსამბლზეა გამოსახული, სხვათა შორის, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ აღწერილ ისტორიულ მოვლენას რელიგიური მნიშვნელობაც ენიჭება. ხაზგასმულია, რომ ქართველები, „წმიდა მეფეთა“, მართლმადიდებელ ხელისუფალთა, ანუ ერთმორწმუნე სახელმწიფოს მოკავშირეებად გამოდიან და ეს ფაქტი დადებითადაა შეფასებული. წარწერაში აშკარად არაფერი იგრძნობა, მაგრამ, სავარაუდოდ, ბიზანტიაში მეფის ხელისუფლების ქართველთა წყალობით შენარჩუნების ფაქტის საგანგებო აღნიშვნა იმაზე მეტყველებს, რომ ამ მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობა სათანადოდაა გააზრებული. კერძოდ, ის, რომ ქართული სახელმწიფოს ძლიერება, საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი პოტენციალი მსოფლიო დონეზე წარმოჩინდა.

„საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩვენს ტერიტორიაზე დაცულ ეპიგრაფიკულ მასალაში არსად გვხვდება ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფეების მოხსენიება“[56]. თუმცა ქართველი მეფეები ჯერ კიდევ ბიზანტიური ტიტულებით მოიხსენიებიან. მაგალითად, ბაგრატის ტაძრის (X-XI სს.-თა მიჯნა) წარწერაზე, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III (978-1014) იწოდება „ქართველთა მეფედ და კურაპალატად“[57].

ხახულის ხატის ერთ-ერთ წარწერაზე ბერძნულად ვკითხულობთ: „უფალო შეეწიე მონასა შენსა კვირიკე მაგისტროსსა“, ქართულად აქვე „ქრისტე ადიდე კვირიკე მეფე“[58].

ყველაზე საფუძვლიანი ვარაუდით, წარწერა კახეთის მეფე-მაგისტროს კვირიკე III დიდს (1010-1037) ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ ბერძნულ წარწერაში კვირიკე მხოლოდ მაგისტროსად, ქართულში კი მეფედ იხსენიება. აქ სუვერენულობისაკენ სწრაფვა იგრძნობა, რომელიც ბიზანტიის დიდ სახელმწიფოსთან მიმართებაში აშკარად არ მჟღავნდება.

საგულისხმოა ისიც, რომ უკვე მეფე ბაგრატ III „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატადაც“ იხსენიება (კაცხის წარწერა - 1010-1014წწ.)[59], რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო, მართალია ნომინალურად ბიზანტიის უზენაესობას აღიარებს, მაგრამ უკვე ავლენს დიდმპყრობელურ მისწრაფებებს, პრეტენზიას „ყოველი აღმოსავალის“ მიმართ.

ამავე თვალსაზრისით, საყურადღებოა შიომღვიმისადმი 1057 წ. ბაგრატ IV-ის სიგელის ქართლის კათალიკოს გიორგის მინაწერი, სადაც ბაგრატი იწოდება „ძლიერ აფხაზთა მეფედ“

---

[53] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.167-168.
[54] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.171-172.
[55] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.281.
[56] თ.ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ.148.
[57] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, გვ.281.
[58] თ.ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ.31.
[59] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.2, თბილისი, 1980, გვ.53.

და „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსად“, ხოლო იმავე საუკუნის ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის მინაწერში „უძლეველ მეფეთა-მეფედ“[60]. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ წყაროს მიხედვით, მეფის დამახასიათებელი მთავარი ღირსება მისი ძლიერებაა (ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ).

მოგვიანებით უკვე ბიზანტიური ტიტულებიც ქრება ქართველ მეფეთა მოხსენიებისას, ხოლო საქართველოს უკიდურესი დასუსტებისა და სხვა სახელმწიფოების მიერ დამორჩილების მიუხედავად, ამ სახელმწიფოების მეფეთა ხსენებას არ ვხვდებით. მეტიც, ეპიგრაფიკულ და სამართლის ძეგლებში ქართველი მეფეები ხშირად მოიხსენიებიან ისეთი ტიტულებით, რომლებიც სინამდვილისაგან ძალიან შორსაა, თუმცა, მათი სუვერენულობის სურვილს უსვამს ხაზს, მაგალითად:

- წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გედეონ მაღალაშვილისადმი (1562 წ.): „სიგელი გიბოძეთ ბძანებითა ღმრთივ-გვირგვინოსანისა მეფეთ-მეფისა სვიმონისათა“[61].
- ალავერდის ტაძრის ღვთისმშობლის ხატის ზურგზე მისი შემამკობლის ალექსანდრე III იმერეთის მეფის (1639-1660 წწ.) წარწერაა, რომელიც იწოდება, როგორც „მეფეთ მეფე“, „ღვთივ გუირგუინოსანი“ და „პანკრატოვანიანი“[62].
- წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა იასე ბაკურაძისადმი (1743 წ.): ამტკიცებს „კახეთის, არაგვის და ქსნის პატრონი მეფეთ-მეფე თეიმურაზ და...დედოფალთ-დედოფალი თამარი“[63].
- განწესება სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრებისა ხონის ტაძრის გამოსავალის თაობაზე (1761 წ.): წერს „მეფეთ-მეფე სოლომონი“[64].

საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების საკითხთან დაკავშირებით, უხვი მასალა მოიპოვება ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ თხზულებებში.
იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“ (VIII ს.), ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო შემდეგი პასაჟი იპყრობს ყურადღებას: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა,...აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა“[65].

აქ თითქოს მხოლოდ რელიგიურ საკითხზეა მსჯელობა, მაგრამ საგულისხმოა, რომ „ბერძნების“ ხსენებას კონტექსტთან არანაირი კავშირი არ გააჩნია და ავტორის ზემოთ მოხმობილი სიტყვები, ასე ვთქვათ, სრულიად მოულოდნელად გაისმის. იგრძნობა ბერძნებთან, ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენცია; ბიზანტიასთან, რომელიც ოდითგანვე ხან ქართველების მოკავშირეა, ხან კი მტერი და, როგორც მსოფლიოს უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფო, მრავალმხრივ სამაგალითოა საქართველოსათვის. საბანისძის ეს სიტყვები მით უფრო საყურადღებოა მაშინ, როცა არაბთა ბატონობა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, თუმცა, დამპყრობთაგან თავისუფალ ტერიტორიაზე ახალი ქართული სახელმწიფოებიც იქმნება.

---

[60] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, თბილისი, 1965, გვ.7.
[61] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.270.
[62] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1961, გვ.24.
[63] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.775.
[64] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, თბილისი, 1970, გვ.844.
[65] იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.55.

მწერლის სიტყვებში იგრძნობა დამოუკიდებლობისაკენ ის სწრაფვა, სუვერენულობის ის შეგნება, რომელიც არასოდეს მოსპობილა ქართულ აზროვნებაში. ბიზანტიასთან დაპირისპირების ეს მოტივი გარკვეული წინასახეა იმ ფართო ეროვნული მოძრაობისა, რომელიც ქართველმა მოაზროვნეებმა მომდევნო საუკუნეებში გაშალეს და რომლის მიზანიც საქართველოს, ყოველივე ქართულის და, მათ შორის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოს ბიზანტიასთან გათანაბრება იყო.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ასევე თვალსაზრისი, რომელიც პეტრე იბერიელის (V ს.) ნაშრომის „ზეცათა მღდელთმთავრობისათჳს“ თ თავშია გადმოცემული[66].

პეტრე იბერიელი ამტკიცებს ყველა ერის თანასწორობას ღვთის წინაშე. აღნიშნავს, რომ ებრაელი ერი მხოლოდ იმიტომ იყო ძველაღთქმისეულ პერიოდში გამორჩეული, რომ თვით მან აირჩია ღვთისათვის მოსაწონი გზა და არა იმიტომ, რომ ღმერთია მიკერძოებული. პირიქით, მან ყველა ადამიანს, თუ ერს თავისუფლება მიანიჭა ცხოვრებისეული გზა აირჩიონ, იგი ძალით არავის ახვევს თავს თავის რწმენასა და მისთვის სამსახურს. ღმერთმა განურჩევლად ყველა ერს მფარველებად და ჭეშმარიტების გზით სიარულში შემწეებად ანგელოზები დაუწესა, ხოლო ის, მიიღებს, თუ არა ესა თუ ის ერი ანგელოზთა ამ დახმარებას, თვით ამ ერის საქმეა.

ამ, ერთი შეხედვით, თეოლოგიურ მსჯელობაში ყველა დროისათვის მეტად პროგრესული და ავტორის ეპოქისათვისაც მეტად აქტუალური საკითხი იკვეთება. შუა საუკუნეებში, როცა რელიგიას დიდი როლი ენიჭებოდა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველი იყო იმ ქვეყნებში, სადაც იგი სახელმწიფო რელიგიად იყო აღიარებული და საერთაშორისო ურთიერთობაზეც დიდ გავლენას ახდენდა; ყოველგვარი ქმედება, თუნდაც საგარეო პოლიტიკაში, ამ იდეოლოგიით უნდა ყოფილიყო გამართლებული. ფაქტობრივად, პეტრე იბერიელი ერთა თვითგამორკვევის, სუვერენიტეტის პრინციპების თეოლოგიურ საფუძვლებს აყალიბებს. თუკი ერთა თანასწორობის საკითხს ქრისტიანულ სამყაროში, რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, გამართლება არ მოეძებნებოდა, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ამ პრინციპების ქრისტიანობის წიაღში წარმოშობა და მათი ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლა.

ფაქტობრივად, ერთა თანასწორობის პრინციპი თვით ქრისტემ და მისმა მოციქულებმა იქადაგეს I ს.-ში და, ამ მხრივ, პეტრე იბერიელი ორიგინალური არ არის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლიოში დიდმპყრობელობის იდეოლოგების მიერ ეს პრინციპი უგულებელყოფილი იყო, პეტრე იბერიელის მიერ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს.

ასევე, VI ს.-ის ეგრისელთათვის, მათი მეფე გუბაზი, სუვერენული უფლებების მატარებელია, ამიტომაც სპარსეთის შაჰ ხოსრო I-თან წარგზავნილი გუბაზის ელჩები ჩივიან, რომ ბიზანტიის ხელისუფლებმა მათ „მეფეს... მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს,“ „მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ

[66] პეტრე იბერიელის შრომების დაკავშირება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებთან მხოლოდ პირობითია, მაგრამ, ჩვენი აზრით, არაა საფუძველს მოკლებული. პეტრე იბერიელი, ამა თუ იმ ფილოსოფიურ კატეგორიას ღრმად და მრავალმხრივად განიხილავს, ამიტომაც, შესაძლებლად ჩავთვალეთ ეს ზოგადი მსჯელობა ჩვენთვის საინტერესო პლანში გადმოგვეტანა, ისეთი ასპექტები გაგვეშუქებინა, რომლებიც ჩვენს შემთხვევაშია საყურადღებო.

დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან, არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგეში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ.“[67]

ბიზანტიელი სარდლების მიერ ეგრისის მეფე გუბაზის მკვლელობის შემდეგ გამართული სახალხო კრების ერთ-ერთი გამომსვლელი აიეტი ხაზს უსვამს, რომ გუბაზი მეფე იყო და არა რიგითი მოქალაქე, ამიტომაც მისი მკვლელობა უბრალოდ „გუბაზის პიროვნების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ მთელი კოლხეთის სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულებრივი მოქმედებაა.“[68]

კრების სხვა გამომსვლელი, ფარტაძი მოუწოდებს ხალხს „კოლხის თავისუფალი შეგნებით“ მიიღონ გადაწყვეტილება.[69]

კოლხი ანონიმი იურისტები (რომლებიც გუბაზის მკვლელების ბრალმდებლებად გვევლინებიან) თვლიან, რომ სახელმწიფო, რომელიც თავისუფალი არსებობის საშუალებასაა მოკლებული, თავის სახელწოდებასაც ტყუილად ატარებს.[70]

ამასთან დაკავშირებით, აიეტი შემდეგსაც დასძენს „სახელმწიფო საქმეები უმაღლესია, მხოლოდ მხდალი და ლაჩარი ადამიანებია, რომლებიც სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ,“ „მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს.“[71]

აიეტის უკანასკნელი სიტყვები არა მხოლოდ სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნების განმარტებაა, არამედ საპროგრამო ხასიათისაა მთელი ქართული პოლიტიკისათვის დიაოხითა და კოლხათი დაწყებული, თანამედროვე ეპოქით დამთავრებული. თავისუფალი შეგნება, როგორც ამას ფარტაძი ამბობს, სუვერენულობისაკენ მისწრაფება და ბრძოლა, თუკი საქართველოს ისტორიის ძირითად ხაზს გავადევნებთ თვალს, არასოდეს აღმოფხვრილა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა თანამედროვე პირობებში დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოზე საუბარი. სახელმწიფოებრიობის ეს საფუძველი ნათლად იხატება ჯერ კიდევ VI ს.-ის ეგრისელთა ნააზრევში. თუმცა, პატარა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ერთიანიც არ არის და მისი შექმნის საკითხი დგას, სამეფო, ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება ქვეყნის შიგნით უფრო აქტუალურია, ვიდრე გარეშე მტრებისაგან აბსოლუტური დამოუკიდებლობის მოპოვება. გადარჩენა, ეს ფუნდამენტური ინტერესი ყველაზე მაღლა დგას, ამიტომაც დროებითი დათმობები დიდი სახელმწიფოების მიმართ, საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილობრივი შეზღუდვა დასაშვებად აღიქმება.

ეს ტაქტიკური ნაბიჯი VI ს.-ის ეგრისელთათვისაც არ არის უცხო. დამოუკიდებლობის პათოსით გაჟღენთილ თავის სიტყვას აიეტი შემდეგნაირად აგრძელებს: „მაგრამ როდესაც ჩვენ...ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს

---

[67] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.2, თბილისი, 1965, გვ.76.

[68] ვახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბილისი, 1992, გვ.16, 25-26; აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა, ტ.3, თბილისი, 1936, გვ.65.

[69] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.80.

[70] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.131.

[71] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.

კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ.“ საერთოდ კი მტრისადმი უპირობო მორჩილების პოლიტიკას აიეტი მიუღებლად თვლის: „ვინც უფრო მორჩილია, მას უფრო მოურიდებლად და თავხედურად ეპყრობიან.“ ეს აიეტს ბუნების კანონად მიაჩნია.[72]

ძლიერისადმი ტაქტიკური დათმობის საჭიროებიდან გამომდინარეობს სუვერენული უფლებების დელეგირება სხვა სახელმწიფოებისადმი. გუბაზის ელჩები შაჰ ხოსროს შემდეგნაირად მიმართავენ: „ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ.“[73] მერე კი მემატიანე დასძენს „გუბაზი, ლაზთა მეფე, ეთაყვანა ხოსროს ვითარცა ბატონს და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას.“[74]

საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებამაც“ (IX-X სს.) მიიპყრო. ამ თხზულების ავტორი წერს, რომ წმ. აბიბოსის წამება მოხდა მაშინ, როცა “სამეუფოჲ ესე ჩვენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა“[75].

წმ. აბიბოსი სპარსელების შესახებ შემდეგს ამბობს: „უსჯულონი ესე სპარსნი განძვინდეს ჩუენ ზედა ამპარტავანებითა თვისითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი.“[76] ავტორი წერს: „მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანაჲ ესე ჩვენი.“[77]

როგორც ვხედავთ, ავტორის წარმოდგენით, მსოფლიოს ისეთი დიდი, გავლენიანი სახელმწიფოები, როგორებიც სპარსეთი და საბერძნეთი (ბიზანტია) არიან, თხზულებაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს უსამართლო დამპყრობლებად გვევლინებიან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი (IX ს.) აღწერს საქართველოში მეფობის წარმოშობის ამბავს. მისი მტკიცებით, პირველი მეფე აზო იყო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაუსვამს და სამფლობელოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო მიუცია: “და თანა-ჰყვან ალექსანდრეს მეფესა აზოჲ ძე არიან ქართლის მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა.”[78]

როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა და არც მეფობის დაარსებასთან ჰქონია რაიმე საერთო, მაგრამ, როგორც ივანე სურგულაძე აღნიშნავს, „ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ალექსანდრე მაკედონელის ხსენებით მემატიანე თითქოს მეფობის წარმოშობას მყარ საფუძველზე აგებს. მემატიანე გარეშე ძალას მიაწერს მეფობის წარმოშობას, ამავე დროს, ისეთ დიდ მეფეს, როგორიც ალექსანდრე მაკედონელი იყო.“[79] გარდა ამისა, „საყურადღებოა ავტორის იდეა ერთიანი საქართველოს შესახებ“[80] (ამავე პერიოდის სხვა ძეგლის, „მატიანე ქართლისას“ (XI ს.) მიხედვითაც, VIII ს.-ში, არჩილ მეფის

---

[72] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.

[73] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.76.

[74] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.81.

[75] აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.241.

[76] აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.248.

[77] აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.251.

[78] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I., გვ.81-83.

[79] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985, გვ.45.

[80] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.45.

დროს, საქართველო ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, შემდეგ კი ქვეყანა მისმა მემკვიდრეებმა დაინაწილეს).

როგორც ცნობილია, ეს თვალსაზრისი სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ჩვენთვის იმ მხრივაა საინტერესო, რომ ქართულ აზროვნებაში ქვეყნის ერთიანობა მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესია. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიერ ამ კონცეფციის გაზიარება IXს.-ში, როცა საქართველოს ერთიანობას ეყრება საფუძველი ამ ერთიანობის იდეოლოგიურ-სამართლებრივ საფუძველს ქმნის.

მეფის ლეგიტიმურობის განსამტკიცებლად გარეშე ძალის, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ავტორიტეტის მოხმობა განხილული პერიოდის სხვა ქართულ ისტორიულ თხზულებებშიც გვხვდება. ისმის კითხვა: რითია ეს ტენდენცია გამოწვეული? ივ.სურგულაძე ამას იმით ხსნის, რომ ქვეყნის შიგნით მეფის ძალაუფლების განსამტკიცებლად, ერისთავებთან თუ სხვა შინაგან ძალასთან შედარებით უკანასკნელის უპირატესობის დასაბუთება იყო საჭირო.[81]

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უფრო საგარეო ფაქტორებია მნიშვნელოვანი. ხომ არ აყენებს მეფობის საგარეო წარმომავლობის აღიარება საქართველოს სხვა გარეშე ძალებთან არათანაბარ მდგომარეობაში? თუკი საქართველოში მეფობას დასაბამი ალექსანდრე მაკედონელმა დაუდო, მაშინ შეიძლება რომელიმე დიდმა ძალამ მოსპოს კიდეც, თუნდაც იმ სახელმწიფოს ხელისუფლებამ, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის მემკვიდრეობას იჩემებს. მაგრამ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, მთლიანობაში, არ გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ქართველი მეფეები სხვა სახელმწიფოების უმაღლეს ხელისუფლებზე დაბლა არ დგანან. „მეფედ“ მოიხსენიება, მაგალითად, ვახტანგ გორგასალიც და ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე („ხოლო მეფემან /ვახტანგ, ვ.კ./ წარავლინა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი“[82]). ასევე „მეფეებად“ იწოდებიან ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე და სპარსეთის შაჰი ხოსრო („მაშინ ჩამოვლა ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან;“[83] „წარვიდა /ჰერაკლე, ვ.კ./ ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა“[84]). ამავე დროს, მცხეთა მოხსენიებულია, როგორც „დიდთა მეფეთა საჯდომელი.“[85] სპარსეთის შაჰი „მეფედ-მეფედ“ თხზულებაში მხოლოდ ერთხელ იწოდება და ესეც მისივე ნათქვამის ციტირებას წარმოადგენს.[86]

ავტორის სიტყვებში იგრძნობა, რომ იგი გაუმართლებლად თვლის სპარსეთის მიერ ქართლის დაპყრობას და, ამასთანავე, ამ ფაქტს ქართლში მეფობის ანუ სუვერენულობის მოსპობას უკავშირებს („და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს /და/ ქართლი უმეტესად დაიპყრეს.“[87]).

მაშ წინააღმდეგობაში ხომ არ ვარდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი? ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ძნელია. შესაძლებელია ავტორი უბრალოდ ძველ ტრადიციას გაუაზრებლად ეფუძნება, როცა საქართველოში მეფობის დაწესებას ალექსანდრე მაკედონელს უკავშირებს. თუ ასეა, მაშინ ასეთი ტრადიციის არსებობა თითქოს

---

[81] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.45.
[82] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.93.
[83] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.95.
[84] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.96.
[85] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.98.
[86] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.140.
[87] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.94.

მაინც მეტყველებს ქართულ აზროვნებაში საკუთარი სახელმწიფოს გარეშე ძალებთან მიმართებაში უთანასწორობის აღიარებაზე.

შეიძლება, ისეთი ლეგენდარული და ავტორიტეტული პიროვნების მიერ, როგორიც ალექსანდრე მაკედონელია, საქართველოში მეფობის დაწესება, ავტორის აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში რომელიმე სახელმწიფოს მეთაურის მიერ აქ მეფობის გაუქმება გამართლებული იქნება, რადგან ალექსანდრეს ბადალი ამ ქვეყანას არ მოევლინება.

იქნებ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წინააღმდეგობა დავინახოთ სუვერენიტეტისაკენ ქართული სახელმწიფოების ოდინდელ სწრაფვასა, რაც ქართულ აზროვნებაზე მუდამ ჰპოვებდა თავის გავლენას და გარეშე ძალებისადმი ტაქტიკური ხასიათის იძულებითი დათმობების საჭიროებას შორის, რაც სუვერენიტეტის შეზღუდვაში გამოიხატებოდა? ასეთ დაპირისპირებას შეიძლება წინააღმდეგობა არც კი ვუწოდოთ, რადგან დიდ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში სუვერენიტეტის შეზღუდვაზე თანხმობა სულაც არ ნიშნავდა ამ შეზღუდვის შინაგან აღიარებას. ამიტომაც ქართველი მემატიანე ქართლში მეფობის დაწესების დაკავშირებით ალექსანდრე მაკედონელთან, იქნებ მხოლოდ გარკვეულ ხარკს უხდის გარეშე ძალას, ხოლო თხზულების სულისკვეთება ქართველ მკითხველს საკუთარი სახელმწიფოს სუვერენულობის შეგნებით გამსჭვალავს. ამასთანავე, ავტორის მიერ ქართული სახელმწიფოს გარიჟრაჟზევე მის ერთიან სხეულად წარმოდგენა განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს IX ს.-ში, როცა საქართველოს ერთიანობას საფუძველი ეყრებოდა.

თუკი საკითხს ამ კუთხით განვიხილავთ ისევ ივ.სურგულაძის ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისამდე მივდივართ, რომ დიდ საერთაშორისო ავტორიტეტზე აპელირება ქართველ მეფეებს, ქვეყნის შიგნით დიდებულებთან მიმართებაში ძალაუფლების განსამტკიცებლად ესაჭიროებოდათ.

IX ს.-ის საქართველოში ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ქვეყნის შიგნით ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება უფრო აქტუალურია, ვიდრე გარეშე ძალთაგან აბსოლუტური დამოუკიდებლობის მოპოვება. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ ქართველი მეფე-მთავრები IX-XI სს.-ში ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულების მიღებას ესწრაფვიან, რაც, ბუნებრივია, მათ მიერ ბიზანტიის უპირატესობის აღიარება იყო. თუმცა, ამით ისინი ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდნენ. უფრო ზუსტად რომ აღვნიშნოთ ამ დროის ბიზანტიასა და ქართულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა, ბიზანტია უკანასკნელთა პროტექტორი ან სიუზერენი იყო.[88] ქართველი ხელისუფალნი, ძირითადად, კეისარს სცნობდნენ „როგორც უზენაეს იმპერატორს მთელი საქრისტიანო მსოფლიოსი, მაგრამ საქმე ამ ფორმალური ცნობის იქით არ მიდიოდა.“[89] შესაძლო და სრულიად ბუნებრივია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მისი თანამედროვე ქართული სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური ხაზი არეკლილიყო.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (X ს.) განსაკუთრებულ ყურადღებას ის იქცევს, რომ მწერალი ბაგრატიონთა გვარს ებრაელთა მეფის, ბიბლიური დავითის შთამომავლად და, ამრიგად, ქრისტეს ნათესავად აცხადებს.[90] ამ საკითხს ქართულ

---

[88] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.63; მ.ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება Xს.-ის 80-იანი წლებიდან XIს.-ის 80-იან წლებამდე, საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I მეოთხედში; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბილისი, 1979, გვ.171, 173, 233.

[89] პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ.63.

[90] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.262.

ისტორიოგრაფიაში ბევრი მკვლევარი შეეხო. სხვა საქმეა, თუ რამდენად რეალურია ეს კონცეფცია. ჩვენთვის ის არის მნიშვნელოვანი, თუ რა საერთაშორისო დატვირთვა ჰქონდა ამ ფაქტს. ამ კონცეფციის მიხედვით, ბაგრატიონები წარმომავლობით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, თუ არა აღემატებოდნენ მსოფლიოს ნებისმიერ სამეფო დინასტიას. განსაკუთრებული წონა, ამ მხრივ, ბაგრატიონებს ქრისტიან მონარქებთან მიმართებაში უნდა შეეძინათ, რაკიღა ისინი ქრისტეს ნათესავებად ცხადდებოდნენ. ყველაზე ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა კი, რომელიც საქართველოს IX-X სს.-ში უპირისპირდებოდა, ბიზანტია იყო. ამრიგად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გამოთქმული თეორია იმ ტენდენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია რომელსაც ბიზანტიასთან თავის გატოლება და, საბოლოო ჯამში, მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილის დაკავება ერქვა. თუმცა, ამ თეორიას უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს. იგი ქართული სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გამოვლინებაა. ამ თეორიის რელიგიური დატვირთვა იმაზეც მიგვანიშნებს, თუ რა ადგილს აკუთვნებს თხზულება რელიგიას საერთაშორისო ურთიერთობებში.

მართალია, IX-X სს.-თვის ბაგრატიონები ერთიანი საქართველოს მეფეებს ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ და აღნიშნული თეორიაც, პირველ ყოვლისა, მათი ამ მდგომარეობის მიღწევას ისახავდა მიზნად, ანუ, უფრო მეტად, შიდა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ საქართველოს გაერთიანება, თავისთავად, დღის წესრიგში აყენებდა მისი მდგომარეობის განმტკიცებას საერთაშორისო ასპარეზზე; იმ გარეშე ძალებზე გამარჯვებას, რომლებიც ქვეყნის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდნენ. ასე რომ, ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის თეორიას უკვე IX-X სს.-ში შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა.

ამავე დროს, საქართველოზე ბიზანტიის დიდი გავლენის გათვალისწინებით, ეს მეტად თამამი განცხადებაც იყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ქართული აზროვნება არ უშინდება გარეშე საფრთხეს მაშინ, როცა საქმე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. სუვერენულობის ის შეგნება, რომლითაც თხზულებაა გამსჭვალული, კიდევ უფრო განამტკიცებს ამ აზრს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის კონცეფცია, ჩამოყალიბებული სახით, სუმბატ დავითის ძის თხზულებაში გვხვდება. შემთხვევითი არ არის საქართველოს მმართველი დინასტიის წარმომავლობას საგანგებო ყურადღება სწორედ XI ს.-ში რომ მიექცა, რადგან, საქართველოს გაერთიანებამ სრული სუვერენიტეტის მიღწევის საშუალება და საერთაშორისო ასპარეზზე უფრო აქტიური გამოსვლა გახადა შესაძლებელი. ამას კი თავისი იდეოლოგიური დასაყრდენებიც სჭირდებოდა.

დავუბრუნდეთ ისევ გიორგი მერჩულეს, იგი უკვე აშოტ კურაპალატს (IX ს.-ის I ნახევარი) უწოდებს მეფეს, ხელმწიფეს, მაშინ, როცა მეფის წოდება ტაო-კლარჯეთში პირველად მხოლოდ ადარნასემ მიიღო IX ს.-ის ბოლოს. თხზულების დათარიღების დროსაც ავტორი მხოლოდ ქართველ მეფეებსა და ერისთავებს იხსენიებს[91] და არა ვთქვათ, ბიზანტიის კეისარს, რომელსაც, როგორც ვიცით, ამ დროს საქართველოზე დიდი გავლენა ჰქონდა.

აშოტ კურაპალატს „მატიანე ქართლისას“ ავტორიც (XI ს.) მეფეს უწოდებს.[92] მართალია, მეფის ტიტულის მიღება ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან სრულ გათავისუფლებას არ ნიშნავდა, მაგრამ დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი დონის მანიშნებელი მაინც იყო და,

[91] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.316.

[92] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955, გვ.252.

როგორც ივ.სურგულაძე აღნიშნავს, „სახელწოდება ქართველთა მეფე“ ან „ქართველთა სამეფო“ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განვითარების შედეგია.“[93]

განხილულ საკითხთან დაკავშირებით, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გიორგი მერჩულეს თხზულების შემდეგი ცნობილი ფრაზა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.[94] პირველ ყოვლისა, ეს სიტყვები საქართველოს ერთიანობის იდეის თვალნათელი გამოხატულებაა. ამავე დროს, ამ ერთიანობის საფუძველს შეადგენს ენა და სარწმუნოება. კორნელი კეკელიძის თქმით, ეს ფრაზა იმის გამოხატულებაა, რომ „საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, უმთავრესად, ეროვნული ეკლესიის წიაღში.“[95]

„გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ (1066-1068 წწ.) მიხედვით, თხზულების მთავარ გმირს კარგი ურთიერთობა აქვს საქართველოს მეფე ბაგრატ IV-თან და ყოველმხრივ უწყობს მას ხელს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. საგულისხმოა, რომ გიორგი ქართველ მეფეებს რომის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ იმპერატორს კონსტანტინე I დიდს (306-337) ადარებს. ბაგრატ IV-ის მემკვიდრეს, გიორგის იგი შემდეგნაირად ლოცავს: „ღმერთმან ორითავე ცხორებითა ადიდენ, ვითარცა დიდი კოსტანტინე...და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი.“[96] ასე რომ, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაშიც“ იგრძნობა რომ-ბიზანტიისადმი საქართველოს გატოლების ტენდენცია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მსგავსად, „ცხოვრება მეფეთას“ (XI ს.) მიხედვითაც საქართველოში მეფობის წარმოშობა გარეშე ძალებთან კავშირშია. მაგრამ, თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კონცეფციით, მეფობა უშუალოდ ალექსანდრე მაკედონელმა დააწესა, ლეონტი მროველის მიხედვით, მეფედ ადგილობრივმა ფარნავაზმა გამოაცხადა თავი, რაც იმ დროს დიდმა საერთაშორისო ძალამ, ასურასტანის (ანუ სელევკიდების სახელმწიფოს) მეფე ანტიოქოსმა დაამტკიცა. კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს მმართველად დანიშნულ ბერძენ აზოს მცხეთის მამასახლისის ძმისწული, ფარნავაზი უპირისპირდება და დახმარებისათვის ანტიოქოსს მიმართავს, რის სამაგიეროდაც „მსახურებას“ ჰპირდება. ანტიოქოსი მას მართლაც უწევს დახმარებას და სამეფო გვირგვინსაც უგზავნის. „ბერძნებზე“ საბოლოო გამარჯვების შემდეგ კი ფარნავაზი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა.“[97] როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, საქართველოში მეფობის წარმოშობა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ძალისხმევის შედეგია. მართალია, პირველი ქართველი მეფე უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად აღიარებს თავს, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯია. როგორც თხზულებიდან ჩანს, მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს და, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საერთაშორისო-სამართლებრივ აღიარებას უფრო ჰგავს, ვიდრე ქვეშევრდომობას. ფაქტობრივად, ფარნავაზი დამოუკიდებელ მმართველადაა წარმოდგენილი, რომელიც მთელ საქართველოს აერთიანებს.

საგულისხმოა, რომ თუკი IX ს.-ში შექმნილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ საქართველოში მეფობის დაწესებას „ბერძნებს“ უკავშირებს (რადგან ალექსანდრე მაკედონელი ქართულ

---

[93] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.60.

[94] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.290.

[95] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბილისი, 1941, გვ.136.

[96] გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, თბილისი, 1967, გვ.161.

[97] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, იქვე, ტ.I, თბილისი, 1955, გვ.24.

ცნობიერებაში ბერძენთა მეფეა), ლეონტი მროველის კონცეფციით, ეს „ბერძნებთან“ ბრძოლით ხდება და ქართველთა უშუალო მოკავშირეებად კავკასიის ხალხები გამოდიან-ოსები, ლეკები და სომხები.

ნიშანდობლივია ლეონტი მროველის ცნობა იმის თაობაზეც, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, მირიანი სპარსეთის სასანიდი შაჰის, არდეშირის (224-241 წწ.) ვაჟი იყო. როგორც გ.მელიქიშვილი ბრძანებს: „უფრო ზუსტი ჩანს თვალსაზრისი, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები მირიანის ასეთი წარმომავლობის შესახებ, გამოწვეულია სურვილით, მოეძებნოს მას განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი წინაპრები.“[98] ქართველი მეფეების სასინიდური დინასტიის წარმომადგენლებად გამოცხადება, იმ დინასტიისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარ იმპერიას განაგებდა, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, მისი პრესტიჟის განმტკიცებას, უეჭველია წაადგებოდა. ასე რომ, ამ მხრივ, ლეონტი მროველი, უფრო უახლოვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კონცეფციას ქართლის სამეფო ხელისუფლების დიდ საერთაშორისო ავტორიტეტთან დაკავშირების შესახებ.

„ცხოვრება მეფეთა“ ქართლის სამეფო ტახტზე მირიანამდეც სხვადასხვა არაქართული დინასტიების წარმომადგენლებს გვიხატავს. კერძოდ სპარს „ნებროთიანებსა“ და სომეხ „არშაკუნიანებს“. თუმცა ეს მეფეებიც იძულებულნი არიან ქართველების განწყობილებას გაუწიონ ანგარიში და ფარნავაზიანებთან ნათესაური ურთიერთობა იქონიონ. მაგალითად, ქართლის VII მეფე, არშაკუნიანი ბარტომი თავისი ტახტის მემკვიდრე ქალიშვილს ფარნავაზიანთა ეგრისის შტოს შთამომავალს, ქართამს ჰრთავს ცოლად.

მემატიანე დასძენს: „ესე ქართუელთა სათნოებისათვის ექმნა ბარტომს, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ, და არა უნდა სხჳსა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა.“[99]

საერთოდ, „ცხოვრება მეფეთას“ მიხედვით, ქართლის სამეფოს მესვეურებსა, თუ მთლიანად მოსახლეობას ჯერ კიდევ გაქრისტიანების ხანამდე, დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითშეგნება ახასიათებს, რაც საკუთარი რელიგიის შენარჩუნებაშიც გამოიხატება. მაგალითად, ქართველები მეფე ფარნაჯომს უჯანყდებიან, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ქვეყანაში მაზდეანობის გავრცელებას.[100]

ადერკი, რომელიც სომხების დახმარებით ცდილობს ქართლის მეფე არშაკს ძალაუფლება წაართვას, გადამწყვეტ ბრძოლაში არშაკის დაღუპვის შემდეგ, სომხებს სთხოვს მოწინააღმდეგეზე მახვილი აღარ აღმართონ, „რამეთუ მამულნი არიან ჩემნიო“.[101]

ქართლის მეფეები აზორკი და არმაზელი განიზრახავენ „ძიებას საზღვართა ქართლისათა“.[102]

სპარსთაგან დევნილი მეფე ასფაგური ოსეთში გარბის. ქართლის ერისთავები სპარსეთისადმი მორჩილებას გადაწყვეტენ, რადგან, მათი თქმით, სხვა გამოსავალი არ არის, მაგრამ ამისათვის ერთ-ერთ პირობად მამა-პაპური რელიგიის ხელშეუხებლობასაც წამოაყენებენ, რათა „სპარსთ არ აღერიონ.“[103]

---

[98] გ.მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ.ჯავახისვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, ტ.IV, ნაკვ.I, 1958, გვ.162.

[99] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.32.

[100] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.29.

[101] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.33-34.

[102] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.45.

[103] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.63.

ჯუანშერი (XI ს.) აღწერს ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვნობის ჟამს, როგორ დალაშქრეს ოსებმა ქართლი, შემდეგ ქართული სახელმწიფოს ტერიტორია ბერძნებმა დაიპყრეს (ეგრისწყალიდან ციხეგოჯამდე). ამ მარცხით შეწუხებული ქართველები დასძენენ: როცა ჩვენი მეფე გაიზრდება „ვიძიოთ ჩვენ შური პირველ ოვსთა ზედა და შემდგომადმცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან.“[104] ეს სიტყვები განსაკუთრებით იმ მხრივაა ნიშანდობლივი, რომ „ბერძნებს“, ბაზანტიას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვახტანგ გორგასლის დროსაც (V ს.-ში) და ჯუანშერის თხზულების დაწერის ჟამსაც (XI ს.-ში) საქართველოს მიმართ ფრიად ამბიციური მიზნები ამოძრავებდა და ქართული სახელმწიფოებიც იძულებულნი იყვნენ ბიზანტიის ფორმალური უზენაესობის აღიარებით ამ ამბიციებისათვის ანგარიში გაეწიათ. ჯუანშერის თხზულების ამ ნაწილის სტრიქონები, თითქოს გაფრთხილებაა ბიზანტიის მიმართ, რომ დათმობები ქართული სახელმწიფოების მიმართ არ გულისხმობს თანხმობას მათ შინაურ საქმეებში გარეშე ძალთა ჩარევაზე. იგივე შეიძლება ითქვას ვახტანგ გორგასლის მიერ სინდეთის წინააღმდეგ სპარსეთის ლაშქრობაში მონაწილეობაზე. სინდთა მეფისადმი მიმართვაში ვახტანგი ხაზს უსვამს იმას, რომ „არა მიქნია მოსვლა ამას ქვეყანასა...მსახურებისათვის სპარსთა მეფისა“[105] და ლაშქრობაში თავის მონაწილეობას საკუთარი ინტერესებით ამართლებს.

მაგრამ სუვერენულობისაკენ სწრაფვის აღნიშნულ ტენდენციასთან, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულად ქართული აზროვნებისათვის, მეორე ტენდენცია იხლართება. ეს არის ძლიერი მოწინააღმდეგის მიმართ კომპრომისების საჭიროების შეგნება. ჯუანშერის თხზულების მიხედვით, ქართლის სამეფოს ზემოაღნიშნულ წარუმატებლობასთან დაკავშირებით, ვახტანგ გორგასალი ბრძანებს: „ვიძიოთ შური ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცა-ვითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა ჴამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს!“[106]

როგორც ვხედავთ, ქართველები, მართალია, შესაძლებლად თვლიან ისეთი დიდი სახელმწიფოებისადმი დათმობას, როგორებიც ბიზანტია და სპარსეთია, მაგრამ ოსთა გამოხდომის პასუხს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესად მიიჩნევენ. თითქოს პარადოქსია, რადგან, როგორც თხზულებიდანაც ჩანს, ბიზანტია და სპარსეთი უფრო დიდ საფრთხეს უქმნიან ქართლს, ვიდრე ოსები, უფრო სწორედ V საუკუნისათვის ალანები.[107] მაგრამ საქმე ისაა, რომ უფრო სუსტი ძალის გამოხდომის უპასუხოდ დატოვება გაცილებით უფრო ლახავს

ქვეყნის პრესტიჟს, ვიდრე დათმობები აშკარად ძლიერის მიმართ.

თხზულებაში იმის შეგნება ჩანს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, რომლებშიც ძალა ბატონობს, უკანასკნელის დემონსტრაციას აუცილებლად მოითხოვს, რაც პრევენციული ზომაცაა ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად, რადგან წარმოდგენა სახელმწიფოს ძლიერების დონის შესახებ, ერთი მხრივ, საერთაშორისო სისტემის უფრო სუსტ ძალებს ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის წამოწყების სურვილს უხშობს. მეორე მხრივ, უფრო ძლიერთა თვალში ე.წ. სუსტის ძლიერების ფენომენს ქმნის. ძალის დემონსტრირებისაგან თავის შეკავება კი საერთაშორისო ასპარეზზე მოცემულ ქვეყანას სუსტის სახელს უმკვიდრებს, რაც მის მიმართ

---

[104] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.146.

[105] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.92.

[106] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.148.

[107] ოსური ეთნოსი მხოლოდ IX-XIIსს.-ში ჩამოყალიბდა ირანული წარმოშობისალანებისა და ადგილობრივი კავკასიური ხალხებისაგან; იხ. ნ.აფხაზავა, ალანები და საქართველო, ჟურნალი „მაცნე“, თბილისი, 1991, N.3.

ყველა ძალას გააქტიურებს, რამაც თვით ამ სახელმწიფოს არსებობასაც კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას. სწორედ ამიტომაა „შურისძიება ოსების მიმართ“ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესი, რასაც ვახტანგ მეფის თქმით „სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს.“

ვახტანგ გორგასლის სიტყვებში ისიცაა საგულისხმო, რომ ეროვნული ინტერესების სასიცოცხლო და არასასიცოცხლო კატეგორიებად დაყოფა ხდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნიკოლოზ I კათალიკოსის (გულაბერისძე, XIII ს.) თხზულება „საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“. ქრისტეს კვართის საქართველოში დაფლვის ფაქტი, რაც ამ თხზულების ერთ-ერთ უმთავრეს თემას წარმოადგენს, არა მარტო რელიგიური, არამედ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მქონეცაა.

შემთხვევითი როდია რომ სვეტიცხოველი, რომლის ქვეშაც კვართია დამარხული, თხზულებაში იწოდება „ნათელმყოფელად გულებსა ქართუელთა ერისასა.“[108] სწორედ დიდი ეროვნული მნიშვნელობის გამო უფლის კვართის საკითხი აკაკი ბაქრაძემ „ქართული მესიანისტური იდეის“ შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.[109] თავად ეს იდეა კი, მეცნიერის თქმით, „ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა, თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას.“[110]

ასეთი რიგის მოვლენებისადმი ცალკე თხზულების მიძღვნა ნიკოლოზ გულაბერისძის პიროვნებასა და მის ნაწარმოებს განსაკუთრებულ ჟღერადობასა და მნიშვნელობას სძენს.

ავტორი ეროვნული ფსიქოლოგიისა და თვისებებისადმი შესანიშნავ დაკვირვებასა და ცოდნას იჩენს, „ის ამბობს, რომ, როგორც ცალკე, კერძო ინდივიდუმებს, ისე თვითეულ ეროვნულ ერთეულს აქვს საკუთარი თანდაყოლილი ნიჭი და მიდრეკილება.“[111] ანუ ერებს შორის განსხვავება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და ყველა ერი ცდილობს თავისი თავისთავადობა დაიცვას: „ყოველთავე უკუჴ თჳს თჳსად შეუცავს საზღუარი ტომებისა თჳსისაჲ.“[112] ავტორი მსჯელობს ბერძნებისა და ქართველების ეროვნულ თვისებებზე. ბერძენთა შესახებ, მათ ღირსებებთან ერთად, ავტორი შემდეგსაც დასძენს: ისინი „ლბილ და დედალ არიან.“[113] ხოლო ქართველები „სადაგნი და მარტივნი: და გონებით წრფელნი სიმართლესა ცხორებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი: და მხოლოდ ღუთისა ოდენ და მკლავისა თჳსსა მოსავნი.“[114] ასე რომ, მართალია ქართველები ბერძნებივით სიბრძნისა და ფილოსოფიის მოყვარულნი არ არიან, მაგრამ არანაკლები ღირსებები გააჩნიათ. ამავე დროს, ბერძნები მათ შორის მომხდარ ყოველ სასწაულს აღწერენ. ქართველებს კი ამის ჩვეულება არ ჰქონიათ. ამიტომაც სვეტიცხოვლის მიერ მოხდენილი მრავალი სასწაული ჩვენთვის უცნობია და ისინი ვინმეს რომ აღეწერა, წიგნებს მთელი სამყარო ვერ დაიტევდა.

---

[108] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.119.

[109] აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა, ქართული მწერლობა, ტ.5, თბილისი, 1988, გვ.6.

[110] აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა, ქართული მწერლობა, ტ.5, თბილისი, 1988, გვ.6.

[111] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბილისი, 1941, გვ.297.

[112] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.102.

[113] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.101.

[114] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.101.

ამრიგად, მხოლოდ სვეტიცხოველთან იმდენი სასწაულია, ავტორის თქმით, დაკავშირებული, რომ ბერძენთა შორის მთელი ქრისტიანული ცხოვრების მანძილზე მომხდარ სასწაულებს აღემატება. ეს უკანასკნელნი ძველაღთქმისეული რჩეული ერის, ისრაელის სასწაულებთანაცაა შედარებული და ნათქვამია, რომ „ესე უკუჱ სასწაულნი...ისრაილთა მათ ზედა ქმნილისა სასწაულისა არა რაჲთ უკუჱ უმცირეს არს: არამედ კნინღა და უმეტსცა ვგონე."[115]

ამავე დროს, ნიკოლოზ I გულაბერისძის თხზულებაში, მირიანი მთელი საქართველოს მეფედ გვევლინება[116], რაც საქართველოს ერთიანობის იდეის უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ინტერესად წარმოდგენის გამოვლინება და მისი იდეოლოგიური საფუძველიცაა.

როგორც ვხედავთ, გულაბერისძე ყველა ერის თანასწორობის იდეას ქადაგებს. მისი მტკიცებით, ქართველ ერს, მსოფლიო ერთა შორის ღირსეული ადგილი უკავია, რისი მანიშნებელიც ღვთის ის განსაკუთრებული მადლი და ძალაა, რომლებიც ამ ერში ვლინდება. ამ მხრივ ქართველები არაფრით ჩამოუვარდებიან ისეთ ერებს, როგორებიც ებრაელები და ბერძნები არიან, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, აღემატებიან კიდეც მათ. ხაზგასმა ბერძნებზე, ანუ ბიზანტიაზე, ბიზანტიასთან თავის გატოლებისა და მისი ადგილის დაკავების ტენდენციის გამოვლინებაა, რომელმაც XII ს.-ის ქართულ აზროვნებაში განსაკუთრებულად იჩინა თავი, მაგრამ გულაბერისძის მიერ გამოთქმული იდეები შორს სცილდება თავისი ეპოქის საზღვრებს და ერის მთელი ცხოვრების მანძილზე მისი მესიანისტური იდეის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს. გულაბერისძე ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიურ საფუძველს ქმნის. ამავე დროს, ეს საფუძველი რელიგიური ხასიათისა რომაა, გვიჩვენებს, თუ რა როლს აკისრებს ეს მოაზროვნე რელიგიას, კერძოდ, მართლმადიდებლობას ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემუშავების საქმეში.

იმის გათვალისწინებით, რომ ერში ყოველთვის მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნულ ნიჰილისტებსა და ოპტიმისტებს შორის და თანამედროვე პირობებშიც საქართველო, ამ მხრივ, სრულიად ახალი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგება, შეიძლება ითქვას, რომ გულაბერისძის თხზულება თავის მნიშვნელობას არასოდეს დაკარგავს. მისი სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მდგომარეობაში იქნება იგი, როგორც სახელმწიფო, ან საერთოდ ექნება, თუ არა სახელმწიფოებრიობა, მაინც აქვს უფლება საერთაშორისო ურთიერთობების სრულუფლებიანი სუბიექტის ადგილის მოპოვებისათვის იბრძოლოს.

საგულისხმოა, რომ XIII საკუნეში ძლიერების ზენიტიდან მოულოდნელი ჩამოვარდნისა, გარეშე ძალთა დაუსრულებელი ბატონობისა და სახელმწიფოს დაქუცმაცების მიუხედავად, საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა არ შემწყდარა და კვლავ ძლიერად გამოსჭვივის გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში. მართალია, რომისა და ბიზანტიის იმპერიები დიდი ხანია აღარ არსებობს, მაგრამ ქართული ისტორიული მეხსიერება ინახავს მათ ხსოვნას, როგორც ძლიერებისა და მსოფლიო ქრისტიანობის ბურჯების სიმბოლოებისა და ქართული სახელმწიფოების წარმატებების აღნიშვნისას პარალელებს მათთან ავლებს. საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ იდეოლოგიურ დასაყრდენს ისევ ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის იდეა წარმოადგენს.

---

[115] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.107.

[116] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.68-69.

მაგალითად, ფეშანგისათვის (XVII ს.) საქართველოს ერთიანობის იდეა ცოცხალია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უკვე 2 საუკუნის მანძილზე სამეფო-სამთავროებად არის დაყოფილი. ამავე დროს, მის პოემაში „შაჰნავაზიანი“ „საქართველოს გაერთება“ ძალის მეშვეობით ხდება და ეს ნორმალურ მოვლენად არის მიჩნეული. მარიამ დედოფალი (შაჰნავაზის მეუღლე მიმართავს შაჰნავაზს):

„საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ, ვითა მთუარე,
ერთგულთ მიეც გახარება, ურჩნი ყუელა გაამწარე“[117].

არჩილიც (1647-1713 წწ.) უსვამს ხაზს საქართველოს ერთიანობას ლექსში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ერთ კონტექსტშია მოხსენიებული საქართველოს სხვადასხვა კუთხე:

„იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა ანუ საქართლეთ,
ვინ ჩემის ცრუ-დიდებისად აქ რამე იუსამართლეთ,
ტყვე სტყვევნეთ, ზაკვით იფიცეთ და ამხანაგი მოღაფლეთ,
და რამე მიუგოთ უფალსა, ბრძანეთ თუ, რითა განმართლდეთ?!“[118].

ვახუშტი ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობაზე და მაგალითები მოჰყავს საქართველოს ისტორიიდან. მისი თქმით, ქართლოსის შთამომავლების ჩვეულება იყო „მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა“[119].

ვახუშტის (XVIII ს.) თხზულების მიხედვით, მისი თანამედროვე ქართლის მეფეები თავს „წინავეთავე ჩუეულებითა“ „მეფეთ-მეფეს“ უწოდებდნენ[120]. ამრიგად, ქართლის მეფეები საქართველოს ერთიანობისა და განდიდების ხანის სახელმწიფოს მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს და ცდილობდნენ ერთიანი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა შეენარჩუნებინათ, რომელმაც IX-XI საუკუნეებში მყარად მოიკიდა ფეხი ქართულ აზროვნებაში.

იგი არაერთხელ გამოჰყოფს საქართველოს საერთო ინტერესებს. ამ მხრივ, საგულისხმოა ლუარსაბ II ქართლის მეფის (XVII ს. დასაწ.) შეხედულებების ვახუშტისეული გადმოცემა: „ლუარსაბს ეძჯნებოდა ტყუეობა საქართველოსი, შემცირება და განხეთქილება თჳსთაგან და მტერთა მიერ, რათა არა იქმნას მაჰმადიანად“[121]. ამრიგად, ლუარსაბი წარმოჩენილია, როგორც მთელი საქართველოს ინტერესებზე მოფიქრალი და არა მხოლოდ თავისი სამფლობელოსი.

ვახუშტი შემდეგნაირადაც ახასიათებს ლუარსაბ მეფეს: „შერაცხილი მოწამეთა თანა, ვითარცა გორგასალ. გარნა ესე მეფე ბრძოდა დღეთა თჳსთა მაჰმადიანთა, რათა არა დაუტეონ ქრისტე ქართველთა და უკეთუმცა მორჩილ მათდა ქმნილ იყო, საეჭუელ იყო, რამეთუ მრავალგზის დიდნი ძლევანი და მაგრებანი შესძინა ქუეყანათა სიმჯნითა თჳსითა“[122].

გორგასალთან პარალელის გავლებით ვახუშტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული სახელმწიფოებრიობის უძველეს ტრადიციებს.

ამავე დროს, სამშობლოს დასაცავად ბრძოლა სარწმუნოების დაცვასთანაა გაიგივებული.

---

[117] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, (გიორგი ლეონიძისა და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით), 1935, მ.535, გვ.91.

[118] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ. 208, გვ.44.

[119] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ.15.

[120] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.37.

[121] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.403.

[122] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.406.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ ბრძოლის უკომპრომისობის მიუხედავად, ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული ლუარსაბის მიერ მტრების უზენაესობის აღიარება, მათი მორჩილება, როგორც ტაქტიკური ნაბიჯი.

ვახუშტი გულისტკივილით ახსენებს მკითხველს იმ დროს, როცა „აღიხოცაცა თავისუფლებითი მეფობა ქართლისა, და შევარდა ქუჱშე ჴელთა სპარსთასა, და იგინი მისცემდიან მეფობასა ბაგრატიონთ გუართა“[123].

ამრიგად, ვახუშტი ცდილობს თავის თანამედროვეებში არ განადგურდეს „თავისუფლებითი მეფობის“ – ეროვნული სუვერენიტეტის ხსოვნა, შეგნება და ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა. ვახუშტის გააზრებული აქვს, რომ, ამ თვალსაზრისით, ისტორიოგრაფიას დიდი როლი ეკისრება. მისი თქმით „მატიანე ერთგულ ჰყოფს ქუეყნისად“[124].

ვახუშტი სასტიკად ძრახავს განდგომილ მთავრებს და საქართველოს მმართველებად მხოლოდ ბაგრატიონები წარმოუდგენია. გურიელი, დადიანი და ათაბაგი „არიან მესისხლენი მამა-ძმათა თჳსთა ცუდად და კეთილშემძლებელთა წარჩინებულთა თჳსთა და სხუათა მიყოლითა და მინდობითა საქმეთა თჳსთა განმართვენ და ჰყოფენ, და არა თჳთ თავით თჳსით. რამეთუ არა სადა ცხოვრებასა შინა ვიხილავთ ესრეთთა ბაგრატიონთა ტომსა“[125].

გარდა ამისა, ვახუშტი გულისტკივილით მოგვითხრობს იმ ფაქტების შესახებ, როცა საქართველოს რომელიმე კუთხის წარმომადგენლები, სხვა კუთხეების საზიანოდ საქართველოს მტრებთან ალიანსში შედიან. მაგალითად, იგი ძრახავს კახთა მეფე ლევანს, რომელმაც „ქუეყანისა თჳსისა უვნებლობისათჳს განუტევა სიყუარული საქართველოსათა“[126] და სპარსეთის შაჰ თამაზს მორჩილება აღუთქვა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა და ამრიგად, გაუადვილა სპარსელებს საქართველოს სხვა მხარეებში ლაშქრობა.

სხვა ანალოგიური შემთხვევაც არის თხზულებაში მოტანილი. კერძოდ, კახელებმა გადაწყვიტეს, ლეკთა თავდასხმების თავიდან ასაცილებლად, მათთვის სხვა მეზობელი მხარეების, მათ შორის ქართლისკენ მეგზურობა გაეწიათ.[127]

ერთიანი ქართული თვითშეგნებისა და ამ მხრივ, სხვადასხვა მიდგომების კონფლიქტია წარმოჩენილი შემდეგ ფაქტში, რომელიც ვახუშტისა აქვს აღწერილი. ერთმა შაქელმა მედუქნემ შაქში სავაჭროდ ჩასული ერთი მესხი სცემა (XV ს. ბოლო). მესხმა ამის შესახებ ყვარყვარე ათაბაგს შესჩივლა. ყვარყვარე ლაშქრით გაემართა და ვაჭარი დასაჯა. როცა შიდა ქართლის გზით საათაბაგოში ბრუნდებოდა, ქართლელები დაედევნენ. ათაბაგმა მათ შეუთვალა: ქვეყნისათვის არაფერი მივნია, „არამედ უმეტეს განვადიდე სახელი ქართველთა, ვინაჲთგან უმტერე მტერსა“, ამის გამო თქვენც უნდა გიხაროდეთ, „რამეთუ ვარ მკჳდრი და მონათესავე თქუენი“[128]. ამის საპასუხოდ, მროველმა ეპისკოპოსმა შეუთვალა: „მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩუენს, ვინაჲთგან ხარ მკჳდრი“[129].

ეს ფაქტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ათაბაგის საქციელში ძალის დემონსტრაცია და საკუთარი სამთავროს პრესტიჟის დაცვის სურვილი იკვეთება. ცხადია,

---

[123] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.444.
[124] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.4.
[125] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.566.
[126] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.573.
[127] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.615.
[128] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.709.
[129] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.709.

თავისთავად, რიგითი ვაჭრის დასჯა არ იქნებოდა იმდენად მნიშვნელოვანი საათაბაგოსათვის, რომ ამის გამო შაქში ელაშქრათ.

ეროვნული შეგნების კიდევ ერთი მაჩვენებელია ვახუშტის თხზულებაში აღწერილი შემდეგი ფაქტიც. ლუარსაბ II ქართლის მეფესა და თეიმურაზ კახთა მეფეს შორის ურთიერთობა უკიდურესად იძაბება, ავტორის თქმით „უკეთუ ენებათ მეფეთა ბრძოლა, გარნა არა ინებეს ქართველთა და კახთა“.[130]

ეს ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ სამეფო ხელისუფლება ვახუშტისთან იდეალურად არ არის მიჩნეული და ზემოთ მოხმობილი შემთხვევის მაგალითზე, ძმათამკვლელი ომისაგან საქართველო ხალხის ნებამ იხსნა.

„შაჰნავაზიანის” მთავარი გმირი, ქართლის მეფე ვახტანგ V საკუთარ თავს კეისარს ადარებს: „მაქუს საქართველოს უფლება, მგზავსებით კეისარისა“[131]. მისი მტრებიც ასე ახასიათებენ ვახტანგის სამხედრო ძლიერებას: „კეისარს უგავს სიდიდე, რა იგი ვნახეთ დგომითა“[132].

ასევე, არჩილის ნაწარმოებში „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, ავტორი გიორგი II-ს ასე მოიხსენიებს „ქცევა ზნე სრული, ზეშთ კეისრული“[133].

„შაჰნავაზიანში“ ვახტანგ V სპარსეთის შაჰის თანასწორად თუ არა, მასზე ბევრად დაბლა მდგომად არ წარმოაჩენს თავს და თავისი გვარის ბიბლიურ წარმოშობას უსვამს ხაზს:

„სუე სუიანობს ტახტი ჩემი, სხუას ვის მართებს ნასამალი!
მე ვარ გუარად დიდი ვინმე, სოლომონის ნატამალი,
მით მივმართე შარიერსა (სპარსეთის ხელმწიფე იგულისხმება - ვ.კ.) მოვიძებნე ამად ალი“[134].

იგივე აზრია გამოთქმული XVIII საუკუნის პოეტებთან: დავით გურამიშვილთან[135], მამუკა ბარათაშვილთან[136] და ბესიკთან[137].

სახელმწიფოს მეთაურის ღირსების შეგრძნება ჩანს გურამიშვილის „დავითიანის“ შემდეგ ეპიზოდში: ვახტანგ VI-ს რუსეთის მეფესთან წასვლა სურს, ქართლელი დიდებულები ურჩევენ მალულად წავიდეს, რომ მტრებმა არ შეიტყონ, მაგრამ ვახტანგი ბრძანებს:

„ვითარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდული,
დავფარო ქრისტეს კვართი და ქნარი დავითის, შურდული;
თან არ ვიახლო სპა-ჯარი, ჩაფრულებ შევქნა ძუნძული,
ვითარ-ღა ვნახო ხელმწიფე ან უცხო თემთა კუნძული!“[138].

---

[130] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.587.
[131] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, 1935, მ.528, გვ.90.
[132] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1087, გვ.180.
[133] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.51, გვ.235.
[134] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.222, გვ.40.
[135] დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა კრებული (შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო სარგის ცაიშვილმა), თბილისი, 1980, მ.146, გვ.83.
[136] მამუკა ბარათაშვილი, წამებული, თხზულებათა სრული კრებული, (გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი მიქაძემ), თბილისი, 1969, გვ.36.
[137] ბესიკი, ქება სოლომონ მეფისა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი (ალ.ბარამიძისა და ვ.თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1962, გვ.62-63.
[138] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ. 209, გვ.92.

§ 2. იერარქიულობა საერთაშორისო სისტემაში

სუმბატ დავითის ძის (XI ს.) თხზულება ზემოთ განხილულ წყაროთაგან საგულისხმო განსხვავებას ამჟღავნებს; ეს ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ქართული ძეგლია, რომელიც დიდმპყრობელურ მისწრაფებებს აშკარად გამოხატავს (ეს უფრო ადრე ბაგრატ III-ის დროინდელ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება, რაზეც, დაწვრილებით, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი). ბაგრატ III-ის დახასიათებაში საქართველოს მეფე, ფაქტობრივად, მთელი კავკასიის მფლობელად გვევლინება, რაც სასურველი უფროა, ვიდრე რეალური. მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს ის საგარეო-პოლიტიკური მიზნებია წარმოჩენილი, რაც, იმ დროისათვის, ქვეყნის გაერთიანების პირობებში, დღის წესრიგში დადგა.

დიდმპყრობელური ტენდენციები ქართულ აზროვნებაში აქტიურად დავით აღმაშენებლის დროიდან იჭრება. თუკი ადრე ქართული სახელმწიფოსათვის, ძირითადად, საერთაშორისო ასპარეზზე თანასწორი ადგილის დამკვიდრება იყო მთავარი და მოაზროვნეებიც სწორედ ამას უსვამდნენ ხაზს, ამიერიდან მონღოლთა შემოსევამდე საქართველო თვით იბრძვის ლიდერობისათვის, ამიტომ ქართული აზროვნებისათვის უკვე სხვა ქვეყნების დაპყრობა, დამორჩილება ხდება ჩვეულებრივი მოვლენა, ძლიერების მუდმივი აკუმულაცია __ უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზანი. ქართული აზროვნება ცდილობს ამ მიზნის მიღწევის ყველა საშუალება გამოძებნოს, საჭირო იდეოლოგიური საფუძველი და გამართლება შეიმუშავოს. საერთაშორისო სისტემაში თავისი ქვეყნის ადგილს ქართველები, ძირითადად, უკვე არა თანასწორი, არამედ სხვებზე აღმატებული ერთეულის სახით ხედავენ. შესაბამისად, ისინი აღიარებენ და ემხრობიან საერთაშორისო სისტემის იერარქიულ ხასიათს.

საქართველო აქტიურად უპირისპირდება ბიზანტიას, მას ყოველმხრივ უტოლებს თავს და ბიზანტიისა და რომის იმპერიების ღირსეულ მემკვიდრეობაზე აცხადებს პრეტენზიას.

დიდმპყრობელური ტენდენციების აშკარა გამოვლინება შუა საუკუნეებში სრულიადაც არ იყო გასაკვირი და მიუღებელი, ეს, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი, რომელსაც კი ამის შესაძლებლობა ჰქონდა. როგორც ვხედავთ, ამისაგან, სამწუხაროდ მსოფლიო დღესაც არ არის თავისუფალი. ამავე დროს, საქართველოსათვის, რომელიც სხვადასხვა გარეშე ძალთა მუდმივ შემოტევას განიცდიდა, უცხო ქვეყნების ტერიტორიების შემოერთებისა თუ მათი გავლენის ქვეშ მოქცევისაკენ სწრაფვა, უპირველეს ყოვლისა, პრევენციულ თავდაცვას წარმოადგენდა.

იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) ლექსში, ვკითხულობთ: „დავით,-ვთქვა,-ზესთა განდიდნეს, მით ხრმალი ხორცსა სჭამს ისი, აქილევისებრ ძალითა მპყრობელად ელადს ხამს ისი.“[139]

როგორც ვხედავთ, ავტორის აზრით, დავით აღმაშენებელი არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ ელადის, საბერძნეთის ფლობასაც იმსახურებს.

მართალია, იოანე პეტრიწი ელადის ფლობაში არა უშუალოდ მის თანამედროვე საბერძნეთზე პრეტენზიის განცხადებას გულისხმობს, არამედ აქილევსთან შედარება და მითოლოგიური ელადის ფლობის ღირსად დავითის გამოცხადება უკანასკნელის განსადიდებელი ეპითეტის სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს გარემოება დავითს ყველა ეპოქის უდიდეს პიროვნებათა, გმირთა შორის უმკვიდრებს ადგილს, მეორე მხრივ,

[139] იოანე პეტრიწი, შესხმა დავითისათვის აღმაშენებლისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ.534.

ელადის ხსენებაც ალბათ ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენციის გარკვეული გამოხატულებაა.

არსენ ბერის (XI-XII სს.) პოეტურ ნაწარმოებში რომელიც დავით IV აღმაშენებლის ქებას წარმოადგენს, დავითი ალექსანდრე მაკედონელს, ებრაელთა ბიბლიურ მეფე დავითს, რომის იმპერატორებს ავგუსტუსსა და კონსტანტინე დიდსაა შედარებული და მათთან გატოლებული.

ებრაელთა მეფე დავითთან შედარება შესაძლებელს ხდის ბაგრატიონთა გვარის მისგან წარმომავლობის იდეასთან გავაკეთოთ პარალელი. ნაწარმოებში მოხსენიებული სხვა პირები დიდი ხელმწიფენი და იმპერატორები არიან, რითაც საქართველო რომისა და ბიზანტიის თანასწორ ძალად გვევლინება[140] .

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ არსენ ბერის ნაწარმოები. მაგრამ არსენი უფრო შორსაც მიდის, როგორც კ.კეკელიძე წერს „დავითისა და ალექსანდრე მაკედონელის ასეთი შედარება ნიშნავს მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე ქართველი მეფის გაყვანას და მაჩვენებელია მემატიანის ეპოქის საქართველოში ეროვნული თვითშეგნების განვითარებისა.“[141]

დავითის ისტორიკოსი (XII ს.) დავით IV-ს ალექსანდრე მაკედონელზე მაღლაც კი აყენებს.[142]

მის თხზულებაში საინტერესოა ისიც, რომ სივრცითი თვალსაზრისით, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიზნები ქვეყნის გარემომცველ რეგიონსაც სცილდება და მთელ მსოფლიოს მოიცავს. მაგალითად, მემატიანე წერს, რომ დავითმა თავის მემკვიდრეს დიმიტრის „დაულოცა ცხოვრება წარმართებული...თაყუანისცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა.“[143] საგარეო პოლიტიკური მიზნების ასეთი მასშტაბების გამოცხადება ალბათ უფრო სახელმწიფოს განდიდებას ემსახურება, ვიდრე ქვეყნის რეალურ საგარეო პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენს.

დიდმპყრობელურ მისწრაფებებზე მეტყველებს თამარის მეფის (XII-XIII სს.) შემდეგი მიმართვა ღვთისმშობლისადმი:

„ცხებულობასა ღირს მყავ და თჳსობასა.

ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.“[144]

„აბდულმესიანში“ იოანე შავთელი (XII-XIII სს.) ქართველ მეფეს კეისარს უწოდებს.[145] ნაწარმოების თანახმად, მას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ხალხები ერთხმად აქებენ და ადიდებენ,[146] ანუ იგი მთელ მსოფლიოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

---

[140] არსენ ბერი, მეფესა დავითს მონაზონი არსენი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ.1, შედგენილი ს.ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ.380.

[141] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.II, თბილისი, 1941, გვ.263.

[142] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.337-338.

[143] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.358.

[144] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.75.

[145] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ.596.

[146] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 602.

ჩახრუხაძის (XII-XIII სს.) „თამარიანის“ იდეალური მეფეები არა მარტო იგერიებენ მტერს, არამედ იმონებენ კიდეც სხადასხვა ქვეყნებს.[147]

„ვეფხისტყაოსანი“ საგარეო პოლიტიკაში გარკვეული „სირბილის“, მოწინააღმდეგისადმი დათმობების მიუხედავად (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი), მთლიანობაში შემტევი პოლიტიკის მომხრეა. „სამეფოთა მომატება“, „ლაშქარმრავლობა და ყმიანობა“[148], ძლიერება, მისი ზრდა რუსთაველის (XII ს.) მიერ დახატული მეფეების, სახელმწიფოების ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა.

ამავე აზრს იზიარებს თამარის პირველი ისტორიკოსიც (XIII ს.). მეფის დიდების მთავარი მახასიათებელი მისი ქვეყნის ძლიერებაა, რაც დიდი ტერიტორიის ფლობაში გამოიხატება. საქართველოს მეფეები გიორგი და თამარი ალექსანდრე მაკედონელსა და ებრაელთა ბიბლიურ მეფე სოლომონს არიან შედარებული და მათთან გატოლებული. ამავე დროს, მათი დახასიათებისას, ავტორი არა მარტო რეალურ მდგომარეობას ეფუძნება, არამედ სასურველსაც არსებულად აცხადებს. ქართველი მეფეები იწოდებიან „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელებად“, მათ „ჰმონებდეს ყოველნი მეფენი ქვეყანისანი“.[149]

საინტერესოა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი იზიარებს ლეონტი მროველის კონცეფციას საქართველოს მეფეთა სასანიდური დინასტიიდან წარმომავლობის შესახებ. ერთგან იგი წერს, რომ გიორგიმ ლაშქარს „ხმითა მით ხოსროვანითა“ მიმართა.[150]

თამარის მეორე ისტორიკოსიც (XIII ს.) ხოტბას ასხამს ქართველი მეფეების ძლიერებას, მათ დიდმპყრობელურ პოლიტიკას. იგი სიამაყით ხატავს საქართველოს სახელმწიფოს დიდებას, რაც მის ძლიერებაში, სხვა სახელმწიფოების დათრგუნვა-დაშინებაში ვლინდება: „ერაყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარაღამდის, და თჳთ იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე.“[151]

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის დროიდან, ქართულმა სამეფო კარმა უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულებზე.[152] ქართული სამართლის ძეგლებში ქართველი მეფეებიც უკვე შეუზღუდავი იმპერიის თვითმპყრობელთა აღმნიშვნელი ტიტულებით მოიხსენიებიან მთელი XII-XIII სს.-ის მანძილზე (მონღოლთა შემოსევამდე) საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლებში, და ნუმიზმატიკაში. ისინი იწოდებიან „მეფეთ-მეფეებად“ თუ „დედოფალთა-დედოფლებად“, „აღმოსავლისა და ჩრდილოისა მფლობელებად“ თუ „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელებად“.[153]

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე (XIII ს.) გიორგი III-ზე წერს: „სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მძღვნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს“.[154] მაგრამ ავტორი ხვდება, რომ სწორედ ასეთი პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეროვნულ

---

[147] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.559-560.

[148] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.32, 1584.

[149] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.2-3, 4, 7, 76, 16.

[150] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.8.

[151] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.124.

[152] მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბილისი, 1979, გვ.233.

[153] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.10, 27, 30 და სხვ.; დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ.71-76.

[154] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.367.

უსაფრთხოებას. უკანასკნელ სიტყვას მოსდევს: „და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“.[155]

ასე რომ, ისტორიკოსის აზრით, საქართველოს შემტევი საგარეო პოლიტიკა მისივე ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარეობს, რისი უზრუნველყოფაც მეფის უმთავრესი მოვალეობაა.

ნიკოლოზ I გულაბერისძის (XIII ს.) თხზულებაში ყურადღებას იპყრობს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის წერილი რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდისადმი. მირიანი შემდეგნაირად მიმართავს იმპერატორს: „მაღალსა უკუჱ და ზეშთა ვიდრემე აღმატებულსა ყოვლად ბრწყინუალესა და უფროჲსად დიდებულსა მეფესა მეფეთასა...დიდსა კოსტანტინეს: აღმოსავალისა უკუჱ კერძოჲთაჲთ საქართუჱლოჲსა ყოვლისა მეფე მირიან.“[156] ამ სიტყვებში იგრძნობა ანარეკლი იმ ურთიერთობისა, რომელიც ბიზანტიას, რომის უშუალო მემკვიდრეს და ქართულ სახელმწიფოებს შორის იყო დამყარებული დავით აღმაშენებლის დრომდე, როცა ქართველი ხელისუფალნი ბიზანტიის კეისარს მთელი საქრისტიანო მსოფლიოს უზენაეს იმპერატორად აღიარებდნენ.[157] სხვა მხრივ, თხზულების სულისკვეთება ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენციითაა გამსჭვალული.

თუმცა, საქართველოს დასუსტებასთან ერთად, დიდმპყრობელური ტენდენციები ქრება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მართალია, გვიან შუა საუკუნეებშიც კი რომ–ბიზანტიასთან პრალელების გავლება ხდება, ასევე, ცოცხალია ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის იდეა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ქართული სახელმწიფოებრივი თვითშეგნების შენარჩუნების მიზანს ემსახურება და იმპერიალიზმზე უკვე საუბარი ზედმეტია, რაც საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუნებრივიცაა. მეტიც, არჩილი და ვახტანგ VI პირდაპირ გმობენ იმპერიალისტურ მისწრაფებებს.

არჩილი ხაზს უსვამს ზომიერებისა და ღვთიური სამართლიანობის მნიშვნელობას საგარეო პოლიტიკაში:

მაკედონელი „წარხდა საზღვარსა, მრავალთ სისხლთ ღვარსა,
უგულებელსყო ღვთის სამართალი.
სჯობს ზომიერი, მორჩილი ერი,
საქმე თუ გინდა, ეს ა მართალი“[158].

ვახტანგ VI იმპერიალისტურ მისწრაფებებს უგუნურებად აცხადებს:

„უგუნურსა სჭირს ფიქრითა სვე სვიანობა, დიდება,
მრავლის თემისა დაპყრობა და საუნჯისა მიდება“.[159]

ასეთი დამოკიდებულება არჩილსა და ვახტანგ VI-ს განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს როგორც ქართულ, ისე მსოფლიო აზროვნებაში. ეს ავტორები ხომ XVII-XVIII სს. ცხოვრობდნენ, თანაც კავკასიაში, რომელიც სხვადასხვა იმპერიების გამუდმებული შემოტევების ობიექტი იყო, სადაც ძალა ბატონობდა და ყველაფერი მას ექვემდებარებოდა. მაშინ როდესაც ჩვენს თანამედროვე ეპოქაშიც კი იმპერიალიზმი საერთაშორისო სამართლის

---

[155] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.367.

[156] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.68-69.

[157] პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ.63.

[158] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.14, გვ.227.

[159] ვახტანგ VI, სატრფიალონი, ლექსები და პოემები (ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით), თბილისი, 1947, მ.129, გვ.40.

პრინციპებს ეჯახება, შეიძლება ითქვას, რომ არჩილმა და ვახტანგ VI-მ ბევრად გაუსწრეს იმ დროს, რომელშიც ცხოვრობდნენ.

როგორც ვთქვით, მართალია გვიან შუა საუკუნეებში ქართული სუვერენულობის შეგნება ნარჩუნდება, მაგრამ მისი კრიზისიც იჩენს თავს. მაგალითად, არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, თეიმურაზმა რუსეთთან კონტაქტის დამყარება სცადა და თავისი შვილიშვილი ერეკლე გაგზავნა რუსეთში. იგი დასძენს „ურჯულოთ წილად მორწმუნეს აწ ამას დავემონებით“[160].

გურამიშვილის „დავითიანში“ კახეთის მეფე კონსტანტინეს მიმართავს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს, რომელმაც შაჰის გვერდის ავლით, რუსეთთან მოკავშირეობა მოინდომა:

„ბატონის უპატიური ყმას არ შერჩების არისა,

არც ღმერთი ბატონს შეარჩენს ყმაზე საუდიაროსა“[161].

„ბატონს აწყინე, გაგიწყრა...

აწ ღმერთიც გიწყენს, იცოდე, არა იქ თუ მოთმენასა“[162].

იგივე იკითხება თეიმურაზ მეფის სიტყვებში. იგი რუსეთის ხელმწიფემ მიიღო, როგორც თანასწორი. თეიმურაზი ამბობს: „თუ ვღირსვარ პირსა მის ფეხთ-მტვერთა სმასა“[163].

იგივე ტენდენცია იკვეთება არა მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, არამედ დიპლომატიურ მიმოწერაშიც, მაგალითად, ბესიკის მიერ იმერეთის დიდებულების სახელით რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი 1784 წ. გაგზავნილ წერილში, რომლითაც იმპერატორს სთხოვენ იმერეთის მფარველობაში მიღებას და იმერეთის გარდაცვლილი მეფის, სოლომონის მემკვიდრის, დავითის მეფედ დამტკიცებას[164].

ბესიკი დადებითად აფასებს რუსეთის პოლიტიკას, რომლის წყალობითაც რუსეთმა პატარა მოქიშპე სამეფო-სამთავროები დააშოშმინა, რაც ტიპური იმპერიის მიერ დამყარებული „წესრიგია“:

„განცხადებულ იყო მოწყალება და კაცთმოყვარება და განფენილ უკვე ყოველთა შინაგანთა და გარეგანთა და ეგრეთვე სინორებთა ზედა რუსეთის იმპერიისათა, რომლითაცა იშვა თვით მხეცებრთა მათ ხალხთა შორის მშვიდობა და სიწყნარე...ესრეთ აღლაგმა (გენერალმა პოტიომკინმა - ვ.კ.) მანკიერობა მუნებურთა მთავართა მათთა დაცვისათვის საზოგადოსა მშვიდობისა.

ეგევითარი ქებული და შესამატი პოლიტიკა“[165].

---

[160] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.1047, გვ.404.

[161] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.278, გვ.102.

[162] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.279, გვ.102.

[163] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.1062, გვ.408.

[164] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი, 1784 წ., (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი (ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1962, გვ.192.

[165] ბესიკი, წერილი რუსეთის გენერალ პოტიომკინთან, 1790 წ. 8 მარტი (იმერეთის სამეფო კარისაგან), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, გვ.200-201.

თავი 3. ომი და მშვიდობა, საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ინსტრუმენტები

§ 1. ომი

ეგრისის მეფე გუბაზს სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ბუნებრივად მიაჩნია შეიარაღებული ბრძოლა. მისი აზრით, თავდაცვით ბრძოლას ადამიანს თვით „ბუნება აიძულებს“[166]. ამრიგად, ძალას, იძულებით ღონისძიებებს იგი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის, ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტად აღიარებს. საყურადღებოა, რომ თავისი ამ შეხედულების დასამტკიცებლად მას მაგალითად ბუნებიდან ნასესხები სახე - თვითგადარჩენის ინსტინქტი მოჰყავს. ბუნებაზე აპელირებს მისი თანამედროვე და თანამოქალაქე აიეტიც. თავისი შეხედულების დასაბუთებისას მტრისადმი უპირობო მორჩილების მიუღებლობის თაობაზე[167], როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ VI ს.-ის ეგრისში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ბუნებითი სკოლის ნიშნები გვხვდება.

როგორც ცნობილია, წინაქრისტიანულ საბერძნეთსა და მასთან მჭიდრო ურთიერთობის მქონე ქვეყნებში ბუნებითი სამართლის ფილოსოფიური მოძღვრება ბატონობდა[168], ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ იდეოლოგიას ეგრისში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების ანალიზზეც მოეხდინა გავლენა.

ომი, ბრძოლა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, სახელმწიფოს ბუნებრივი მდგომარეობაა. „წინააღმდგომთა მუსვრა და მოწყვეტა“ მეფის ძირითადი ფუნქციაა.[169] უომრად გაჩერება მცონარებადაა შეფასებული და ქართველები უომრად მოწყენილები არიან.[170] გიორგი III დაჰყვება ლაშქრისა და დიდებულთა ნებას, როცა ისინი მას მიმართავენ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“[171].
მაგრამ ომი თვითმიზანი არ არის. ავტორი აღწერს მცირე ლაშქრით მყოფი გიორგი III-ის დამარცხებას მტრის მიერ. ივანე ამირსპასალარი და სხვა დიდებულები მეფეს გაქცევას ურჩევენ: „მეფევ, ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლისა.“[172]

იოსებ ტფილელის (XVII ს.) „დიდმოურავიანის“ მიხედვით, სწორედ ომში გამოიხატება მეფისა და ქვეყნის ერთგული სამსახური. გიორგი სააკაძე შეახსენებს თეიმურაზ მეფეს, თუ როგორ ებრძოდა იგი ქვეყნის მტრებს[173].

„დავითიანის“ მიხედვით, ომში, მტერზე გამარჯვებაა მეფის მთავარი საზრუნავი:

---

[166] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.148-149.
[167] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.
[168] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ. გვ.20.
[169] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.5.
[170] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.59.
[171] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.15.
[172] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.12-14.
[173] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, (გიორგი ლეონიძის რედაქციით), თბილისი, 1939, გვ.37.

„ვახტანგ თქვა - „მე წავახდინო სუხავი (სპარსთა ერთ-ერთი სარდალი - ვ.კ.),
ის არის ჩემის ქვეყნისა დამწველი, ცეცხლით მხუხავი;
შამახიაში ყუმბარა ვყარო მეხისებრ მქუხავი,
თუ ღმერთმან ეგ კი მაღირსა, სხვა რა მაქვს შესაწუხავი!““[174]

ბესიკის თანახმად, სამშობლოს დასაცავად ომი ადამიანის უმაღლესი მისიაა. „რუხის ბრძოლაში“ ერთ-ერთ მეომარზე იგი წერს:

„მისსა მცირესა სიყმესა სხვამცა მეტი რა ექმნა, რომელ მათსა სისხლისა ტბასა მისიცა სისხლი მდინარედ შესდინებოდა, და ვითარ მთით ნადენსა ტკბილსა წყაროსა ომსა შიგან მორბედი ცხენითა თვისსავე სისხლსა შეხვრეტდის მის დღისათვის ღვთისა მადლობელი“[175].

ანალოგიური აზრია გატარებული არჩილის პოემაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა”:

„შეირტყეთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
თქვენის ქვეყნის სიმაგრის, მეფეთა ერთგულობისა;
ცხენი, აბჯარი გაიწყეთ სალაშქრო, ნადირობისა.
და როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.

სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენთხეოდეს,
ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვინ შეუღონდეს.
ვინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე ცხონდეს,
და რაც გარდარჩეს მეწინავე, მას სახელი დიდი ჰქონდეს.

კარგია და ღვთის წყალობა, თუ ჟამია მშვიდობისა“[176].

ასე რომ, მშვიდობა კარგია, მაგრამ მოქალაქე ომისათვის მუდამ მზად უნდა იყოს.

ამასთანავე, ქართველ ავტორებთან ომის სურვილი არის ვნება - ადამიანის მოთხოვნილება, მაგალითად,

- იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძე ამბობს: „ომი მწყუროდა მას დღესა, მწადს მათი სისხლი მამესო“[177].
- არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ მეფე თეიმურაზი შაჰ აბასზე ამბობს:

  „დედა-მისმა ჩემთვის შობა იგი ასრე ჩანასხამი,
  მუდმად ჩემის სისხლის მსმელი, გესლიანი ჩანასხამი;
  ტახტზედ იჯდა სამესისხლოდ“[178].
- ლექსში „ასპინძისათვის“ ბესიკი წერს: „თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ“[179]; იგი მეომრებს მიმართავს: „მწყურვალე ხრმალი დაგეთროთ“-ო[180].

---

[174] დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა კრებული, თბილისი, 1980, მ.506, გვ.137.
[175] ბესიკი, რუხის ბრძოლა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.55, გვ.134.
[176] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.286-288, გვ.53-54.
[177] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, (გიორგი ლეონიძის რედაქციით), თბილისი, 1939, გვ.14.
[178] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.448, გვ.273.
[179] ბესიკი, ასპინძისათვის, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.81,
[180] ბესიკი, ასპინძისათვის, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.83.

- გოდერძი ფირალაშვილი (XVIII ს.) ლექსში „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა“ ომში მიმავალ ჯარზე წერს:
  „წინ მივალთ შენნი მეჭვრენი, ვითა მეგონნი ლხინისა,
  შევჰსვამთ სისხლსაცა მტერთასა, უტკბესს კახეთის ღვინისა“[181].

თავისი თანამედროვეობის აღმწერი ავტორები ომების დაწყების სხვადასხვა მიზეზებს წარმოაჩენენ. კონფლიქტების მიზეზი ხშირად გამხდარა სახელმწიფოების მეთაურთა მხრიდან პირადი შურისძიების სურვილი, ანუ პიროვნული ფაქტორი, მაგალითად:

- „შაჰნავაზიანში“ აღწერილია როგორ შესთავაზა ვამეყ დადიანმა ვახტანგ V-ს დამოყვრება, შემდეგ კი უარი უთხრა, ამიტომაც შაჰნავაზი მის დასჯას აპირებს. შაჰნავაზის თქმით, დადიანის საქციელისა და, აქედან გამომდინარე, ომის მიზეზი უკანასკნელის „სირეგვნეა“, ანუ ირაციონალიზმი [182].
- იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით, სულთანმა სააკაძეს სოხტაელების დალაშქვრა დაავალა „ჯავრს ნუ შემარჩენ მაგათსაო“[183].
- ვახუშტის თხზულების „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მიხედვით, სიმონ ქართლის მეფემ „მოიჴსენა შური (იგივე წყენა – ვ.კ.) გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა“[184].
- „დავითიანის“ მიხედვით, ქართლისა და კახეთის მმართველების ურთიერთწყენამ მათ რაციონალური განსჯის უნარი წაართვა, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა:
  „მეტად უზომოდ გაჯავრდენ, ვერ გასზლეს გულის ჯავრნია;
  აჩქარდენ, ვეღარ გასინჯეს მათ საქმე საშინჯარნია,
  მტერთ ნებით კარნი განუღეს მაგროვნად დანაჯარნია“[185].

აგრესიის მიზეზი ხდება მეზობლის მხრიდან არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების შეგრძნება, ვახუშტის თანახმად, ბაგრატ იმერთა მეფემ სამცხეს გაილაშქრა, რადგან ეს მხარე „შეავებული“ ნახა[186].

კონფლიქტს იწვევს, ასევე, მეზობლის ზედმეტი გაძლიერება. ვახუშტის მიხედვით, გიორგი იმერთა მეფე შეაშფოთა დადიან-გურიელის გაერთიანებამ და დაუწყო მტრობა[187].
რელიგიური ომის სურათია დახატული არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. თეიმურაზი ამბობს, დიდოეთზე სალაშქროდ იმიტომ წავედი, რომ იქაურების ქრისტიანობაზე მოქცევა მინდოდა, ისინი წარმართები იყვნენო:

„ამად წაველ მათ წარმართზედ, მინდოდა რომ მამექცია,
მერმე, თუ არ დაეჯერათ, ციხეები მამექცია“[188].

---

[181] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.328.
[182] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, 1935, მ.378-379, გვ.66.
[183] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, თბილისი, 1939, გვ.59.
[184] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.415.
[185] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.310, გვ.106.
[186] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.811.
[187] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.826.
[188] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ. 3, თბილისი, 1975, მ.761, გვ.342.

ამავე დროს, ომი მშვიდობის წინაპირობაა. იმავე ნაწარმოებში თეიმურაზი ამბობს: დაღესტანი დავლაშქრე და „ვეღარ მემტერნეს მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო“[189].

ომის მიზეზებთან დაკავშირებით საინტერესოა მოსე ხონელის (XII ს.) სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“. თხზულების მიხედვით, ერთ შემთხვევაში ომის წამოწყებას პატრიოტიზმი და ეროვნული ინტერესები იწვევს. „ამირანდარეჯანიანის“ გმირები, სამშობლოდან ლტოლვილი არაბები თავიანთი „მამულის“ დასაბრუნებლად იბრძვიან.[190]

მეორე შემთხვევაში, ომის გამომწვევ მთავარ მიზეზად სხვადასხვა დამოუკიდებელი ერთეულისაგან შემდგარი, ანუ ანარქიული საერთაშორისო სისტემა გვევლინება, რაც საპირისპირო ინტერესების შეჯახებას იწვევს და შეთანხმებას აძნელებს. ამჯერად საქმე ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველზე აღმოცენებულ კონფლიქტს ეხება. ნაწარმოების გმირი, ინდო ჭაბუკი იამანთა ქვეყნის ნაწილს მიიტაცებს, რასაც ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევს იამანთა მხარე თხზულების მეორე პერსონაჟის, ამბრი არაბის მეთაურობით.

ინდო ჭაბუკი და ამბრი არაბი ხედავენ ერთმანეთის ღირსებებს და ურთიერთსიმპათიებით იმსჭვალებიან, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობენ. თუმცა, საბოლოოდ, სიმპათიები მაინც იმარჯვებს და შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი ხდება.[191] ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ავტორი სხვადასხვა ქვეყნის ლიდერთა პირად ადამიანურ ურთიერთობას, მათ მიერ ერთმანეთის ღირსების დანახვას ომის თავიდან აცილების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მოსე ხონელი ერთმანეთისაგან არჩევს ომის დაწყების ნამდვილ საფუძველს, მიზეზს და კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების საბაბად იქცევა. თხზულებაში ხაზგასმულია, რომ თურქთა და იამანელთა მტრობა, ცუდი დამოკიდებულება, მათ შორის ომის დაწყების მიზეზია, რისი კონკრეტული საბაბიც, გამომწვევიც იამანელების მიერ თურქი მეკობრეების გაწყვეტის ფაქტი ხდება.[192]

იმ დროს, როცა საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსთა შორის დავა მიმდინარეობს, შეიძლება, თუ არა ომი უბრალო შემთხვევის შედეგი იყოს, „ამირანდარეჯანიანში“ დახატული სიტუაციები მეტად საგულისხმოა.

ომის მიზეზი, ნაწარმოების მიხედვით, სახელმწიფოს სტრატეგიაც შეიძლება იყოს, რათა საკუთარი პრესტიჟი გარეშე ძალთა ხელყოფისაგან დაიცვას და, ამრიგად, უცხო სახელმწიფოთა მიერ არც ერთი მისი საწინააღმდეგო გამოხდომა უპასუხოდ არ დატოვოს. მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები ამბრი არაბი თურქეთის წინააღმდეგ „შურისძიებისათვის“[193] ლაშქრობს. თავის მხრივ, თურქეთი, ანუ ხანთა მეფე, იამანელთა ლაშქრობასთან დაკავშირებით, დასძენს: „სამძიმარი და აუგი საქმე მოჴდა თურქეთს შემოსვლა იამანთაგან და ჴამს ესე ჩუენგან, რომე შევანანოთ.“[194]

„ამირანდარეჯანიანი“ ომში, საერთოდ, პოლიტიკაში ლიდერის როლსაც საგანგებოდ აფასებს. თურქი დიდებულები ამბრი არაბის შესახებ ამბობენ: „არაოდეს ყოფილარს

---

[189] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.729, გვ.335.

[190] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელაშვილმა, თბილისი, 1967, გვ.175-176.

[191] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.155-156, 161-172.

[192] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.119-121.

[193] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.127.

[194] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.130.

თურქეთისა დამართებითი იამანეთი, განა, ისი კაცი, რომელი წინამძღუარი არის მათი, მისგან არის ყუელაი, თუარა ვითამც იკადრეს იამანთა თურქეთს მოსვლა?!“[195]

ომის თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ადგილი უკავია სულხან-საბა ორბელიანს (XVII-XVIII სს.). იგი არა მხოლოდ ომების, კონფლიქტების წარმომქმნელ მიზეზებს მიმოიხილავს, არამედ, ფაქტობრივად, მათი თავიდან აცილების, მოგვარების გზებსაც გვთავაზობს. იგი ხედავს იმ აულაგმავ ძალადობას, რომელიც ნებისმიერი ზომისა, თუ სიძლიერის სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი და რომელიც, ცხადია ამ სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტის ძალაუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილიდან მომდინარეობდა. ამიტომაც იგი სასტიკად ამხელს ძალაუფლების მპყრობელთ და მეფეებს მოძალადეებთანაც კი აიგივებს: „ქვეყნისა ამის მეფენი რომელნი მძლავრობენ სოფელსა ამას“[196] .

ომის კიდევ ერთი მიზეზი სულხან-საბას მიხედვით არის „უთმინოება“, ანუ სიდინჯის ნაკლებობა, გადაწყვეტილებების მიღება სათანადო, რაციონალური განსჯისა და დაფიქრების გარეშე. მისი თქმით, „უთმინოება მოაოხრებს ქვეყანასა და აღადგინებს მეფეთა ბრძოლად მეფეთა ზედა და განამრავლებს შფოთსა და ჴდომასა კაცთა შორის“[197] .

კონფლიქტების კიდევ ერთი მიზეზი, სულხან-საბას მიხედვით, არის უნდობლობა და კომუნიკაციის სიმწირე დაპირისპირებულ მხარეებს შორის. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, მტრები, ერთმანეთის შესახებ მიღებულ ინფორმაციას არ გადაამოწმებენ და თუ „შეამოწმებენ, კიდეც დამოყვრდებიან“ [198].

საქართველოს ისტორიის იმ ბობოქარ პერიოდში, რომელშიც სულხან-საბას ცხოვრება მოუხდა და როცა საერთაშორისო ასპარეზზე ძალაზე დამყარებული ურთიერთობები ჰყვაოდა, სულხან-საბას, როგორც ჩანს, უფიქრია არა მარტო იმ გზებსა და მეთოდებზე, რომელთა მეშვეობითაც ქართლის სამეფოს წარმატების მიღწევა შეეძლო, არამედ იმაზეც, თუ როგორ შეიძლებოდა საყოველთაო ძალადობის იმ „მოჯადოებული წრის“ გარღვევა, რომელშიც ქართლის სამეფოსა, თუ ზოგადად იმდროინდელ სახელმწიფოებს უხდებოდათ ტრიალი. გამოსავლად კი საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან არიდებისა და მოგვარების გზა დაუნახავს. სულხან-საბას შეხედულებებზე ქვემოთ კიდევ შევჩერდებით. თუმცა, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, უკვე შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა სცილდება თავისი ეპოქის ჩარჩოებს და მისი რეკომენდაციები ალბათ ყოველთვის აქტუალური იქნება.

§ 2. ძალა, ძლიერება

ქართველი მოაზროვნეებისათვის სახელმწიფოს ძალა, ძლიერება უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტია.

ძალის, ძალისმიერი ღონისძიებების გამოყენებას ბუნებრივად თვლიან VI ს.-ის ეგრისელი მოაზროვნეები. მაგალითად, გუბაზის ელჩები სპარსეთის შაჰისადმი ზემოთ განხილულ მიმართვაში ხომ სწორედ ძალის გაზრდას მიიჩნევენ სპარსეთისათვის

[195] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.130.

[196] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა წმიდისა ზიარებისათვის V, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, თბილისი, 1963, მ.92, გვ.44.

[197] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა უთმინოებისათვის, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, თბილისი, 1963, მ.323, გვ.111.

[198] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983, გვ.53.

განსაკუთრებით სასარგებლო მოვლენად. ირანის მოწინააღმდეგის, ბიზანტიის დამარცხებაც ძალისა და სხვა მოკავშირეების ძალის გამოყენების მეშვეობით ესახებათ. აქვე აღსანიშნავია, რომ გუბაზის ელჩები შესაძლებლად მიიჩნევენ მტრის არა მხოლოდ ერთი დარტყმით განადგურებას („არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ /შავი ზღვის მეშვეობით/ ბიზანტიის პალატს მიაღწიო“[199]), არამედ მის დასუსტებასაც სისტემატური გამანადგურებელი ლაშქრობებით („თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი“[200]). ეს კი ძალის გამოყენების გარკვეული ტაქტიკაა.

აიეტიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სპარსელები ეგრისელთა მიმხრობით „მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანასა და მნიშვნელოვან ჯარს.“[201]

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ბაგრატ III-ის (975-1014) დახასიათება, რომელსაც სუმბატ დავითის ძე გვაძლევს. ბაგრატი „დიდად“ იწოდება, რომელმაც „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო სომხითისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა მეგობრად და ერთგულყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა... და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე.“[202]

საერთაშორისო ურთიერთობები დანახულია, როგორც ძალაზე დამყარებული „ნულოვანი ჯამის თამაში“, რომელშიც ერთი სუბიექტისათვის უარყოფითი, მეორისათვის დადებითს ნიშნავს და პირიქით. მაგალითად, ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „მოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ჴმოვანობდეს კიდით კიდემდე.“[203]

ანალოგიური პასაჟი ფეშანგისთანაც გვხდება, „შაჰნავაზიანის“ ერთ ეპიზოდში ვახტანგ V-ს წარმატებების შეტყობისას, მარიამ დედოფალი ამბობს „ჩუენ გაგუახარე სრულობით, მტერი ჰყავ ცრემლთა დენითა“[204].

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ XII-XIII საუკუნეების საქართველოს შემტევი საგარეო პოლიტიკის თაობაზე. ამასთან ერთად, ბუნებრივია, ძალის განსაკუთრებული განდიდება, აპოლოგიზაციაც ხდება.

მაგალითად, არსენ ბერი დავითს შემდეგნაირად ახასიათებს: „ძლიერ, ვითარცა ლომი მჴეცთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის; ახოვან...მხნე...უბრძოლველ, ვითარცა აქილევ ელლენთა შორის...განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღჳსტოს კეისართა შორის...ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის.“[205]

როგორც ვხედავთ, დავითი მსოფლიოს სხვადასხვა ეპოქის ლეგენდარული ძლიერების მქონე პიროვნებებსაა შედარებული. ძლიერებაში არა მხოლოდ პირადი სიძლიერე

---

[199] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.79-80.

[200] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.131.

[201] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.70.

[202] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი, 1990, გვ.53.

[203] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.131.

[204] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ. 531, გვ.90.

[205] არსენ ბერი, მეფესა დავითს მონაზონი არსენი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ.1, შედგენილი ს.ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ.380.

იგულისხმება, რადგან მარტოდმარტო დიდი პოლიტიკური წარმატებების მიღწევა შეუძლებელია, არამედ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ძალის აკუმულაციის უნარი.

დავითის ისტორიკოსისათვის ძალა საგარეო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია. მისი თვალთახედვით, მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა სამეფოს, მისი საზღვრების გარეშე მტრებისაგან დაცვა, ანუ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამისათვის კი სამხედრო ძლიერებაა საჭირო, ანუ სათანადოდ მომზადებული ლაშქარი. ამასთანავე, თვით მეფემაც კარგად უნდა იცოდეს სამხედრო საქმე.[206]

ძალის აპოლოგიზაცია განსაკუთრებულად თვალშისაცემია „ამირანდარეჯანიანში". ძალა, ძლიერება რომანში ყველა კერძო თუ საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის უმთავრეს საშუალებად გვევლინება.

იოანე შავთელიც, განადიდებს ქართველ მეფეთა ძლიერებას მათ „მტკიცედ მფლობელებს", „მტერთა ქვესკნელად დამამხობლებს", „უძლეველებს"[207] უწოდებს. აბდულმესიანის მიხედვითაც, საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის მქონე იმპერიად გვევლინება.

ბასილი ეზოსმოძღვარი ორიგინალურ ტერმინს იყენებს - „ხრმალი მამული"[208]. ამით იგი სამშობლოსა და ხმალს, ძლიერების გამოხატულებას აიგივებს. მიუთითებს იმაზე, რომ საქართვეელო ძლიერია და ქვეყანა სწორედ ასეთი უნდა იყოს კიდეც.

სამხედრო ძალა, ძლიერება, როგორც მეფეთა (და მათი სახელმწიფოების) აუცილებელი თვისება ხაზგასმულია გვიანი შუა საუკუნეების ხანის ქართველ მოაზროვნეებთანაც, მაგალითად, ფეშანგი წერს:

„ესე ამბავი იწყების ქართუელთა ჴელმწიფეთანი;

ვინ ჴმლითა ბადრობს, მებრძოლთა შეაქნა ყოვლგნით კუეთანი;

ვერვინ დაუდგა სულდგმული, აბჯართა უწყო ფეთანი"[209].

არჩილის ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა" თეიმურაზ მეფე დასძენს:

„რაც მინდოდა ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაძე.

მუნ სიმრავლე სპა-ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოვლგნით ვაძე"[210].

დიდი ტერიტორიის ფლობა ძლიერების გამომხატველი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. კათალიკოსი მიმართავს „შაჰნავაზიანის" მთავარ გმირს: „ერან, თურანი შენ გმონებს...ისპაან შარი გიჭირავს, გილანი სრულად სრავია"[211].

„ცხოვრება მეფეთაში" ინტერესს იწვევს გეოგრაფიული პუნქტის სტრატეგიული მნიშვნელობისა და სახელმწიფო მიზნების შეფასება. სპარსთა მეფემ მცხეთა „უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა."[212]

---

[206] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.351, 355-356.

[207] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ.588, 590.

[208] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.16.

[209] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1, გვ.5.

[210] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.379, გვ.259.

[211] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.315, გვ.57.

[212] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.64.

საინტერესოა ტერიტორიისადმი არჩილის დამოკიდებულება. პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ერანის მპყრობელი ბობქარი შირვანს შეესია, რომელიც საქართველოს ყმადნაფიცი იყო. რუსთაველი ამაზე ამბობს „რა ხელი ჰქონდა ბობქარს, ვინ ის და ვინ ესა?“[213]. ქართველები შირვანელებს ეხმარებიან. ბრძოლის წინ რუსთაველი დასძენს „ჩვენ განვაახლებთ, ვიშოებთ საჯილდოოსა მამულსა“[214]. ამგვარად, შირვანის ტერიტორია გვევლინება, როგორც „საჯილდოო“, ანუ ტერიტორია, რომელიც ქართველებმა, საკუთარი ძალისხმევის შედეგად, „ჯილდოდ“ დაიმსახურეს.

ქართული აზროვნება ძალთა წონასწორობის საკითხსაც განიხილავს.

გურამიშვილის „დავითიანის“ თანახმად, ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლისა და რუსეთთან მოკავშირეობის სურვილის აშკარად გაცხადების გამო, ქართლელი დიდებულები „მეფეს სძრახევდენ“[215]:

„სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!“[216]

„ჩვენ ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:

რა სამთავ (ხონთქარს, შაჰს, რუსეთის მეფეს - ვ.კ.) ცემა შაექნასთ, ჩვენზე მათ შექნან ონარი,

გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი...“[217].

ამგვარად, წარმოჩენილია ძალთა დაბალანსებისას სიფრთხილის აუცილებლობა, რათა ქვეყანა, მასზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებს შორის ქიშპობის მსხვერპლი არ აღმოჩნდეს.

ძალთა წონასწორობისა და დიპლომატიის საინტერესო მაგალითებს აღწერს ვახუშტი. ქალბალი-ხანს (განჯისა და კახეთის მმართველს) ლეკები მოხარკედ ჰყავდა. ლეკთა შემოსევებით შეწუხებულმა კახელებმა არაერთხელ სთხოვეს ხანს მათგან დაცვა, მაგრამ ხანი არაფერს აკეთებდა. მას ხელს აძლევდა კახეთის დასუსტება. სამაგიეროდ კახელებს ტკბილად მიიღებდა ხოლმე და დასაჩუქრებულებს ისტუმრებდა.[218]

სამცხის ათაბაგს ბაადურს ქართლ-კახეთის მეფე გიორგი დატყვევებული ჰყავდა. ამასობაში იმერეთის სამეფო გაძლიერდა. ბაადური შიშობდა, რომ იმერეთი მის ბატონობას შეუქმნიდა საფრთხეს, ამიტომაც გადაწყვიტა დატყვევებული გიორგი მეფის გათავისუფლება და მასთან დაზავება.[219]

ქაიხოსრო ოსმალებმა დასვეს სამცხის ათაბაგად, მაგრამ საათაბაგოს ავიწროებდნენ. ქაიხოსრომ საკუთარი „თავისუფლებისათჳს“ ხონთქრის წინააღმდეგ დახმარება შაჰ თამაზს სთხოვა და საათაბაგოს დაპყრობა შესთავაზა. შაჰ თამაზიც გამოემართა თავისი ლაშქრით სამცხის დასაპყრობად. ხონთქარმა სულეიმანმა ეს ამბავი შეიტყო და ისიც გამოემართა სამცხისაკენ. შეშინებულმა ქაიხოსრომ შაჰ თამაზს სთხოვა მისთვის რისხვით სავსე წერილი მიეწერა, რომელშიც დამორჩილებას მოსთხოვდა. შაჰ თამაზმა მართლაც მისწერა ასეთი წერილი ქაიხოსროს, სადაც ღალატში სდებდა ბრალს, ვითომდაც ჩემი სამფლობელო ოსმალებს ჩააბარეო და ლაშქრობით იმუქრებოდა. ქაიხოსრომ ეს წერილი ხონთქარს

---

[213] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.858, გვ.365.

[214] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.865, გვ.367.

[215] დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა კრებული, თბილისი, 1980, მ.214, გვ.92.

[216] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.214, გვ.92.

[217] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.215, გვ.92.

[218] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.609.

[219] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.705-706.

გაუგზავნა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი შაჰთან შეთქმული არ იყო. ხონთქარმა დაიჯერა და გადაიფიქრა ქაიხოსროს დასჯა. პირიქით, ლაშქარი დაახმარა. ამის მხილველი შაჰ თამაზი კი აღარ შევიდა სამცხეში და თავის სამფლობელოში გაბრუნდა.[220]

§ 3. ხალხის, ჯარის ფსიქოლოგიური განწყობა, როგორც ძლიერების კომპონენტი

ქვეყნისა და, შესაბამისად, მისი ჯარის სიძლირეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ხალხის, მებრძოლების ფსიქოლოგიური განწყობა, რაც არაერთხელაა აღნიშნული სხვადასხვა ნაწარმოებში. ამ მხრივ, გამორჩეულია „ამირანდარეჯანიანი“, რომლის ერთ-ერთი გმირი ამბრი არაბი მცირე ლაშქრით მტრის რიცხობრივად დიდად აღმატებულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უფრთხის: „თუცა ლაშქარი დიდი არის, განა შეშინებულანო.“[221]

მტრის მორალური მდგომარეობის დაცემისათვის „ამირანდარეჯანიანის“ გმირი, ამბრი არაბი პროპაგანდასაც იყენებს. იგი მოწინააღმდეგე მხარის მებრძოლებს უმტკიცებს, რომ მათ სარდლობას ისინი განწირული ჰყავს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ამბრი არაბის პასუხი თურქთა მეფისადმი, რომელიც ამავე დროს დიპლომატიური სიტყვის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

თურქთა მეფე ამბრი არაბს დაზავებას სთავაზობს. ამბრი არაბი მეფეს გარეგნულად ზრდილობიანსა და თითქოს პატივისცემით გამსჭვალულ, მაგრამ, სინამდვილეში, საკმაოდ მწარესა და გამაწბილებელ პასუხს უთვლის: „რა პასუხი ჴამს, მე ვერას ვიტყუი, მით რომე იგი დიდი ჴელმწიფე არის. აწ ამის მეტსა ვერას მოვაჴსენებ, რომე, თუმცა, არ მოსრულიყო კართა ზედა ჩემთა, მუნითმცა ებრძანა, ამას ვიქმოდი, რომე წავიდოდი მისისა სამეფოსაგან და აღარას შევცოდებდი. რადგან თუით მობრძანდა, აწ თუ დავეზაო, ისი ჩემი სიავე არისო, მაგრამ მე მით არას ვკადრებ.“[222]

როგორც ვხედავთ, ამბრი არაბი, თითქოსდა დიდი სახელმწიფოს, მისი მეთაურისადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალული, მისივე პრესტიჟზე ზრუნავს და ხელს არ იღებს მასთან ბრძოლაზე. ამით იგი აგრძნობინებს მტერს, რომ დიდი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს რიგითი სარდლის წინააღმდეგ, რომელსაც, ამავე დროს, თავისი ლაშქრის ძირითადი ნაწილი დაკარგული ჰყავს, მთელი ძალებით გამოსვლა, თანაც უმაღლეს დონეზე, სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობით, ამ სახელმწიფოს პრესტიჟის დამამცირებელია. მაგრამ მოწინააღმდეგე სულიერად იმდენად დაძაბუნებულა და დამდაბლებულა, რომ მზად არის პრესტიჟის ასეთ შელახვაზე წავიდეს.

სამაგიეროდ, თვით ამბრი არაბი სულიერად იმდენად ძლიერი და კეთილშობილია, რომ არ უნდა თვით მოწინააღმდეგეც კი ასე დაამციროს და მზად არის ამისთვის საფრთხეშიც კი ჩაიგდოს თავი. ამავე დროს, თურქთა სულმოკლეობა ხდება იმის მიზეზი, რომ ამბრი არაბი „იძულებულია“ თითქოს მათივე პრესტიჟის შესანარჩუნებლად გააგრძელოს ბრძოლა, რადგან მათ რომ დაზავება არ ეთხოვათ, ვითომდა იგი თავად აპირებდა ბრძოლის შეწყვეტასა და თავის სახელმწიფოში დაბრუნებას.

---

[220] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.715.

[221] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.152.

[222] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, იქვე, გვ.141-142.

ჯარის ფსიქოლოგიური განწყობის საკითხს ეხება არჩილის სხვადასხვა ნაწარმოები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „სწავლა სოფლისაგან მხედართა“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“), ანუ, ასე ვთქვათ, მეომართა ქცევის, ეთიკის კოდექსი.[223]

არჩილი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მებრძოლთა მორალსა და იდეოლოგიურ განწყობას. მეომრები მზად უნდა იყვნენ, რომ საკუთარი ძალა, მხოლოდ ქვეყნის ინტერესების განსახორციელებლად და არა ანგარებით გამოიყენონ. ისინი საკუთარ სულიერ და საერო ლიდერთა მორჩილნი უნდა იყვნენ, ანუ ჯარში დისციპლინაა აუცილებელი. მეომრები სულიერად მტკიცედ უნდა იდგნენ მტერთან საბრძოლველად და სიკვდილისთვისაც მზად უნდა იყვნენ.

მეომართა კოდექსის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი დასაყრდენია რელიგია. მეომრებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ თავისი საქმიანობით ისინი ღმერთს მსახურებენ, მისთვისვე კვდებიან და ასეთ შემთხვევაში მოწამეებად შეირაცხებიან, რაც ქრისტიანს სამოთხის დამკვიდრებას უქადის. ნიშანდობლივია, რომ ეს კოდექსი თანაბრად ეხება ყველა მეომარს „თავადთ, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა“. იგი ამით თანასწორ მდგომარეობაში აყენებს ყველა მოქალაქეს, წოდების მიუხედავად. იგივე აქცენტია დასმული არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მარაბდის ბრძოლის წინ ბაადურ ციციშვილი ამბობს „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“[224].

რიგითი მოქალაქეების, მთელი ერის მნიშვნელობა სახელმწიფოს ძლიერებისათვის და არა მისი რომელიმე სოციალური ფენისა „აბდულმესიანშიცაა“ აღნიშნული. იოანე შავთელი თავის ნაწარმოებში განსაკუთრებულად გადანიდებს საქართველოს მეფეებს და, მათთან ერთად, ერზეც შემდეგს წერს:

„ერი რჩეული, ნიჭთა ჩვეული,
მისგანვე იქმნეს კეთილ-სახმარად.“[225]

როგორც ვხედავთ, ავტორს გააზრებული აქვს, რომ რა განსაკუთრებული ნიჭითა და შესაძლებლობებითაც უნდა იყვნენ დაჯილდოებული სახელმწიფოს ლიდერები, რომელთაც მისი ხოტბა ეძღვნება, თუ მოქალაქეები არ იქნებიან ღირსეულნი, ვერაფერს გააწყობენ. მოქალაქენი, მოსახლეობა სახელმწიფოს ძლიერების შემადგენელ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენენ. ხოლო ლიდერთა ფუნქცია მხოლოდ ამ კომპონენტის „კეთილად მოხმარებაა“. ამავე დროს, აქ მთელ ერზე და არა მის რომელიმე ნაწილზე, კლასზეა სუბარი. ამაში ვლინდება ქართველი მოაზროვნეების დემოკრატიული მიდგომა, რასაც უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ ქვეთავში „ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოება“.

გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, „აბდულმესიანში“ ქართველი ერის განსაკუთრებულობას, მის რჩეულობასა აქვს ხაზი გასმული. ამ მხრივ, ნაწარმოები ნიკოლოზ I გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავის“ თავისებურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიური დასაყრდენის შექმნას ისახავს მიზნად.

ხალხის, ჯარის ფლიქოლოგიური განწყობის მნიშვნელობას, როგორც ძალის, ძლიერების კომპონენტს გამოყოფს იოსებ ტფილელიც. მისი ნაწარმოების მთავარი გმირი,

---

[223] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.274-279, გვ.52.

[224] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.628, გვ.312.

[225] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, გვ.600.

გიორგი სააკაძე აღნიშნავს თავგანწირვისა და სიმტკიცის აუცილებლობას სამხედრო წარმატებების მისაღწევად.[226]

ისეთი განწყობის შესაქმნელად კი, რაც გამარჯვებას შეუწყობს ხელს, სხვადასხვა სტიმულებმა შეიძლება იმოქმედოს, მაგალითად, წინა დამარცხებების გამო შურისძიების თავგანწირულმა სურვილმა.

ჯუანშერის მიხედვით, კეისართან მოლაპარაკების დროს ვახტანგი ბიზანტიურ და სპარსულ ლაშქარს ერთმანეთს ადარებს: „ერნი თქვენნი განლაღებულ არიან ჯობნასა ზედა სპარსთასა, ხოლო სპარსნი არავე შეშინებულ არიან, არამედ შურითა თქვენითა წადიერ არიან წყობასა; ანუმცა მოკვდეს, ანუმცა იძიეს შური სისხლთა მათთა.“[227]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ლიდერისადმი ერთგულება და სიყვარული, რის გამოც, ბესიკის თანახმად, მეომრები მეფეს რიცხობრივად აღმატებული მტრის წინააღმდეგაც მიჰყვებიან[228].

ომში წარმატების მოსაპოვებლად დიდ როლს ასრულებს ხალხისათვის, ჯარისათვის გამარჯვების იმედის ჩასახვა, რაზეც ბესიკი იმერეთის სამეფო კარის სახელით რუსეთის მაღალი რანგის სამხედრო პირს ვასილ სტეფანიჩს (რუსეთის იმპერიის ბრიგადირი და კავალერი) სწერს (02.06.1788 წ.). იგი რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვს და დასძენს, რუსეთის მხარდაჭერის შემთხვევაში, ქართველები დიდად გაირჯებიან და თავის მოკავშირეს სახელოვან საქმეებს უჩვენებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მათი ბრძოლისუნარიანობა დაქვეითდებაო.[229]

§ 4. საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ინსტრუმენტები

„ამირანდარეჯანიანში“ საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მტერზე გამარჯვება ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი, მისი ბრძოლისუნარიანობა სრულებით უნდა მოისპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გამარჯვება მხოლოდ დროებითი იქნება და, შესაძლოა, მომავალში გამარჯვებულს უფრო მეტი ზიანი შეემთხვეს, ვიდრე თავიდანვე დამარცხების შემთხვევაში, რადგან მტერი უფრო გაბოროტებულად იბრძოლებს. ხოლო თუკი ნახევრად დამარცხებულ მტერს საბოლოოდ არ გაანადგურებ, მაშინ მას უნდა დაუზავდე და კარგი ურთიერთობა დაამყარო მასთან.[230]

იგივე აზრია გამოთქმული, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში. ავტორი აღწერს იმ ფაქტს, თუ როგორ გაერიდა გიორგი III-ის ჯარს საქართველოში შემოჭრილი სულთნის ლაშქარი. მეფეს გაქცეულთა გადევნება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ დიდებულებმა ეს უადგილოდ მიიჩნიეს. ავტორი აღშფოთებულია ასეთი საქციელით: „მიზეზი უმიზეზო, სიტყუა უსიტყუე, საქმე უქმი“-ასე ახასიათებს იგი ამ ფაქტს. მართლაც, გარკვეული დროის შემდეგ, სულთნის ჯარი შემობრუნდა და მცირე ლაშქრით მყოფ მეფეს დაესხა თავს.[231]

---

[226] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.46.

[227] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.72.

[228] ბესიკი, რუხის ბრძოლა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.26, გვ.128.

[229] ბესიკი, წერილი ვასილ სტეფანიჩს, (ბესარიონ გაბაშვილი), თბილისი, 1962, გვ.195.

[230] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, იქვე, გვ.135-136.

[231] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.12.

ანალოგიურია ვახუშტის მიერ აღწერილი შემთხვევა (1640-იანი წლები). ლევან დადიანს იმერეთის უფლისწული მამუკა ჰყავდა ტყვედ. თეიმურაზ I-ის შუამდგომლობით, ლევანი მის გათავისუფლებას დათანხმდა, მაგრამ პაატა წუწკმა (წულუკიძემ) დადიანს ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა, იმ არგუმენტით რომ „უჯერო არს განტევება მტრისა, რამეთუ მოიცემს რა ძალსა, კუალადცა არს მტერი“[232].

საინტერესოა ბესიკის მიერ იმერეთის სამეფო კარის სახელით რუსეთის მაღალი რანგის სამხედრო პირისათვის, ვასილ სტეფანიჩისათვის გაგზავნილი წერილი (02.06.1788 წ.). ბესიკი დახმარებას ითხოვს იმერეთისათვის და დასძენს „თუ ახლა, ამისთანას დროს ჩვენი მეფე და მისი მხედრობა აქედამ ახლაც უპასუხოდ დარჩნენ, ვიცი, რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმარჯვეს ვეღარ მივიღებთ... თუ აქედამ არაფერი პასუხი მიუვათ...ხონთქრის მამულებს ხმალი რომლის იმედითა და რიგით უჩვენონ“[233].

ამგვარად, ბესიკი ამბობს, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოკავშირისათვის დროული დახმარების გაწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მტრის წახალისებას იწვევს.

არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ძალის გამოყენების სტრატეგიის ჭრილში აფასებს თეიმურაზი თავისივე ლაშქრობას დიდოეთზე: „რადგან ბევრი მტერი მყვანდა, რას ვებრძოდი ჭკუათ მოკლეს?“[234] - ჭკუამოკლე მტერს რატომ ვებრძოდი, როცა ბევრი მასზე ჭკვიანი მტერი მყავდა და სჯობდა მათთან მებრძოლა, მე კი ძალას ჭკუამოკლეზე ვხარჯავდიო.

მრავალმხრივ საინტერესოა „დავითიანში“ აღწერილი შემდეგი შემთხვევა. შაჰმა ვახტანგ VI-ის ორგულობა შეიტყო და ქართლი კახეთის მმართველ კონსტანტინეს, ანუ მამად-ყული ხანს უბოძა. მაგრამ კონსტანტინეს არ სურდა ვახტანგს ქართლში შესცილებოდა. ამის მიზეზები, მისი შეფასებით, იყო: 1) ვახტანგთან ფიცით ძმობის (ანუ მოკავშირეობის) პირობა ჰქონდა დადებული; 2) „მე ჩემს ძმაზე სამტეროდა არაოდეს ჯავრს არ ვიყრი!“ - ანუ ეთნიკური ერთობა, როგორც პოლიტიკური მოკავშირეობის წინაპირობა. 3) ეს შაჰის ფანდია, იმისათვის, რომ ძმები ერთმანეთს გადაჰკიდოს და კონსტანტინეს მცდელობას ქართლ-კახეთის გაერთიანება არ მოჰყვება - ანუ „გათიშე და იბატონეს“ სტრატეგია:

„ყეენს შიშით თავითგანვე გაუხდივართ ერთი-ორად,
ახლა როდის შეგვაერთებს, საქმე გვიგდო მოსაღორად,
ქართლი მომცა ძმად საჩხუბრად, ამხანაგთა მოსაშორად“[235].
„გარს გვარტყია ვით სარტყელი, სულ სხვადასხვა მტერთა გუნდი.
ჩვენ ერთმანერთს ხმალსა ვსცემდეთ, ეგ რჩევა არს დიაღ ცუდი!“[236].

თუმცა, კახელებში საპირისპირო აზრიც იყო: „რაც ღმერთს შენთვის მოუცია, რაღად ჰკარგავ შენის ნებით?“[237].

საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის საყურადღებო მაგალითია აღწერილი „დიდმოურავიანში“. სულთანმა საკაძე თავისი ჯარით სოხტაელების ქვეყნის წინააღმდეგ გააგზავნა და ამავე დროს გააფრთხილა ფრთხილად ყოფილიყვნენ, რადგან მოწინააღმდეგე

---

[232] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.831.
[233] ბესიკი, წერილი ვასილ სტეფანიჩს, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.195.
[234] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.766, გვ.343.
[235] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.236, გვ.95-96.
[236] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.238, გვ.96.
[237] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.234, გვ.95.

საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული[238]. მოწინააღმდეგის ძალის ადეკვატურად შეფასების შემდეგ, სააკაძე პირდაპირ ბრძოლაზე კი არ გადავიდა, არამედ ასე ვთქვათ, შემოვლითი მანევრი განახორციელა და „ჭკუით საქმის მოგვარება“ გამოაცხადა სარდლობის აუცილებელ პირობად. მან ურთიერთობა გააბა მოწინააღმდეგესთან, „დაუმეგობრდა“ მას, გაუქარწყლა თავდასხმის შიში, მისი სიფრთხილე დააჩლუნგა, შემდეგ კი მოულოდნელად დაესხა თავს და გაანადგურა.[239].

ვახუშტის თხზულებაში სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისა და დიპლომატიური ხრიკების საინტერესო მაგალითები გვხვდება.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მისი შიდა სიმტკიცის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ, ვახუშტიმ ერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა. ქართლის მეფე კონსტანტინემ შემოკრიბა უმაღლესი სასულიერო და საერო პირები და რჩევა ჰკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო, რათა კახეთი, სამცხე და იმერეთი დაებრუნებინა. დიდებულებმა უთხრეს: „ვინაჲთგან მტკიცედ დგანან ერთგულებასა თჳსთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთჳს არა განგიზრახავთ ბრძოლასა; რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი“[240].

ეს ცნობა საგარეო პოლიტიკის მიმართ რაციონალური მიდგომის საილუსტრაციოდაც გამოდგება, გარკვეული საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის მაჩვენებელიცაა.

შაჰის მოკავშირის, კახეთში გამეფებული კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ, შაჰ აბასი შეშინდა, კახეთი ქართლის მეფემ არ დაიპყროსო და კახეთში მეფედ თეიმურაზი გამოგზავნა.[241] ამრიგად, ვახუშტის აზრით, შაჰი ცნობილი სტრატეგიით „გათიშე და იბატონე“ მოქმედებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შენარჩუნებას. ამავე დროს, ამ პრიორიტეტული მიზნისათვის შაჰი მცირე ბოროტების პოლიტიკასაც მიმართავს, ანუ, ალტერნატივის არარსებობის პირობებში, კახეთში მეფედ მისთვის არასასურველ კანდიდატს სვამს, რომელსაც არც კი ენდობა.

კიდევ ერთი პოლიტიკური ხრიკის მაგალითია შაჰ აბასის მცდელობა თეიმურაზ მეფის შვილი სპარსეთში გაეტყუებინა და მძევლად აეყვანა. მან თეიმურაზს სთხოვა შვილი ოსმალეთზე ლაშქრობაში გაეყოლებინა. თეიმურაზმა არ დაიჯერა შაჰის დანაბარების გულწრფელობა.[242]

ვახუშტის თანახმად, მტრის თავდასხმის თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებად გამოიყენებოდა მისთვის მორჩილების გამოცხადება და საბოძვრის მიცემა. ასე, შაჰ აბასის შემოსევისას კახელებმა არც კი სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, იმის იმედით, რომ ზემოაღნიშნული გზით ომისაგან თავის დაღწევას შესძლებდნენ.[243]

საინტერესო ეპიზოდია აღწერილი XVI ს. კახეთ-ირანის ურთიერთობიდან. ალექსანდრე კახთა მეფემ თავისი ვაჟი ერეკლე სტამბოლში, ოსმალეთის სულთნის კარზე გააგზავნა. ამ ფაქტით გაგულისებულმა შაჰ თამაზმა კახეთზე ლაშქრობა მოინდომა, თუმცა კახელებმა მოახერხეს შაჰ თამაზის აგრესია თავიდან აერიდებინათ და სამცხისაკენ წარემართათ. ამრიგად, მათ შაჰს მრისხანება სხვა მიმართულებით ამოანთხევინეს და ამის შემდეგ ალექსანდრე მეფის უმცროსი ვაჟი კონსტანტინე გაუგზავნეს და თან უთხრეს, თითქოს ერეკლე თვითნებურად წავიდა სტამბოლში და ალექსანდრე კვლავ შაჰის ერთგული რჩება.

---

[238] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.58.
[239] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.59.
[240] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.390.
[241] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.583.
[242] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.586.
[243] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.587.

„მაშინ დამცხრალმან მრისხანებისაგან შაჰთამაზ შეიწყნარა ძღუენი და ტყუენიცა“[244]. ამ ფაქტში კარგად ჩანს, იმ დროის კახეთის სამეფო კარის დიპლომატიის ინსტრუმენტები და მათ შორის ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ოსტატური გამოყენება საგარეო ურთიერთობებში.

საგარეო პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებიდან ქართველი მოაზროვნეები საიდუმლო აქციების მნიშვნელობასაც გამოჰყოფენ. ეგრისელი ფარტაძი დასძენს რა, რომ „ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან.“[245]

დაზვერვა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სამხედრო ოპერაციის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა. პოემის გმირები, ავთანდილი და ფატმანი ქაჯეთის ციხეში მსახურს აგზავნიან და იქ დამწყვდეულ ნესტანს შეუთვლიან:

„ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?

მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა:

ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ-ა?“[246].

დაზვერვა, ანუ რუსთაველის სიტყვით, „სადარნო“ უძღვის წინ ქაჯეთის ციხეზე უშუალო შეტევასაც[247].

საიდუმლო აქციებიდან „ვეფხისტყაოსანი“ ხატაელთა ხრიკზე მოგვითხრობს, რომელთაც მათ წინააღმდეგ წამოსულ ტარიელს მორჩილება აღუთქვეს და მისი მცირე ლაშქრით გატყუება სცადეს, რათა გამარჯვება გაადვილებოდათ.

საგულისხმოა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, XII-XIII სს.-ის ქართულ აზროვნებასა და პოლიტიკურ საქმიანობაში დიპლომატის ხელშეუხებლობის წესია აღიარებული. ავტორი აღწერს თუ როგორ გადასცა თავისი პატრონის, რუმის სულთან რუქნ ად-დინის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დანაბარები მისმა ელჩმა თამარს. აღშფოთებულმა ზაქარია ამირსპასალარმა ამის საპასუხოდ ელჩს ისე გაარტყა, რომ გონება დააკარგვინა. როცა დესპანი მოსულიერდა, ზაქარიამ უთხრა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველ ენისა ამოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმეღა - თავისა“[248]. შემდეგ ელჩს სათანადო პატივი მიაგეს და ისე გააბრუნეს.

საყურადღებოა არჩილის დამოკიდებულება ელჩობისადმი. ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ იგი გამოჰყოფს ელჩობას, როგორც ერთ-ერთ ხელობას, პროფესიას:

„მრჩევლობა, სიტყვის გაკვეთა, თავს ჩემობს ამისი სწავლა,

ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა“[249].

არჩილის სხვა ნაწარმოებში კი „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ელჩობის ერთ-ერთი შემთხვევაა აღწერილი. ელჩს აბარებენ:

„მიდი სიტყვა გაუსინჯე, ბრძენი ხარ და მალ აქია *(ბევრი აქეო - ვ.კ.).*

ამათს ბაღსა ვარდი დარგე, მოგესწრების მალ აქია“[250].

ამრიგად, ელჩისათვის აუცილებელი თვისებებია სიბრძნე და მჭევრმეტყველება.

---

[244] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.577.

[245] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.77.

[246] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1265.

[247] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1401.

[248] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.94.

[249] არჩილი, საქართველოს ზნეობანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.36, გვ.7.

[250] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.490, გვ.282.

ლექსში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ არჩილი დიპლომატიური ეტიკეტის რამდენიმე აუცილებელ ელემენტსაც გამოჰყოფს. მისი თქმით, დიპლომატიური მისიით მიმავალ კაცს შესაფერისად რომ დახვდნენ:

1) დიდებულად უნდა ეცვას,

2) სუფრასთან თავშეკავებულად მოიქცეს,

3) ჭკვიანური საუბარი უნდა შეეძლოს.[251]

ქართულ ისტორიულ წყაროებში მოლაპარაკების ხელოვნების, დიპლომატიური მჭევრმეტყველების საყურადღებო მაგალითებსაც ვხვდებით. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია იმერეთის სამეფო კარის სახელით, ბესიკის მიერ რუსი სარდლის ვასილ სტეფანიჩისადმი გაგზავნილი წერილი (14.10.1789 წ.). ბესიკი იმერეთისათვის დახმარებას ითხოვს, იმიტომ, რომ იმერეთის მეფეს „უძღვის კეთილსაქმენი მამულისა თავისისათვის და რუსეთისა მიმართ. ვინაცა ამის მიზეზისათვის ღირს არს იგი, რათა იზრუნოს მისთვის“ რუსეთის იმპერატორმა, „ვინათგანცა სცნა მან მტერნი რუსეთისანი მტრად თვისდა“.

წერილი ხაზს უსვამს რუსების „კაცთმოყვარებას“, იმას, რომ საქართველო „რუსეთის საჭურვლითაა გამოხსნილი“.

იგი დავით იმერთა მეფის პოლიტიკას უპირისპირებს „მეზობლის“ (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფის) პოლიტიკას, რომელიც რუსეთის მტრებთანაც შედიოდა კავშირში. დავით იმერთა მეფე ითხოვს, „რათა თავის შეძლებით და თავისის ჯარით...ემსახურა რუსეთისათვის და ამით აღესრულებინა მოვალეობა ქვეყანისა და ქრისტიანეთა შორის შეკრულობისა“[252].

ამგვარად, წერილი შემდეგ ძირითად საკითხებს გამოყოფს:

1) ადრესატის ღირსების წარმოჩენა: რუსების „კაცთმოყვარება“ და მათ მიერ საქართველოს „გამოხსნა“;

2) დახმარების იდეოლოგიურ-ზნეობრივი გამართლება: ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის მოკავშირეობა.

3) საკუთარი თავის დახმარების ღირსად წარმოჩენა: საკუთარი ქვეყნისა და რუსეთისათვის ერთგული სამსახურის გაწევის გამოცდილება;

4) დახმარების პრაგმატული სარგებლის წარმოჩენა ადრესატისათვის: მომავალში საკუთარი რესურსითა და ჯარით რუსეთისათვის სამსახურის მზადყოფნა.

როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა პერიოდის ქართველი პოლიტიკური ლიდერების მხრიდან არაერთ ასეთ მიმართვას ვხვდებით, სადაც ზემოაღნიშნული საკითხები მეტ-ნაკლებად მეორდება. ასეთია, მაგალითად, „შაჰნავაზიანში“ აღწერილი იმერეთს გადედოფლებული ნესტან-დარეჯანის, ასევე ვამეყ დადიანის ელჩის მიმართვები ვახტანგ V-ისადმი.[253]; არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გიორგი იმერთა მეფის მიმართვა შაჰ აბასისადმი[254].

---

[251] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.292-297, გვ.54-55.

[252] ბესიკის წერილი ვასილ სტეფანიჩისადმი, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.196-197.

[253] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.281-283, გვ.51-52; მ.306-310, გვ.55-56.

[254] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.486-488, გვ.281-282.

§ 5. პატრონ-ყმობა, როგორც საგარეო პოლიტიკური სტრატეგია

საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის საგულისხმო სახეა აღწერილი „ვეფხისტყაოსანში“. შოთა რუსთაველი, როგორც ამას ვ.აბაშმაძეც აღნიშნავს, პატრონ-ყმური ურთიერთობის მომხრე და მეხოტბეა.[255] ასეთი ურთიერთობა, პოეტის შეხედულებით, სახელმწიფო საზღვრებს სცილდება და მისი გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებზეც ვრცელდება, ანუ ქვეყნის საუკეთესო საგარეო პოლიტიკურ კურსს წარმოადგენს. ამ იდეის თვალნათელი დადასტურება „ვეფხისტყაოსანში“ ინდოეთ-ხატაეთის კონფლიქტია.

თავისებური იდეალური სახელმწიფოს ნიმუშად წარმოდგენილი ინდოეთი ხატაეთს იმორჩილებს, ის მეფესაც კი იგდებს ტყვედ, მაგრამ დამორჩილებულ ქვეყანას არ არბევს, არც მის უშუალო შემოერთებას ცდილობს. ინდოეთის პოლიტიკის მთავარი ყურადღება იქითკენაა მიმართული, რომ ხატაეთი ვასალურ სახელმწიფოდ აქციოს, ანუ მასთან ურთიერთობა პატრონ-ყმურ პრინციპზე დაამყაროს. მართლაც, ხატაეთს ხარკს აკისრებენ, მის მეფეს დიდი პატივით აბრუნებენ სამშობლოში და ხატაელ ტყვეებსაც ათავისუფლებენ. ამრიგად, ინდოეთსა და ხატაეთს შორის პატრონ-ყმური ურთიერთობა მყარდება. ხატაეთს გარკვეული მოვალეობები გააჩნია თავისი „პატრონი“ სახელმწიფოს მიმართ; თავის მხრივ, „პატრონიც“ მოვალეა დაიცვას თავისი „ყმა“ სახელმწიფო. ტარიელი, ხატაელებისადმი მორჩილების მოწოდებასთან ერთად, დასძენს, რომ ინდოეთის მეფის „ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი“[256]. პატრონსა და ყმას შორის ურთიერთობას ტარიელი მამისა და შვილის ურთიერთობას ადარებს[257].

„ვეფხისტყაოსანში“ დახატული სიტუაცია თამარის დროს საქართველოს სამეფო კარის მიერ თავისი უშუალო მეზობლებისადმი წარმოებული საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზის ანარეკლია. როგორც ცნობილია, ეს პოლიტიკა, ძირითადად, დავით აღმაშენებლის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა და დამორჩილებული ქვეყნების არა უშუალო შემოერთებას ლამობდა, არამედ მათ ვასალობას ურიგდებოდა.[258] ასეთი პოლიტიკა, ლოვარდ ტუხაშვილის გამოთქმით „თამარისეულ სათნოებას“ ანუ „თანამშრომლობით პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონცეფციას“ ეფუძნებოდა[259]. საქართველო უფროსი პარტნიორის როლში გვევლინებოდა, რომელიც თავისი უმცროსი პარტნიორი სახელმწიფოების შიგნით და მათ შორის ურთიერთობებში წესრიგსა და მშვიდობას იცავდა. შოთა რუსთაველის მიერ ასეთი პოლიტიკის გამართლება შესაძლებლობას გვაძლევს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ პოეტის შეხედულებაზე გვქონდეს წარმოდგენა.

ამ მხრივ, თამარის პოლიტიკა დავით აღმაშენებლის პოლიტიკასთან ჯერ კიდევ ნიკო ბერძენიშვილსა აქვს შედარებული, რის საფუძველზეც იგი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, საშინაო პოლიტიკით, ქვეყნის შიგნით

---

[255] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.129.

[256] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ. 382.

[257] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.424.

[258] ნ.შენგელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბილისი, 1979, გვ.316-318.

[259] ლოვარდ ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წ.1, თბილისი, 1994, გვ.158.

მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესებით განისაზღვრება.[260] დავითი მაქსიმალურად ზღუდავდა დიდებულთა ძალაუფლებას, სამეფო ძალაუფლების გაზრდის ხარჯზე. „დავითის პოლიტიკის მიხედვით მთელი ქვეყანა უნდა სამეფო საქონებელი ყოფილიყო, რომელიც აზნაურების სარგებლობაში იქნებოდა გადაცემული პირადი სამსახურის პირობით.“[261] თამარის დროს კი, პირიქით, დიდებულთა აღზევება ხდება სამეფო ხელისუფლების დასუსტების ხარჯზე. შესაბამისად, „დავითის საგარეო პოლიტიკა “წურილი ერის“, წვრილ აზნაურ-მოლაშქრეთა მეფის პოლიტიკაა, თამარის საგარეო პოლიტიკა გამარჯვებულ დიდებულთა მეფის პოლიტიკაა.“[262] ამჯერად, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით არ შევჩერდებით, ვინაიდან ეს ცალკე კვლევის საგანია.

თამარის სტრატეგიის შესახებ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც გვიამბობს. იგი გამოჰყოფს თამარის შედარებით ლმობიერ პოლიტიკას მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. თამარმა „მოახლენი მათნი სულტანნი მოხარკედ დასხნა და სამეფო განუხეთქელად დაიცვა, ყოველნივე შეიტკბნა და მშჳდობა ყო ყოველთათჳს“[263].

ეს საკითხი მეტადაა გაშლილი თამარის მეორე ისტორიკოსთან ბასილი ეზოსმოძღვართან. იგი ცდილობს საქართველოს ბატონობას და გავლენას მის მეზობლებზე ზნეობრივ-ლეგიტიმური საფუძველი მოუძებნოს. მისი თქმით, თამარი არ ცდილობდა დაპყრობათა ხარჯზე თავისი სამეფოს ტერიტორია გაეზარდა: „რათა არა უსამართლოდ ჰგონონ, და მიმხუეჭელად, ვინათგან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსღა სცვიდა მაშინებელთაგან, და საშინელ ყოფდა მტერთა ზედა.“[264]

შეიძლება ითქვას, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის ეს პოზიცია იმ შეგნებიდან გამომდინარეობს, რომ საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ტერიტორიის ფლობა, მისი დაპყრობა არ არის აუცილებელი. მთავარი ტერიტორიის კონტროლია (საგულისხმოა, რომ ტერიტორიის უშუალო დაპყრობის ნაცვლად, მისი კონტროლის თემამ განსაკუთრებული ყურადღება XX ს.-ის II ნახევარში შეიძინა). ამასთანავე, ამ კონტროლის ეფექტიანად განსახორციელებლად თვით ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ დახატულ საერთაშორისო სიტუაციაში საქართველო, მისი მეფის, თამარის სახით, თავისი მეზობლების მიმართ ძლიერი პროტექტორის პოზიციაში გვევლინება. მემატიანე წერს თამარზე: „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა“[265]. გარდა ამისა, საქართველო გამოდის, როგორც დიდი სახელმწიფო, რომელიც რეგიონული წესრიგისა და ძალთა წონასწორობის დამცველად გვევლინება, არ აძლევს რა დიდი რაოდენობით არსებულ პატარა ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ ბრძოლის, რეგიონში მშვიდობის დარღვევის უფლებას.

---

[260] ნ.ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ.38-43.

[261] ნ.ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, იქვე, გვ.41.

[262] ნ.ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, იქვე, გვ.42.

[263] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I გვ.369.

[264] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.148.

[265] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.147.

მემატიანის სიტყვით, თამარი „ბჭედ ჯდა შორის თავისა თჳსისა და მეზობელთა მეფეთა არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელს მძლავრობისასა ურთიერთას“[266].

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები, უმთავრესად, კავკასიის რეგიონს ეკუთვნიან, მაშინ აღნიშნული პოლიტიკა კავკასიური ძმობის იდეის (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხილეთ პარაგრაფში “მოკავშირეობა“) განხორციელებასაც წარმოადგენს, თანაც საქართველო გვევლინება არა როგორც რომელიმე რიგითი წევრი კავკასიური ერთობისა, არამედ მთავარი, წამყვანი ძალა, ამ ერთობის შემკვრელი და დამცველი. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აქ კარგად გათვლილ რეგიონულ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ ბასილი ეზოსმოძღვარის მიერ საქართველოს გარშემო დახატული სიტუაცია უშუალო ანალოგიას ჰპოვებს პოლიტიკური რეალიზმის თანამედროვე წარმომადგენელთა მიერ სამყაროს ხედვასთან. მართალია, ქართულ აზროვნებაში პოლიტიკურ რეალიზმთან ბევრი ანალოგიის მოძებნა შეიძლება, მაგრამ უკანასკნელი საკითხები, რომელთაც მემატიანე ეხება, საკმაოდ რთულია, ძალზე ახლოს დგას თანამედროვეობასთან, აზროვნების თანამედროვე დონესთან და, ამასთანავე, ბასილი ეზოსმოძღვარი პირველია ვინც აღნიშნულ თემას ასეთი სისრულით წარმოგვიჩენს.

§ 6. ძალის დემონსტრაცია

ქართულ აზროვნებაში დიდი ადგილი უკავია ძალის დემონსტრაციის საკითხს.

დავით აღმაშენებლის დროიდან, XIII ს.-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველოში მოჭრილი მონეტები მხოლოდ ქართული წარწერებით გამონაკლისს წარმოადგენს. როგორც წესი, მათზე არაბული წარწერები და არაბ მფლობელთა სახელები გვხვდება. თუმცა, ქართული ასომთავრული დაქარაგმებებიცაა გამოხატული, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ეს არაბული წარწერები ქართველ მეფეებს განადიდებენ და მათ ქრისტიანულ სარწმუნოებას უსვამენ ხაზს. საქმე ისაა, რომ ქართული მონეტები მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებშიც ვრცელდება და საქართველოს სამეფო კარისათვის ისინი საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის საშუალებასაც წარმოადგენს. საქართველო ამ გზითაც ცდილობს ძლიერი, უძლეველი ქრისტიანული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაიმკვიდროს, მსოფლიო ასპარეზზე ქრისტიანობის დამცველად გამოაცხადოს თავი.

სამხედრო ძალის დემონსტრაცია საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლების მთავარი საშუალებაა, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თანახმად, ქართველი დიდებულები თამარ მეფეს ხორასანში ლაშქრობას სთავაზობენ, „რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი...არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს და ერაყს“.[267]

გულაბერისძის თხზულებაში, ჩვენი ყურადღება შემდეგმა სტრიქონებმა მიიქცია: „რაჟამს უკუჱ მეფენიცა ქუჱყნიერნი მირავიდოდიან რომლისაცა სამეფოჲსა და ქუეყანისა დაპყრობად: წინასწარვე წარავლენენ ძალსა ძლიერებისა მათისასა რათა წინა აღმდგომნი იგი დაპყრობადნი ზარტეხილ და შეშინებულ იყვნენ: რათა რაჟამს თჳთ თავადნი მივიდენ თჳნიერ

[266] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.148.

[267] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.103.

ბრძოლისა და საჭურუელთა ჴმარებისა: ანუ თუ ივლტოდიან გინა თუ შევრდომით დაემორჩილნენ და დაემონნენ“[268].

ამრიგად, ძალის დემონსტრაცია მოწინააღმდეგის დაშინებას ისახავს მიზნად. ზემოთ მოხმობილი ციტატიდან ისიც ჩანს, რომ ავტორი სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს პრესტიჟს, მის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე, რისი ერთ-ერთი გამოვლინება, სახელმწიფოს მეთაურის, მეფის პრესტიჟია, რომელიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს სამხედრო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობის გარეშე იმორჩილებს.
ძალის დემონსტრაციას „ვეფხისტყაოსანიც“ სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს, რაც სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის, პრესტიჟის განმტკიცებასა და ზრდას ემსახურება. პოემის გმირი, არაბეთის სპასპეტი, ავთანდილი მეფეს მიმართავს:

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ხელმწიფება მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო“[269].

ძალის დემონსტრირების გზით მტრის დამორჩილების ტაქტიკა ჩანს „შაჰნავაზიანის“ შემდეგ სისასტიკით გამორჩეულ ეპიზოდში: დახოცილ თუშებს შაჰნავაზის ჯარმა თავები დააჭრა. თავებს ტყავები დააძრეს, თივით დატენეს და კოშკი აღმართეს, რათა თუშებმა „რა კოშკი ნახონ თავისა, ახსოვდეს იმა ხანესა, ზავი არჩიონ, მსახურონ, რა ესე მოინახესა“[270].
დიდების, ძალის დემონსტრირების კიდევ ერთი მაგალითია შაჰნავაზის ლხინი:

„ლხინი აჩუენა მან ყმამან, მორთო წესი და რიგები.
მეფე მორთუით ზის, აცუია ზარქაში განაზიდები;
მთუარისა მგზავსად გავსილსა შუენის თავზედა რიდები.
თქუეს: „გუასმიაო აროდეს ჴემწიფე ეზომ დიდები!“[271]

„შაჰნავაზიანში“ ასევე ჩანს საერთაშორისო პრესტიჟის, როგორც საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის მნიშვნელობა.

შაჰნავაზი თავის ვაჟს, არჩილს ირანში აგზავნის, რომ შაჰმა მას კახეთი მისცეს სამეფოდ და თან არიგებს:

„ჩუენგან ჴამს გაჰყუეს სამეფო რიგია,
ვინც ნახოს, ყუელას მოსწონდეს ვერა თქუან, თუ რა რიგია;
დიდნი არიან ერანი, ვინც ხანობს ყუელა იგია,
სახელი სჯობდეს ყუელასა, ვის გაჰყუა, რაც მოუგია“[272].

ერეკლეს მომხრეებზე გამარჯვების შემდეგ, შაჰნავაზის მომხრეებმა გადაწყვიტეს თავიანთი გამარჯვების ამბავი შაჰისათვის შეეტყობინებინათ, რათა „ქება გუეთქმოდის კაცთაგან, სრულად ერანი გია“[273].

---

[268] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჲტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, გვ.50; ამ გამოცემაში მოცემულ კითხვას „შეგინებულ“, „და ემორჩილნენ“ ვამჯობინეთ „საქართველოს სამოთხე“-ში მოცემული (გამოცემული გ.საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882) კითხვა: „შეშინებულ“, „დაემორჩილნენ“.
[269] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.142. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ჯემალ სტეფნაძე, უცხოელ მეფე-მთავართა და დიპლომატთა მიღების წესები (ეტიკეტი) XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999.
[270] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1136-1138, გვ.186-187.
[271] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.498, გვ.84.
[272] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.635, გვ.109.
[273] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.857, გვ.144.

ასლან ფაშამ შაჰნავაზს შესთავაზა მისთვის ბაგრატი გადაეცა, რომელიც იმერეთის მეფეების შთამომავალი იყო. შაჰნავაზმა საკუთარი პრესტიჟის შელახვად, შეურაცხყოფად მიიღო ფაშასაგან ასეთი წინადადების მიღება, როგორც „ყულუღჩობაში გაზრდილისა, ყულისა“ (ყოფილი მონისა)[274].

„დიდმოურავიანის“ თანახმად, ომის, ძალის დემონსტრაციის გზით „მტერთა შეშინებაა“ მეფის ღირსების გამომხატველი. ავტორი ლუარსაბ II-ზე წერს: „მტერნი ყველგნით შეაშინა, ომის იყვნენ არ მზარავი“[275].

პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ არჩილი აღწერს ქართველების ერთ-ერთ გამარჯვებას და წერს „ამაღლდა მეფის სახელი ამ ომით სვე-სვიანამდი“[276].
ამავე ნაწარმოებში რუსთაველი ასე ახასიათებს თამარ მეფეს:

„არ მისწვდა მისი სახელი, ხმელზედ ქვეყანა სად იყო.
ლაშქრის სიმრავლე, სიდიდე, კმარა თუ ზღვასა არ იყო.
ოთხთა კიდეთა იპყრობდა, თუ ადრე არ მამკვდარიყო“[277].

ამ სტროფში **იმპერიალისტური ტენდენციაც** იკვეთება. რუსთაველის თანახმად, თამარს მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეეძლო, რომ დასცლოდა. სავარაუდოდ, ეს მოსაზრება თავად არჩილს კი არ ეკუთვნის, არამედ ამას მისი ნაწარმოების პერსონაჟი ამბობს. ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იმპერიალიზმის მიმართ ავტორს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.[278]

გოდერძი ფირალაშვილის მიხედვითაც, ქვეყნის პრესტიჟი მის ძლიერებაში, მტერთა ძლევაში გამოიხატება. ლექსში „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა“ ქართველები მიმართავენ ერეკლე მეფეს:

„არ გნახოს მტერმან ძაბუნად, ვჰსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია“,
„გაშალე დროშა მძლეველი, წვერმახვი, მტერთა ზარია,
მოყმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქდეს მთა და ბარია,
ქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცით მეხის გვარია,
განვჰფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.“[279]

§ 7. რაციონალიზმი, პრაგმატიზმი

ეგრისელი მოღვაწეების ჩვენამდე მოღწეული გამონათქვამები ნათელი დადასტურებაა პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებისა, რომ ყოველი სახელმწიფო რაციონალური მოქმედი პირია და პირადი სარგებლიანობის პრინციპიდან, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ეგრისელ მოაზროვნეებს სათანადოდ აქვთ შეფასებული სახელმწიფო პოლიტიკის გამომუშავებაში ანალიზის საჭიროება და სარგებლის

---

[274] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.917-921, გვ.153.
[275] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.4.
[276] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.873, გვ.368.
[277] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.855, გვ.365.
[278] იხ. გვ. 26.
[279] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.328.

ძიება. გუბაზის ელჩები, რომლებიც სპარსელებს დახმარებას სთხოვენ, ამას სპარსეთის ეროვნული ინტერესებით ამართლებენ; კერძოდ იმით, რომ 1) „სპარსელთა ძალას... უძველეს სამეფოს“ შეჰმატებენ და ამის საშუალებით მათი „ჰეგემონიის ღირსებას“ გაზრდიან, ანუ ირანის საერთაშორისო ავტორიტეტი, როგორც დიდი სახელმწიფოსი, გაიზრდება; 2) სპარსეთის ძლიერება, ახალი ქვეყნის მიმხრობით, რეალურადაც უფრო მაღალ საფეხურზე ავა; 3) ეგრისის მიმხრობა განსაკუთრებით სასარგებლოა სპარსეთისათვის მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. გასასვლელი შავ ზღვაზე ირანს ახლო აღმოსავლეთში მისი მთავარი მტრის, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლას გაუადვილებს, შესაძლებელი გახდება ახალი მოკავშირეების შეძენა ეგრისის მოსაზღვრე იმიერკავკასიელი „ბარბაროსების“ სახით. ბოლოს ელჩები ამბობენ: „სარგებლობა თვალსაჩინოა... ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული.“[280]

აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ავტორიტეტს, პრესტიჟს, აიეტიც სათანადოდ აფასებს და სახალხო კრებაზე თავისი წინადადების მართებულობას იმითაც ამტკიცებს, რომ ეს „დიდ სახელს მოუხვეჭს ეგრისელებს.“[281]

გუბაზის ელჩების ანალოგიურ მტკიცებას ვხვდებით მისიმიელთა მიერ სპარსელებისადმი მიწერილ წერილში, სადაც ისინი მათ მოკავშირეობას სთავაზობენ: თქვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეგვიძლია, კარგი მებრძოლები ვართ და კოლხეთთან მიმართებაში ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა გვიკავიაო.[282]

რაციონალურობისა და სარგებლიანობის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აიეტის შემდეგი სიტყვებიც: „არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან...ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით ისინი (სპარსელები) მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანასა და მნიშვნელოვან ჯარს...გავაკეთოთ ის, რაც...სარგებლობას მოგვიტანს.“[283] აიეტი იმასაც ანიჭებს მნიშვნელობას, რომ მოკავშირეც რაციონალურად უნდა უდგებოდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას და არარაციონალური მოკავშირის ყოლა სასარგებლო არ არის: „არ უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ.“[284] აიეტი ეროვნული ინტერესების, საგარეო-პოლიტიკური მიზნების სხვადასხვა საფეხურს გამოყოფს: 1) სხვებზე მბრძანებლობა; 2) თვითგადარჩენა ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა სხვა სახელმწიფოებს არ მიეცემათ საშუალება „ძალიან დაჩაგრონ“ მოცემული სახელმწიფო (განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ადრე ამ სახელმწიფოს „ქვეშევრდომნი“ იყვნენ).[285]

აიეტის ოპონენტი ფარტაძი, მართალია, სპარსეთის მოკავშირეობის მომხრე არ არის, მაგრამ თავის შეხედულებებს იგიც „მიზანშეწონილობისა“ და „სარგებლიანობის“ თვალსაზრისით ასაბუთებს. „რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიო იქიდან ის, რაც უმჯობესია,“ ის, რაც „მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული იქნება“[286] - დასძენს ფარტაძი და აგრძელებს: „თუ ჩვენ შევუდგებით გადადგომას ისეთი იმედებით, რომლებიც ბუნდოვანია და ჰგულისხმობენ საქმის

[280] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.79-81.
[281] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3 გვ.70.
[282] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.173.
[283] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.70.
[284] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.68.
[285] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.
[286] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.76-77.

წარმართვისას სასწორის ან აქეთ ან იქით გადახრას, მაშინ ხომ საშინელება იქნებოდა ასეთ გადამწყვეტ წუთებში მხოლოდ ბედზე ვყოფილიყავით დამოკიდებული.“[287]

ფარტაძი არარაციონალურად აცხადებს აიეტის მოთხოვნასა და შეხედულებებს. მისი შეფასებით, აიეტმა თავისი ემოციური გამოსვლით, მჭევრმეტყველებით, კრება შეცდომაში შეიყვანა, მაგრამ ემოციები, სუბიექტური მიდგომა ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, მით უმეტეს კი სახელმწიფო საქმეების მოგვარების დროს, არ არის მართებული. „ჭეშმარიტი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია რეალურად არსებული მდგომარეობის კრიტიკული შეფასების გარეშე, ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მოვლენების შესახებ სუბიექტურ, არაჯანსაღ წარმოდგენებს, ობიექტური მიზეზებით ჩამოყალიბებულ მდგომარეობაზე, არ იქნება სწორი.“[288]

ამავე დროს, ნებისმიერ ადამიანს, მით უმეტეს კი პოლიტიკოსს, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებმა სასოწარკვეთილება არ უნდა დააუფლოს და მომავლის იმედი არ უნდა დააკარგვინოს. სახელმწიფოს ბედის გადაწყვეტისას გონიერებაა საჭირო, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ადამიანი ემოციებს არ უნდა აჰყვეს, „უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები.“[289]

უმაღლესმა სახელმწიფო მოღვაწემ, მეფემ, გმირულად უნდა აიტანოს ყოველგვარი გასაჭირი, ქვეყნის ინტერესები პირადულზე მაღლა დააყენოს, ქვეშევრდომებს თავი კი არ უნდა შეაბრალოს, არამედ მძიმე მდგომარეობაში მყოფიც კი მათ უზნეო საქციელისაკენ, მამა-პაპური წესების დარღვევისაკენ, მოკავშირისაგან განდგომისა თუ შურისძიებისაკენ არ უნდა მოუწოდებდეს.[290]

კოლხი ანონიმი იურისტები მათთვის ისეთ მტკივნეულ და ზნეობრივი თვალსაზრისით ყოველმხრივ დასაძრახის საქციელზე, გუბაზის მკვლელობაზე მსჯელობის დროსაც კი არ ივიწყებენ ბიზანტიელებს მიუთითონ, რომ გუბაზის მკვლელობას არ შეეძლო რომისათვის სარგებლობის მოტანა.[291]

იქიდან გამომდინარე, რომ საგარეო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა დიპლომატია, პროპაგანდა, სიტყვასთან, აზრის გამოთქმასთანაა დაკავშირებული, საგულისხმოა ფარტაძის შეხედულება მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებით: „უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია.“[292] „საქმის დაწყების ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოხერხებულად და წარმტაცად წარმოთქმული სიტყვა, აზრი...“[293]. მაგრამ ფარტაძის ეს შეხედულებაც, ისევე, როგორც მისი მთელი მსოფლმხედველობა რაციონალურ და პრაგმატულ პრინციპებს ემყარება, ამიტომ იგი აქაც აღნიშნავს, რომ „ყველა აზრი და სიტყვა შინაარსით, სასარგებლო ზემოქმედებითი ძალით ერთნაირი არ არის, თუნდაც მაღალი ორატორული ოსტატობით იყოს ჩამოყალიბებული. სიტყვა და აზრი მაშინ არის უძლეველი,

---

[287] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა ტ.3, გვ.80.
[288] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.31-32.
[289] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.74.
[290] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.81.
[291] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.135.
[292] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.72.
[293] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.29.

როდესაც გონივრულია, საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება, სასარგებლო და მიზანშეწონილია.“[294]

„ცხოვრებ მეფეთაც“ სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს რაციონალიზმს სახელმწიფოს მართვის საქმეში. მაგალითად, ქართლის 28-ე მეფე თრდატმა, თხზულების მიხედვით, „სიბრძნითა თჳსითა დაამშვდნა სპარსნი.“[295] ზემოხსენებული ქართლის ერისთავები (ასფაგურ მეფის დროს) შემდეგსაც დასძენენ: „არა ვაუფლოთ გულთა ჩვენთა მწუხარება, რათა არა მიგუეღოს გონიერება.“[296]

განხილულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ჯუანშერის თხზულებაც, რომელშიც ვახტანგ გორგასალი გვევლინება, როგორც მოქნილი პოლიტიკოსი, რომელიც თავის ყოველ ნაბიჯს ზომავს და რამდენადაც შექმნილი სიტუაცია შესაძლებლობას იძლევა, თავისი ქვეყნისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობს. ამაზე მისი სინდეთში ლაშქრობის საკითხიც მიანიშნებს. იგი თავის სამხედრო ძლიერებას ერთი მიმართულებით წარმართავს, მაშინ, როცა სრულიად სხვა მიმართულებით (როგორც გეოგრაფიულად, ისე შინაარსობრივად) ელის ამ ქმედების შედეგს. იგი ასე მიმართავს სინდთა მეფეს: „არა მიქმნია მოსლვა ამას ქუეყანასა...მსახურებისათჳს სპარსთა მეფისა...რამეთუ ჩემითა აქა მოსლვითა პირველად გამომიჴსნია იერუსალემი...და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიჴსნია მოოჴრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყუენვად ყოვლისა საქრისტიანოსა.“[297]

მსგავს ტაქტიკას მიმართავს იგი მაშინაც, როდესაც გარეგნულად სპარსეთის მოკავშირე მის მტერთან, ბიზანტიის კეისართან[298] სპარსელთა წინააღმდეგ მოლაპარაკებას აბამს. მართალია, მას, კეისრის წინადადებით, მოლაშქრე სპარსთა გაწყვეტა შეუძლია, მაგრამ ამას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს და ბიზანტიის მხარეზე აშკარად გადასასვლელად უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ელის.

სიბრძნის, რაციონალიზმის აუცილებლობას სახელმწიფოს მართვისა თუ სხვა საქმეში, რუსთაველთან არაერთხელა აქვს ხაზი გასმული. ვეფხისტყაოსნისეული სულისკვეთებით, გონიერი ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციაშიც არ უნდა აჩქარდეს, არც ემოციებს აჰყვეს, ამაო დარდს მიეცეს, არამედ ყოველთვის გონების კარნახით უნდა მოქმედებდეს:

„გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს“[299];
„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“[300].

§ 8. მოკავშირეობის საკითხი

მოკავშირეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია VI ს.-ის კოლხი მოაზროვნეების შეხედულებანი.

---

[294] ვახტანგ აბაშმაძე, იქვე, გვ.29-30.
[295] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.62.
[296] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.62.
[297] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.192.
[298] მემატიანე კეისრის სახელს არ მოიხსენიებს.
[299] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.534.
[300] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.106.

მათი თვალსაზრისით, მოკავშირეობა ორმხრივ სარგებელს გულისხმობს. გუბაზის ელჩები შაჰის კარზე აღნიშნავენ, რომ უწინ კოლხებმა, როგორც სპარსთა მოკავშირეებმა „ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან.“[301] მოკავშირეთა შორის ურთიერთობაში „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთსულოვნებასა და აზრთა ერთიანობას, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს მათ შორის, როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს.“[302]

აიეტის თქმით, ნამდვილი მოკავშირე „ურყევად უნდა იცავდეს კეთილგანწყობილებას მოკავშირეთა მიმართ“.[303]

კოლხი ანონიმი იურისტები იმასაც დასძენენ, რომ მოკავშირის მიმართ ლმობიერი, სამართლიანი და ერთგული დამოკიდებულება უნდა არსებობდეს, რაც მოკავშირეებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულებაშიც ვლინდება. სახელმწიფოს ყველა მოკავშირის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, რათა ერთისადმი უსამართლო ქმედებამ სხვათა მხრიდან უნდობლობა არ გამოიწვიოს. თუ მოკავშირეებს შორის ზემოაღნიშნული დამოკიდებულება არ არსებობს, მაშინ მათ მოკავშირეობასაც წყალი აქვს შემდგარი და ასეთი ურთიერთობა შესაძლოა მტრობაშიც გადაიზარდოს.[304]

მოკავშირეობა, ერთი მხრივ, განიხილება როგორც იძულებითი ნაბიჯიც შექმნილი საგარეო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით. გუბაზის ელჩები დასძენენ, რომ „კოლხები...ძველითგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ...ხოლო შემდგომ ხანებში...მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა.“[305]

კოლხი ანონიმი იურისტებიც დასაშვებად მიიჩნევენ იმას, რომ სამოკავშირეო ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ აუცილებლობით იყოს გამოწვეული.[306]

ფარტაძი უფრო ღრმად განიხილავს მოკავშირეობის საკითხს. იგი მის ორ სახეს გამოჰყოფს, როგორც იძულებითი და ამდენად დროებითი ხასიათის, ისე ხანგრძლივ და მტკიცე მოკავშირეობას: „ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასოდეს არ არის მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოვება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა: საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან.“[307]

ფარტაძის აზრით, სპარსელები კოლხებისაგან რწმენით, შეხედულებებითა და აზრით განსხვავდებიან. მათთან მოკავშირეობა ამ განსხვავებას ვერ მოსპობს და ამდენად, მათ შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებაც მხოლოდ ფორმალური იქნება.[308] მოკავშირეობა, რომელიც „აზრთა ერთიანობით“ არ არის განმტკიცებული, სინამდვილეში არც არის მოკავშირეობა, რადგან ასეთ პარტნიორებს შორის ფარული მტრობა სუფევს.

ასე რომ, ფარტაძის აზრით, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მოკავშირეობისათვის ფუნდამენტური ეროვნული ინტერესების თანხვედრაა აუცილებელი, რის შედეგადაც მოკავშირეობის აუცილებელი პირობა - მტკიცე ნდობა აღმოცენდება.

---

[301] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2 გვ.76.
[302] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.44.
[303] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3 გვ.66.
[304] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.139.
[305] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.76.
[306] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.136.
[307] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.77.
[308] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.77.

აქვე აღსანიშნავია, რომ ფარტაძი დროებითი მოკავშირეობის ერთ-ერთ მიზეზად ერთი მხარის მიერ მეორისადმი ჩადენილ კეთილ საქმეებსაც ასახელებს.

ფუნდამენტური ეროვნული ინტერესების თანხვედრის უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა შორისაა ფარტაძის აზრით, რწმენა, რელიგია, მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი.

სრულიად ბუნებრივია, რომ VI ს.-ის ეგრისელები უფრო მეტ საერთოს ბიზანტიასთან პოულობდნენ, ვიდრე სპარსეთთან. ბიზანტიის ბირთვთან, საბერძნეთთან კოლხეთს ოდითგანვე უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე შედარებით შორეულ სპარსეთთან და როგორც სახელმწიფო, ისე სოციალურ-ეკონომიური წყობილებისა და კულტურის მხრივ, ბიზანტიასა და კოლხეთს შორის უფრო მეტი რამ იყო საერთო.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფარტაძი მოვლენების ღრმა, ზუსტი ანალიზით, ობიექტური ხედვით გამოირჩევა, რაც საშუალებას აძლევს სწორად, მიუკერძოებლად შეაფასოს არსებული მდგომარეობა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს თავისი ქვეყნისათვის მეტად რთულ, მძიმე მომენტში, ხოლო მისი სიტყვა „ბიზანტიაზე ორიენტაციის სარგებლიანობისა და უმჯობესობის დამტკიცების კლასიკური ნიმუშია.“[309]

ერთმორწმუნეობის დიდ მნიშვნელობას მოკავშირეობისათვის ანონიმი კოლხი იურისტებიც უსვამენ ხაზს. ისინი შემდეგნაირად მიმართავენ ბიზანტიელებს: „თუ თქვენიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ლმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრებელია, რომ ერთგულნი დარჩეთ უცხოელთა და გარეშეთა მიმართ.“[310] მათი აზრითაც „მოკავშირეთა შორის შეხედულებათა ერთიანობის უმთავრესი საფუძველია მათი სარწმუნოებრივი მდგომარეობა. ერთმორწმუნე სახელმწიფოებს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობა შეიძლება ყოველთვის არსებობდეს, თუ ქვეყნის ცალკეული მოღვაწენი სახელმწიფოზე მაღლა არ დააყენებენ პირად ინტერესებს.“[311]

რელიგიის ერთიანობაზე საგანგებოდ მიანიშნებენ მისიმიელებიც ბიზანტიელებისადმი მიმართვაში, სადაც უკანასკნელთ მორჩილებას ჰპირდებიან.[312]

გარდა ამისა, ეგრისელი მოაზროვნეების აზრით, მოკავშირის შეძენა ნებისმიერი ძალის მქონე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. გუბაზის ელჩები ამიტომაც ამახვილებენ სპარსელთა ყურადღებას იმ სარგებელზე, რაც ირანმა ეგრისის მოკავშირეობით შეიძლება მიიღოს. ამაზე ზემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრეთ და ამჟამად აღარ შევჩერდებით.

ეგრისელი მოაზროვნეები მოკავშირეობას საკმაოდ რთულ მოვლენად მიიჩნევენ, მას სახელმწიფოთა შორის ისეთ ურთიერთობად აფასებენ, რომელსაც ფრთხილი, ყურადღებიანი მოპყრობა და გაფრთხილება სჭირდება და რომელსაც მყარი წინაპირობები, საფუძვლები უნდა გააჩნდეს.

ალბათ არ არის გასაკვირი, რომ მოკავშირის საკითხი დიდი ომიანობის ხანის ეგრისის ცხოვრებიდან მოღწეულ წყაროებში საკმაოდ ვრცლად და ღრმად არის განხილული, რადგან საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია VI ს.-ის ეგრისის წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყო. ეგრისელთა კრებასაც ძირითადად, ხომ სწორედ ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ამიტომაც ეგრისის სახელმწიფო მოღვაწენი, ბუნებრივია განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საკითხს უთმობენ. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის წინაშე საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა მეტ-ნაკლები

---

[309] პოლიტოლოგია, ნაწილი I, ი.რეხვიაშვილი; ჯ.ჯალიაშვილი, ვ.ხოჭოლავა, თბილისი, 1991, გვ.60.

[310] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.136-137.

[311] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.44.

[312] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.173.

სიმწვავით მუდმივად იდგა და ახლაც დგას, VIს.-ის ეგრისელი მოაზროვნეების შეხედულებებს, ამ მხრივ ახლაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და მნიშვნელობა.

მოკავშირეობის საკითხს „ამირანდარეჯანიანიც“ ეხება. კერძოდ, აქ მოკავშირეობის ორი ფორმა გვხვდება. ერთი მათგანი ნათესაობაზეა დაფუძნებული, რაც შუა საუკუნეებში ჩვულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. არაბეთში ორი მეფეა, რომლებიც ერთმანეთს მტრობენ. ერთი თურქთა მეფის მძახალია და თურქეთი მის მოკავშირედ გვევლინება, მეორე კი იამანთა მეფის მძახალია და იამანეთი მისი მოკავშირეა.[313]

მოკავშირეობის მეორე სახე, თურქეთ-არაბეთის კონფლიქტისას წარმოჩნდება, როცა თურქეთის მეფე მოკავშირეობას თავის ნახევრადდამარცხებულ მოწინააღმდეგეს სთავაზობს, რომლის საბოლოო დამარცხებაც უჭირს. ეს კი ე.წ. სუსტის ძლიერების ფენომენის ერთგვარი გათვალისწინება და ფაქტობრივად, გამარჯვებაა, როდესაც ძლიერი სახელმწიფო იძულებულია სუსტსაც გაუწიოს ანგარიში და მის მიმართ დათმობაზე წავიდეს. გარდა ამისა, ასეთი მოკავშირეობა, განსაკუთრებით საშიში მტრის გაჩენის თავიდან აცილების საშუალებაა.[314]

თუმცა, აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ პოლიტიკური მოკავშირეობის განმტკიცებას თურქთა მეფე ამბრი არაბს ნათესაური კავშირითაც სთავაზობს, კერძოდ, მისთვის თავისი რომელიმე დიდებულის ქალიშვილის შერთვით.[315] ასე რომ, ნათესაობაზე დაფუძნებული მოკავშირეობაც სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების სურვილიდან გამომდინარეობს.
მოკავშირეობის საკითხს რუსთაველიც სათანადოდ აფასებს. ვ. აბაშმაძის სიტყვით რომ ვთქვათ, ნესტან-დარეჯანის გათავისუფლება „პოემის ძირითადი სიუჟეტური კვანძის გახსნას“[316] წარმოადგენს. ეს კი სწორედ სხვადასხვა სახელმწიფოთა მოკავშირეობით ხდება შესაძლებელი. შემდგომში იგივე სახელმწიფოების ძლიერება სწორედ მოკავშირეობის შედეგად იზრდება. მოკავშირეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ლიდერთა პირად ურთიერთობებს. „ვეფხისტყაოსანში“ მოკავშირეობა სწორედ ასეთ ურთირეთდამოკიდებულებაზე, მეგობრობაზეა დაფუძნებული. მაგრამ, პოემაში შუა საუკუნეების დროს სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების ტრადიციული ფორმაც, სამეფო დინასტიების წარმომადგენელთა შორის ქორწინებაცაა დახატული, თუმცა იგი არ შედგება[317].

მოკავშირეობის განმტკიცებას მიზნით, მმართველი ელიტების წარმომადგენელთა ქორწინების არაერთი შემთხვევაა აღწერილია ქართულ ისტორიულ წყაროებში. მაგალითად, ვახუშტის თანახმად, როსტომ ქართლის მეფემ ლევან დადიანის და, მარიამი შეირთო ცოლად. „ესე ჰყო როსტომ, რამეთუ ვინაჲთგან ბატონის თეიმურაზის მოყუარე იყო გიორგი მეფე იმერთა, და დადიანი და მეფე იმერთა მტრობდნენ…ამითი მოაკლო თეიმურაზს ძალი დადიანისაგან“[318].

კიდევ ერთი მაგალითია თეიმურაზის მიერ ზურაბ არაგვის ერისთავისათვის ქალიშვილის მითხოვება. ვახუშტის თქმით, ეს თეიმურაზმა იმის იმედით გააკეთა, რომ ზურაბის დახმარებით ქართლის დაპყრობას შესძლებდა: „ამისთჳს სთხოვეს მოურავმან და

---

[313] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.114.
[314] იქვე, გვ.140
[315] იქვე, გვ.140.
[316] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.134.
[317] ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ. თავი 3, § 1.
[318] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.440-441.

ზურაბ თეიმურაზს ასული თჳსი დარეჯან ცოლად ზურაბისათჳს. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თჳსი ზურაბს.“[319]

ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ აღწერს, თუ როგორ სთხოვს ვახტანგ V ლევან დადიანს ასულს ცოლად, რის საპასუხოდაც დადიანი დასძენს:

„ვიცით დიდნი მეფენია, ჩუენ არ გუინდა სხუისა დარგა,
ჴამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, სად რა ვარგა;
დამიც პირი მოყურობისა, წაიტანე თანა ბალგა“[320].

ნათესაობასა და რჯულის ერთიანობას, როგორც მოკავშირეობის საფუძველს უსვამს ხაზს ვახუშტი. იგი აღწერს კახეთის მეფე „ავგიორგის“ მიერ ქართლის აოხრებას და დასძენს, რომ „მონათესავეთა და ერთსჯულთა“ შორის მტრობა არ უნდა ყოფილიყო.[321]

გარდა ამისა, ვახუშტი საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირეობის არაერთ მაგალითს აღწერს, მაგალითად:

- „მწეობა დიდი იქმნების ალექსანდრე იმერთა მეფისა, ვინაჲთგან მეგობრობდნენ ესენი *(ერეკლე I კახთა მეფე და ალექსანდრე იმერთა მეფე – ვ.კ.)* გიორგი მეფის *(XI, ქართლის მეფე -- ვ.კ.)* მტერობისათჳს“[322].
- გურიელი დადიანს მტრობდა. შემდეგ იგი გიორგი იმერთა მეფეს დაუმოყვრდა და ორივე ერთად დაუპირისპირდა დადიანს.[323]
- ალექსანდრე იმერთა მეფის კარზე ყოფნისას, თეიმურაზი ცდილობდა იმერეთსა და სამეგრელოს შორის ზავის ჩამოგდებასა და მოკავშირეობის გაბმას. ამ გზით იგი შესძლებდა საერთო სამხედრო ალიანსი შეეკრა ქართლ-კახეთში ტახტის დასაბრუნებლად: „თეიმურაზ...იწვია ლევან დადიანმან“; „წარსლვისა არა მნებელსა თეიმურაზს განუზრახვიდა მეფე ალექსანდრე, რათა ჰყოს მათ შორისცა ზავი. ესე განიხილა თეიმურაზ თჳსად უმჯობესად, რამეთუ უკეთუ შეაერთოს იგინი, მოიცეს მათგან ძალი.“[324]

ვახუშტის თანახმად, ძლიერი მტრისგან თავდაცვის აუცილებლობის გაცნობიერება შედარებით სუსტ სახელმწიფოებს ერთმანეთთან კონფლიქტის მოგვარებისა და მოკავშირეობისაკენ უბიძგებს. ვახუშტი აღწერს ლევან კახთა მეფისა და დავით ქართლის მეფის კონფლიქტს. მათ შორის შუამავლობა გურიელმა იკისრა. ზავის საჭიროებას იგი იმით ასაბუთებდა, რომ „არიან მტერნი ძლიერნი გარემოს, ვითარცა ყეენი, რომელი იპყრობს ქუეყანათა“[325].

საინტერესოა ზავის პირობები, რომელიც დავით ქართლის მეფემ და ლევან კახთა მეფემ დადეს: „ჰყვეს ზავი განჩინებითა საზღვრისათა და მტერ-ყოფა მტერთა ზედა, და სიყუარული მტკიცე“. ამრიგად, შეთანხმება შემდეგს ითვალისწინებდა: 1) თავის სამფლობელოებს შორის საზღვრის დადგენას, 2) ურთიერთდახმარებას სამხედრო სფეროში, და 3) მოკავშირეობას ფართო გაგებით. სწორედ ასე გვესმის ავტორის მიერ გამოთქმული „სიყუარული მტკიცე“[326].

---

[319] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ.591.
[320] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.130, გვ.25.
[321] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.570.
[322] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.465.
[323] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.815-816.
[324] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.598.
[325] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.397.
[326] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.571.

მოწინააღმდეგის ძლიერება, როგორც მოკავშირეობის საფუძველი გვევლინება ფეშანგისთან და ვახუშტისთან, მაგალითად:

- როცა ვამეყ დადიანმა გაიგო, შაჰნავაზი იმერეთში აპირებს ლაშქრობასო (როცა იგიც აპირებდა ლაშქრობას და იმერეთის დაკავებას), შეწუხდა, რადგან იცოდა, რომ იგი მასზე ძლიერი იყო: „მათთა შემბმელთა დაჰჴოცენ, მათის აბჯრისა მკრეფეთა“[327]. ამიტომაც გადაწყვეტს დაუთმოს შაჰნავაზს იმერეთი. „სჯობს მივყუეთ მათსა წადილსა, რაც ბძანოს, მისი მქნელია“[328]. დადიანი შაჰნავაზს მოკავშირეობისათვის დამოყვრებასაც შესთავაზებს.
- შაჰი ამბობს, რომ შაჰნავაზმა ბევრი ზიანი შეგვამთხვია, ამიტომაც ზავი ვარჩიეთ, ქონება მივეცით და ამით დავიყოლიეთ, მოკავშირედ ვაქციეთო[329] .
- ბაგრატ იმერთა მეფემ სამცხეში ლაშქრობის მზადებისას, გურიელი სამცხის მიწების ნაწილის მიცემის პირობით მიიმხრო, „ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისათჳს მოერთო“[330].

ცალკე აღნიშვნის ღირსია **კავკასიური ერთიანობის იდეა**, რომელსაც ლეონტი მროველი თავის „ცხოვრება მეფეთაში“ წარმოგვიდგენს.

კერძოდ, ლეონტი მროველი კავკასიელებს საერთო წარმომავლობის ხალხად აცხადებს: „სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, /კავკასიანთა/ და მეგრელთა, ამათთჳსთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს.“[331] ამასთანავე, „თარგამოსიანნი“ ჯერ კიდევ ქართლში მეფობის დაწესებამდე ერთად იბრძვიან მტრის წინააღმდეგ.[332]

როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს: „ამ შემთხვევაში, მგონია, ზემოჩამოთვლილ ერთა ერთთესლოვანი შთამომავლობისა და ძმობის აზრი უფრო პოლიტიკური მეგობრობისა და ერთობის განმტკიცების სურვილითა და მოსაზრებით უნდა იყოს შეტანილი. თუმცა იქნებ ხალხში გარდმოცემით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემოჩამოთვლილ ტომთა მონათესაობაზე“[333], „ლეონტი მროველის ცნობებს ქართველების ჩამომავლობის შესახებ ჩვენთვის ახლა მხოლოდ იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრთა შესასწავლად აქვს მნიშვნელობა. ამ მხრივ, ყურადღების ღირსია, რომ ლეონტი მროველი ქართველებისა და კავკასიის სხვა ერთა შთამომავლობასა და ნათესაობას ყურადღებას აქცევდა და ეხებოდა. ეს უეჭველია იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებისათვისაც ამგვარი საკითხი საგულისხმო ყოფილა.“[334]

მართლაც, თუკი ლეონტი მროველის თხზულების ზემოაღნიშნულ ცნობებს გავაერთიანებთ (კავკასიელთა საერთო წარმომავლობა, მათი ერთობლივი ბრძოლა საქართველოდან ბერძენთა განდევნისათვის, ამის შედეგად ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოშობა) და ამას XI ს.-ის ქართულ სინამდვილეს შევადარებთ, ფრიად საგულისხმო დასკვნების გამოტანა შეგვიძლია. როგორც მალხაზ მაცაბერიძე წერს, ლეონტი მროველს „სურს რომ ეს იდეა მტკიცედ დაამკვიდროს თანამემამულეთა და მეზობელთა შორის. ლეონტი მროველი ამზადებს ნიადაგს გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფოს იდეის

---

[327] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.302, გვ.55.
[328] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.304, გვ.55.
[329] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.588-589, გვ.100-101.
[330] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.712.
[331] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.VIII, თბილისი, 1974, გვ.178.
[332] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.11-16.
[333] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.VIII, გვ.179.
[334] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.VIII, გვ.181.

დამკვიდრებისათვის. ერთ სახელმწიფოში მოქცეული ეს ერები შექმნიდნენ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას, რომელიც დაუპირისპირდებოდა მეზობელ დიდ სახელმწიფოებს და ეს უკანასკნელნი ვეღარ შესძლებდნენ კავკასიის ხალხთა დაპყრობას“[335].

XI ს.-ის საქართველო ძირითადად, უკვე ერთიანი სახელმწიფოა, რომელიც, ბუნებრივია ბიზანტიის გავლენისაგან საბოლოო გათავისუფლებას ცდილობს. მისი ინტერესებიც უკვე არა მხოლოდ საკუთრივ საქართველოთი იზღუდება, არამედ მთელ კავკასიას სწვდება და, ამ მხრივ, იგი ბიზანტიის მოწინააღმდეგადაც გვევლინება. ამიტომაც ბიზანტია საქართველოს საბოლოო გაერთიანებასა და გაძლიერებას მით უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად ებრძვის. თავის მხრივ, საქართველო სხვა კავკასიელი ხალხების მიმხრობით ცდილობს ბიზანტიის ექსპანსიას წინ აღუდგეს.[336]

რას ემყარებოდა ლეონტი მროველი თავისი ზემოაღნიშნული ცნობების მოწოდებისას და რამდენად შეესაბამება ისინი ჭეშმარიტებას, სხვა საკითხია. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ მემატიანე ცდილობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტას იდეოლოგიური საფუძველი მოუძებნოს. განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია, რომ ფაქტობრივად ლეონტი მროველი კავკასიური ერთიანობის იდეის პირველი მქადაგებელია. თუკი ამ იდეას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისით შევხედავთ, ეს არის პატარა ქვეყნების რეგიონული კოალიციისა და, უფრო მაღალ საფეხურზე, ინტეგრაციის შექმნის მცდელობა. რეგიონული ბლოკებისა და ინტეგრაციის განვითარებამ თანამედროვე მსოფლიოში უპრეცედენტო ხასიათი შეიძინა. ასე რომ, ლეონტი მროველის კონცეფციას თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდომ პერიოდში კავკასიური ერთიანობის იდეა ისევ ამოტივტივდა.

§ 9. მშვიდობა

მშვიდობის საკითხზე მსჯელობისას მეტად საყურადღებოა პეტრე იბერიელის შეხედულებები, რომლებიც ნაშრომის „საღმრთოთა სახელთათვის“ თავ *ია*-შია გადმოცემული.

თუკი პეტრე იბერიელის მოსაზრებებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კუთხით განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ავტორს სხვადასხვა ეთნოსების გაერთიანების, თანხმობის, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ინტეგრაციის საფუძვლად მშვიდობა მიაჩნია და არა, ვთქვათ ძალა, ძალადობა. სწორედ მშვიდობა აცხრობს ხალხებს შორის წინააღმდეგობას, ბრძოლას („ტომითსა მას ბრძოლასა“) და მათი გაერთიანების საფუძველია („თანა-მოკარვეობად შეაერთებს“). ამ გაგებით მშვიდობა არის არა დროებითი დაზავება მოწინააღმდეგე მხარეებს შორის, არამედ მყარი სტაბილურობა და, ამავე დროს, „ერთნებაობა“ და „ერთგანზრახვობა“. მშვიდობა აერთიანებს, ათანაბრებს განსხვავებებს, განსხვავებულ ინტერესებს. მისკენ სწრაფვა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და ავტორის აზრით არის კიდეც - „ყოველთა მისსა მიმართ სურის“. ასეთი გაგებით, მშვიდობა მყარი მოკავშირეობა და გაერთიანებაა, მაგრამ, ამავე დროს, მშვიდობა „ყოველთა ურთიერთას შეზავებულ ჰყოფს შეურევნელითა მით ერთობითა მათითა, რომლითა დაღათუ განუყოფელად და

---

[335] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.16.

[336] მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XIს.-ის 80-იანი წლებიდან XIს.-ის 80-იან წლებამდე, საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, გვ.170-196, 245-249.

განუწვალებლად შეერთებულ არიან ურთიერთას, არამედ ეგრეთცა ჰგიესვე რომელობაჲ მათი სახესავე და წესსა ზედა თითოეულისა.“[337]

გაერთიანება მშვიდობის საფუძველზე, ჩვენს შემთხვევაში ერებისა, მათ აღრევას, მათი ინდივიდუალური სახის დაკარგვას არ ნიშნავს. პირიქით, ავტორის აზრით, სწორედ ის არის ჭეშმარიტი მშვიდობა, როცა განსხვავებულნი თანაარსებობენ, როცა განსხვავებული მისწრაფებების, ინტერესების შეთანხმება ხდება. მართლაც, სადაც ერთფეროვნებაა, იქ დაპირისპირებაც აღარ არის და, აქედან გამომდინარე, მშვიდობის საჭიროებაც.

მსოფლიოს წინაშე ოდითგანვე დილემის სახით დგას ცალკეული სახელმწიფოებისა თუ ერების სამართლიანი და ბუნებრივი ლტოლვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, რაც კონფლიქტებს იწვევს და, მეორე მხრივ, მშვიდობის სურვილი და საჭიროება. ავტორისეული მიდგომით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნამდვილი, მტკიცე მშვიდობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი და მხოლოდ ისაა, როცა საერთაშორისო ურთიერთობების თითოეული სუბიექტის თვითმყოფადობა, სუვერენიტეტი, ხელშეუხებელია.

იმისათვის, რომ მშვიდობა მართლაც მტკიცე იყოს, საერთაშორისო ურთიერთობების თითოეული სუბიექტი საერთაშორისო ცხოვრებაში თავის როლს უნდა ასრულებდეს, როგორც ეს ჩამოყალიბებული და დამტკიცებულია; ჰქონდეს იმის საშუალება იღებდეს და ინარჩუნებდეს იმ ძალებს, რესურსებს, რომელთა მეშვეობითაც არსებობას, თვითმყოფადობა-სუვერენიტეტს ინარჩუნებს.

მშვიდობის დარღვევის საფუძველია „სხუებრიობა“ და „არა ყოველთა მიერ სასურველ-ყოფა მშვიდობისა“[338], ანუ განსხვავება და მშვიდობის სურვილის არქონა.

რაც შეეხება განსხვავებას: „არარაჲ არს არსთაგანი ყოვლითურთ განვრდომილი ერთობისაგან“[339] ანუ, ჩვენთვის საინტერესო კუთხით რომ შევხედოთ, საერთაშორისო ურთიერთობების ყოველი სუბიექტი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია საერთაშორისო სისტემასთან, დანარჩენ მსოფლიოსთან, ამიტომ მშვიდობა იმ დადებით კავშირებზე უნდა აიგოს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ სუბიექტს დანარჩენ მსოფლიოსთან აკავშირებს და საერთოდ სუბიექტებს აკავშირებს ერთმანეთთან. „რამეთუ ყოვლად დაუდგრომელ და განუზომელ, დაუმტკიცებელ და შეუსაზღვრელ დაბადებულთაგანი რაჲმე არცა არს არს არსთა შორის“[340], ანუ არ მოიძებნება საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე სუბიექტი, რომელსაც მშვიდობა არ სურდეს და მუდამ ომი, წინააღმდეგობა შეეძლოს, არც იმდენად დიდი სუბიექტებია, რომ ყველა დანარჩენს თავისი ნება იძულებით მოახვიოს თავზე.

რაც შეეხება მათ, ვისაც მშვიდობა არ სურთ და მადესტაბილიზირებელ როლს ასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობებში, სინამდვილეში სურთ მშვიდობა, მაგრამ ასეთი გზით წარმოუდგენიათ მისი მიღწევა.

ავტორის აზრით, ასეთ პირობებში მხოლოდ ღმერთს შეუძლია მშვიდობა დაამყაროს, მხოლოდ მისი ძალით შეიძლება ეს მოხდეს, “რომლისა მიერ არღარა ვისწავებთ მერმეცა ბრძოლად.”[341]

---

[337] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები (ეფრემ მცირის თარგმანი), გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1961, გვ.89.

[338] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.

[339] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.

[340] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.

[341] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.

ეს იდეალისტური თვალსაზრისი არ არის. პეტრე იბერიელი არ ამტკიცებს, რომ ადამიანებს, სამყაროს დამოუკიდებლად, თავისთავად შეუძლიათ მშვიდობის საწინააღმდეგო ტენდენციები ჩაახშონ საკუთარ თავში, იგი ამის შესაძლებლობას მხოლოდ ღმერთს მიაწერს და ამტკიცებს იმას, რომ თეორიულად, საფუძვლები მყარი მშვიდობის დამყარებისა სამყაროში არსებობს, რადგან, ეს უკანასკნელი, ღვთის შექმნილია, მშვიდობისა და ყოველგვარი სიკეთის საწყისისა. ღმერთი აძლევს ადამიანს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას, ისევე როგორც სხვა სიკეთეებს, მაგრამ სხვა საქმეა თუ თვით ადამიანი როგორ იყენებს ამ საშუალებებს.

მშვიდობის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო თვალსაზრისს გამოთქვამს თამარის პირველი ისტორიკოსიც. კერძოდ, ომი მშვიდობის, ანუ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრესი იარაღია. ცნობილმა გამოთქმამ - „თუ გინდა მშვიდობა ემზადე ომისთვის“ – მემატიანის თხზულებაში თავისებური გამოვლინება ჰპოვა. საქართველოს მდგომარეობის აღწერისას ავტორი არაერთხელ აღნიშნავს, რომ იყო „მშვიდობა და მტერთა მძლეობა“[342]. ასე რომ, ავტორის კონცეფციით, მშვიდობა არა საომარი მოქმედებების არარსებობაა, არამედ ასეთი მოქმედებების არარსებობა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მის გარეშე მტერთაგან დაცვა და მათზე გამარჯვება. ამ გაგებით, „მშვიდობის ყოფა“ მეფის უმნიშვნელოვანეს მოვალეობათაგანია.[343]

სულხან-საბაც მეფისათვის აუცილებელ თვისებად მშვიდობის დაცვას ასახელებს. „წიგნში სიბრძნე სიცრუისა“ მოტანილ „მეფეთა წესში“ სამართლიანობა, წესრიგი, თავდაცვისუნარიანობა არაერთხელ ფიგურირებს: „უქრთამო სამართალი“, „სიმართლე უზაკველი“, „ზავთი *(დაშინება – ვ.კ.)* მართებული“, „მეკობრეთაგან მორჩენა“, „ზღუდე ქალაქთა“. ცხადია, ყოველივე ამის მიღწევა ძალის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ძალა, მისი ზრდა, „სამეფოთა მომატება“[344] არ დგას ყურადღების ცენტრში. „მეფეთა წესის“ საჭიროების დასაბუთებაშიც სტაბილურობასა აქვს ხაზი გასმული და არა სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერებას, ტერიტორიის ზრდას და ა.შ.: „რომელმან ჰყოს იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“[345].

ამ მხრივ, სულხან-საბა უფრო შორსაც მიდის. თავის „სწავლან“-ში იგი პირდაპირ მოუწოდებს ძალაუფლების მქონეთ: „ნუ აღიჭურვი ჯაჭვითა, ნუ განეწყობი მჴედრებითა, ნუ აღიღებ მახვილსა“ [346], „არა ნეტარ-ჰყოფს ქრისტე მძლავრთა, არცა გმირთა, არცა ქვეყნისა მაოხართა, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით რმვ ფსალმუნსა შინა: „სხვილბარკალი მამაკაცისა არა სთნდეს უფალსა, არამედ სთნდეს მოშიშნი მისნი“ (ფსალმუნი 146, მუხლი 10-11).“[347]

ამგვარად, სულხან-საბა პირდაპირ მოუწოდებს ძალაუფლების მქონეთ აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე, არააუცილებელ ძალადობაზე უარის თქმისაკენ. ასეთი რამ, იშვიათი შემთხვევაა შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. მართალია, „მართალი სამართლის“ იდეა მუდამ პოპულარული იყო, სუსტის დათრგუნვა, დამარცხებულ, ტყვედ

---

[342] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II გვ.48,54-55.

[343] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.35.

[344] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართული მწერლობა, ტ.4, რედაქტორი ს.ცაიშვილი, თბილისი, 1988, მ.1584.

[345] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.49.

[346] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა სიმშვიდისათვის, სწავლანი, მ.382, გვ.128.

[347] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა სიმშვიდისათვის, სწავლანი, მ.382, გვ.128.

ჩავარდნილ მტერზე ანგარიშსწორება დასაძრახის საქციელად ითვლებოდა[348], მაგრამ პირდაპირი მოწოდება აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე, არააუცილებელ ძალადობაზე უარის თქმისა განსაკუთრებული მოვლენაა შუა საუკუნეების ქართული აზროვნებისათვის. მეტიც, სულხან-საბა ამ მხრივაც სცილდება რომელიმე ეპოქის ჩარჩოებს.

საინტერესოა, ქართველი მოზროვნეების მიერ მშვიდობის მიზეზების აღწერა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრებიდან.

ვახუშტის თანახმად, ლუარსაბ II ქართლის მეფეს (XVII ს დასაწ.) „აქუნდა ჟამი მშჳდობისა, რამეთუ კახნი მოყუსობდნენ და ყეენი უცალო…იყო და ხონთქარცა ეგრეთვე უცალოებდა“[349]. ამრიგად, მშვიდობის მიზეზი პატარა ქვეყნისათვის ხდება, ერთი მხრივ, მოკავშირეობა, მეორე მხრივ კი მეზობელი დიდი ქვეყნების მოუცლელობა, მოცემული პატარა სახელმწიფოს საქმეებში ჩაერიონ.

ვახუშტის მიხედვით, მშვიდობის მიზეზი ძალთა დისბალანსიც შეიძლება იყოს. ახალციხის ფაშა ისაყთან (XVIII ს.) ყიზილბაშთაგან გამოქცეულმა ვინმე შანშემ შეაფარა თავი. შაჰ ნადირმა ისაყს შანშეს დაბრუნება მოსთხოვა. „მაშინ ისაყ-ფაშამ აღირჩია მშვიდობა, რამეთუ ეშინოდა მისგან მორბევისა და მოოჴრებისა ქუეყნისა“ და გაგზავნა შანშე.[350]

მოწინააღმდეგის ძლიერება ხდება ომის შემაკავებელი ფაქტორი „შაჰნავაზიანის“ მიხედვით. სულთნის აზრით, შაჰნავაზმა უკანონო საქციელი ჩაიდინა, როცა თურქთა ვასალ ქვეყანაში ილაშქრა და იქ თავისი ვაჟი დასვა მეფედ (დასავლეთ საქართველოში), სულთანი მაინც ერიდება მის წინააღმდეგ ლაშქრობას: „ქართუელთა ომი არ გუინდა, არიან კაცად ქუელია“[351]. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ქართული სახელმწიფოები, სულთანს მოცემულ მომენტში არ უღირს მათთან ომის წამოწყება. ეს „სუსტის ძლიერების“ ფენომენია.

ამავე დროს, ირანის შაჰი, თავისი ვასალის, შაჰნავაზის ამ ნაბიჯს თურქების წინაშე იმით ამართლებს, რომ შაჰნავაზმა იმერეთში მშვიდობა და წესრიგი დაამყარა, ხოლო იქ მეფედ დასმული თავისი ვაჟი თურქებს საყმოდ მისცა. ამგვარად, ნაწარმოების მიხედვით, გამართლებულია საერთაშორისო სისტემის ერთი სუბიექტის მიერ მეორეში, ამ უკანასკნელის მიწვევის გარეშე, მშვიდობისა და წესრიგის დამყარება[352].

---

[348] მაგალითად ჯუანშერი აღწერს შემთხვევას, როცა ვახტანგ გორგასალმა ტყვედ ჩავარდნილი მტერი დაინდო (ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955, გვ.171); საყურადღებოა ასევე ეგრისის მეფე გუბაზის (VI ს.) ელჩების მიმართვა სპარსეთის შაჰისადმი (პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.2, თბილისი, 1965, გვ.77) და სხვა.

[349] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.420.

[350] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.740.

[351] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.585, გვ.100.

[352] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.591, გვ.101.

თავი 5. ეროვნული ინტერესები, პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში

§ 1. ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოება

ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების თემას არაერთი ქართველი მოაზროვნე, თუ სახელმწიფო მოღვაწე ეხება.

სუმბატ დავითის ძის აზრით, ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, გონიერი საქციელია, ხოლო ისინი, ვინც ასე არ იქცევიან, არიან „უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“.[353]

იოსებ ტფილელის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების დაცვა უმნიშვნელოვანესი ეროვნული ინტერესია. „დიდმოურავიანის“ მთავარი გმირი, გიორგი სააკაძე აცხადებს: „ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა“[354]. ბრძოლაში გამარჯვების მერე ქართველები ამბობენ: „რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაკაი ისე ვჰქენით“[355].
ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა მოქალაქეთა ვალდებულებაა. „დიდმოურავიანში“ მეფე ამგვარად მიმართავს მეომრებს: „დღეს, ქართველნო, ვით გმართებდა ჰქენით ბრძოლა, ვფიცავ, რომე ჩემისთანა არვისა ჰყავს ყმისა ყოლა“[356].

ეროვნული ინტერესებისათვის სიცოცხლის გაწირვა გამართლებულია. იმავე „დიდმოურავნიაში“ დიდებულები ლუარსაბ მეფეს ეუბნებიან: „ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი“[357].

პოემის მიხედვით, გიორგი სააკაძე მზადაა ეროვნული ინტერესებისათვის თავი გასწიროს: „ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული! მათ მოჰფენოდათ კეთილად მზეს ემზო დარი დარული, და მათთან სიკვდილსა ვჯერვიყავ“[358].

ეროვნული ინტერესებისათვის მსხვერპლის გაღება მისაძაბ მაგალითადაა მოყვანილი არჩილთანაც. ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ შაჰ აბასი ლუარსაბ ქართლის მეფეს, რომელიც იმერეთშია შეხიზნული თავისთან იბარებს. სხვა მეფეები ლუარსაბს დარჩენას ურჩევენ, მოგკლავს ან დაგატყვევებსო. ლუარსაბი არ რჩება „ქართლი ყონ ცეცხლ-მოდებული?!“-ო[359].

გიორგი სააკაძე ამბობს: „მე შვილს დავსთმობ ქვეყნისათვის“[360]. ზურაბ ერისთავი კი იძულებულია ცოლის დაკარგვას შეეგუოს, რომელიც შაჰმა მძევლად დაიტოვა „მეც მოვითმენ ქართლისათვინ“-ო, ამბობს იგი[361]. არჩილი ასე აფასებს მათ საქციელს:

„სახელისათვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდათ სცოდეთ?

---

[353] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზულ., გვ.59.
[354] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.43.
[355] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.
[356] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.
[357] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.19.
[358] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.21.
[359] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.516, გვ.287.
[360] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.594, გვ.304.
[361] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.596, გვ.304.

რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?

აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!“[362].

არჩილისათვის ქვეყნის შიდა სიმტკიცე, ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტია:

„მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს?!

მძლავრისა მტრისაც კიდევე ერთს რასმე გზასა გაიღებს.

თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მიიღებს,

ვინ გარდაჰკიდებს ამათა, ჩემთ სისხლით ხელსა შეიღებს.“[363]

იგივე აზრს ვხვდებით დავით გურამიშვილთანაც. „დავითიანში“ იგი ქართლსა და კახეთს ერთმანეთში მოჩხუბარ მამლებს ადარებს, რომლებიც ერთმანეთთან ბრძოლით ქანცმილეულნი ძაღლის, ანუ გარეშე მტრის საკბილოდ იქცნენ[364]. ქართველთა უბედურება, სახელმწიფოს დაქცევა იწყება მეფის, ხელისუფლებისადმი ხალხის დაუმორჩილებლობით, შემდეგ კი მტრებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებით[365].

ქვეყნის შიდა სისუსტე გარე აგრესიას ახალისებს. ირანთან დაკავშირებით გურამიშვილი წერს, რომ შაჰ თამაზის უნიათობამ, ქვეყნის პატრონობის უუნარობამ ის გამოიწვია, რომ

„სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღმოსავლეთით ავღანი:

ჩრდილეთის მხარეს რუსეთსა გილანით მისცა დავღანი (გადასახადი - ვ.კ.),

დაღისტნით ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშ-ყავლანი“[366].

ვახუშტი საქართველოს დაშლის მიზეზებს განიხილავს და თვლის, რომ ეს მოხდა „შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან“[367]. ანუ, შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენის შედეგად.

იგი შემდეგსაც დასძენს, „არღარა იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნვიდა მეფე სუფევისა და ქუეყანისათჳს, გარნა განცხრომისათჳს…ამისთჳს მიიტაცეს მთავართა თჳს-თჳსნი მჴარენი, ქუეყანა-ციხე-სიმაგრენი სამეფოთანი“[368]. ასე რომ, ვახუშტის აზრით, ეროვნული ინტერესების დაცვა უშუალო კავშირშია მოქალაქეთა, და, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ელიტის სულიერ-ზნეობრივ მდგომარეობასთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეფე გუბაზის სიტყვა, რომლითაც მან 550 წ. მდ. ცხენისწყლის ნაპირას, ბრძოლის წინ თავის მეომრებს მიმართა: „საფრთხე არსებობს... სამშობლო ქვეყნისთვის...არავინ არ დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის.“[369] მეფე გუბაზი ხატავს იმ საფრთხეს, რომელიც ეგრისელებს ემუქრებათ: 1) საფრთხე, რომელიც მოსახლეობის სიცოცხლეს ემუქრება; 2) საფრთხე, რომელიც ადამიანის პირად თავისუფლებებსა და უფლებებს, მის ღირსებას ემუქრება; 3) ეკონომიკური საფრთხე - მტერი მატერიალურ ზარალსაც მიაყენებს ხალხს; 4) საფრთხე ქვეყნის მოსახლეობის მორალურ მდგომარეობასაც ემუქრება, რადგან „ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ველარ

---

[362] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.610, გვ.308.

[363] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.987, გვ.392.

[364] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ.85.

[365] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ.83-84.

[366] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.187, გვ.89.

[367] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.292.

[368] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.443.

[369] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.148-149.

აღორძინდება,“[370] ანუ დამარცხებისა და მტრისადმი დამორჩილების შემთხვევაში, ეგრისის მოსახლეობას დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის, მისთვის ბრძოლის უნარის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. და ბოლოს, ეს საფრთხე საყოველთაოა, ეროვნულია, რადგან იგი სახელმწიფოს არა მხოლოდ ერთ ნაწილს, არამედ მთელ „სამშობლო ქვეყანას“ ემუქრება, ამიტომაც მისი თავიდან აცილება ეგრისის ეროვნული ინტერესია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუბაზი ლაპარაკობს როგორც რიგითი მეომარი, რომელმაც სხვებთან ერთად უნდა გაინაწილოს მომავალში ავიცა და კარგიც. იგი არ უსვამს ხაზს სხვებზე თავის აღმატებულებას, არც მისდამი, როგორც მეფისადმი ერთგულების საჭიროებას შეახსენებს მებრძოლებს, რაც მის დიპლომატიურ ალღოზე მიუთითებს, ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაურისათვის აუცილებელ უნარზე ქვეყნის გაჭირვების ჟამს ხალხს უჩვენოს, რომ იგი მათ გვერდით დგას და ამით მოქალაქეთა მორალური დონე ასწიოს, სახელმწიფოს ძალთა კონსოლიდაცია მოახდინოს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გუბაზის სიტყვა ნამდვილი სახელმწიფო მეთაურის სიტყვაა, რომელიც თავის თანამოქალაქეებზე ზრუნვითა და ქვეყნის ნორმალური არსებობისათვის საჭირო პირობების ღრმა ცოდნითაა გამსჭვალული.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ფარტაძის მოსაზრებანი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. მისი თქმით „უკეთესი გადაწყვეტილება მხოლოდ კრიტიკული სჯა-ბაასის, საყოველთაო განხილვისა და მსჯელობის გზით შეიძლება მივიღოთ, რადგან წარმოუდგენელია, რომ ხალხი ცდებოდეს. ამიტომ კოლხეთის სახელმწიფოში დაარსებულმა სახალხო კრებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საჯარო განხლივის შედეგად უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად.“[371]

ჯუანშერის თხზულების მიხედვით, ეროვნული ინტერესების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიას. პოლიტიკური წარუმატებლობით შეწუხებული ქართველების ზემოაღნიშნულ სიტყვებში - „ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“, ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიზნად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ცხადდება. იგივე ჩანს სპასპეტ ჯუანშერის მიმართვაში ვახტანგ გორგასალისადმი: „შენ მიერ მოველით... წარმატებასა საზღვართა ჩვენთასა ყოვლისა ჟამისასა.“[372]

მეტად საყურადღებოა, რომ ქართლის ეროვნული ინტერესების არეალში ქრისტიანობის არა მარტო თვით ქართლში დაცვა ექცევა, არამედ მთელ მსოფლიოშიც. სინდთა წინააღმდეგ სპარსეთის ლაშქრობაში მონაწილეობას ვახტანგი სწორედ იმით ამართლებს, რომ „ჩემითა აქა მოსვლითა პირველად გამომიხსნია იერუსალიმი...და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყვენვად ყოვლისა საქრისტიანოსა.“[373]

საქართველო - მთელი ქრისტიანული სამყაროს ინტერესების დამცველი, თავის გატოლება ბიზანტიასთან, მისი მემკვიდრეობის დაჩემება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს თემა ქართულ აზროვნებაში მხოლოდ XII-XIII სს.-ში, საქართველოს ძლიერების მწვერვალზე გახდა განსაკუთრებით პოპულარული, მაგრამ უეჭველია, რომ ამის წინაპირობები ადრეც იყო. ჯუანშერთან უკვე აშკარა და გაბედულ აზრს ვხვდებით. ვახტანგ გორგასალი ქართულ

[370] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.148-149.
[371] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.32.
[372] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.149.
[373] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.192.

აზროვნებაში უდიდეს მეფეთა რიცხვს ეკუთვნის. შემთხვევით როდი იხსენიება ქართული დროშა "გორგასლიანად და დავითიანად"[374]. საქართველოს საბოლოო გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეტად დაძაბულ პერიოდში, XI ს.-ში ვახტანგის სახე სამაგალითო, ხოლო მისი პოლიტიკა საპროგრამო ხასიათის მატარებელი იყო. ფაქტობრივად, IX-XIII სს.-ის ქართული პოლიტიკა (მონღოლთა შემოსევამდე) ვახტანგ გორგასლის პროგრამის გაგრძელებასა და დაგვირგვინებას წარმოადგენდა, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის ქართულმა აზროვნებამ წინაპართაგან თავის მთავარ იდეალად სწორედ ეს მეფე აღიქვა.

ვახტანგ გორგასლის, როგორც მთელი ქრისტიანული სამყაროს ინტერესების დამცველის სახის წინ წამოწევა, ერთი მხრივ, იმედის მომცემი იყო XI ს.-ში, ქვეყნის დამოუკიდებლობა-ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში, მეორე მხრივ კი, ქართული აზროვნების გაქანებაზე, შორსმჭვრეტელობაზე, ქვეყნის ინტერესების, მიზნების, ხანგრძლივი პერსპერქტივით განსაზღვრის უნარზე მეტყველებს.

ეს ტენდენცია მომდევნო პერიოდის ქართველ მოაზროვნეთა თხზულებებშიც გამოსჭვივის. მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსი, შავთელი, ჩახრუხაძე, ფეშანგი, არჩილი სხვადასხვა დროს მოღვაწე ქართველ მეფეებს ვახტანგ გორგასლის საქმის გამგრძელებლებად მოიხსენიებენ;[375] ანუ მათთვის ქვეყნის ეროვნული ინტერესების ბირთვი საუკუნეთა და ეპოქათა განმავლობაში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დგას სახელმწიფოს სათავეში, უცვლელია.

ამ კუთხით, ასევე საგულისხმოა იმერეთის დახასიათება ფეშანგისთან. „შაჰნავაზიანის" მიხედვით, ეს მცირე, რესურსებით ღარიბი და ამიტომაც ურგები მხარეა, მაგრამ საქართველოსათვის დიდი ისტორიისა და მნიშვნელობის მქონეა. ის დიდი მეფეების სადგომი იყო, საქართველოს გაერთიანება სწორედ აქედან მოხდა. ამიტომ მას, მის ფლობას საქართველოსათვის დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.[376]

ქართველი მოაზროვნეების აზრით, მეფე მთელი ერის ინტერესებისათვის უნდა ზრუნავდეს და არა მისი რომელიმე ფენისა თუ კლასისათვის. „ვეფხისტყაოსნის" თანახმად, პატრონ-ყმური ურთიერთობა ქვეყნის შიგნით, თუ მისი საგარეო გავლენის სფეროში, რაზეც ზემოთ ნაწილობრივ აღვნიშნეთ, იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია მთელ სახელმწიფოს ისე „უპატრონოს", როგორც თავის ოჯახს, ანუ დღევანდელი სიტყვით რომ ვთქვათ, არა მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები დაიცვას, არამედ მთელი ქვეყნის ინტერესები და უსაფრთხოებაც. ამ აზრის ნათელ დადასტურებას თუნდაც შემდეგი სიტყვები წარმოადგენს, რომელთაც ინდოეთის მეფე, ფარსადანი თავისი სახელმწიფოს მომავალ მეფეზე, თავის მემკვიდრეზე ბრძანებს:

„სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ"[377].

---

[374] მაგალითად, იოანე შავთელი (XII-XIII სს.-თა მიჯნა), აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ.595.

[375] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბილისი, 1959, გვ.4.; იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.329; ჩახრუხაძე, მ.9, გვ.559; ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.42, გვ.10; არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.429-432, გვ.269-270.

[376] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.619, გვ.106.

[377] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.504.

როგორც მალხაზ მაცაბერიძე წერს, რუსთაველი „ქადაგებს ჰუმანიზმს – მონებისა და ყმებისადმი ადამიანურ დამოკიდებულებას და ქველმოქმედებით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები. . .შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“. რუსთაველს პატრონ-ყმურ ურთიერთობაში შექვს „მამა-შვილური“ დამოკიდებულებისა და სიყვარულის ელემენტები: „სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“[378].

რუსთაველის აზრით, ეროვნული ინტერესები სახელმწიფოში ყველაზე მაღლა დგას. სამაგალითოა ინდოეთის ერთ-ერთი ნაწილის განმგებლის, სარიდანის საქციელი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებს და თავის სამფლობელოს მთელი დანარჩენი ინდოეთის მეფეს, ფარსადანს ნებით გადასცემს.[379]

რუსთაველი უფრო შორსაც მიდის და, ფაქტობრივად, ამბობს, რომ ეროვნული ინტერესები მეფეზე მაღლაც დგას. იგი „მართალი სამართლის“ პრინციპით ამართლებს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ჩანაფიქრს მოკლან მეფე ფარსადანის მიერ მისი ერთადერთი ქალიშვილის, ნესტან-დარეჯანის საქმროდ მოწვეული ხვარაზმელი უფლისწული, რადგენ ეს ინდოეთში უცხოელთა გაბატონებას ნიშნავს და, ამდენად, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამასთანავე, როგორც ვ.აბაშმაძე აღნიშნავს, რუსთაველის აზრით, „ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კოლიზიის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ტარიელისა და ნესტანის შეუღლება და მათი სამეფო ტახტზე ერთდროული ასვლაა“[380]. ამასთან დაკავშირებით სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგენ ეს ჩვენი ინტერესების სფეროს სცილდება. ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის პოზიცია შემდეგ ფრაზებში გამოიხატება:

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“[381];

„სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,

ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,

არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა!“[382]

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“[383].

როგორც ვ.აბაშმაძეც აღნიშნავს, პოემის ეს ეპიზოდი ანარეკლი უნდა იყოს იმ უარყოფითი შედეგებისა, რასაც თამარისათვის საქმროდ რუსი უფლისწულის მოწვევამ მოიტანა. „საერთოდ, მშვიდობისა და საზოგადოებრივი სოლიდარიზმის მეხოტბე რუსთაველი ამ შემთხვევაში მართლზომიერად თვლის მეფისადმი წინააღმდეგობის გაწევას“[384]. მაგრამ აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ნესტანისა და ტარიელის გათვლით, მათმა ქმედებამ ქვეყანაში შინაომი არ უნდა გამოიწვიოს. შექმნილი მდგომარეობა (ამირბარ ტარიელის აჯანყება, ხვარაზმის სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის საშიშროება, ანუ ერთდროულად საშინაო და საგარეო საფრთხე) მეფე ფარსადანს აიძულებს ტარიელს

---

[378] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.27.

[379] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართული მწერლობა, ტ.4, თბილისი, 1988, მ.308-314.

[380] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.152. მონარქისადმი რუსთაველის დამოკიდებულების საკითხზე იხილეთ აგრეთვე გიორგი მჭედლიშვილის „შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი““, თბილისი, 2000, გვ.59-71.

[381] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.535.

[382] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.539.

[383] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.524.

[384] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.142.

მიათხოვოს თავისი ქალიშვილი და, ამდენად, სამართლიანობა აღდგეს ისე, რომ ქვეყნის სტაბილურობას საფრთხე არ დაემუქროს. ხოლო თუკი ტარიელი თავიდანვე აღუდგებოდა წინ მეფის გადაწყვეტილებას სასიძოს მოყვანის შესახებ, როგორც ნესტანი ბრძანებს:

„ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!“[385]

როგორც ვხედავთ, ეროვნულ ინტერესებზე აქაცაა ყურადღება გამახვილებული. ამავე დროს, ისიცაა საგულისხმო, რომ რუსთაველს უფრო მნიშვნელოვნად სახელმწიფოს შიდა სიმტკიცე მიაჩნია, ვიდრე საგარეო საფრთხის თავიდან აცილება. როგორც დავინახეთ, როცა ნაწარმოების გმირები, დილემის წინაშე დგანან, შიდა არასტაბილურობას შეეგუონ, თუ გარეშე საფრთხეს, ისინი უკანასკნელს ირჩევენ.

ხვარაზმის უფლისწულის ამბავი იმასაც ნათელჰყოფს, რომ ნესტანი და ტარიელი საჭიროდ თვლიან თავიანთ ქმედებას ლეგიტიმური საფუძველი მოუძებნონ, ასეთად კი „მართალი სამართალი“ და ეროვნული ინტერესები გვევლინება.

ვ.აბაშმაძის თქმით, „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულია, „ის დიადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და შეხედულებები, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობის დასაბუთებას ისახავენ მიზნად“[386]. მეცნიერი იმასაც წერს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „გადმოცემული მეცნიერულად გააზრებული თეორიული დასკვნები და სახელმწიფოს მართვის რეკომენდაციები არა მარტო XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანარეკლია, არამედ, ამასთან ერთად, ისინი წარმოადგენენ რჩევა-დარიგებას...საქართველოს მეთაურობით შექმნილ საერთოკავკასიურ სახელმწიფოში შემავალ...მოსახლეობაზე და სხვადასხვა სარწმუნოებისა და ჩვევების მქონე ხალხებზე რა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით შეიძლება განხორციელებულ იქნეს ქართული სახელმწიფოებრიობა“[387]. კერძოდ, ვ.აბაშმაძის აზრით, შოთა რუსთაველი საზოგადოებრივი სოლიდარობის, კლასობრივი ზავისა და საყოველთაო მშვიდობის იდეებს ქადაგებს, რაც წარმოადგენს კიდეც „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ თემასა და იდეას.[388] ამ მხრივ, მეცნიერი დავით IV-სა და თამარის ისტორიკოსებთან ავლებს პარალელს და თვლის, რომ ამ პერიოდის ქართული სამეფო კარისათვის ზემოაღნიშნულ პრინციპზე დამყარებული პოლიტიკაა სწორედ დამახასიათებელი.

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, ვ.აბაშმაძეს, მაგალითისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ ფინალი მოჰყავს, სადაც პოემის გმირების ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის სახელმწიფოებრივი საქმიანობაა შექებული და შემდეგიცაა ნათქვამი:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ ქვივრნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“[389];

აგრეთვე:

---

[385] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.534.
[386] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.128.
[387] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.127.
[388] პოემის მთავარ თემად და იდეად სხვადასხვა მეცნიერმა თუ პირმა შეიძლება სხვადასხვა რამ აღიქვას და, ალბათ „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების დიდი ღირებულებაც სწორედ ამაში ვლინდება.
[389] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1164.

„ფილოსოფოსნი შემოკრბეს, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
პატრონი ყმასა რითა სჯობს და ჭკუას გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა:
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.“[390]

მსგავს აზრს გამოთქვამს მალხაზ მაცაბერიძეც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორთან დაკავშირებით: მისი „სოციალური შეხედულებანი განსაზღვრულია მის დროს გაბატონებული პატრონყმური ურთიერთობის კოდექსით, ამ კოდექსის ფარგლებიდან იგი არ გამოდის. სახელმწიფოს წარმატებად ესმის არა მარტო „პატრონის“, არამედ „ყმის“ კეთილდღეობაც, აღტაცებულია, რომ თამარის მეფობაში არა მარტო „აზნაურნი გადიდებულდეს და დიდებულნი გახელმწიფდეს“, არამედ „ქვეყნის მოქმედნიც (გლეხები) გააზნაურდეს“–ო.“[391]

ჩვენი ყურადღება შემდეგმა საკითხმაც მიიპყრო: გიორგი მთაწმინდელის მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას, ივ.სურგულაძე წერს: „ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელი ქართულ ეკლესიაში დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო.“[392] თავისი საქმიანობით იგი ცდილობს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის უსამართლო უთანასწორობა მოსპოს. ეკლესიაში იგი გაბატონებულ ფეოდალებს უტევს. გიორგი ბაგრატ მეფესაც მოუწოდებს, რათა „არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ, გინა მცირისა“ და „უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა.“[393]

იგივე შეიძლება ითქვას გიორგი მერჩულეს მიერ დახატული გრიგოლ ხანძთელის სახის შესახებაც. გრიგოლი ყველას იღებს თავის მონასტერში წოდების მიუხედავად. სასულიერო ფენაში, რომელიც მრავლად შედგება მამა გრიგოლის მოწაფეთაგან და სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობს, ყველა წოდების წარმომადგენელნი არიან. ხელისუფლებთან ურთიერთობისას გრიგოლ ხანძთელი გლახაკთა მიმართ მოწყალებისა და „ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაზე“ ამახვილებს ყურადღებას[394]. ასე რომ, გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მთაწმინდელის შესახებ სამართლიანად შეიძლება ითქვას იგივე, რასაც ვ.აბაშმაძე შოთა რუსთაველთან დაკავშირებით წერს, რომ იგი „საზოგადოებრივი სოლიდარობისა და კლასობრივი ზავის“[395] იდეებს ქადაგებს; ანუ, მისი აზრით, სახელმწიფომ მთელი ერის ინტერესები უნდა უზრუნველყოს და არა მისი ცალკეული ფენისა.

მსგავს იდეებს ქადაგებენ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, შავთელი და ბასილი ეზოსმოძღვარიც. სახელმწიფოს ინტერესები მათთანაც მთელი ერის ინტერესებთან არის გაიგივებული. ისინი წარმოგვიდგენენ თამარის მეფობის დროს შექმნილ საყოველთაო წესრიგისა და კეთილდღეობის სურათს და დასძენენ: „აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა

---

[390] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.138-139.

[391] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.26.

[392] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.71.

[393] გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, თბილისი, 1967 , გვ.162.

[394] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

[395] ვახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, გვ.138-139.

სწორად იმოსებოდეს“[396]; იდეალური მეფეები იწოდებიან, როგორც „ერთა საფარველნი“[397], ისინი არიან მონაცვალე „ღმერთისა სამეფოსა და ერისათვის“.[398]

იგივე შეხედულებებს იზიარებენ გვიანი შუა საუკუნეების ავტორებიც.

ფეშანგი გამოყოფს ქვეყნის სიმდიდრეს, როგორც ეროვნულ ინტერესს. მეფის, პოლიტიკური ლიდერის ერთ-ერთი დანიშნულება, სწორედ ქვეყნის გამდიდრებაა. არჩილზე საუბრისას, რომელიც იმერეთში გასამეფებლად წავიდა, ავტორი წერს: „შექნას ქუეყანა მდიდარი, მას სხუა რა დაედაროსა“[399].

ფეშანგი ვახტანგ V-ზე წერს: „ვინცა უსამართლო რამ იკადრის, თავითგან განაშორიან. ესრეთ მშუიდობა შექნა, ვითა თხა და მგელი სწორად სძოვდიან“[400].

„დიდმოურავიანის“ მიხედვით, გასამართლების დროს სააკაძე ამბობს „დაბალს კაცს ბევრი შევმატი, არ უყვი დიაღ მცრობანი“; ჩემს სახლში იყო: „ყმის სამსახური სამართლით, არავის სჭირდა ძალობა“[401].

კახეთისა და ქართლის მეფე თეიმურაზ II (XVIII ს.) თავის ნაწარმოებში „სარკე თქმულთა“ ხაზს უსვამს ქვეყანაში მიუკერძოებელი სამართლის მნიშვნელობას, რომელიც არ უნდა გადაიხაროს მდიდართა მიმართ და სოციალურად შეჭირვებულთა დაცვა უნდა უზურნველყოს:

„თვით ღმერთი სინჯავს მსაჯულის სამართალს სწორეს მას დღესა,
არ უნდა უდგეს მდიდარსა, საქმეს იქმოდეს სწორესა,
ობოლთ-ქვრივთ შემაწუხებელთ სჩაგრავდეს უუმძლავრესა“[402].

არჩილი ჭკვიან მონასაც მეფეზე წინ აყენებს: „სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა“[403].

ლექსში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ არჩილი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს იმას, რომ მთავარი ადამიანში არის არა მისი გარეგნული დიდებულება, წარმომავლობა, არამედ ზნეკეთილობა და გონიერება. ასეთ ადამიანებს მეფენიც მეტ პატივს სცემენ, ვიდრე მაღალი წარმომავლობისა, თუ თანამდებობის, მაგრამ შეუფერებელი ქცევის ადამიანებს.[404]

არჩილის ნაწარმოებში „ლექსნი ასდაათნი“, „ამ სოფლიო მოწესეთა“ შორის ყველას თავისი როლი და ფუნქცია აქვს სახელმწიფოში, რაც ყველამ ღირსეულად უნდა აღასრულოს, მეფიდან დაწყებული, რიგითი მოქალაქით დამთავრებული. სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის, მეფე ერთ-ერთია და რაიმე უპირატესობით არ უნდა სარგებლობდეს.[405]

---

[396] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.369.

[397] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.605.

[398] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.117.

[399] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.539, გვ.92.

[400] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ.3.

[401] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.49.

[402] თეიმურაზ მეორე, სარკე თქმულთა, თხზულებათა სრული კრებული (გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით), თბილისი, 1939, გვ.54.

[403] არჩილი, ლექსნი ასნი ორმუხლნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.63, გვ.77.

[404] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.292-297, გვ.54-55.

[405] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტფილისი, ტ.1, 1936, მ.61-65, გვ.104. მეფის დანიშნულებასთან დაკავშირებით არჩილის შეხედულებების თაობაზე ასევე იხილეთ ქვეთავში „იდეალური ლიდერი“.

მეფე, პოლიტიკური ლიდერი, როგორც ეროვნული ინტერესების, სახელმწიფოს ყველა სოციალური ფენის ინტერესების დამცველი, ვრცლადაა აღწერილი სულხან-საბასთან, რაზეც ქვემოთა ქვეთავში „იდეალური ლიდერი“ დაწვრილებით შევეხებით.

ცალკე მსჯელობის საგანია სინადვილეში როგორი მდგომარეობა იყო. ამჯერად ამაზე ვერ შევჩერდებით. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ქართველი მოაზროვნეების საკითხისადმი დამოკიდებულების გადმოცემით შემოვიფარგლებით.

§ 2. იდეალური ლიდერი

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, უკვე გარკვეულწილად შეგვექმნა წარმოდგენა ქართველი მოაზროვნეების შეხედულებებზე იდეალური ლიდერის შესახებ. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას იძლევა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი.

იდეალური ლიდერის სახეს საკმაოდ ფართოდ შლის სულხან-საბა. ტიპური, კარგი მეფის მაგალითია „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ში წარმოდგენილი ფინეზის პერსონაჟი. იგი დახასიათებულია, როგორც კეთილი, ქველი, მას „სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა“[406]. ამავე დროს, „მისი შიში და ზარი ესრეთ განფენილ იყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხისა უსაზარლესად მიაჩნდათ“[407]. ამრიგად, სულხან-საბას აზრით, კარგ სახელმწიფოს მეთაურში შერწყმული უნდა იყოს სიკეთე და სიმკაცრე.

სულხან-საბა კარგი მეფის სახეს არა მარტო თავისი ნაწარმოების პერსონაჟის სახით წარმოჩენს, არამედ, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მეთაურის თავისებურ კოდექსსაც კი აყალიბებს, წარმოგვიდგენს რა თავის შეხედულებებს მეფისათვის არა მხოლოდ ზოგადად აუცილებელი თვისებების შესახებ, არამედ -- მეფის დამოკიდებულების თაობაზე სახელმწიფოს მოქალაქეთა თითოეულ ფენასთან მიმართებაში.

თავისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, სულხან-საბას „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს სხვა პერსონაჟის, უფლისწულ ჯუმბერის აღმზრდელის ლეონის პირითა აქვს გადმოცემული:

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმდაბლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში-ჭირსა და ლხინში-ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზღებლობასა.

---

[406] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983, გვ.7.

[407] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.7.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდების შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა."[408]

სულხან-საბა მეფეებს მწყემსებთან აიგივებს, მათ ადარებს: „მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს"[409].

როგორც მალხაზ მაცაბერიძე „წიგნი სიბრძნე სიცრუისა"-ს განხილვისას წერს, „რათა ყველა აქ ჩამოთვლილი მოვალეობანი შეასრულოს, მეფე უნდა იყოს განათლებული, საქმის მცოდნე, ყველაფერში გაგებული…საჭიროა ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა შესაფერისი განათლება მიიღოს…აღსაზრდელმა ცხოვრების ყველა მხარე არა მარტო უნდა შეისწავლოს, არამედ უნდა განიცადოს კიდეც."[410] ამიტომაც „წიგნი სიბრძნე სიცრუისა"-ს პერსონაჟმა ლეონმა უფლისწულ ჯუმბერს ყველა ის გაჭირვება გამოაცდევინა, რასაც მეფის უბრალო მსახურები განიცდიან ხოლმე. „ამიტომაც ქანცავს მსახურებით…რომ მოსამსახურეთა გაჭირვება გაიგოს, წარმოიდგინოს „გლახაკთა და უღონოთა" მდგომარეობა. ჯოხითაც სცემა, რომ გაეგო, თუ რას ნიშნავს ეს სასჯელი"[411]. „თუ მემკვიდრემ განცხრომის მეტი არაფერი იცის, ის მოსწყდება ხალხს, ვერაფერს გაუგებს მას. თუ მემკვიდრე სათანადოდ იქნება აღზრდილი…თავისთავად ეს გარემოება ხელს შეუწყობს მის მეფობას. მას ეცოდინება, თუ როდის რა ღონისძიება ჩაატაროს"[412].

სულხან-საბა არა მარტო იდეალური მეფის ნიმუშს ხატავს, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების ვეზირებისათვის აუცილებელ თვისებებსაც აყალიბებს, ანუ იმ პოლიტიკური ელიტისა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოს საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. ვეზირნი „რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ. . .ვაზირნი ერთმანერთის მოყვარულნი ხამს.

ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტერობით არ კარგა იქმნება, თუ ვაზირი ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა.

---

[408] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.48-49.

[409] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.34.

[410] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.64.

[411] ივანე სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1959, გვ.96.

[412] ივანე სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, გვ.97.

ვაზირი ხვაშიადის შემნახავი ხამს. თუცა ერთმანერთში შუღლი მოხდა, ხვაშიადი გამჟღავნდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიცემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ – მან თქვა, არა მას უთქვამსო.

ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. რა მეფე ერთს წყალობას უზამს, მეორე მისი ქიშპი გაორგულდების.

ვაზირი ღვთის მავედრებელ და ჭკუისა და სიბრძნის მჩხრეკელი ხამს. და, რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული აუდუღდეს და ჭკუა და მცნება დაეფანტოს. ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან.

ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა“[413].

„მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს: ერთი, რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს. მეორე: აგრევ ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს. მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს. მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას. მეხუთე: ასეთი ენა უნდა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივ სდიოდეს“[414].

როგორც ვხედავთ, სულხან-საბას აზრით, ვეზირობა არა მხოლოდ პატივია, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობა და მეტად საფრთხილო საქმეც, რომელიც ადამიანისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ნამდვილი, წარმატებული პოლიტიკური ლიდერი (მეფე იქნება ეს თუ ვეზირი) მხოლოდ ის არის, ვინც ჭეშმარიტად ხალხის სამსახურში დგას, ვისთვისაც თავისი ქვეყნის ინტერესებია წინა პლანზე და ყოველივე პირადული სწორედ ამას ექვემდებარება; ის, ვინც დგება საკუთარ თავზე მაღლა; ის, ვინც, საჭიროების შემთხვევაში, პირადად უდიდეს რისკზეც მიდის და არა მარტო სიცოცხლეს სწირავს თავისი ქვეყნისათვის, არამედ საკუთარ სახელსაც, ავტორიტეტსაც, საზოგადოებაში თავის მდგომარეობასაც.

„მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს, და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს“, „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათა გაუნათებს. მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ.“[415]

ვეზირის აუცილებელი თვისებაა ასევე კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი მოგვარების უნარი: „ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს,…გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს,…პირიდამ ავი სიტყვა არ წაიცთუნოს;…სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს…რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს“[416].

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა არ იწონებს მართვის ერთპიროვნულ მეთოდს, როცა სახელმწიფოს მეთაურები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავისი მრჩევლების აზრს. იგი ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სანდო და საგნის მცოდნე პირების მონაწილეობის აუცილებლობას „ერთის ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს“[417].

---

[413] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.53.
[414] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.23.
[415] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.23.
[416] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.11.
[417] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.53.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა სახელმწიფო მმართველობაში დემოკრატიული მიდგომის მომხრეა იმ გაგებით, რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას კომპეტენტური პირების თანამონაწილეობის საჭიროებას ასაბუთებს, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს მართვისას მის მოქალაქეთა ყველა ფენის ინტერესების დაკმაყოფილება აუცილებლად მიაჩნია.

სულხან-საბას თქმით, „მეფისა კართა მდგომნი კაცნი მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხსა და ხრიკსა ცდილობენ, რათა შეაძაგონ იგი (მეფის რომელიმე მსახური – ვ.კ.)“[418]. ამიტომაც სულხან-საბა მოუწოდებს მეფეებს, რომ ერთგული მსახური „ადრე არ შეიბეზღოს“[419].

„სწავლან“-ში სულხან-საბა წუთისოფელს ნოეს კიდობანს ადარებს, სადაც სხვადასხვა მტაცებელმა შეაფარა თავი, რომლებიც იქ ყოფნის დროს ერთმანეთს არაფერს ერჩოდნენ, „ხოლო თქვენ (ძალაუფლების მქონენი – ვ.კ.) სდევნით გლახაკთა და შეიპყრობთ ქვრივთა და დაბზარავთ ტყავთა ობოლთასა“[420]. „მეპატრონენი ქვეყნისანი სისხლთა ყმათასა დასთხევენ, რათა თვით შეიძინონ მსახურებითა მათითა, არა თუ თვისი სისხლი დასთხიონ მონათა თვისთათვის. და უფალნი სოფლისანი წინაშე თვისსა მოაკვდინებენ ბრძოლასა შინა მჴედართა მათთა, არა თუ თვით მოკვდნენ ყმათათვის… (ხოლო ქრისტე – ვ.კ.) თვით მოკვდა...ჩვენთვის“[421].

ამრიგად, სულხან-საბა სახელმწიფოს მეთაურებს ნიმუშად თავის ქვეშევრდომთა მიმართ ქრისტესეულ თავგანწირვას უსახავს და უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული მოქალაქის სიცოცხლეს.

ამავე დროს, მწვავე კრიტიკის მიუხედავად, სულხან-საბა მონარქთა დაკნინების მომხრე როდია. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ იმ განსაკუთრებულ, ობიექტურ უპირატესობასაც აღწერს, რომელიც მეფეს, სახელმწიფოს მეთაურს გააჩნია: „მეფენი საჭურისთა და სხვათაცა საქმესა სცნობენ და მეფეთა საქმესა ვერავინა სცნობენ, თუ ცა კაცი არ გამეფდა, -- რომ მათის საჯდომი მაღალია და დაბლიდამ არ ინახება“[422].

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს პერსონაჟი, უფლისწული ჯუმბერი მამასთან სპილოზე ამხედრებული მიდის. მიზეზად იმას ასახელებს, რომ „მეფეთა გვარი და დიდი კაცი დიდსა რასამე უნდა იჯდეს“[423]. მაგრამ იგი იქვე იმასაც დასძენს „რაგინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე – მიწა ხარ და მიწად მიიქცევი, ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა“[424] .

როგორც ვხედავთ სულხან-საბას შეხედულებით, იდეალური ლიდერისათვის აუცილებელია ზომიერების დაცვა საკუთარი ძლიერების, ღირსების დემონსტრირების დროსაც.

საყურადღებოა, რომ სულხან-საბას რეკომენდაციები ხელისუფალთა მიმართ დასაბუთებულია, როგორც **რელიგიურ-ზნეობრივი, ისე პრაგმატული, რაციონალური** არგუმენტებით. მეფეთა მიმართ ზემოთ მოტანილი რეკომენდაციები იწყება ამ უკანასკნელთა მიმართ ღვთის მიერ წაყენებული მოთხოვნებით და მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ესე არს

---

[418] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.25.

[419] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.25.

[420] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის მეორე, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, თბილისი, 1963, მ.51, გვ.33.

[421] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის მეორე, სწავლანი, მ.90, გვ.44.

[422] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.80.

[423] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.57.

[424] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.57.

წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“[425].

რეალიზმთან ერთად, სულხან-საბას მსოფლმხედველობას წითელ ზოლად რელიგიურობა გასდევს. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა არა მარტო პრაგმატული მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელოს, არამედ ქრისტიანული ზნეობითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი საქმიანობა ადრე თუ გვიან მარცხისათვის იქნება განწირული.

მეტად საყურადღებოა, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავის ზემოთ მოტანილ ასე ვთქვათ „სახელმწიფოს მეთაურის კოდექსში“ სულხან-საბა ყურადღებას არ ამახვილებს მეფისა თუ სახელმწიფოს ძლიერებაზე. ქართველი მოაზროვნეების აბსოლუტური უმრავლესობისათვის მეფისა თუ ზოგადად სახელმწიფოს ძალა ყურადღების ცენტრში დგას. ძალას, ძლიერებას ყოველთვის ხაზი აქვს გასმული და მეფისა, თუ სახელმწიფოს ავკარგიანობის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია. სულხან-საბასთან კი შეიძლება ითქვას, რომ ძლიერების ადგილს სამართლიანობა იკავებს.

სულხან-საბას შეხედულებებთან ძალზე ახლოს დგას არჩილი. იდეალურ ლიდერთან დაკავშირებით მისი დამოკიდებულება საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი ნაწარმოებში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. ამ ნაწარმოების თანახმად, მეფე-ლიდერი უნდა იყოს: მორწმუნე, სამართლიანი, ამავე დროს ზომიერად მკაცრი და მწყალობელი, ბრძენი, მომავლის პროგნოზირების უნარის მქონე („ჭკვით ცოდნა საქმისა მომავალისა“), სოციალურად მოწყვლადი ფენების (ქვრივი, ობოლი, გლეხი) დამცველი, საჩივრისადმი ყურადღებიანი და იმის მომსმენიც, ვისაც უჩივიან („მომცდელი მის მეორეთა“); არ უნდა ძალადობდეს და არავის მისცეს ძალადობის უფლება; ქვეყნის უსაფრთხოება დაიცვას; ინდივიდუალური მიდგომა უნდა ჰქონდეს ქვეშევრდომების მიმართ, მათი საჭიროებებისა და ზნის შესაბამისად, როგორც ბრძენ მკურნალს; ყოველი საქმის დრო-ჟამი უნდა იცოდეს, საქმის კეთებისაც და განცხრომისაც; სულისა და ხორცის მკურნალობის უნარი უნდა ჰქონდეს, როგორც ექიმსაც და როგორც სულიერ მოძღვარსაც - მატერიალური საჭიროებებიც უნდა დაუკმაყოფილოს ქვეყნის მოქალაქეებს და უზნეობასაც უნდა დაუპირისპირდეს, რაც ქვეყანაში შფოთის შემომტანია.[426] მეფე მუდამ მტერთან ბრძოლაში უნდა იყოს, მისი ხმალი მუდამ „მტრის სისხლით“ არის „სველადა“.[427]

არჩილი ასევე ხაზს უსვამს მეფეთა პირად, მხედრულ ძლიერებასა და სიმამაცეს, როგორც იდეალური ლიდერის აუცილებელ თვისებებს. იგი მეფეებს ასე მოიხსენიებს:

„მხნედ და ძლიერთა, საძებნიერთა,

ახოვნად, ქველად გმირებ გებულთა“[428].

ნაწარმოებში „ლექსნი ასდაათნი“ არჩილი სიტყვის, საიდუმლოს შენახვასაც გამოყოფს, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი მოხელისათვის აუციებელ თვისებას: „ვაზირობაში თავს ჯდები, სიტყვას არ შეინახავა“[429].

არჩილი აქებს ღვთისმსახურ, „სჯულისმდებელ“ მეფეებს, „მათ, ვინ ყვეს ღვთისა მიახლებანი“[430].

---

[425] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.48-49.

[426] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.258-266, გვ.50-51.

[427] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.324, გვ.58.

[428] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.7, გვ.226.

[429] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.5, გვ.97.

[430] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.17, გვ.228.

იგი გამოყოფს სამართლიან და ქვეშევრდომებზე მზრუნველ მეფეებს, როგორებიც, მისი შეფასებით იყვნენ დიდი ლიდერები - შაჰ აბასი[431], რუსეთის მეფე პეტრე I („მაღალი მდაბალთ ხელთ ამპყრობელი“[432]).

არჩილი ხაზს უსვამს ლიდერის ყოლის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის. პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ალექსანდრე იმერთა მეფის სიკვდილთან დაკავშირებით თეიმურაზ მეფე ამბობს:

„ჭკუათმყოფი დიდად ტირან, ეძახოდეს, თუ: „სად წადი?
საქართველო დაემხობა, მტერთ მიხვდება სულ საწადი,
ჩვენ წახდენად ქვე დაგვყარენ, შენ სუფევის ტახტსა ადი.“[433]

მეფის სიკვდილმა მართლაც არეულობა და ქიშპი გამოიწვია იმერეთში.
სულხან-საბასა და არჩილის მსგავს არაერთ შეხედულებას გამოთქვამს ბევრი სხვა ქართველი მოაზროვნე.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, თამარი, რომელიც თხზულებაში იდეალური მეფის სახეს წარმოადგენს, დახასიათებულია „გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერითა, ცნობიერითა, გონიერითა და შვენიერითა“[434]. ბასილი ეზოსმოძღვარიც არაერთხელ უსვამს ხაზს თამარის „დიდ გონებას“[435], ანუ რაციონალიზმს. ლიდერისათვის აუცილებელ თვისებას - სიბრძნეს გამოყოფენ მაგალითად, ვახუშტი[436], გურამიშვილი[437] და მამუკა ბარათაშვილი[438].

ქართველი მოაზროვნეები განსაკუთრებით აღნიშნავენ მეფისათვის, ლიდერისათვის ისეთ აუცილებელ თვისებებს, როგორებიცაა თავმდაბლობა, სიუხვე, მოწყალება, სამართლიანობა, ხალხთან, თავისი სახელმწიფოს მოქალაქეებთან სიახლოვე, მათზე ზრუნვა, სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ფენების დაცვა. ასეთები არიან იდეალური მეფეები, მაგალითად, რუსთაველთან[439], ფეშანგისთან[440], გურამიშვილთან[441], მამუკა ბარათაშვილთან[442].

გიორგი მერჩულის თხზულების თანახმად, გრიგოლ ხანძთელი ბრძანებს, რომ ბერები მეფეებისათვის ლოცულობენ “უმეტესად ამისთვის, რამეთუ მეფობისა სიმაღლესა თანა გაქვს თქვენ ქრისტეჲს მიმსგავსებული სიმდაბლე და მოღვაწებაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაჲ.”[443]

იოანე შავთელი ამგვარად ახასიათებს თამარ მეფეს:

---

[431] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.56-57.

[432] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.62, გვ.237.

[433] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.1090, გვ.413.

[434] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.26.

[435] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.116,117.

[436] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.27.

[437] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.42, გვ.67.

[438] მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.38.

[439] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.32.

[440] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ.3; მ.23-35, გვ.8-9.

[441] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.42, გვ.67.

[442] მამუკა ბარათაშშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, თხზულებათა სრული კრებული, გვ.39.

[443] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი!“[444]

ვახუშტი განსაკუთრებულად აღნიშნავს არა მხოლოდ ქვეყნისათვის ზრუნვას, არამედ მისთვის თავდადებას, როგორც მეფისათვის მნიშვნელოვან თვისებას. იგი ამგვარად ახასიათებს ქართულ სამეფო დინასტიებს: „იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნობითა, შემმართებლობითა, ხოლო ბაგრატიონი მჴნეობითა, სიბრძნე-ქუელობითა და ქუეყნისათჳს თავდადებულობითა“[445].

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩამოთვლილი თვისებებიდან იგი უპირატესობას ბაგრატიონებისათვის მიწერილი თვისებების კომპლექსს ანიჭებს.

იდეალური ლიდერის სახეა ვახუშტის მიერ დახატული ლუარსაბ II ქართლის მეფე, რომლისთვისაც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ვიდრე თავისი სიცოცხლე. იგი სიცოცხლის რისკის ფასად ნებაყოფლობით მიდის ირანის შაჰთან და თავის ამ ნაბიჯს შემდეგნაირად ასაბუთებს: „უკეთუ არა წარვიდე, ამიყრის ქუეყანათა და მოაოჴრებს, რა მადლი არს ჩემდა“[446].

„დავითიანში“ ხელმწიფობა წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი პროფესიათაგანი: „მწყემსი, ხელმწიფე, გლახაკი, გინა მხვნელია, მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი, ოსტატ, ბრძენ-მსიტყველია“[447]. ამ პროფესიას, ისევე, როგორც სხვებს, სწავლა უნდა. „რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია!“[448].

რა თქმა უნდა, მეფედ გასახდომად მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, მაგრამ ავტორს ან იმის თქმა უნდა, რომ ყველა ადამიანი ღვთის წინაშე თანასწორია და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ხელმწიფე იყოს, მისი გვარ-ტომობის მიუხედავად, ან კი იმას ამბობს, რომ ადამიანს, რომელსაც შესაძლოა მემკვიდრეობით მეფობა ეკუთვნოდეს, არ არის აუცილებელი, რომ მეფობა აირჩიოს, იგი შეიძლება, თავისი მოწოდებით, მიწათმოქმედი, ან ოსტატი იყოს, ან მათხოვრობის მეტი არაფერი შეეძლოს. წარმომავლობა არ განაპირობებს ადამიანის ნიჭსა და უნარს. მეფობასაც სწავლა სჭირდება. მემკივდრეობით გამეფებულებსაც უნდა ჰქონდეთ მეფობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა სამეფოს, მისი საზღვრების გარეშე მტრებისაგან დაცვა, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ამისათვის კი სამხედრო ძლიერებაა საჭირო, ანუ სათანადოდ მომზადებული ლაშქარი, რაზეც არაერთი მოაზროვნე ამახვილებს ყურადღებას, მაგალითად, დავით აღმაშენებლის

[444] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, მ.63, გვ.603.
[445] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.27.
[446] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.426.
[447] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.39, გვ.66.
[448] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.39, გვ.66.

ისტორიკოსი[449], შავთელი (მისი თქმით, თამარი არის „ერთა შემცველი, მტერთა შემწველი“[450]), ფეშანგი[451] გოდერძი ფირალაშვილი[452].

ვახუშტის მიხედვით, ძლიერებასთან ერთად, მშიდობისმოყვარეობა, ამავე დროს, საშუალებაა, ინსტრუმენტია სახელმწიფო ძალაუფლების განსამტკიცებლად. მისი თქმით, ყვარყვარე ათაბაგმა „დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რამეთუ იყო მშჳდობის-მოყუარე, გარნა მჴნე, ახოვანი და შემმართებელი“[453].

როგორც ვხედავთ, ვახუშტი მმართველის მხედრულ ძლიერებასაც გამოყოფს. იგივე აზრს იზიარებენ სხვა ავტორებიც.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასე აღწერს დავითის სამხედრო საქმიანობას: „კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი...ლაშქრობათა მეცადინობანი...მჴედართა განწესებანი... სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი“.[454]

ფეშანგი კი ამგვარად ახასიათებს იდეალური ლიდერის სახით წარმოდგენილ ვახტანგ V-ს: „ბურთობა, ნადირობა, სიჩაუქე, ასპარეზობა, სიმჴნე, კისკასად ქცევა ლომისა მსგავსად, ნაკუთიანობა“[455].

მეფეთა მხედრულ ძლიერებას უსვამენ ასევე ხაზს ბესიკი[456], მამუკა ბარათაშვილი[457] და სხვა.

მეფის უმნიშვნელოვანეს ღირსებათაგანი და მოვალეობათაგანია მორწმუნეობა, ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა და განმტკიცება, რაზეც როგორც წესი ამახვილებენ ყურადღებას ქართველი მოაზროვნეები, მაგალითად, გიორგი მერჩულე[458], ფეშანგი[459], გურამიშვილი[460], მამუკა ბარათაშვილი[461].

მეფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება არის აგრეთვე მჭევრმეტყველება, როგორც ეს აღნიშნულია შავთელთან[462], რუსთაველთან[463], ფეშანგისთან[464], მამუკა ბარათაშვილთან[465].

---

[449] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.351.

[450] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1978, მ.47, გვ.599.

[451] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.23-35, გვ.8-9; მ.928, გვ.154.

[452] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.329-330.

[453] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.708.

[454] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.351.

[455] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ.3.

[456] ბესიკი, სამძიმარი, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.6, გვ.137.

[457] მამუკა ბარათაშვილი, იამბიკო, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.8; ქება მეფისა ბაქარისა, იქვე, გვ.38.

[458] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

[459] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.23-35, გვ.8-9.

[460] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.42, გვ.67.

[461] მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.39.

[462] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, მ.47, გვ.599.

[463] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.32.

[464] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ.3.

[465] მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.39.

ფეშანგის თანახმად, ხალხისათვის აუცილებელია ლიდერის-მმართველის ყოლა. როცა რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილი ჩამოვიდა თუშეთში, თუშებმა თქვეს:

„უპატრონოდ ვით ვიყოთ? გუმართებს ამისი მბობანი;

მკუიდრი მოგუსულია პატრონი, ნუ გინდა სხუისი ყმობანი“[466].

ქვეყნისათვის ძლიერი ლიდერის მნიშვნელობაა ხაზგასმული „დიდმოურავიანში“. გიორგი სააკაძე ამბობს:

„უჩემობით მებრალები, ვაიმე, ქართლო, სუსტობისთვის:

გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის“.[467]

ფეშანგის მიხედვით, მეფე - სახელმწიფოს მეთაური განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. „მეფეთ სისხლი ვინ შეიდვა, მას სარჯელი არ დავრიდი“[468] - ამბობს შაჰნავაზი იმერეთის მეფის წინააღმდეგ აჯანყებულებზე. ვამეყ დადიანი ერიდება შაჰნავაზთან ბრძოლას და დასძენს „სისხლი მეფეთა ძნელია“[469].

ლიდერი, ამ შემთხვევაში მეფე, იმდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რომ მისთვის, სიცოცხლის დათმობაც ღირს. „შაჰნავაზიანში“ ვახტანგ V-ს თავადები ეუბნებიან:

„„არ დავრიდოთ სასიკუდილოდ თავი ჩუენი“ აგრე თქუესა;

„თუ ჴემწიფე კარგად არის, რაღას ვპოვებთ უკეთესსა?

თავი დაგუიც საახლებლად, ვმორჩილებდეთ უზედესსა“[470].

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით, ლიდერისათვის - მეფისათვის უანგარო სამსახური და თავის გაწირვა ყველა მოქალაქის ვალია: „მეფისათვის თავს ვინ დაზოგავს“[471].

სააკაძე ამბობს:

„არა მშურდა სასიკვდილოდ მე გარდმედვა თქვენთვის თავი

აწ რად იქმენ ხელმწიფეო, დღეთა ჩემთა გასათავი...

გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვჰქნათ კვერთხის რგვანი,

სად გვიბრძანოს, მივესივნეთ, სიგრძის გზა ვვლოთ, ანუ განი...

ხელმწიფეო შენთვის დღენი გავიწამე,

და რაც მიბძანო სამსახური, წავაკვდე და წავე წამე!“[472]

ვახუშტის აზრით, იდეალური ლიდერი, მეფე განათლებულიც უნდა იყოს. სწავლა, ცოდნა ვახუშტისთან ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება: „სწავლა სულგრძელ ჰყოფს მეფეთა და დიდებულთა პატივსცემს, და ერთა მოურნე ექმნების, მტერთა დაამდაბლებს და მშიშრეულ ჰყოფს, თჳსთა აღამაღლებს და აკადნიერებს“[473].

საინტერესოა რუსეთის მეფის, პეტრე I-ის გურამიშვილისეული დახასიათება, რომელიც „დავითიანშია“ მოცემული. გურამიშვილი ხაზს უსვამს არა მარტო იმ ღვაწლს, რაც ამ მეფემ თავის სიცოცხლეში გაკეთა, არამედ იმასაც, თუ რა გავლენა მოახდინა მან თავის

---

[466] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.813, გვ.137.
[467] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.45.
[468] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.299, გვ.54.
[469] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.386, გვ.67.
[470] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.856, გვ.144.
[471] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.
[472] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.54.
[473] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.2.

შთამომავლებზე. კერძოდ, მისი მომდევნო მეფეები პეტრეს მიერ შექმნილი სახელმწიფოს მართვის სისტემის ერთგულნი რჩებიან:

„პეტრეს აქეთნი მეფენი, რომელნიც ტახტზე ჯდებიან,
პეტრეს ბრძანებას მოწმობენ, მის მცნებაზედა დგებიან,
გინდ უჩნდესთ წინააღმდეგად, მას წინ არ აღუდგებიან,
არს პეტრეს თქმულნი უკვდავნი, მიდღეში არ მოკვდებიან“[474].

§ 3. პატარა ქვეყანა

განსაკუთრებით საყურადღებოა პატარა ქვეყნის თემა ქართულ აზროვნებაში, რომელიც პირველად XI-XII საუკუნეებში გვხვდება.

დავითის ისტორიკოსი წერს: დავითს „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო.“[475] ამიტომაც უფრო ნიშანდობლივია, თუ რამდენს მიაღწია მან, როგორც „მცირე“ ქვეყნის მეფემ: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგს“ და დავითი რომელიმე დიდი სახელმწიფოს მეფე რომ ყოფილიყო „მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი უაღრეს სხუათა ქებულთანი.“[476]

როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსს პატარა ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობანი რეალისტურად აქვს გააზრებული. დავითის მიერ მიღწეულ საგარეო პოლიტიკურ წარმატებებს იგი არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი გაგებით აფასებს. როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, მემატიანის აზრით, „ისტორიულ პიროვნებას პირობებიც უნდა უწყობდეს ხელს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ფართო გაქანებისა, ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს სიდიდე, სიძლიერე, ძალა.“[477]

პატარა ქვეყნის თემას „ვეფხისტყაოსანში“ ფრიად საგულისხმო ადგილი უკავია. ჯერ ერთი, ამასთან დაკავშირებით, ის თვალსაზრისი იკვეთება, რომ ძალა ნებისმიერი ზომის სახელმწიფოსთვისაა აუცილებელი, რაც ე.წ. „სუსტის ძალის“ ფენომენის დანახვას წარმოადგენს. გარდა ამისა, როგორც ფრიდონის სიტყვებიდან ჩანს, („დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგნი გვინდან და ცოტანი“[478]) ძალის ეფექტიანი გამოყენებაა მთავარი და არა მისი მასშტაბები. მოქმედების პრინციპი „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“[479]. სახელმწიფოს სიმცირე მის სხვების მიერ დამოჩილებას ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს. პატარა ქვეყანასაც შეუძლია დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა მოიპოვოს. ფრიდონის სახელმწიფო იწოდება „ტურფად“, „ყოველგნით სიკეთე მიუწვდომლად“, მისი მეფის „ვნება არავის არ ძალ-უც“. რუსთაველი ხაზს უსვამს, რომ ქვეყანას, მისი სიმცირის მიუხედავად, შეუძლია სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანს ატარებდეს. ფრიდონის ქალაქი შემდეგნაირადაა დახასიათებული:

„ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა სრა მოკაზმული სრულითა,

---

[474] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.190-192, გვ.89.

[475] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.358.

[476] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.359.

[477] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.92.

[478] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ. 1376.

[479] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ. 1381.

სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა“[480].

რაც მთავარია, პატარა ქვეყანა დიდი სახელმწიფოების თანასწორუფლებიან პარტნიორად გვევლინება. მართალია, ფრიდონი ინდოეთის მეფესთან შედარებით, თავს უფრო დაბლა აყენებს და მის მონად იწოდება[481], მაგრამ ეს, როგორც პოემიდან ჩანს, თავმდაბლობის გამომჟღავნება უფროა, ვიდრე რეალური მდგომარეობის გამოხატულება. თავად დიდი სახელმწიფოების მესვეურები მას ისეთივე პატივს მიაგებენ, როგორც სხვა დიდი სახელმწიფოების მეფეებს. მაგალითად, ინდოეთში, ფრიდონს არაბეთის მეფედ ახლად გამხდარი ავთანდილივით სამეფო ტახტზე სვამენ[482]. მანამდე კი ჯერ კიდევ არაბეთის სპასპეტი ავთანდილი მულღაზანზარის მეფეს შემდეგნაირად მიმართავს:

„ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო.
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქმოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო!“[483]

არაბეთის დიდი სახელმწიფოს სპასპეტის მიერ ფრიდონის წინაშე თავის დამდაბლება, ანალოგიას უფრო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ჰპოვებს, სადაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებული ყველა სახელმწიფო, მათი რეალური მდგომარეობის მიუხედავად, ფორმალურად თანასწორუფლებიანად ითვლება და მისი სახელმწიფო მეთაურებისადმიც დიპლომატიური ეტიკეტი თანასწორი პატივის მიგებას მოითხოვს. შუა საუკუნეებში მსგავსი ტენდენციების გამოვლინება რუსთაველს უთუოდ დიდ ადგილს უმკვიდრებს მსოფლიო აზროვნებაში და თითქოსდა მისივე დიდმპყრობელურ შეხედულებებთან წინააღმდეგობაში აგდებს. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ პოეტის ღრმა ჩანაფიქრი იმალება, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ფრიდონის სამეფო დიდი სახელმწიფოების მეტად საჭირო და შეუცვლელი მოკავშირეცაა. პარადოქსია, მაგრამ ნესტან-დარეჯანის გათავისუფლება, რაც ნაწარმოების გმირთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, ძირითადად, სწორედ ფრიდონის სახელმწიფოს რესურსების ხარჯზე ხდება შესაძლებელი.

რაც შეეხება თვით ფრიდონის სახელმწიფოს დამოკიდებულებას დიდი ქვეყნებისადმი, ფრიდონი აქტიურად ცდილობს მიაღწიოს და განამტკიცოს მათთან მოკავშირეობა. მართალია, მისი პირადი ურთიერთობები დიდი სახელმწიფოების ლიდერებთან მნიშვნელოვნად განაპირობებს მათდამი ფრიდონის დახმარებას, მაგრამ, სავარაუდოდ, რომ იგი, როგორც ერთ-ერთი იდეალური სახელმწიფოს მეთაური, „პატრონი“, მუდმივად ზრუნავს თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე და მათ საზიანო ქმედებას არ სჩადის. ამიტომაც, დიდი ქვეყნების მიმართ დახმარებაში იგი თავისი სახელმწიფოსათვის სასარგებლო ფაქტს ხედავს. მულღაზანზარისათვის თითქოს რაიმე ინტერესს არ წარმოადგენს შორეული ინდოეთის სადედოფლოს აუღებელი ციხე-სიმაგრიდან გამოხსნისათვის ბრძოლა, მაგრამ სწორედ ამ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად შეიძენს იგი ძლიერ მოკავშირეებს და მისი სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის უმნიშვნელო სუბიექტიდან ძლიერ სახელმწიფოდ იქცევა, „სამეფოებს მოიმატებს“ და „გამორჭმულდება“[484].

---

[480] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1001.
[481] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.631.
[482] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1579.
[483] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1308.
[484] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1584.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ რუსთაველი პატარა ქვეყნის მიერ მდგომარეობის განმტკიცების ერთ-ერთ გზად ძლიერი მოკავშირეების შეძენას მიიჩნევს. ამავე დროს, მისი აზრით, საერთაშორისო სისტემაში პატარა სახელმწიფოსაც შეუძლია თავისი ადგილის მოძებნა.

პატარა, სუსტი ქვეყნის როლის წინ წამოწევა პარადოქსია „ვეფხისტყაოსნისათვის", რომელიც თავისი თანამედროვე საქართველოს აზროვნების სხვა ნიმუშებთან ერთად, ძალისა და დიდმპყრობელობის აპოლოგიას წარმოადგენს. შესაძლოა, აქ რუსთაველის შორსმჭვრეტელობა იმალება. მართალია, მისი თანამედროვე საქართველო ძალმოსილ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ რუსთაველმა, როგორც განათლებულმა ადამიანმა, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, უეჭველია, იცოდა, რომ მისი სამშობლოს XII-XIII სს.-ის მდგომარეობა საქართველოსათვის უპრეცედენტო იყო და, როგორც წესი, უწინ ჩვენი ქვეყანა თვითონ ხდებოდა დიდი მეზობლების დაქვემდებარებაში. ამიტომაც სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ მომავალშიც იგივე განმეორებულიყო. ამის გამო საჭირო იყო არა მარტო იმ იდეალების მხატვრული სახეების შექმნა და მათთვის ხოტბის შესხმა, რომლებიც ძლიერების ზენიტში მყოფი სახელმწიფოს მდგომარეობას ასახავდა, არამედ ისეთებისაც, როგორებიც ქვეყანას გაჭირვების დროს განსაკუთრებულ ნუგეშად და მაგალითად გამოადგებოდა. ასეთს კი საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტის სახით დახატული პატარა სახელმწიფო წარმოადგენდა. თუკი გავითვალისწინებთ, თუ როგორი პოპულარობა მოიპოვა „ვეფხისტყაოსანმა" საქართველოში, რუსთაველის ამ ჩანაფიქრსაც უნდა სწეოდა განხორციელება, მით უფრო, რომ პოემის დაწერიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ ქართულ სახელმწიფოს დიდი უბედურებანი დაატყდა თავს.

თავი 4. პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და ზნეობრივ-რელიგიური საკითხები

§ 1. რელიგიურ-ზნეობრივი პოლიტიკა

ჩვენს მიერ განხილულ ძეგლებს შემდეგი საერთო ნიშან-თვისებაც ახასიათებთ: რელიგიის გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და, მათ შორის, საგარეო პოლიტიკაში, აქედან გამომდინარე კი, საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობებში დიდია. ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ეს უკვე ნაწილობრივ გამოჩნდა, მაგრამ რელიგიისადმი მიმართების საკითხი საგანგებო განხილვას იმსახურებს.

ეკლესია, მართლმადიდებლობა ქართულ აზროვნებაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის სულიერ-იდეოლოგიური საყრდენია. ქართველი მოაზროვნეები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ცხოვრებაში უზენაესი ძალა ღმერთია და მისი ნების საწინააღმდეგოდ არაფერი ხდება. რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების"[485]. ამდენად, ერის სიახლოვე ღმერთთან, მისი ზნეობრივი

[485] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ. 787.

მდგომარეობა უშუალო გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემაში ამ ერის მდგომარეობაზე. ამ გაგებით, ჭეშმარიტი სარწმუნოება, ზნეობა ეროვნული უსაფრთხოების უმთავრესი საფუძვლის, საგარეო პოლიტიკის თავისებური ინსტრუმენტის როლში გვევლინება. მეორე მხრივ კი, სახელმწიფო იდეოლოგიის რელიგიაზე დამყარება აქცევს უკანასკნელს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საფუძვლად.

VI-VII სს.-ის ქართლის ერისმთავართა დრაჰმები, რომლებზეც „რელიგიურ-ეროვნული სიმბოლო-ჯვარია“[486] გამოსახული, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უკვე ამ დროს ქართლის მმართველებს ქრისტიანობა საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელოვან იარაღად და მის გამოხატულებად მიაჩნდათ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, წმ. ნინო მეფე მირიანს შემდეგს ეუბნება: „აღმართენით ორნი ესე ჯუარნი საცოდ ყოველთა ქრისტიანეთა და დასამჴობელად მტერისა.“[487]

ამ მხრივ, გრიგოლ ხანძთელის შემდეგი სიტყვებიც საყურადღებოა, რომლებითაც იგი ქართველ ხელისუფალთ მიმართავს: „სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი უდაბნოთა მამანი, არიან ჴორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა.“[488] აშოტ კურაპალატის შესახებ სუმბატი წერს. აშოტს „მისცა ღმერთმან გამარჯვებაჲ და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა...მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კუროპალატსა ძლევა და დიდი დიდებაჲ ბრძოლათა შინა.“[489]

„ცხოვრება მეფეთაში“ ვკითხულობთ: „კოსტანტინე ბერძენთა მეფემან (იგულისხმება კონსტანტინე I დიდი, ვ.კ.) ძალითა ქრისტესითა და წინამძღურებითა ჯუარისათა იოტნა მეფენი და სპანი მათნი ურიცხუნი მოსრნა.“[490]

პირველი ქრისტიანი მეფე, მირიანი თავის ვაჟს მიმართავს: „წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩუეულება გულითა მოსავთა მისთა.“[491]

იგივე დამოკიდებულება იკვეთება გვიანი შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაშიც. მაგალითად, იოსებ ტფილელის მიხედვით, მტრებზე ქართველების გამარჯვება ღვთის ძალითაა მოპოვებული „ქართველთ ხმალს ქვეშე, ღვთის ძალით, თათრებმან ვერ იმაგარა“[492]. ფეშანგის თანახმად, შაჰნავაზი თავის პოლიტიკურ წარმატებებს ღმერთს მიაწერს: „სუე ბედი და გამარჯუება მას უმადლი, ვინ რომ მამცა“[493].

მამუკა ბარათაშვილი „იამბიკოში“ ვახტანგ VI-ის გამეფებას ღვთის უშუალო განგებას მიაწერს:

ღმერთს „მეექვსე ვახტანგ უბადებია,
თვით ქართლის მპყობად უმზადებია“[494].

---

[486] დავით კაპანაძე, დასახ. ნაშრ. გვ.50.

[487] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.150.

[488] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.290.

[489] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გვ.45.

[490] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.95.

[491] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.130.

[492] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.11.

[493] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ. 501, გვ.85.

[494] მამუკა ბარათაშვილი, იამბიკო, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.8.

VI საუკუნის ეგრისელ მოაზროვნეებს არ რჩებათ მხედველობიდან ის, რომ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ქმედებას, შეხედულებას რაიმე ლეგიტიმური, ზნეობრივ-რელიგიური საფუძველი მოუძებნონ, რათა მისი ეფექტიანობა გაზარდონ.

გუბაზის ელჩები შემდეგს ეუბნებიან შაჰს: „(ჩვენდამი დახმარებით) თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს...უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის.“[495] როგორც ცნობილია, შაჰი ქრისტიანი არ იყო, მაგრამ გუბაზის ელჩები ხვდებიან, რომ პოლიტიკური ქმედების ზნეობრივი გამართლება რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ აღმსარებლობასთან არ არის დაკავშირებული და ყველას სჭირდება.

გუბაზის მკვლელთა სასამართლოზე, კოლხი ანონიმი იურისტები დასძენენ, რომ გუბაზის მკვლელობას ბიზანტიისათვის თუნდაც მხოლოდ იმიტომ არ შეეძლო სარგებლობის მოტანა, რომ უსამართლო და უკანონო იყო. ისინი იმასაც უსვამენ ხაზს, რომ კოლხები „უზენაესისი შესახებაც“ მათნაირად (ბიზანტიელების მსგავსად) მოაზროვნენი და მათი წესების მიმდევარნი, ანუ ერთმორწმუნენი არიან.[496]

აიეტი ბიზანტიელების მოკავშირეობას იმიტომაც არ თვლის მიზანშეწონილად, რომ მათ ღმერთი ურისხდება. სპარსელთა მხარეზე გადასვლა კი, მისი აზრით, არა თუ ვერაგობა, უსამართლობა იქნება ბიზანტიელთა მიმართ, არამედ პირიქით, სამართლიანობა და აქედან გამომდინარე, ღვთისათვის სათნო საქციელი. არსებული მდგომარეობის შენარჩუნება კი - ლაჩრობა, უქნარობა, დაუდევრობაა. „სასირცხო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ,“ „გავაკეთოთ ის, რაც სწორი და სამართლიანია.“[497]

თავის პოზიციას ფარტაძიც განამტკიცებს რელიგიურ-ზნეობრივი თავალსაზრისით. ამ მხრივ, საგულისხმოა მისი შეხედულება იდეალური მეფის, სახელმწიფო მოღვაწის შესახებ, კერძოდ, ის, რომ რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდეს, სახელმწიფოს ლიდერი ხალხს უზნეო საქციელისაკენ, მამაპაპური წესების დარღვევისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს. ამის გარდა ფარტაძი შემდეგსაც დასძენს: „ყველაზე უფრო უწმიდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით (სპარსთა მხარეზე გადასვლით) ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმიდა საიდუმლოთა უმწიკვლობას. თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენ საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ...რას მოვიგებთ იმით, რომ ვთქვათ მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ?“[498]

ფარტაძის სიტყვები ზნეობისა და პოლიტიკის დაპირისპირების დილემის თვალსაზრისით, ისევე როგორც პოლიტიკაზე რელიგიის გავლენის მხრივ, მეტად საყურადღებოა. ფარტაძი რელიგიურ-ზნეობრივ მომენტს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე პოლიტიკურ სარგებლიანობას. საგულისხმოა ისიც, რომ კრებაზე ფარტაძის წინადადებამ გაიმარჯვა. სხვა საკითხია მის მიერ წამოწეული არგუმენტებიდან რომელმა მოახდინა კრების მონაწილეებზე გადამწყვეტი გავლენა, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება მაინც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეგრისის პოლიტიკოსთა, საზოგადოების უმრავლესობა, ფარტაძის უკანასკნელ მიდგომასაც მეტ-ნაკლებად იზიარებდა. მით უმეტეს, რომ აგათია

[495] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.77.
[496] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.130,135.
[497] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.69-70.
[498] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.69-70.

სქოლასტიკოსიც აღნიშნავს: ფარტაძის გამოსვლამ „განსაკუთრებით იმოქმედა მათზე (კრების მონაწილეებზე), შიში აღუძრა, რომ გადავდგეთ, უზენაესის წყალობას მოვწყდებითო.“[499]

ამ საკითხებს უკავშირდება ეგრისელთა თვალსაზრისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე მოვლენებზე ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალის ზეგავლენის შესახებ. აიეტის აზრით, ბიზანტიელების დაბალი ზნეობა, კერძოდ, მათი გაიძვერობა, სიფლიდე, მზაკვრობა, მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლო სისხლისღვრა იწვევს იმას, რომ ისინი უზენაეს მფარველობას მოკლებულნი არიან[500], რაც მათ წარუმატებლობასა და მარცხს განაპირობებს, ე.ი., აიეტის აზრით, ზნეობრივი, ღვთისათვის მოსაწონი ქცევა პირდაპირ კავშირშია პოლიტიკის წარმატებასთან. უზნეო პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, მარცხდება. ზნეობრივი მოქმედება კი პირიქით, იწვევს და განამტკიცებს წარმატებას: „გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა.“[501] ამ გაგებით ზნეობაც კი საგარეო პოლიტიკის, ისევე, როგორც საერთოდ პოლიტიკის, ინსტრუმენტად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საყურადღებოა ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ აღწერილი ფაქტიც, რომელზეც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. კერძოდ, ის შემთხვევა, როდესაც ვახტანგი წინ აღუდგება ბიზანტიელთა განზრახვას მოლაშქრე სპარსთა გაწყვეტის შესახებ, მაშინ, როცა ამ უკანასკნელთ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძთ. ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვახტანგი სპარსთა გაწყვეტას უადგილო სისასტიკედ მიიჩნევს: „რომელი არა შვენის შენსა ღმრთისმოყვარებასა, რომელი შენ არა ჰყო, სხვასა ნუ აწვევ, რამეთუ ღადრობა არა ხელ არს კაცთა პატიოსანთა...უმეტეს ჩვენსა აქვს მრავალთა მათგანთა სიყვარული ქრისტესი, არამედ შიშისაგან მათისა ვერ გამოაცხადებენ. აწ ბრძანე, რათა საქმე ესე ჩვენი მშვიდობით ვყოთ...და ნუმცარა რა იქმნების საქმე უშვერი და ნუცა საქმე შფოთისა თქვენ მიერ.“[502] - მიმართავს იგი კეისარს.

როგორც ვხედავთ, მართალია, ვახტანგი მტერს ებრძვის, მაგრამ, როდესაც ეს შესაძლებელია, ცდილობს მის მიმართ სისასტიკე არ გამოიჩინოს და პრობლემები მშვიდობიანად მოაგვაროს. ასე რომ, ვახტანგი, ასე ვთქვათ, ზნეობრივ პოლიტიკოსად გვევლინება. მისთვის მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას.

მეორე მიზეზი სპარსთა ლაშქრის დანდობისა საკუთარი პრესტიჟის გაფრთხილებაა („დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი არა უკვე განცრუვდესა სახელი ჩემი?“[503]). რადგან ქართლის მეფეს სპარსელებთან სამოკავშირეო შეთანხმება აქვს დადებული. მათი ლაშქრის დახოცვა კი ამ შეთანხმების დარღვევა იქნება.

უზნეო და უსამართლო პოლიტიკის წარუმატებლობის მაგალითი მოჰყავს სუმბატ დავითის ძესაც. იგი აღწერს ბიზანტიის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ და დასძენს: „მსწრაფლ ეწია რისხუა უმსჯავროსა მას მეფესა კოსტანტინეს...უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა მოოჴრებისათვს მამულისა მისისა.“[504]

---

[499] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.81.
[500] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.67.
[501] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.67.
[502] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.171.
[503] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.171.
[504] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გვ.59.

მსგავსი მაგალითი გვხვდება „შაჰნავაზიანშიც“, როცა კათალიკოსი უშლის ქართლის მეფეს ტერიტორიის, ძლიერების უსაზღვრო ზრდას. ამას რწმენას, ზნეობრიობას უპირისპირებს: „ღმერთსა ნუ აწყენ, გეყოფი მეტის მეტობაც ავია“[505].
ნაწარმოების თანახმად:

„სიმართლისა მოიმედე ვინ სდევს საქმე არ წამჴდარა“[506].

„მომავალი საქმე ზენა კაცსა ზედა არ აჰჴდების;

უღმრთო საქმე ვინ ინდომა ცუდია და ცუდად სცდების“[507].

ქართველი ავტორები ხშირად გამოთქვამენ იმ აზრს, რომ, ზოგადად, ერისა და მისი ლიდერების ღვთისაგან განდგომა, ცოდვიანი, უზნეო ცხოვრება იწვევს გარეშე მტერთა წინაშე ქვეყნის დასუსტებას. მაგალითად, ნიკოლოზ I გულაბერისძის თანახმად: „მიშუჴბითა ღუთისათა თურქნი შემოვიდეს ქუჴყანასა ამას ჩუჴნსა.“[508] „ღვთის მიშვების“ მიზეზად კი იგი ქართველთა ცოდვებს ასახელებს.

შავთელი საქართველოს, მისი მეფეების მართლმორწმუნეობას, მართლმადიდებლობას უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებმა ჭეშმარიტება უარყვეს და, ამრიგად, მათი სახელმწიფოებრივი საქმიანობაც ღვთის შემწეობასა და წარმატებას მოაკლდა.[509] საქართველო, მისი მეფეები კი თავიანთი მართლმორწმუნეობის გამო, ღვთის განსაკუთრებულ მფარველობას განიცდიან, მტრებზე მათი ძლევა „უფლისმიერია“.[510]

ვახუშტის თხზულების პატრიოტული სულისკვეთების ფონზე, შემდეგ პარადოქსულ ცნობასაც ვხვდებით: თხზულების თანახმად, „ქართველთა ტომნი იყვნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უუღთოესნი“[511] და ალექსანდრე მაკედონელმა (აგრესორმა) „განწმიდა საქართველო ესევითართა უკეთურებათაგან“[512]. რამდენად სწორია ეს ცნობა, ცალკე საკითხია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვახუშტი არ ერიდება ქართველთა უარყოფითი თვისებების წარმოჩენას, როცა საქმე ზნეობას ეხება.

არჩილის ნაწარმოებში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ აზრთა შემდეგი შეჯახებაა გადმოცემული: ადამიანი საწუთროს სიმუხთლეს, ყოველგვარი „წესების გარეშე თამაშს“ აბრალებს. საწუთრო, სოფელი კი ამბობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თუკი ადამიანები ღვთის მცნებების შესაბამისად იცხოვრებენ. იგივე შეიძლება გადავიტანოთ საერთაშორისო უერთიერთობებზე, რადგან „სოფლის“ ეს ნათქვამი ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება.

ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელება ყოველთვის გულისხმობს ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვას. რადგან სხვა რჯულის აღმსარებელი მტერი მუდამ ცდილობს საქართველოს მისი ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიურ-სულიერი დასაყრდენი ქრისტიანობა წაართვას, ამიტომ

---

[505] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.315, გვ.57.
[506] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.378, გვ.66.
[507] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.475, გვ.80.
[508] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.107.
[509] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.609.
[510] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.596, 600.
[511] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.14.
[512] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.16.

სამშობლოსათვის დაღუპულნი, მაგალითად, ჩახრუხაძის მიხედვით, სარწმუნოებისათვის წამებულებთან არიან გაიგივებული.[513]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვითაც, ქრისტიანობის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილი რჯულისათვის თავის დადებაა, ამიტომაც „დიდად კეთილ არს“.[514] როგორც წესი, ბრძოლის წინ ქართველი მხედართმთავრები სწორედ ამას შეახსენებენ მეომრებს. მაგალითად, შამქორის ბრძოლის წინ ქართველი სპასპეტები ლაშქარს შემდეგნაირად მიმართავენ: „ჩვენცა ხელნი ხრმლად და სული ღმრთად!“[515]

ქვეყნისათვის სამხედრო სამსახური, როგორც რელიგიური აქტი ლაკონურადაა გადმოცემული ვახტანგ VI-ის ლექსში „სატრფიალონი“:

„კარგს მოლაშქრეს მონაზონზე ნუ ჰგონია თავი მცირად,
თუ ის სჯულსა აღასრულებს, შენ სჯულსა სცავ მონამჭირად;
ცეცხლს თუ შეშა თან არ ახლავს, დაშრტების და იქმნას მწირად,
და თუ ერთმანეთს არ უმწობენ, ორნივ იქმნას კარგზე ძვირად“[516].

ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს მომენტებში სასულიერო პირებიც კი იღებდნენ იარაღს. მაგალითად, ვახუშტის თანახმად, მარაბდის ბრძოლაში მროველი ეპისკოპოსიც მონაწილეობდა და ამას სწორედ სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისათვის ბრძოლას უწოდებდა.[517]

ჯუანშერის თხზულებაში, ვახტანგ გორგასლის, ისევე, როგორც მისი მამის, მირდატის მიერ ეროვნული ინტერესების განსაზღვრისასაც, რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ჭეშმარიტი სარწმუნოების, ისევე როგორც საერთოდ, ქვეყნის არსებობის შენარჩუნება ვახტანგისათვის სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესია. იგი ქართლში შემოჭრილი სპარსელების შესახებ პეტრე კათალიკოსს ეუბნება: „უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათვის გვბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათვის. აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიკვდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა.“[518]

ყურადღებას იპყრობს „მატიანე ქართლისაში“ გადმოცემული შემდეგი ფაქტიც: არჩილ მეფის ძეს, ჯუანშერს ხაზართა ხაკანი დის, შუშანის ხელს სთხოვს. სამაგიეროდ, არაბთა წინააღმდეგ დახმარებას სთავაზობს. ჯუანშერის დედა და ძმა, იოანე, ამასთან დაკავშირებით ამბობენ: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ.“[519]

ქართველები ხაკანს უარს უთვლიან. სამი წლის შემდეგ ხაკანი ძალით იგდებს შუშანს ხელში, მაგრამ „წარმართის მიერ შეგინებას“ ქალი თვითმკვლელობას არჩევს.[520]

როგორც ვხედავთ, რწმენის ერთიანობა, რელიგია მოკავშირეობის საფუძვლად გვევლინება. ჭეშმარიტი სარწმუნოების შენარჩუნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ მიზნისათვის სუვერენიტეტზე ნაწილობრივი უარის თქმაც კი დასაშვებია, ხოლო ნებისმიერი კომპრომისი, ამ საკითხთან დაკავშირებით, დაუშვებელია.

---

[513] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.560.
[514] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.8.
[515] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.70.
[516] ვახტანგ VI, სატრფიალონი, ლექსები და პოემები, თბილისი, 1947, მ.130, გვ.40.
[517] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.38.
[518] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.201.
[519] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.249-250.
[520] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.249-250.

ერთმორწმუნეობის მნიშვნელობას მოკავშირეობისათვის არაერთი ქართველი მოაზროვნე გამოყოფს.

ერთმორწმუნეობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ქორწინების მაგალითს ვხვდებით ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში. ქართველმა პოლიტიკოსებმა ისეთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური აქტის დროს, როგორიც მეფისათვის საქმროს შერჩევა იყო, ერთმორწმუნეობის პრინციპით იხელმძღვანელეს და არჩევანი რუს უფლისწულზე შეაჩერეს.[521]

ლეონტი მროველის თანახმად, გაქრისტიანებულმა მირიანმა რომის იმპერატორ კონსტანტინეს წერილი გაუგზავნა, სადაც თავისი მოქცევის ამბავს აუწყებდა და ღვთისმსახურთა გამოგზავნას სთხოვდა.

კონსტანტინე და მისი დედა ელენე ამ წერილმა დიდად გაახარა მათ შორის იმიტომაც, რომ „დაიდასტურეს მირიან მეფისაგან სრულიად მოწყვედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყვარულისა მათისა“[522]. კონსტანტინემ მირიანს მძევლად წაყვანილი მისი ვაჟი ბაქარიც გამოუგზავნა, რადგან „არღარა მიხმს მე შენგან მძევალი. არამედ კმა არს ჩვენ შორის შუამდგომელად ქრისტეო.“[523]

რელიგიურ ერთიანობაზე დაფუძნებული მოკავშირეობის მაგალითებს ვხვდებით ვახუშტისთანაც. მისი აღწერით, ვახტანგ V-მ რუსეთის მოკავშირეობა გადაწყვიტა იმის იმედით, რომ „ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტეანობისასა“.[524]
შაჰ აბასმა ალექსანდრე კახთა მეფის გამაჰმადიანებულ ვაჟს, კონსტანტინეს სწორედ ერთმორწმუნეობის გამო დაავალა კახეთში გამეფება და შემდეგ – ამ მხარის გამაჰმადიანება.[525]

რელიგია, ამავე დროს, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წონის გაზრდის, ტრადიციულ მოწინააღმდეგეებთან და, პირველ ყოვლისა, ბიზანტიასთან თავის გატოლებისა და მის მიმართ უპირატესობის დამტკიცების საშუალებასაც წარმოადგენს.

„ნინოს ცხოვრების“ ავტორი (VII ან IX სს.) სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებზე მოგვითხრობს, რომლებიც შუა საუკუნეებში, მათ შორის, ბიზანტიაშიც წარმოიშვა და გარკვეული დროის მანძილზე აქ მართლმადიდებლობის ადგილიც დაიკავა, კერძოდ ე.წ. ხატმებრძოლეობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველოში ხელდასხმის მისაღებად გუთი ეპისკოპოსიც კი ჩამოვიდა. ამ მხრივ, ერთმანეთს ადარებს რა ბიზანტიელებს ანუ ბერძნებსა და ქართველებს, წერს: ჩვენ, ქართველები „არაოდეს მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა...არამედ ეკლესიანი...და ყოველი ერი ჩვენი მტკიცედ და შეურყევლად ჰგიან აქამომდე მართალსა ზედა სარწმუნოებასა.“[526]

ამ მხრივ, თხზულება ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავთან“ ჰპოვებს ანალოგიას.

ქართული აზროვნება მსოფლიო მასშტაბით საკუთარი ჭეშმარიტი რელიგიის პოზიციების განმტკიცებას საგარეო პოლიტიკურ მიზნად აცხადებს.

---

[521] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.119.
[522] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.97.
[523] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.109.
[524] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.500.
[525] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.582.
[526] ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.392.

ჩახრუხაძის მიხედვით თამარი მესიის შემწეა და დგას „აგარის ტომთა გულსა შხამისად“[527], საქართველოს მეფე მსოფლიოს მუსლიმთა ლიდერების სულთანისა და ხალიფას „მგოდი“ და „სვისა ჯავართა მშლელია“[528].

თამარ მეფე (XII- XIII სს.) თავის ლექსში ომში ნაალაფარი დროშის მონასტრისათვის შეწირვის ფაქტს აღწერს. ღვთისმშობლისადმი მის მიმართვაში ვკითხულობთ: ქართველებმა „მოწყლეს, მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი,“ დავით სოსლანმა „მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით“[529].

შავთელისთვისაც საქართველოს მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა სწორედ რჯულის დაცვაა. იგი „სჯულის სვეტი“, „სულის ზღუდე“ და „ქრისტეს მხედარია.“[530] ერთი მხრივ, ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლა, იგივე რჯულისათვის ბრძოლაა, ხოლო, მეორე მხრივ, ურჯულოების წინააღმდეგ მეფე რჯულის განმტკიცებისათვის იბრძვის: „ექმნა წარმართსა და ერსა მათსა განსახრწნელ, რომელ სრულ პყრობილ იყვნეს.“[531]

როგორც ვხედავთ, „ანტიმაჰმადიუნურ“ მოტივებს ქართული პოლიტიკა საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად, პროპაგანდისტული მიზნებით იყენებს. თავისი გავლენის სფეროში მოხვედრილ ხალხებს შორის კი კულტურულ შემწყნარებლობას იჩენს.[532]

ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის იდეაც (რაზეც ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო, როგორც ბიზანტიასთან თავის გატოლების, ისე სუვერენულობის შენარჩუნების იდეოლოგიურ დასაყრდენთა შორის.

რუსეთის გაძლიერებისა და კავკასიაში გამოჩენის შემდეგ კი ქართულმა პოლიტიკურმა ელიტებმა უკვე რუსეთისაკენ დაიწყეს იმედის თვალით ყურება, როგორც მუსლიმთა შევიწროებისაგან ქრისტიანთა დამცველის მიმართ. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, იმერეთის სამეფო კარის სახელით ბესიკის მიერ „დიდ იმპერატრიცა ეკატერინას“-ადმი წერილში, სადაც რუსეთი წარმოჩენილია, როგორც ქრისტიანთა ურჯულო მტრებისაგან განმათავისუფლებელი, ხოლო ქართველთა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, როგორც ქრისტიანობისათვის ბრძოლა:

„ყოველთა ქრისტეანეთა აღმართებისა მღვიძარედ მოღვაწეო“, „თქვენის მოწყალებით გამოხსნილი არის ეს ქვეყნები (იგულისხმება საქართველო - ვ.კ.) და ჩვენ უსჯულოთა მათ ოსმანიანთაგან მრავალი ხანი არის, რომ განვთავისუფლებულვართ“[533]. „ჩვენ თუმცა მზა ვართ ქრისტეანობისათვის სისხლთა ჩვენთ დათხევად და ჩვენის შეძლებისაებრ თავსა ჩვენსა აღარ მივსცემთ მონად და არცაღა ჩვენგან მათი ყმობა იქნება“[534].

---

[527] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.577.

[528] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.574.

[529] თამარ მეფე, ცასა ცათასა, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.74-75.

[530] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.591, 607.

[531] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.594.

[532] როგორც ეს ბასილი ეზოსმოძღვართანაა განსაკუთრებით გაშლილი, იხ. გვ.44-45.

[533] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს (იმერეთის სამეფო კარის სახელით), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი (ალ.ბარამიძისა და ვ.თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1962, გვ.189.

[534] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს (იმერეთის სამეფო კარის სახელით), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი (ალ.ბარამიძისა და ვ.თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1962, გვ.190.

§ 2. რაციონალური რელიგიურობა

დავუბრუნდეთ ეგრისელ მოაზროვნეებს. ვერ დავეთანხმებით ბატონ ვახტანგ აბაშმაძის მოსაზრებას, თითქოს აიეტის შეხედულებანი ნაწილობრივ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება, რადგან მისი თქმით „შუა საუკუნეებში გავრცელებული ქრისტიანული რელიგიის დოგმების მიხედვით, ყველაფრის გამგებელი ღმერთია, აიეტის მტკიცებით კი, ყოველივეს განსაზღვრავს ადამიანისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი თვისება,“[535] თითქოს შუა საუკუნეების ქრისტიანობა უარყოფდა „მოვლენების განვითარების კანონზომიერებათა ბუნებრივ საფუძვლებს.“[536]

სხვადასხვა თეოლოგიური თუ ისტორიული მასალის მოხმობა ჩვენი თვალსაზრისის განსამტკიცებლად, ალბათ შორს წაგვიყვანდა, დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმის თქმით, რომ VI ს.-ის კოლხეთში გავრცელებული ქრისტიანობისათვის, რომელსაც შემდგომში მართლმადიდებლობა ეწოდა, ფატალიზმი, ანუ ღმერთის მიერ ადამიანების, შესაბამისად სახელმწიფოების, საერთაშორისო ურთიერთობის ბედის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა, მიუღებელია. პირიქით, ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება, კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის საშუალება მისცა, ყოველივე კეთილში იგი ეხმარება მას და სიკეთისაკენ უბიძგებს, ბოროტში კი ხელს უშლის, მაგრამ არ განსაზღვრავს იმას, თუ რომელ გზას აირჩევს ადამიანი და რა კეთილ, თუ ბოროტ საქმეებს ჩაიდენს იგი. მთავარი პასუხისმგებლობა ადამიანის ქცევაზე თითოეულ პიროვნებას ინდივიდუალურად ეკისრება. ამასთანავე, ღმერთმა ადამიანი ბუნებაში, საზოგადოებაში დაასახლა და აქედან გამომდინარე, ადამიანმა თავისთავად უნდა გაუწიოს ანგარიში ფიზიკურ თუ საზოგადოებრივ კანონებსა და მოვლენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღვთის სასწაულს უნდა მოელოდეს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური თვალსაზრისიდან გამომდინარე, აიეტის შეხედულებით, „საზოგადოების, სახელმწიფოს და სხვა სოციალური მოვლენების განვითარების კანონზომიერებათა“ განმსაზღვრელი ბუნებრივი საფუძვლებია, კერძოდ, „ჟამთა ტრიალი“, „ბედის უკუღმართობა“ და ა.შ. მაგრამ ამით იგი „ღმერთის მთლიან იგნორირებას“[537] არ ახდენს. იგივე შეიძლება ითქვას აიეტის ზემოთ მოხმობილ შეხედულებაზე, რომ ღმერთი მხოლოდ ზნეობრივ ადამიანებს შეეწევა, უზნეობა, ბოროტება კი ადამიანს ღვთის მფარველობას განაშორებს.

ანალოგიური შეხედულება გააჩნია ფარტაძსაც, რომელიც აღნიშნავს, რომ „ერი კრიტიკულ მომენტში მარტო ბედის იმედით არ ცხოვრობს,“ არამედ „უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს, რომელიც ღირსეულად იცავს მამა-პაპათა წესებს.“[538]

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვითაც, მართალია, აშოტ კურაპალატი „ღმრთის მსახური ჴელმწიფე“ და „კეთილად მორწმუნე“ იყო „რომელსა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ,“[539] ანუ აშოტის პოლიტიკური

---

[535] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.21.

[536] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.18.

[537] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.18.

[538] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.80.

[539] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.258.

წარმატებების საფუძველი მისი რელიგიურობა ხდება; მაგრამ მიზნის მისაღწევად რეალური ზომების მიღებას, აშოტის მსოფლმხედველობა ხელს არ უშლის. ძალა უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტია.

სუმბატ დავითის ძეც თავის თხზულებაში მოვლენებს, ძირითადად, ბუნებრივი კანონებით ხსნის. აშოტის არაბებთან ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების მიზეზად იგი იმას ასახელებს, რომ მას ლაშქარი არ ჰყავდა.[540] შირიმის ბრძოლაში ქართველების დამარცხება კი, მემატიანის აზრით, მათი სულმოკლეობის ბრალია.[541]

რაციონალიზმით გაზავებული რელიგიურობის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს დავითის ისტორიკოსიც. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დავითი მართლმორწმუნე ქრისტიანია, საქართველოს შეზღუდულმა შესაძლებლობებმა არ მისცა მას საშუალება ისეთი საგარეო პოლიტიკური წარმატებებისათვის მიეღწია, როგორც წარმართ ალექსანდრე მაკედონელს.

„ნინოს ცხოვრების“ შესაბამისად, უსაფრთხოების დაცვის საშუალებათა შორის ძალა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მაგალითად, თხზულებაში ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობაა აღწერილი, მისი ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ბრძოლა სპარსთა წინააღმდეგ. შემდეგ კი ავტორი დასძენს ვახტანგის შესახებ: „იყო იგი ფრიად შემკულ ღმრთის მსახურებითა და კეთილად მორწმუნეობითა.“[542]

რაციონალური რელიგიურობის საგულისხმო მაგალითს აღწერს ჯუანშერი. ქართლის უფლისწული მირდატი ქართლის მოწინააღმდეგის, ბარზაბოდ რანის ერისთავის ასულზეა შეყვარებული. იგი მეფე არჩილს ამ ქალის ცოლად შერთვას სთხოვს და ქვეყნისათვის ამ ქორწინების სარგებლიანობას შემდეგნაირად ასაბუთებს: „შევქმნათ ჩვენ შორის მშვიდობა. დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩვენ ვართ მძლენი, არამედ ვერა ავიხვამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ნუუკვე იცალოს მეფემან სპარსთამან და იძიოს ჩვენ ზედა შური და მოაოხრნეს ეკლესიანი და საზღვარნი ჩვენნი და აწ ამით განქარდეს მტერობა ჩვენ შორის...და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღვარნი ქართლისანი და განმტკიცნეს სჯული ქრისტესი ქართლს და არღარა შეიქმნას გულსა ქართველთასა იჭვი და გმობა სჯულისა ქრისტესისა მძლავრებისათვის სპარსთასა.“[543]

როგორც ვხედავთ, მირდატის აზრით, ქვეყნის საზღვრების დაცვა და ეროვნული სარწმუნოების განმტკიცება სახელმწიფოს უმთავრეს ინტერესს შეადგენს, ამისათვის კი სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა აუცილებელი. ამავე დროს, იგი ხედავს, რომ „დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩვენ ვართ მძლენი,“ რანის დაპყრობა შეუძლებელია. მეორე მხრივ, რანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში ქართლში ქრისტიანობა განმტკიცდება.

ნიკოლოზ I გულაბერისძის თხზულებაში, მაგალითად, ისეთი სახელმწიფო მოღვაწეები, როგორებიც მირიანი და დავით აღმაშენებელი არიან, სანიმუშო პიროვნებებად გვევლინებიან. თუკი დავით IV-ის შემტევ საგარეო პოლიტიკას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გულაბერისძე ამასაც უჭერს მხარს და არა მხოლოდ შემოსეული მტრის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას.

---

[540] სუმბატ დავითის ძე, დას. თხ., გვ.45.

[541] სუმბატ დავითის ძე, დას. თხ., გვ.54.

[542] ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.392.

[543] ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ.141.

რაციონალური რელიგიურობისგამომხატველი კიდევ ერთი შემთხვევაა აღწერილი „დავითიანში“. პეტრე I-მა ვახტანგ VI-ს მოკავშირეობა შესთავაზა და ამის გარანტად ერთმორწმუნეობა მოიტანა:

„ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო,
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებრ მამადო“[544].

რუსეთთან მოკავშირეობის საკითხზე ქართლელებს შორის აზრები გაიყო: ერთნი ამბობდნენ: „ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დადებულნი შევიქნებით, ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით!“[545]

მეორეთ უფრო რეალისტური შეხედულება ჰქონდათ:

„არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების.
ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების“[546].

ბუნებრივი კანონზომიერების გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე რუსთაველთან შემდეგნაირადაა გამოხატული: „ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა“[547].

ამ მხრივ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიში“ ზემოთ ნახსენები სიტყვები - „ხელნი ხრმლად და სული ღმრთად“, ისევე, როგორც ქართველ დიდებულთა მტკიცება - „ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს“ ამ პერიოდის ქართული აზროვნების ლოზუნგადაც შეიძლება გამოვაცხადოთ.

ივ.სურგულაძე ბასილი ეზოსმოძღვარზე წერს: იგი „ფატალისტი მაინც არ არის. თამარი, მისი თხრობით, ლოცვით არ კმაყოფილდება. დასახული მიზნის მისაღწევად ის ყოველთვის სათანადო ნაბიჯებს დგამს. ამასთანავე, მართალია ავტორი ღმერთსა და განგებას დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ სინამდვილის აღწერისას ის მოვლენებს რეალური, ჭეშმარიტი ფერებით...აგვიწერს...ცხოვრებისეულ მოვლენებს ის რეალურად აფასებს“.[548]

მეცნიერის ეს განსაზღვრება თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ზოგადად, განხილული ხანის ქართული აზროვნების დასახასიათებლად.

§ 3. მონარქია

ივ.სურგულაძე გრიგოლ ხანძთელთან დაკავშირებით წერს: „გრიგოლის სიტყვებით, მეფის ხელისუფლება ღვთისაგან არის გაჩენილი. ამასთან, აშოტ კურაპალატის ხელისუფლების სიმტკიცეს გრიგოლ ხანძთელი აშოტის ბიბლიური წარმოშობითაც ასაბუთებს...მაშასადამე...მეფობა ღვთისაგან არის გაჩენილი და ამიტომაც მას ქვეშევრდომნი უნდა ემორჩილებოდნენ.“[549] გრიგოლის სიტყვებში ივ.სურგულაძე აშოტისადმი ხანძთელის

---

[544] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.196, გვ.90.
[545] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.204, გვ.91.
[546] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.206, გვ.91.
[547] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.943.
[548] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.132.
[549] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.53.; ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ბ.ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბილისი, 1966;

შემდეგ მიმართვას გულისხმობს: „დავით წინაჲსწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან.“[550]

ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის იდეა მათ ხელისუფლებას რომ განამტკიცებდა, ეს სადავო არ არის და ამაზე ზემოთაც აღვნიშნეთ, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ „მეფობა ღვთისაგან არის გაჩენილი“, საფუძველსაა მოკლებული. შესაძლოა მეცნიერის ეს პოზიცია საბჭოური იდეოლოგიისადმი იძულებით ხარკს წარმოადგენს (ნაშრომი 1985 წ.-საა დაწერილი), მაგრამ რადგანაც ანალოგიურ შეხედულებებს თანამედროვე საქართველოშიც ვხვდებით, საჭიროდ ჩავთვალეთ ამ საკითხზე ყურადღება გაგვემახვილებინა. თუმცა, ალბათ ეს შეიძლება ცალკე კვლევის საგანიც იყოს.

გრიგოლ ხანძთელის ზემოაღნიშნული სიტყვები სახელმწიფო ხელისუფლებისადმი იმ ქრისტიანული მიდგომის ანარეკლია, რომელიც ახალი აღთქმიდან გამომდინარეობს და, მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგს გულისხმობს: რადგანაც ყველაფერი ღვთის ნებითა, თუ დაშვებით ხდება, ამა თუ იმ მეფის ზეობაც ღვთის ნებისა, თუ დაშვების გამოხატულებაა. რადგან სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგის და კეთილდღეობის დაცვისკენაა მოწოდებული, ღმერთიც, როგორც სიკეთის წყარო ხელისუფლების წარმომადგენლებს მათი ამ ფუნქციის განხორციელებაში შეეწევა. ამდენად, ყოველივე კეთილი, სამართლიანი, რასაც მეფეები აკეთებენ, ღვთის ნების შედეგია. შესაბამისად, მათდამი მორჩილება, როგორც სიკეთისა და სამართლიანობის მსახურებისადმი, რა თქმა უნდა, ღვთისათვის სათნო საქმეა.
მით უმეტეს, არაფერია გასაკვირი, როცა გრიგოლ ხანძთელი იმ მეფეებისადმი მორჩილებას უქადაგებს მოქალაქეებს, რომლებიც ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვისა და განმტკიცებისათვის იღვწიან. სწორედ ამიტომ უწოდებს გრიგოლი მათ ღვთისმსახურებს: „ღვთისმსახურნო მეფენო, ჭეშმარიტად გულნი თქვენნი ხელთა შინა ღმრთისათა არიან, რომელმანცა ჩვენ, გლახაკთა, გულსა ნუგეშინის სცა პირითა თქვენითა და კეთილითა თქვენითა უხვად მონიჭებითა.“[551] გრიგოლის სიტყვით, ბერები მათთვის ლოცულობენ „უმეტესად ამისთვის, რამეთუ მეფობისა სიმაღლესა თანა გაქვს თქვენ ქრისტეჲს მიმსგავსებული სიმდაბლე და მოღვაწებაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაჲ.“[552]

რაც შეეხება „ღვთის მიერ მეფობის გაჩენის“ დაკავშირებას დავით წინასწარმეტყველის ნათესაობის ფაქტთან, ბიბლიის მიხედვით, სამეფო ხელისუფლება ებრაელებმა წარმართთა მიბაძვით, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ შემოიღეს /მეფეთა, თავი 8/, თუმცა შემდეგ ღმერთმა, თავისი მოწყალების გამო, რჩეული ერის მმართველის უმადლოდ დატოვება არ ინება და მეფის კურთხევა დააწესა. ასე რომ, ქრისტიანული სწავლება სამეფო, თუ სხვა სახის ხელისუფლებას საკრალურ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ქვეშევრდომთა მხრიდან მეფეებისადმი მორჩილებას ყურმოჭრილ მონობასთან კი არ აიგივებს, არამედ

მ.ლორთქიფანიძე, პოლიტიკური თეორია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შესახებ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999.

[550] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.262.

[551] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

[552] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის საჭირო იმ საქმიანობის განხორციელებაში მორჩილებას გულისხმობს, რომელიც მეფეებსა თუ სხვა ხელისუფალთ ევალებათ.

მართლმადიდებლური მრწამსი მხარს უჭერს არა ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას, არამედ სახელმწიფოებრიობას, როგორც ასეთს, სახელმწიფოებრივ წესრიგს, რომლის გარანტად შუა საუკუნეებში, უპირატესად, სამეფო ხელისუფლება გვევლინება.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ გონელი არახამიას შემდეგ მოსაზრებასაც: „სუმბატ დავითის ძე ერთგული დამცველია შუასაუკუნეობრივ აზროვნებაში გაბატონებული იდეისა, რომელიც სამეფო ხელისუფლებას, როგორც ღვთის ნების აღმსრულებელს, საყოველთაო სიკეთის წყაროდ სახავს, მის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოქმედებას კი ღვთის გმობად და მიუტევებელ დანაშაულად განიხილავს.“[553]

ამ საკითხთან დაკავშირებით პატივცემული მეცნიერის მიერ მოყვანილ მაგალითებზე, რომლებიც არაკონსტრუქციულად გვეჩვენება, არ შევჩერდებით. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ სუმბატ დავითის ძის შეფასებით, უზნეო საქციელი არც მეფისთვისაა უცხო. მართლმადიდებლური ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ის მიერ გურგენისათვის მაგისტროსობის, ხოლო მისი ვაჟის, ბაგრატ III-სათვის უფრო მაღალი წოდების, კურაპალატობის მინიჭებას მემატიანე შემდეგნაირად აფასებს: „რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართა მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცვა.“[554]

ასევე ნიშანდობლივია სუმბატის მიერ აღწერილი შემდეგი ფაქტი. 1028 წ. ბიზანტიის ლაშქარს მედგარ წინააღმდეგობას უწევს ტბეთის ეპარქიის მოსახლეობა ეპისკოპოს საბას მეთაურობით. დამხვდურნი მათ მიერვე აშენებულ სვეტის ციხეში მაგრდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები მართლმადიდებელნი არიან და თავისი მართლმადიდებელი მეფის-იმპერატორის ბრძანებით მოქმედებენ, სუმბატი ქართველთა საქციელს ქრისტიანულ გმირობად მიიჩნევს და მებრძოლებს სარწმუნოებისათვის წამებულებს ადარებს. იგი წერს: „ღმერთმან განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღდელთმოძღუართათა.“[555] განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ქართველების ბრძოლას სათავეში ეპისკოპოსი უდგას.

როგორც ვხედავთ, სუმბატის მიერ ბიზანტიის იმპერატორთა ქმედებას უზნეო საქციელად და არა „საყოველთაო სიკეთის წყაროდ“ აცხადებს.

ერთადერთი წყარო, რომლის საფუძველზეც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველი მეფეები მართლაც რაღაც შეუმცდარ არსებებად იყვენენ წარმოდგენილი, ქართული სამართლის ძეგლებია. მე-13 საუკუნის დოკუმენტებში საქართველოს მეფეები „ღვთის სწორად“ იწოდებიან. მაგალითად,

- წყლობის დაწერილი ნკოლოზ კათალიკოზისა არვანბეგ საბაისძისადმი (1281-1282 წწ.): „ღმრთისა სწორი დავით მეფე“[556]. როგორც ჩანს დავით აღმაშენებელი იგულისხმება.
- შეწირულების დაწერილი გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი (1259-1293 წწ.): „ღმრთისა სწორთა პატრონთა რუსუდანის ძისა დავით მეფეთ-მეფისა წყალობითა“[557].

---

[553] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გ.არახამიას გამოკვლევა, გვ.12.
[554] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გ.არახამიას გამოკვლევა, გვ.52.
[555] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გ.არახამიას გამოკვლევა, გვ.58-59.
[556] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.170.
[557] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.173.

- წყალობის დაწერილი მიქელ კათალიკოზისა მსახურთუხუცესის ვაჩე გურამაისძისადმი (1241 წ.). ხელრთვა: ჯერ ამტკიცებს დავით მეფე, მერე კათალიკოსი, მერე წერია „ამის ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი ავაგ ათაბაგი“[558].

თუმცა, ერთი დოკუმენტის ხელრთვაში ეპისკოპოსიც კი ქრისტეს სწორად იწოდება: წყალობის დაწერილი არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა მგელა აბულახტარისძისადმი (1241-1242 წწ.): „ესე ვითა ქრისტეს სწორსა არსენი ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა და მწიგნობართუხუცესსა შეუწყალებია...დამამტკიცებელ ვარ მეცა...ქართლისა კათალიკოზი არსენი“[559].

ასე რომ, ეს, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის მანძილზე მეფეთა ფორმალური ხსენების ფორმა უფრო იყო, ვიდრე რეალური დამოკიდებულების გამომხატველი. იგი სავარაუდოდ ხაზს უსვამდა ხელისუფლების, როგორც წესრიგისა და სამართლიანობის დამამყარებლის ქრისტიანულ მისიას, დოკუმენტს ლეგიტიმაციას მატებდა და იმის მსგავსი დატვირთვა ჰქონდა, როგორც ამჟამად აქვს მაგალითად, პატრიარქის, როგორც „უწმინდესისა და უნეტარესის“ მოხსენიებას.

ერთი შეხედვით, თითქოს რუსთაველთანაც ვხვდებით „მეფის ღვთაებრივი წარმომავლობის“ შესახებ მითითებას. მაგალითად, „მისგან (ღვთისგან, ვ.კ.) არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“[560], ან კიდევ, „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან“[561]. თუმცა, ეს ანარეკლია ხელისუფლებისადმი, მათ შორის მონარქიისადმი იმ ქრისტიანული მიდგომისა, რომელზეც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

ამავე დროს, მეფეთა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში“ საგულისხმოა ხვარაზმის უფლისწულის მკვლელობის ამბავი, რასაც, ნაწარმოების იდეალური გმირები ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოეთის მეფის ნების საწინააღმდეგოდ სჩადიან. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ქმედებას ისინი ქვეყნის ეროვნული ინტერესებითა და „მართალი სამართლით“ ასაბუთებენ[562].

ვ.აბაშმაძე ღრმად სწავლობს „მართალი სამართლის“ საკითხს და ის დასკვნა გამოაქვს, რომ „ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგია ყველაზე მართალ და ჭეშმარიტ სამართლად ადამიანთა ნების მიხედვით დადგენილ სამართლებრივ ნორმებს როდი მიიჩნევს; „მართალი სამართლის“ ნორმები არ არის დამოკიდებული არავის ნებაზე და იგი მხოლოდ ღმერთის უცვლელი და მუდმივი ხასიათის ნებით განისაზღვრება“[563].

ქართველი მოაზროვნეები არ ერიდებიან მეფეთა მხილებას. ამ კუთხით გამოირჩვა სულხან-საბა. იგი „აღწერს სამეფო კარზე არსებულ სიტუაციას ზოგადად, სიცრუეს, მლიქვნელობას, შურს, დაბეზღებას. ამაში დიდი ბრალი მეფესაც მიუძღვის…მეფეები ხშირად ბოროტად იყენებენ თავის ძალაუფლებას, იღებენ გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე, მაშინ, როდესაც ემოცია ბატონობს, ხშირად ხარბები და გაუმაძღრები არიან.“[564]

მეფეთა თავგასულობის ერთ-ერთი მაგალითია „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ში აღწერილი ამბავი: ლეონმა ისე არ დაიწყო უფლისწულის აღზრდა, ვიდრე მეფემ ხელწერილი

---

[558] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.157.
[559] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.159.
[560] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1.
[561] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.435.
[562] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.524.
[563] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.149.
[564] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.44.

არ მისცა, რომ სხვების შესმენით ისე არ მოკლავდა, ვიდრე მასაც არ მოუსმენდა. მოგვიანებით ლეონი მეფისგან სიკვდილით დასჯას სწორედ ამ ხელწერილის წყალობით გადაურჩა.

სიბრძნე სიცრუისას ერთ-ერთი პერსონაჟის, უფლისწულის აღმზრდელ ლეონის პირით იგი შემდეგსაც ამბობს: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“[565].

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ მეფეებს გლახაკებსაც ადარებს და უპირატესობას ამ უკანასკნელთ ანიჭებს: „ერთმა გლახაკმან თქვა: -- მეფეთა ვჯობივარო, ამად რომე მე რაც მაქვს, მეყოფის და კიდეც ვჯერვარო; და მათ ხმელეთი იშოვონ, არ იმყოფინებენ და არც გაძღებიანო“[566].

სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ მოგვითხრობს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის შესახებ, რომელშიც მონარქია არ არის. მათ შორისაა ჟენევის რესპუბლიკა. სულხანს განსაკუთრებით მოსწონს „ჯენევიის“ ქალაქი და მისი წყობილება. „მრავალი კაი ქალაქია, მაგრამ ეს ქალაქი სხვა ქალაქია. კონსტანტინეპოლი იმტოლია, მაგრამ ამის შენებულობა და სიმდიდრე, სამართალი და სიმშვიდე იქ არც ერთია, არც სიმაგრე“[567].

არჩილიც მწვავედ ამხელს მეფეთა დანაშაულებს:

„მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა“[568];

„მივდრკით მეფენი თანად და ერნი და მღვდელნიც ჩვენთანა,
რაზომ გამსტოვრნენ პირველნი, სხვა ვერ ვიპოვენ ჩვენთანა;
გვამხელენ ჩვენი საქმენი, ვით დავითს მაშინ ნათანა.
და ვის რასაც ავგლეჯთ, დაგვრჩება აქავ, წარგვყვება არ თანა.“[569]

იგი განსაკუთრებით ამხელს მეფეთა მიერ სოციალურად დაბალ ფენებზე მძლავრობას:

„გლეხთა მიმძლავრებთ, ვერ გაიმრავლებთ
მონახოჭს მათსა, ვის აამებთა?
გლახაკთ არ უსმენთ, მსგავსად მათ უსმენთ
სიტყვის თქმადათცა დაადუმებთა“[570].

ანტონ I კათალიკოსი (XVIII ს.) იხსენებს საქართველოს მონღოლთა მიერ დაპყრობის პერიოდს. იგი რუსუდან მეფეს „არამრთელცნობიერსა“ და „არაგრძელგანმსჯელს“ უწოდებს. კათალიკოსი რუსუდანის დანაშაულებსა და ცოდვებს აცხადებს მონღოლთა მიერ საქართველოს დამარცხების მიზეზად, პირველ ყოვლისა კი თავისი ძმისწულის, მომავალში ულუდ წოდებული დავითის დატუსაღებას: „რომლისა ცოდვითა განიპატიჟა (დაისაჯა - ვ.კ.) ღმრთისაგან მონარხიაᲘ მისი, რამეთუ, რაᲘვეცა ჰყო მან ძმისწულსა მისსა ზედა დავითს და/ხატებასა ზედა ღმრთისასა არსებასა თჳსსა, უკმოიზღო ღმრთისაგან მოსაგებელი ესე“.[571]

---

[565] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.34.

[566] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.54-55.

[567] სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბილისი, 1940, გვ.8.

[568] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.4, გვ.97.

[569] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.15, გვ.98.

[570] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.86, გვ.242.

[571] ანტონ I კათალიკოსი, სიტყვა ასი ათას მოწამეზე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.VI, თბილისი, 1980, გვ.259.

დავით გურამიშვილი აღწერს რუსეთთან მოკავშირეობისა და ამის აშკარად გაცხადების სურვილს, რომელიც ვახტანგ VI-ს გააჩნდა. ქართლელი დიდებულების ნაწილი ამის წინააღდეგი იყო და ამის გამო მეფეს ძრახავდა:

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“[572]
„მისგან წახდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური,
ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური,
ყეენზედაც ავად დარჩნენ, მათ დაკარგეს ორგნივ პური“[573].

დავითი მეფის გამართლებას არ ცდილობს, პირიქით, მის სიტყვებში მეფისადმი საყვედური იკითხება. გამოდის, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართლი ასეთი მცდარი გზით წავიდა ის იყო, რომ მის სათავეში მეფე იდგა, რომელსაც შეეძლო არავისი რჩევისათვის დაეჯერებინა და „იქმოდა, რასაც ინებდა“.

მეტიც „დავითიანში“ ხელმწიფობა წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი პროფესიათაგანი: „მწყემსი, ხელმწიფე, გლახაკი, გინა მხვნელია, მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი, ოსტატ, ბრძენ-მსიტყველია“[574]. ამ პროფესიას, ისევე, როგორც სხვებს, სწავლა უნდა. „რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია!“[575]

ქართველი მოაზროვნეების ზემოთ აღწერილი დამოკიდებულებები, ცხადია, გამორიცხავს „მეფობის ღვთისაგან გაჩენილად,“ ან „საყოველთაო სიკეთის წყაროდ“ წარმოდგენას.

თავი 6. დავით IV აღმაშენებლის შეხედულებები

ცალკე უნდა აღინიშნოს დავით IV აღმაშენებლის შესახებ. ჩვენთვის საყურადღებო იყო „გალობანი სინანულისანის“ შემდეგი სტროფები:

„წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად
და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,
ვითარცა მცირეთა და უნდოთა,
ჩემისადმი უძღებებისა და გულისთქუმისა.

ბოროტად გარდავჰხედ
საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა
მივჰხვეჭე ნაწილი მათი
და ვიღვწიდ უმეზობლობასა,

[572] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.216, გვ.93.
[573] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.218, გვ.93.
[574] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.39, გვ.66.
[575] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.39, გვ.66.

ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა.“[576]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს დავითი „თავს ადანაშაულებს იმაში, რომ სახელმწიფო საზღვრების გაფართოებისათვის თავისი ქვეყნის საზღვრებს სცილდებოდა და მრავალ ადგილს იპყრობდა“.[577] ივ.სურგულაძე შემდეგსაც წერს: „მეფე, რომელიც იბრძვის სახელმწიფოს უშიშროებისათვის...პროგრესულ პიროვნებად წარმოგვიდგება“[578], „პროგრესულმა იდეებმა, რომლებითაც (დავითი, ვ.კ.) ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მართვაში მიიყვანა იგი ქრისტიანული რელიგიის დოგმატებთან წინააღმდეგობამდე.“[579]

თუ დავუშვებთ, რომ დავითი „სახელმწიფოს უშიშრეობისათვის ბრძოლას“, როგორც ივ.სურგულაძე აღნიშნავს თავის თავს დანაშაულად უთვლის, მაშინ გამოდის, რომ იგი თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს უარყოფს, რაც ძნელი წარმოსადგენია. ასეც რომ იყოს და დავითი სიცოცხლის ბოლოს ხვდებოდეს თავის შეცდომებს, მაშინ იგი მათ გამოსწორებასაც უნდა ეცადოს. მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის მიხედვით, სინანულს, აღსარებას აზრი არა აქვს, თუკი იგი ჩადენილი ცოდვების გამეორებას არ გამორიცხავს, შეცდომების გამოსწორებას არ გულისხმობს, მაგრამ ამაზე დავითის ნაწარმოებში საუბარი არ არის. თუკი ვივარაუდებთ, რომ მეფემ „გალობანი სინანულისანი“ სიკვდილის წინ დაწერა და არ ჰქონდა იმედი, რომ კიდევ შესძლებდა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის მოეკიდა ხელი, მას თავისი მემკვიდრისადმი მაინც უნდა ეანდერძა მის საქმიანობაში ჩადენილი დანაშაულებების გამოსწორება. მაგრამ გალობანი სინანულისანი ამ მხრივაც სდუმს. არაფერია ამასთან დაკავშირებით ნათქვამი დავითის ანდერძშიც, რომელიც მისი გარდაცვალების წელს (1125) დაიწერა.[580] დავით აღმაშენებლის რელიგიურობა, რომელიც მის ცხოვრებაში ვლინდება და რომლის ერთ-ერთი თვალნათელი გამოხატულებაც „გალობანი სინანულისანია“, ის გულწრფელობა, ღვთისმოშიშება და ა.შ., რომელსაც ეს ნაწარმოები ავლენს, იმის თქმის უფლებასაც არ გვაძლევს, რომ დავითის ზემოთქმული სიტყვები უბრალო მანერობაა, საკუთარი თავის ღრმად მორწმუნედ ჩვენების მცდელობა, თუ სულიერების გამოღვიძების, გონების განათლების ხანმოკლე მომენტი, რომელმაც მალე ჩაიარა და დავითი ისევ ჩვეულ ცხოვრებასა და ცოდვებს მიუბრუნდა.

გარდა ამისა, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართული ცნობიერება, რომელიც მართლმადიდებლობას ეფუძნებოდა, არათუ გამორიცხავდა სახელმწიფოს, სამშობლოს უსაფრთხოებისათვის შეიარაღებულ ბრძოლას, არამედ პირიქით, ამას გმირობად აცხადებდა და ქართველები, როგორც წესი, ამ საქმეში შემწეობისათვის ღმერთს მიმართავდნენ. ასევე იქცევა დავითიც.

მაგალითად, 1123 წ.-ის ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი იგი შარვანში ლაშქრობის წინ შეწევნისათვის წმ. შიოს მიმართავს.[581] განა შეიძლება იმისი დაშვება, რომ დავითი ღმერთსა და მის წმინდანს ცოდვაში სთხოვდა შემწეობას?!

1125 წლის ანდერძიც რელიგიური მსოფლმხედველობითა და სულისკვეთებითაა გამსჭვალული და აქ განსაკუთრებულადაა ხაზგასმული მეფისა და მის ქვეშევრდომთა

---

[576] დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბილისი, 1989, გვ.24.
[577] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.85.
[578] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.86.
[579] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.84.
[580] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.8.
[581] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.12.

„ღვაწლით მოგებული“ ტერიტორია „ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღვადმდე და ოვსეთითგან სოერად და არეგაწადმდე.“[582]

დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობის კიდევ ერთი გამოხატულებაა მისი მეფობის დროს მოჭრილი მონეტები, რომლებზეც იგი „მეფეთმეფედა“ და „“მესიის მახვილად“ იწოდება, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

მაშინ როგორ შეიძლება ავხსნათ „გალობანი სინანულისანის“ ზემოთ მოხმობილი სიტყვები?

ჩემი აზრით, აქ დავითი ინანიებს არა თავისი საგარეო პოლიტიკის მცდარ, ცოდვიან მიმართულებას, არამედ საკუთარ გულისთქმებს, მანკიერებებს, რომლებიც მას ამ პოლიტიკის წარმოების დროს ეძალებოდა და იმ შეცდომებს, რომლებსაც იგი ამ მანკიერებებიდან გამომდინარე სჩადიოდა.

ბუნებრივია, როგორც ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც დიდი ძალაუფლება აქვს და თავის საქმიანობაში დიდ წარმატებას აღწევს, სხვადასხვა მანკიერებები ეძალება: სიხარბე („წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი“, „ჩემისადმი უძღებებისა და გულისთქუმისა“), ამპარტავნება და ღვთისადმი ერთგვარი ქიშპობა („ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ, ვითარცა მცირეთა და უნდოთა“, „ვიღვწიდ უმეზობლობასა ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობ ქვეყანასა ზედა“), დაუნდობლობა, სისასტიკე („ბოროტად გადავჰხედ საზღვართა“, „უუძლურესთა მივჰხვეჭე ნაწილი მათი“).

არაფერია გასაკვირი, რომ ასეთი თავბრუდამხვევი წარმატებების პირობებში, რომლებსაც დავით IV-მ მიაღწია, მას ადამიანური მანკიერებები მოსძალებოდა. ამის შესახებ, სხვათა შორის, იგი თავის ანდერძშიც წერს: „უკვდავი და დიდებისა მოყვარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ და არა მიოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლვისა ჩემისასა.“[583] შიომღვიმის მონასტრისადმი დაწერილ ანდერძშიც დავით მეფე შემდეგს დასძენს: ღმერთმა „ყოვლად უმადლო ესე ჯერისაებრ ვერმმადლობელიცა არა მომიძაგა.“[584]

რა თქმა უნდა, დავითის დამოკიდებულება საკუთარი მანკიერებების მიმართ არარელიგიურ ადამიანს შეიძლება გადაჭარბებულად, „უსაზღვრო ბრალდებებად“[585] მოეჩვენოს, მაგრამ ქრისტიანი, მართლმადიდებელი პიროვნებისათვის, როგორსაც დავით აღმაშენებელი წარმოადგენდა ეს სრულიად ბუნებრივი იყო.

რელიგიური შინაარსის მიუხედავად, „გალობანი სინანულისანის“ განხილული ადგილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისითაც საინტერესოა. იგი წარმოდგენას გვიქმნის დავითის, როგორც რელიგიური ადამიანის შეხედულებაზე პოლიტიკის მიმართ. თუკი აღმაშენებლის სიტყვებს თანამედროვე პოლიტიკური რეალიზმის ჭრილში განვიხილავთ, ანუ იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის მანკიერი ბუნება მას სხვებზე ძალადობისა და ბატონობისაკენ უბიძგებს, დავინახავთ, რომ რელიგიური, ამ შემთხვევაში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური შეხედულებები აგრესიულ და უსამართლო მიდრეკილებებს დაბრკოლებებს უქმნის.

დავითისათვის მიუღებელია ისეთი მიზნების დასახვა, რომლებიც არა ეროვნული ინტერესებიდან, არამედ პირადი გულისთქმებიდან გამომდინარეობენ და მიზნის, მიუხედავად იმისა, თუ რა უდევს მას საფუძვლად, ნებისმიერი საშუალებით მიღწევა.

---

[582] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.19.
[583] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.19.
[584] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.12.
[585] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.87.

რელიგიური მსოფლმხედველობა აღმაშენებელს, ამ მხრივ, გარკვეულ ზღვრებს უწესებს ასე რომ, დავით აღმაშენებელიც ისევე, როგორც ბევრი ქართველი მოაზროვნე, ზნეობრივი პოლიტიკის მომხრეა.

იმის დასამტკიცებლად, რომ დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეას ემხრობოდა, პატივცემულ მეცნიერებს, ივ.სურგულაძესა და ვ.აბაშმაძეს „გალობანი სინანულისანიდან“ შემდეგი ადგილი მოჰყავთ: „ხატსა თჳსსა მამსგავსე...ბუნებითსა რაჲ პორფირისასა თჳთ მფლობელობასა-თანა, მეფობისაცა შარავანდედნი მარწმუნენ.“[586]

ვ.აბაშმაძე თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად, 1123 წ.-ის ანდერძსაც იშველიებს: „თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა თჳსითა რაჲთამე განგებით არა-უღირს-მჩენელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაითგანვე აღიღო ჴელი სიტკბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა და თჳთ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად.“[587]

ჩემი აზრით, ეს სიტყვები არ გვაძლევენ ზემოაღნიშნული დასკვნის გამოტანის საშუალებას. ვ.აბაშმაძე თავად წერს, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, „ღმერთი არის შემქმნელი ყოველივე არსებულისა, იგი არის ადამიანებისათვის სიცოცხლისა და წყალობის მიმნიჭებელი და, ამავე დროს, სიკვდილის მომავლინებელი.“[588] თუ ასეა, მაშინ ბუნებრივია, რომ თავისი ძალაუფლება დავითსაც ღვთისაგან მიეღო, ისევე, როგორც ნებისმიერი მდაბიო იღებს ღვთისაგან იმ სიკეთეს, რაც მას გააჩნია, რადგან ღმერთი ყოველივეს განაგებს. ამ გაგებით, მდაბიური მდგომარეობაც ღვთაებრივი წარმოშობისად უნდა ჩავთვალოთ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით, დავით აღმაშენებლის შეხედულებების თაობაზე შემდეგი შეიძლება ითქვას: დავითის მსოფლმხედველობა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მრწამსზეა დაფუძნებული, ამიტომაც აღმაშენებლის აზრით, ამქვეყნიური ცხოვრების და მათ შორის, ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობების უზენაესი განმგებელი ღმერთია. თავის ყველა წარმატებას მეფე ღვთის წყალობას მიაწერს. ამავე დროს, აღმაშენებლის მსოფლმხედველობა როგორც ქართული აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი, ფანატიკური არ არის და ადამიანის პირად ძალისხმევას რაიმე მიზნის მისაღწევად და, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოებისა, თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, არ გამორიცხავს. ამ მხრივ, იარაღის ძალის გამოყენება დავითისათვის ბუნებრივია, თუმცა პრინციპი „მიზანი ამართლებს საშუალებას“, აბსოლუტური სახით, მისთვის მიუღებლია. ასე რომ, დავით აღმაშენებელიც ისევე, როგორც ბევრი ქართველი მოაზროვნე, ზნეობრივი პოლიტიკის მომხრეა.

საგარეო პოლიტიკური ინტერესების გამომუშავებაში დავითი რელიგიურ ფაქტორებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მათ საგარეო პოლიტიკური პროპაგანდისთვისაც იყენებს. დავითის მსოფლმხედველობაში დიდმპყრობელური ტენდენციაც იკვეთება, თავის სახელმწიფოს აღმაშენებელი არათუ საერთაშორისო ურთიერთობების სრულუფლებიან, დამოუკიდებელ სუბიექტად ხედავს, არამედ მას სხვა სუბიექტებზე მაღლა აყენებს.

---

[586] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.86; ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.85.

[587] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.75.

[588] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.74.

დასკვნა

V-XVIII სს.-ის ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების განხილვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა აზროვნების განვითარების ხაზი, რომელიც უშუალო კავშირშია თავის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

დიდი ადგილი ეთმობა სახელმწიფოს როლს საერთაშორისო სისტემაში. ქართული აზროვნება სახელმწიფოს საერთაშორისო სისტემის სრულუფლებიან სუბიექტად, ანუ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის მთავარ ობიექტად მიიჩნევს და განიხილავს. ყურადღების ცენტრში ამ პრობლემის მოხვედრა სრულიად ბუნებრივია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა და, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა საუკუნეების მანძილზე ერთიანი ქართული სახელმწიფო არ არსებობდა და სხვადასხვა ქართულ სამეფო-სამთავროებს მუდმივად უხდებოდათ არსებობისათვის ბრძოლა.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით IX ს.-მდე ქართველი მოაზროვნეები იძულებულნი არიან ქართული სახელმწიფოების სუვერენიტეტის შეზღუდვას შეეგუონ; მაგრამ, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, უკვე XI ს.-ის პირველ ნახევარში, ქვეყნის გაძლიერებასთან ერთად, ქართული აზროვნება არათუ თავისი სახელმწიფოს სუვერენულობის შეზღუდვას თვლის დასაშვებად, არამედ დიდმპყრობელურ მისწრაფებებსაც ამჟღავნებს.

ჩნდება რომთან და ბიზანტიასთან თავის გატოლებისა და დაპირისპირების ტენდენციები.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ქართლში მეფობის წარმოქმნის დაკავშირება ალექსანდრე მაკედონელთან („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX ს.) და ქართლის მეფეთა სპარსეთის სამეფო დინასტიასთან ნათესაობის იდეა (ლეონტი მროველი, „ცხოვრება მეფეთა“, XI ს.); საქართველოს სამეფო დინასტიის, ბაგრატიონების ბიბლიური წარმომავლობის კონცეფცია; საქართველოს, როგორც ბიზანტიის საქმის გამგრძელებლის, მიერ მსოფლიო მასშტაბით ქრისტიანობის დაცვაზე პრეტენზიის განცხადება.

დიდმპყრობელური ტენდენციების განვითარება თავის მწვერვალს XII-XIII სს.-ის ქართულ აზროვნებაში აღწევს.

ამავე დროს, ტერიტორიის კონტროლის საკითხი მისი უშუალო ფლობის გარეშე ქართულ აზროვნებაში საკმაოდ დახვეწილ ფორმებს იღებს. ეს კი, თანამედროვე თვალთახედვითაც, აზროვნების მეტად მაღალ დონეზე მეტყველებს.

დიდმპყრობელური ტენდენციები ქრება საქართველოს დასუსტებასა და დაშლასთან ერთად. მართალია სუვერენული სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, მთლიანობაში, ნარჩუნდება, მაგრამ ამ დამოკიდებულების კრიზისიც ადგილ-ადგილ იჩენს თავს, რაც დიპლომატიურ მიმოწერასა, თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ვლინდება, როდესაც ქართული სახელმწიფო მოღვაწეები ქართული სამეფოების სხვა ძლიერი სახელმწიფოებისადმი დაქვემდებარებასა და, ამგვარად, საერთაშორისო სისტემის იერარქიულობას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ.

შემტევი საგარეო პოლიტიკის მთავარი საფუძველი ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის გარანტიებია, რომელთა უზრუნველყოფის უმთავრეს საშუალებადაც ქართულ აზროვნებას ძალის, ძლიერების მუდმივი ზრდა ესახება. ეროვნული ინტერესების, უსაფრთხოების მნიშვნელობის შეფასება ქართულ აზროვნებაში მეტად მაღალია. ისინი მეფეზეც, ისევე როგორც ნებისმიერ მოქალაქეზე მაღლა დგას.

დიდი ყურადღება ეთმობა იდეალური ლიდერის, სახელწიფოს მეთაურის სახის დახატვას, რომელიც ვალდებულებულია მთლიანად დაექვემდებაროს ეროვნულ ინტერესებს. მონარქიული სახელმწიფო წყობის მიუხედავად, დემოკრატიული მიდგომები საკმაოდ ძლიერია, იმ გაგებით, რომ ერთპიროვნული მართვის სტილი არ არის მოწონებული. მეფემ ყური უნდა მიუგდოს ქვეშევრდომთა აზრს, მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს, ყველა მოქალაქის კეთილდღეობა, თანასწორობა და სამართლიანობა უნდა უზრუნველყოს.

საინტერესო მოსაზრებები არსებობს ომის წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით. მეტად საყურადღებოა პატარა ქვეყნის თემა, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ეხება, ხოლო უფრო ღრმად შოთა რუსთაველთანაა გაშლილი. მისი თვალთახედვით, პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ საერთაშორისო ურთიერთობების სრულუფლებიანი სუბიექტის მდგომარეობა რეალურად დაიმკვიდრონ.

მთლიანობაში, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები ერთი სახელმწიფოს პოზიციებიდან, ინტერესებიდან არის დანახული და საყოველთაო მშვიდობის შესახებ მსჯელობა არ მიმდინარეობს. ამავე დროს, ქართველი მოაზროვნეები მაღალ შეფასებას აძლევენ იმას, რომ საქართველო თავის რეგიონში მშვიდობის დაცვას ცდილობს. ისინი მოწონებით არაერთხელ აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა, თუმცა, უპირატესად, ამ პერიოდის ქართულ აზროვნებაში მშვიდობა საკუთარი ტერიტორიის უსაფრთხოების წარმატებულ დაცვასთან არის გაიგივებული. ეს კი საჭიროს ხდის გარეშე მტრების შემოტევათა მოგერიებასა და პირიქით, მათზე შეტევას, საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებას, ძალის დემონსტრაციას პრესტიჟის გასაზრდელად.

ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენენ სულხან-საბა, არჩილი და ვახტანგ VI. არჩილი და ვახტანგ VI პირდაპირ უპირისპირდებიან და გმობენ იმპერიალისტურ აზროვნებას, ხოლო სულხან-საბა უფრო შორს მიდის და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვის მოწოდებით გამოდის. იგი ომების, შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს აანალიზებს და მათი თავიდან აცილების გზებს ეძებს.

აღნიშნული ავტორების დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების მიმართ განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმის გათვალისწინებით, რომ ისინი XVII-XVIII სს. ცხოვრობდნენ, თანაც კავკასიაში, რომელიც სხვადასხვა იმპერიების გამუდმებული შემოტევების ობიექტი იყო, სადაც სწორედ ძალა ბატონობდა და ყველაფერი მას ექვემდებარებოდა. მაშინ როდესაც ჩვენს თანამედროვე ეპოქაშიც კი იმპერიალიზმი საერთაშორისო სამართლის პრინციპებს უპირისპირდება, შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბამ, არჩილმა და ვახტანგ VI-მ ბევრად გაუსწრეს იმ დროს, რომელშიც ცხოვრობდნენ და მათი შეხედულებები დღესაც აქტუალურია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო აზროვნებისთვისაც.

შუა საუკუნეების თავისებურებებიდან გამომდინარე, განხილულ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების განხილვას მჭიდროდ უკავშირდება რელიგიის თემა. ყოველგვარი საგარეო პოლიტიკური ქმედება რელიგიურ გამართლებას საჭიროებს.

რელიგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“, რომელშიც ქართული მესიანისტური იდეის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ქრისტეს კვართის სვეტიცხოველში დამარხვას საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი.

განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები VI საუკუნის ეგრისის აზროვნების შესახებ. თანამედროვე პირობებშიც ძალზე საგულისხმოა ლეონტი მროველის კავკასიელთა ნათესაობის კონცეფცია, მოსე ხონელისა და ბასილი ეზოსმოძღვრის შემოქმედება.

ცალკე უნდა ითქვას XI ს.-ის მოაზროვნის ჯუანშერის შესახებ. როგორც ვახტანგ გორგასალი იქცა ძლიერების ეპოქის საქართველოს წინასახედ, რომლის შესახებაც ჯუანშერი წერს, ასევე მისმა თხზულებამაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების თვალსაზრისით თავისებური საპროგრამო ხასიათი შეიძინა მთელი XI-XIII სს.-ის მანძილზე, რადგან ამ მხრივ, თხზულება განსაკუთრებით ბევრ ცნობას გვაწვდის და, ამავე დროს, პირველია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით, ასეთ უხვ მასალას წარმოგვიდგენს.

მდიდარ მასალას შეიცავს გვიანი შუა საუკუნეების რიგი ავტორების შემოქმედება, როგორებიც არიან ფეშანგი, არჩილი, სულხან-საბა, ვახუშტი.

ამრიგად, განხილული პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნება, თავისი დროის მოთხოვნათა შესაბამისად, განიხილავს და პასუხს სცემს საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს თეორიულ საკითხებს. მეტიც, რიგი საკითხების გააზრება სცილდება ერთი ქვეყნისა თუ ეპოქის ჩარჩოებს და აქტუალურია თანამედროვე საქართველოსა და, საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ქართული აზროვნების ნიმუშებს საკმაოდ საგულისხმო პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ IX-XVIII სს.-ის ქართულ აზროვნებაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების გააზრების შესახებ საკმაოდ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა შეგვიძლია, ამომწურავი ცნობების მოპოვება მაინც შეუძლებელია, რადგან სპეციალური შრომა აღნიშნულ საკითხებს არ ეძღვნება. ხოლო რაც შეეხება უფრო ადრინდელ პერიოდს, წყაროებში ჩვენთვის საინტერესო საკითხები, ძირითადად, ყურადღების მიღმაა დატოვებული. ამიტომ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენის შექმნაზე აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ იმის საფუძველზე, რამაც ჩვენამდე მოაღწია, ნათელია, რომ ამ პერიოდშიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების ანალიზს ქართულ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და თუ არა წყაროთა სიმწირე, ალბათ ბევრ საინტერესო საკითხს ამ ეპოქიდანაც მოეფინებოდა ნათელი და ბევრი მოაზროვნის სახელი შევიდოდა საქართველოს ისტორიაში. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების ანალიზს ქართულ აზროვნებაში დიდი ისტორია აქვს.

მართალია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების ანალიზს უკვე V-VI საუკუნეების ქართულ აზროვნებაში ვხვდებით, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, ამ მხრივ, ქართულ აზროვნებას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს V-VI სს.-ის აზროვნების დონე, რომელიც შეუძლებელია უფრო ადრეული ხანის წინაპირობების გარეშე ჩამოყალიბებულიყო.

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიებიდან ყველაზე მეტ საერთოს განხილული პერიოდის ქართული აზროვნება პოლიტიკურ რეალიზმთან პოულობს. თუმცა, არის პრინციპული განსხვავებებიც, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიისა და ზნეობისადმი დიდი მნიშვნელობის მინიჭება, რაც უკვე V-VIII სს.-ის ქართულ აზროვნებაში შეინიშნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე პერიოდშივე იკვეთება მსგავსებანი პოლიტიკურ რეალიზმთან.

ომის გამომწვევ მიზეზთაგან ქართულ აზროვნებაში ვხვდებით როგორც კლასიკური პოლიტიკური რეალიზმის, ისე ნეორეალიზმის შეხედულებების ანალოგიას. კერძოდ, ამის

მიზეზად, როგორც ადამიანის მანკიერი ბუნება (მაგალითად, სუმბატ დავითის ძე - კონსტანტინე VIII-ს აგრესია საქართველოში), ისე, საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა (მაგალითად, მოსე ხონელი) გვევლინება; მაგრამ ძირითადი ყურადღება ამ მხრივ ეროვნულ ინტერესებზეა გამახვილებული.

მარქსისტული თეორიის მიხედვით, ფეოდალური სახელმწიფო ერთი საზოგადოებრივი კლასის მეორეზე ბატონობის იარაღს წარმოადგენდა და მისი საგარეო პოლიტიკაც გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. მაგრამ ქართულ აზროვნებაში სრულიად საპირისპირო ტენდენციებს ვხვდებით. ეს ტენდენციები მართლმადიდებლური რწმენიდან გამომდინარეობს და კლასთა შორის მშვიდობასა და თანხმობას, ყველას ინტერესების დაკმაყოფილებას გულისხმობს.

ყოველივე ეს ქართულ აზროვნებას კიდევ უფრო მეტად სძენს განსაკუთრებულსა და თვითმყოფად ხასიათს და მთლიანობაში, თუკი განხილული ეპოქისათვის დამახასიათებელ შეხედულებებს შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ძირითადში, საერთაშორისო ურთიერთობების ერთ გაბატონებულ თეორიასთან გვაქვს საქმე, რომელსაც სამართლიანად შეუძლია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებშიც კი დამოუკიდებელი თეორიის ადგილი დაიმკვიდროს.

ამრიგად, საქართველო, კაცობრიობის აზროვნებაში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საკითხების თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას წარმოადგენს, ამიტომაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მსოფლიო ისტორიის შესწავლაში ქართული აზროვნების ჩართვა მნიშვნელოვანია, რათა სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების, მისი ისტორიული ფესვების შესახებ.

მასალები წყაროებიდან (ვრცლად)

§ 1. მასალები: სუვერენული სახელმწიფოები -- საერთაშორისო ურთიერთობების თანასწორუფლებიანი სუბიექტები

ეპიგრაფიკა, სამართლის ძეგლები

თუკი ადრეულ ხანებში, მაგალითად, ტაძრის აშენების დათარიღება, როგორც წესი, ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების მეფეთა ზეობასთანაა დაკავშირებული და ქართველი ხელისუფალნი ზოგჯერ არც კი იხსენებიან, თანდათანობით უცხოელ ხელმწიფეთა ადგილს ქართველი მეფე-მთავრები იკავებენ.

მაგალითად, ბოლნისის ტაძრის წარწერაზე (Vს.) აღნიშნულია: „ოც წლისა პეროზ მეფისა ზე, ვიწყე შენებაჲ ამის ეკლესიაჲსაჲ.“[589] როგორც ვხედავთ, სპარსეთის შაჰია მოხსენიებული, რომელიმე ქართველი მეფე, თუ მთავარი კი საერთოდ არ იხსენიება.

[589] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.66; წარწერები აქაც და შემდეგაც აღდგენილი სახითაა მოტანილი, შემოკლებების გარეშე.

აბასთუმნის ეკლესიის წარწერაც (685/711წწ.), აშენების თარიღის აღსანიშნავად, უცხო სახელმწიფოს, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მეფობას (იუსტინიანე II-685-695, 705-711) იშველიებს, თუმცა აქ ქართველი მამფალი „არშუშა პატრიკიოსი“ და „ქართველთა ერისთავიცაა“ მოხსენიებული[590], მაგრამ, როგორც ვხედავთ, მას, ბიზანტიის „მეფესთან“ შედარებით, დაბალი ტიტული აქვს და თანაც ბიზანტიური - „პატრიკიოსი“, რაც ამ სახელმწიფოსადმი მის დამოკიდებულ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

IX ს.-დან ჩნდება წარწერები, სადაც მხოლოდ ქართველი ხელისუფალნი იხსენიებიან და თანაც სუვერენი მმართველის, ხელმწიფისა, თუ მეფის სახელწოდებით. მაგალითად, 864 წ.-ის არმაზის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებელი გვამცნობს, რომ მშენებლობა დაიწყო „ჴელმწიფობასა გიორგისსა“[591].

914 წ.-ის ერედვის (შიდა ქართლი) წმ. გიორგის ეკლესიის დათარიღებაშიც „კონსტანტინე მეფის ხელმწიფობა“ მოიხსენიება.[592]

ნიშანდობლივია X ს.-ის 80-იანი წწ.-ის ივანე სულასძის საამშენებლო წარწერა ზარზმის სამონასტრო ანსამბლზე: „მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან: უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუავლინნა“[593].

როგორც ვხედავთ, მართალია დავითი თავისი ბიზანტიური ტიტულით მოიხსენიება, მაგრამ თვით ბიზანტიელ „მეფეთა“ სახელები არ არის მოხსენიებული. ბიზანტიაში მეფის ხელისუფლების ქართველთა წყალობით შენარჩუნების ფაქტის საგანგებო აღნიშვნა იმაზე მეტყველებს, რომ ამ მოვლენით ქართული სახელმწიფოს ძლიერება, საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი პოტენციალი მსოფლიო დონეზე წარმოჩინდა.

„საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩვენს ტერიტორიაზე დაცულ ეპიგრაფიკულ მასალაში არსად გვხვდება ბერძენთა (ბიზანტიელთა) მეფეების მოხსენიება“[594]. თუმცა ქართველი მეფეები ჯერ კიდევ ბიზანტიური ტიტულებით მოიხსენიებიან. მაგალითად, ბაგრატის ტაძრის (X-XI სს.-თა მიჯნა) წარწერაზე, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III (978-1014) იწოდება „ქართველთა მეფედ და კურაპალატად“[595].

ხახულის ხატის ერთ-ერთ წარწერაზე ბერძნულად ვკითხულობთ: „უფალო შეეწიე მონასა შენსა კვირიკე მაგისტროსსა“, ქართულად აქვე „ქრისტე ადიდე კვირიკე მეფე“[596].

ყველაზე საფუძვლიანი ვარაუდით, წარწერა კახეთის მეფე-მაგისტროს კვირიკე III დიდს (1010-1037) ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ ბერძნულ წარწერაში კვირიკე მხოლოდ მაგისტროსად, ქართლში კი მეფედ იხსენიება. აქ სუვერენულობისაკენ სწრაფვა იგრძნობა, რომელიც ბიზანტიის დიდ სახელმწიფოსთან მიმართებაში აშკარად არ მჟღავნდება.

საგულისხმოა ისიც, რომ უკვე მეფე ბაგრატ III „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატადაც“ იხსენიება (კაცხის წარწერა - 1010-1014წწ.)[597], რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო, მართალია ნომინალურად ბიზანტიის უზენაესობას აღიარებს, მაგრამ უკვე ავლენს დიდმპყრობელურ მისწრაფებებს, პრეტენზიას „ყოველი აღმოსავალის“ მიმართ.

---

590 ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.101-103.
591 ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.167-168.
592 ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.171-172.
593 ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981, გვ.281.
594 თ.ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ.148.
595 ქართული წარწერების კორპუსი, ტ.1, გვ.281.
596 თ.ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ.31.
597 ქართული წარწერების კორპუსი, ტ.2, თბილისი, 1980, გვ.53.

ამავე თვალსაზრისით, საყურადღებოა შიომღვიმისადმი 1057 წ. ბაგრატ IV-ის სიგელის ქართლის კათალიკოს გიორგის მინაწერი, სადაც ბაგრატი იწოდება „ძლიერ აფხაზთა მეფედ“ და „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსად“, ხოლო იმავე საუკუნის ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის მინაწერში „უძლეველ მეფეთა-მეფედ“[598]. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ წყაროს მიხედვით, მეფის დამახასიათებელი მთავარი ღირსება მისი ძლიერებაა.

მოგვიანებით უკვე ბიზანტიური ტიტულებიც ქრება ქართველ მეფეთა მოხსენიებისას და საქართველოს უკიდურესი დასუსტებისა და სხვა სახელმწიფოების მიერ დამორჩილების მიუხედავად, ამ სახელმწიფოების მეფეთა ხსენებას არ ვხვდებით. მეტიც, ქართველი მეფეები ხშირად მოიხსენიებიან ისეთი ტიტულებით, რომლებიც სინამდვილისაგან ძალიან შორსაა, თუმცა, მათი სუვერენულობის სურვილს უსვამს ხაზს, მაგალითად:

- შაჰნავაზის ბრძანება სიგელის განახლების შესახებ: სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი ცხრაზმისჴევის კრებულისა და მამასახლისებისა გრიგოლ სამთავნელისადმი (1459 წ.): „წყალობითა ღმრთისათა, ცვა-ფარვითა მისთა მინდობილმან მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან შაჰნავაზ“[599].
- წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გედეონ მაღალაშვილისადმი (1562 წ.): „სიგელი გიბოძეთ ბძანებითა ღმრთივ-გვირგვინოსანისა მეფეთ-მეფისა სვიმონისათა“[600].
- ხონის საყდრის გამოსავლის დავთარი (XVI ს.-ის ბოლო): „მე მოსავმან მეფეთ-მეფემან ბატონმა ალექსანდრემ“[601].
- ალავერდის ტაძრის ღვთისმშობლის ხატის ზურგზე მისი შემამკობლის ალექსანდრე III იმერეთის მეფის (1639-1660 წწ.) წარწერაა, რომელიც იწოდება, როგორც „მეფეთ მეფე“, „ღვთივ გუირგუინოსანი“ და „პანკრატოვანიანი“[602].
- წყალობის წიგნი ქრისტეფორე კათალიკოზისა გედევანიშვილისადმი (1640 წ.): „ნებართვითა მეფეთ-მეფისა პატრონისა როსტომისათა“[603].
- წყალობის წიგნი კათალიკოს იოანე დიასამიძისა სახლთუხუცეს რევაზ მაღალაშვილისადმი (1692 წ.): ნაზარალიხანი თავს მეფეთ-მეფეს უწოდებს[604].
- შეწირულების სიგელი იოსებ ნინოწმინდელისა დოდოს მონასტრისადმი (1709 წ.): ამტკიცებს „დედოფალთ-დედოფალი“ ანა[605].
- ერეკლე I-ის ასულის, ქეთევანის საფლავის წარწერა (1718 წ. ალავერდის ტაძარი): „მეფეთ მეფის ერეკლეს ასული“[606].
- წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა ნაცვალ ზაალისადმი (1763 წ.): აქ ერეკლე II თავს უწოდებს „მეფე ქართლისა და კახეთისა“, ბატონიშვილების თავს „მეფის ძეებს“, ხოლო დარეჯან დედოფალი „საქართველოს და კახეთის დედოფალთ-დედოფალს“[607].

---

[598] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, თბილისი, 1965, გვ.7.
[599] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.209.
[600] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.270.
[601] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.369.
[602] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1961, გვ.24.
[603] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.505.
[604] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.601.
[605] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.663.
[606] კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1961, გვ.15.
[607] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.740-741.

- წყალობის სიგელი დომენტი კათალიკოზისა გაბრიელ ჭარმაულისადმი (1739 წ.): „ჩვენი ძმა მეფეთ-მეფე ვახტანგ ერანში ბძანდებოდა“[608].
- წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა იასე ბაკურაძისადმი (1743 წ.): ამტკიცებს „კახეთის, არაგვის და ქსნის პატრონი მეფეთ-მეფე თეიმურაზ და...დედოფალთ-დედოფალი თამარი“, ანუ ერეკლე II-ის მამა[609].
- განწესება სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრებისა ხონის ტაძრის გამოსავალის თაობაზე (1761 წ.): წერს „მეფეთ-მეფე სოლომონი“[610].

პეტრე იბერიელი (V ს.)

პეტრე იბერიელი ნაშრომში „ზეცათა მღდელთმთავრობისათჳს“ [611] ამტკიცებს ყველა ერის თანასწორობას ღვთის წინაშე. აღნიშნავს, რომ ებრაელი ერი მხოლოდ იმიტომ იყო ძველაღთქმისეულ პერიოდში გამორჩეული, რომ თვით მან აირჩია ღვთისათვის მოსაწონი გზა და არა იმიტომ, რომ ღმერთია მიკერძოებული. პირიქით, მან ყველა ადამიანს, თუ ერს თავისუფლება მიანიჭა ცხოვრებისეული გზა აირჩიონ, იგი ძალით არავის ახვევს თავს თავის რწმენასა და მისთვის სამსახურს. ღმერთმა განურჩევლად ყველა ერს მფარველებად და ჭეშმარიტების გზით სიარულში შემწეებად ანგელოზები დაუწესა, ხოლო ის, მიიღებს, თუ არა ესა თუ ის ერი ანგელოზთა ამ დახმარებას, თვით ამ ერის საქმეა.

ამ, ერთი შეხედვით, თეოლოგიურ მსჯელობაში ავტორი ერთა თვითგამორკვევის, სუვერენიტეტის პრინციპების თეოლოგიურ-იდეოლოგიურ საფუძვლებს აყალიბებს.

VI ს.-ის ეგრისელი მოაზროვნეები

VI ს.-ის ეგრისელთათვის, მათი მეფე გუბაზი, სუვერენული უფლებების მატარებელია, ამიტომაც სპარსეთის შაჰ ხოსრო I-თან წარგზავნილი გუბაზის ელჩები ჩივიან, რომ ბიზანტიის ხელისუფლებმა მათ „მეფეს... მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს,“ „მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან, არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგეში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ.“[612]

ბიზანტიელი სარდლების მიერ ეგრისის მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით აიეტი ხაზს უსვამს, რომ გუბაზი მეფე იყო და არა რიგითი მოქალაქე, ამიტომაც

---

[608] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.748.
[609] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.775.
[610] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.844.
[611] პეტრე იბერიელის შრომების დაკავშირება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებთან მხოლოდ პირობითია, მაგრამ, ჩვენი აზრით, არაა საფუძველს მოკლებული. პეტრე იბერიელი, ამა თუ იმ ფილოსოფიურ კატეგორიას ღრმად და მრავალმხრივად განიხილავს, ამიტომაც, შესაძლებლად ჩავთვალეთ ეს ზოგადი მსჯელობა ჩვენთვის საინტერესო პლანში გადმოგვეტანა, ისეთი ასპექტები გაგვეშუქებინა, რომლებიც ჩვენს შემთხვევაშია საყურადღებო.
[612] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, თბილისი, 1965, გვ.76.

მისი მკვლელობა უბრალოდ „გუბაზის პიროვნების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ მთელი კოლხეთის სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულებრივი მოქმედებაა.“[613]

ფარტაძი მოუწოდებს ხალხს „კოლხის თავისუფალი შეგნებით“ მიიღონ გადაწყვეტილება.[614]

კოლხი ანონიმი იურისტების აზრით, სახელმწიფო, რომელიც თავისუფალი არსებობის საშუალებასაა მოკლებული, თავის სახელწოდებასაც ტყუილად ატარებს.[615]

ამასთან დაკავშირებით, აიეტი შემდეგსაც დასძენს „სახელმწიფო საქმეები უმაღლესია, მხოლოდ მხდალი და ლაჩარი ადამიანებია, რომლებიც სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ,“ „მე ვინატრებდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს.“[616]

ამავე დროს, დამოუკიდებლობის პათოსით გაჟღენთილ თავის სიტყვას აიეტი შემდეგნაირად აგრძელებს: „მაგრამ როდესაც ჩვენ... ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ.“ საერთოდ კი მტრისადმი უპირობო მორჩილების პოლიტიკას აიეტი მიუღებლად თვლის: „ვინც უფრო მორჩილია, მას უფრო მოურიდებლად და თავხედურად ეპყრობიან.“ ეს აიეტს ბუნების კანონად მიაჩნია.[617]

ძლიერისადმი ტაქტიკური დათმობის ასეთივე საჭიროებიდან გამომდინარეობს სუვერენული უფლებების დელეგირება სხვა სახელმწიფოებისადმი. გუბაზის ელჩები შაჰ ხოსროს შემდეგნაირად მიმართავენ: „ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ.“[618] მერე კი მემატიანე დასძენს „გუბაზი, ლაზთა მეფე, ეთაყვანა ხოსროს ვითარცა ბატონს და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას.“[619]

იოვანე საბანისძე (VIII ს.)

იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამების“ მიხედვით: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა,...აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა“[620].

ამ სიტყვებიდან ჩანს იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოსთან, ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენცია და დამოუკიდებლობისაკენ

---

[613] ვახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, გვ.16, 25-26; აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.65.

[614] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.80.

[615] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.131.

[616] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.

[617] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.

[618] პროკოპი კესარიელი, იქვე, ტ.2, გვ.76.

[619] პროკოპი კესარიელი, იქვე, ტ.2, გვ.81.

[620] იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.55.

სწრაფვა არაბთა ბატონობის პირობებში, რაც მომდევნო საუკუნეებში უფრო თვალსაჩინო გახდა.

აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება (IX-X სს.)

„აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და წამების“ ავტორი წერს, რომ წმ. აბიბოსის წამება მოხდა მაშინ, როცა „სამეუფოჲ ესე ჩვენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა“[621] .

წმ. აბიბოსი სპარსელების შესახებ შემდეგს ამბობს: „უსჯულონი ესე სპარსნი განძვინდეს ჩუენ ზედა ამპარტავანებითა თვისითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი.“[622] ავტორი წერს: „მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანაჲ ესე ჩვენი.“[623]

ამგვარად, მსოფლიოს ისეთი დიდი, გავლენიანი სახელმწიფოები, როგორებიც სპარსეთი და საბერძნეთი (ბიზანტია) არიან, თხზულებაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს უსამართლო დამპყრობლებად გვევლინებიან.

მოქცევაი ქართლისაი (IX ს.)

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი აღწერს საქართველოში მეფობის წარმოშობის ამბავს. მისი მტკიცებით, პირველი მეფე აზო იყო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაუსვამს და სამფლობელოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო მიუცია: „და თანა-ჰყვან ალექსანდრეს მეფესა აზოჲ ძე არიან ქართლის მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა.“[624]

„ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ალექსანდრე მაკედონელის ხსენებით მემატიანე თითქოს მეფობის წარმოშობას მყარ საფუძველზე აგებს. მემატიანე გარეშე ძალას მიაწერს მეფობის წარმოშობას, ამავე დროს, ისეთ დიდ მეფეს, როგორიც ალექსანდრე მაკედონელი იყო.“[625] გარდა ამისა, „საყურადღებოა ავტორის იდეა ერთიანი საქართველოს შესახებ“[626]. ივ.სურგულაძის აზრით, სავარაუდოდ, დიდ საერთაშორისო ავტორიტეტზე აპელირება ქართველ მეფეებს, ქვეყნის შიგნით დიდებულებთან მიმართებაში ძალაუფლების განსამტკიცებლად ესაჭიროებოდათ.

გიორგი მერჩულე (X ს.)

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ბაგრატიონთა გვარს ებრაელთა მეფის, ბიბლიური დავითის შთამომავლად და, ამრიგად, ქრისტეს ნათესავად აცხადებს, რაც

---

[621] აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.241.

[622] აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.248.

[623] აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.251.

[624] მოქცევაჲ ქართლისაჲ, იქვე, გვ.81-83.

[625] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.45.

[626] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.45.

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და მსოფლიო ასპარეზზე ღირსეული ადგილის დამკვიდრების ერთ-ერთ იდეოლოგიურ წინაპირობას წარმოადგენდა.

გრიგოლ ხანძთელი შემდეგი სიტყვებით მიმართავს აშოტ კურაპალატს: „დავით წინაჲსწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან.“[627]

ამ თეორიის რელიგიური ელფერი იმაზეც მიგვანიშნებს, თუ რა ადგილს აკუთვნებს თხზულება რელიგიას საერთაშორისო ურთიერთობაში.

გიორგი მერჩულე უკვე აშოტ კურაპალატს (IX ს.-ის I ნახევარი) უწოდებს მეფეს, ხელმწიფეს, მაშინ, როცა მეფის წოდება ტაო-კლარჯეთში პირველად მხოლოდ ადარნასემ მიიღო IX ს.-ის ბოლოს. თხზულების დათარიღების დროსაც ავტორი მხოლოდ ქართველ მეფეებსა და ერისთავებს იხსენიებს[628] და არა ვთქვათ, ბიზანტიის კეისარს, რომელსაც, როგორც ვიცით, ამ დროს საქართველოზე დიდი გავლენა ჰქონდა.

თხზულების ცნობილი ფრაზა „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“[629] საქართველოს ერთიანობის იდეის თვალნათელი გამოხატულებაა. ამავე დროს, ამ ერთიანობის საფუძველს შეადგენს ენა და სარწმუნოება. კორნელი კეკელიძის თქმით, ეს ფრაზა იმის გამოხატულებაა, რომ „საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, უმთავრესად, ეროვნული ეკლესიის წიაღში“.[630]

გიორგი მცირე (XI ს.)

გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ საქართველოს რომ-ბიზანტიისადმი გატოლების ტენდენცია იკვეთება. თხზულების მთავარი გმირი ქართველ მეფეებს რომის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ იმპერატორს კონსტანტინე I დიდს (306-337) ადარებს. ბაგრატ IV-ის მემკვიდრეს, გიორგის იგი შემდეგნაირად ლოცავს: „ღმერთმან ორითავე ცხორებითა ადიდენ, ვითარცა დიდი კოსტანტინე...და დაუმორჩილენ ყოველნი მტერნი მისნი.“[631]

ლეონტი მროველი (XI ს.)

„ცხოვრება მეფეთას“ მიხედვით საქართველოში მეფობის წარმოშობა გარეშე ძალებთანაა კავშირშია. ლეონტი მროველის მიხედვით, მეფედ ადგილობრივმა ფარნავაზმა გამოაცხადა თავი, რაც იმ დროს დიდმა საერთაშორისო ძალამ, ასურასტანის (ანუ სელევკიდების სახელმწიფოს) მეფე ანტიოქოსმა დაამტკიცა. კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს მმართველად დანიშნულ ბერძენ აზოს მცხეთის

---

[627] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.262.

[628] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.316.

[629] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.290.

[630] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბილისი, 1941, გვ.136.

[631] გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, თბილისი, 1967, გვ.161.

მამასახლისის ძმისწული, ფარნავაზი უპირისპირდება და დახმარებისათვის ანტიოქოსს მიმართავს, რის სამაგიეროდაც „მსახურებას“ ჰპირდება. ანტიოქოსი მას მართლაც უწევს დახმარებას და სამეფო გვირგვინსაც უგზავნის. „ბერძნებზე“ საბოლოო გამარჯვების შემდეგ კი ფარნავაზი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა.“[632] როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, საქართველოში მეფობის წარმოშობა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ძალისხმევის შედეგია. მართალია, პირველი ქართველი მეფე უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომად აღიარებს თავს, მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯია. როგორც თხზულებიდან ჩანს, მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს და, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საერთაშორისო-სამართლებრივ აღიარებას უფრო ჰგავს, ვიდრე ქვეშევრდომობას. ფაქტობრივად, ფარნავაზი დამოუკიდებელ მმართველადაა წარმოდგენილი, რომელიც მთელ საქართველოს აერთიანებს.

საგულისხმოა, რომ ფარნავაზის გამეფება „ბერძნებთან“ ბრძოლით ხდება და ქართველთა უშუალო მოკავშირეებად კავკასიის ხალხები გამოდიან-ოსები,ლეკები და სომხები.

ნიშანდობლივია ლეონტი მროველის ცნობა იმის თაობაზეც, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, მირიანი სპარსეთის სასანიდი შაჰის, არდეშირის (224-241 წწ.) ვაჟი იყო, რაც საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, მისი პრესტიჟის განმტკიცებას, უეჭველია წაადგებოდა.

„ცხოვრება მეფეთა“ ქართლის სამეფო ტახტზე მირიანამდეც სხვადასხვა არაქართული დინასტიების წარმომადგენლებს გვიხატავს. კერძოდ სპარს „ნებროთიანებსა“ და სომეხ „არშაკუნიანებს“. თუმცა ეს მეფეებიც იძულებულნი არიან ქართველების განწყობილებას გაუწიონ ანგარიში და ფარნავაზიანებთან ნათესაური ურთიერთობა იქონიონ. მაგალითად, ქართლის VII მეფე, არშაკუნიანი ბარტომი თავისი ტახტის მემკვიდრე ქალიშვილს ფარნავაზიანთა ეგრისის შტოს შთამომავალს, ქართამს ჰრთავს ცოლად.

მემატიანე დასძენს: „ესე ქართუელთა სათნოებისათვის ექმნა ბარტომს, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ, და არა უნდა სხჳსა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა.“[633]

საერთოდ, „ცხოვრება მეფეთას“ მიხედვით, ქართლის სამეფოს მესვეურებსა, თუ მთლიანად მოსახლეობას ჯერ კიდევ გაქრისტიანების ხანამდე, დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითშეგნება ახასიათებს, რაც საკუთარი რელიგიის შენარჩუნებაშიც გამოიხატება. მაგალითად, ქართველები მეფე ფარნაჯომს უჯანყდებიან, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ქვეყანაში მაზდეანობის გავრცელებას.[634]

ადერკი, რომელიც სომხების დახმარებით ცდილობს ქართლის მეფე არშაკს ძალაუფლება წაართვას, გადამწყვეტ ბრძოლაში არშაკის დაღუპვის შემდეგ, სომხებს სთხოვს მოწინააღმდეგეზე მახვილი აღარ აღმართონ, „რამეთუ მამულნი არიან ჩემნიო“.[635]

ქართლის მეფეები აზორკი და არმაზელი განიზრახავენ „ძიებას საზღვართა ქართლისათა“.[636]

სპარსთაგან დევნილი მეფე ასფაგური ოსეთში გარბის. ქართლის ერისთავები სპარსეთისადმი მორჩილებას გადაწყვეტენ, რადგან, მათი თქმით, სხვა გამოსავალი არ არის,

---

[632] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბილისი, 1955, გვ.24.
[633] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.32.
[634] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.29.
[635] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.33-34.
[636] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.45.

მაგრამ ამისათვის ერთ-ერთ პირობად მამა-პაპური რელიგიის ხელშეუხებლობასაც წამოაყენებენ, რათა „სპარსთ არ აღერიონ“.[637]

ჯუანშერი (XI ს.)

ჯუანშერი აღწერს ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვნობის ჟამს, როგორ დალაშქრეს ოსებმა ქართლი, შემდეგ ქართული სახელმწიფოს ტერიტორია ბერძნებმა დაიპყრეს (ეგრისწყლიდან ციხეგოჯამდე). ამ მარცხით შეწუხებული ქართველები დასძენენ: როცა ჩვენი მეფე გაიზრდება „ვიძიოთ ჩვენ შური პირველ ოვსთა ზედა და შემდგომადმცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან.“[638] ეს სიტყვები განსაკუთრებით იმ მხრივაა ნიშანდობლივი, რომ „ბერძნებს“, ბაზანტიას, ვახტანგ გორგასლის დროსაც (V ს.-ში) და ჯუანშერის თხზულების დაწერის ჟამსაც (XI ს.-ში) საქართველოს მიმართ ფრიად ამბიციური მიზნები ამოძრავებდა და ქართული სახელმწიფოებიც იძულებულნი იყვნენ ბიზანტიის ფორმალური უზენაესობის აღიარებით ამ ამბიციებისათვის ანგარიში გაეწიათ. ჯუანშერის თხზულების ამ ნაწილის სტრიქონები, თითქოს გაფრთხილებაა ბიზანტიის მიმართ, რომ დათმობები ქართული სახელმწიფოების მხრიდან არ გულისხმობს თანხმობას მათ შინაურ საქმეებში გარეშე ძალთა ჩარევაზე. იგივე შეიძლება ითქვას ვახტანგ გორგასლის მიერ სინდეთის წინააღმდეგ სპარსეთის ლაშქრობაში მონაწილეობაზე. სინდთა მეფისადმი მიმართვაში ვახტანგი ხაზს უსვამს იმას, რომ „არა მიქნია მოსვლა ამას ქვეყანასა...მსახურებისათვის სპარსთა მეფისა“[639] და ლაშქრობაში თავის მონაწილეობას საკუთარი ინტერესებით ამართლებს.

მაგრამ სუვერენულობისაკენ სწრაფვის აღნიშნულ ტენდენციასთან, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულად ქართული აზროვნებისათვის, მეორე ტენდენცია იხლართება. ეს არის ძლიერი მოწინააღმდეგის მიმართ კომპრომისების საჭიროების შეგნება. ჯუანშერის თხზულების მიხედვით, ქართლის სამეფოს ზემოაღნიშნულ წარუმატებლობასთან დაკავშირებით, ვახტანგ გორგასალი ბრძანებს: „ვიძიოთ შური ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცა-ვითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა ჴამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს!.“[640]

როგორც ვხედავთ, ქართველები, მართალია, შესაძლებლად თვლიან ისეთი დიდი სახელმწიფოებისადმი დათმობას, როგორებიც ბიზანტია და სპარსეთია, მაგრამ ოსთა გამოხდომის პასუხს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესად მიიჩნევენ, ვინაიდან უფრო სუსტი ძალის გამოხდომის უპასუხოდ დატოვება გაცილებით უფრო ლახავს ქვეყნის პრესტიჟს, ვიდრე დათმობები აშკარად ძლიერის მიმართ.

ვახტანგ გორგასლის სიტყვებში ისიცაა საგულისხმო, რომ ეროვნული ინტერესების სასიცოცხლო და არასასიცოცხლო კატეგორიებად დაყოფა ხდება.

---

[637] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.63.
[638] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.146.
[639] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.192.
[640] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.148.

მატიანე ქართლისა (XI ს.)

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, VIII ს.-ში, არჩილ მეფის დროს, საქართველო ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, შემდეგ კი ქვეყანა მისმა მემკვიდრეებმა დაინაწილეს; ანუ, ქვეყნის ერთიანობას დიდი ისტორია აქვს.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი აშოტ კურაპალატს (IX ს.-ის I ნახევარი) მეფეს უწოდებს,[641] თუმცა, ტაო-კლარჯეთის მფლობელთაგან მეფის ტიტული პირველად მხოლოდ ადარნასე კურაპალატმა მიიღო IX ს.-ის ბოლოს. მანამდე ამ კუთხის მფლობელები მდგომარეობის არასაკმარისი სიმტკიცის გამო ამას ვერ ბედავდნენ.

ნიკოლოზ I კათალიკოსი (გულაბერისძე, XIII ს.)

ნიკოლოზ I კათალიკოსის (გულაბერისძე) თხზულების „საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“ერთ-ერთ უმთავრეს თემას ქრისტეს კვართის საქართველოში დაფლვის ფაქტი წარმოადგენს. სვეტიცხოველი, რომლის ქვეშაც კვართია დამარხული, თხზულებაში იწოდება „ნათელმყოფელად გულებსა ქართუელთა ერისასა“[642], რაც „ქართული მესიანისტური იდეის“ შემადგენელი ნაწილია[643] და თავად ეს იდეა კი „ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა, თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია“[644].

ავტორი „ამბობს, რომ, როგორც ცალკე, კერძო ინდივიდუმებს, ისე თვითეულ ეროვნულ ერთეულს აქვს საკუთარი თანდაყოლილი ნიჭი და მიდრეკილება.“[645] ანუ ერებს შორის განსხვავება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და ყველა ერი ცდილობს თავისი თავისთავადობა დაიცვას: „ყოველთავე უკუჴ თჳს თჳსად შეუცავს საზღუარი ტომებისა თჳსისაჲ.“[646] ავტორი მსჯელობს ბერძნებისა და ქართველების ეროვნულ თვისებებზე. ბერძენთა შესახებ, მათ ღირსებებთან ერთად, ავტორი შემდეგსაც დასძენს: ისინი „ლბილ და დედალ არიან.“[647] ხოლო ქართველები „სადაგნი და მარტივნი: და გონებით წრფელნი სიმართლესა ცხორებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი: და მხოლოდ ღუთისა ოდენ და მკლავისა თჳსსა მოსავნი.“[648] ასე რომ, მართალია ქართველები ბერძნებივით სიბრძნისა და ფილოსოფიის მოყვარულნი არ არიან, მაგრამ არანაკლები ღირსებები გააჩნიათ. ამავე დროს, ბერძნები მათ შორის მომხდარ ყოველ სასწაულს აღწერენ. ქართველებს კი ამის ჩვეულება არ ჰქონიათ. ამიტომაც სვეტიცხოვლის მიერ მოხდენილი მრავალი სასწაული ჩვენთვის უცნობია და ისინი ვინმეს რომ აღეწერა წიგნებს მთელი სამყარო ვერ დაიტევდა.

---

[641] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.252.

[642] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.119.

[643] აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა, ქართული მწერლობა, ტ.5, თბილისი, 1988, გვ.6.

[644] აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა, ქართული მწერლობა, ტ.5, თბილისი, 1988, გვ.6.

[645] კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, გვ.297.

[646] ნიკოლოზ I გულაბერისძე, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.102.

[647] ნიკოლოზ I გულაბერისძე, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.101.

[648] ნიკოლოზ I გულაბერისძე, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.101.

ამრიგად, მხოლოდ სვეტიცხოველთან იმდენი სასწაულია, ავტორის თქმით, დაკავშირებული, რომ ბერძენთა შორის მთელი ქრისტიანული ცხოვრების მანძილზე მომხდარ სასწაულებს აღემატება. ეს უკანასკნელნი ძველაღთქმისეული რჩეული ერის, ისრაელის სასწაულებთანაცაა შედარებული და ნათქვამია, რომ „ესე უკუჱ სასწაულნი...ისრაილთა მათ ზედა ქმნილისა სასწაულისა არა რაჲთ უკუჱ უმცირეს არს: არამედ კნინღა და უმეტსცა ვგონე."[649]

როგორც ვხედავთ, გულაბერისძე ყველა ერის თანასწორობის იდეას ქადაგებს. მისი მტკიცებით, ქართველ ერს, მსოფლიო ერთა შორის ღირსეული ადგილი უკავია, რისი მანიშნებელიც ღვთის ის განსაკუთრებული მადლი და ძალაა, რომლებიც ამ ერში ვლინდება. ამ მხრივ ქართველები არაფრით ჩამოუვარდებიან ისეთ ერებს, როგორებიც ებრაელები და ბერძნები არიან, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, აღემატებიან კიდეც მათ. ხაზგასმა ბერძნებზე, ანუ ბიზანტიაზე, ბიზანტიასთან თავის გატოლებისა და მისი ადგილის დაკავების ტენდენციის გამოვლინებაა. გულაბერისძე ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიურ საფუძველს ქმნის. ამავე დროს, ეს საფუძველი რელიგიური ხასიათისა რომაა, გვიჩვენებს, თუ რა როლს აკისრებს ეს მოაზროვნე რელიგიას, კერძოდ, მართლმადიდებლობას ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემუშავების საქმეში.

ფეშანგი (XVII ს.)

ისტორიულ-პოლიტიკური ტრადიცია, ჩვეულება ჩანს „შაჰნავაზიანში". ნაწარმოების მიხედვით, შაჰნავაზმა სამეგრელოს მმართველად ლევან დადიანი დასვა. ამის შემდეგ აფხაზები სთხოვენ ვახტანგ V-ს, რომ ლევან დადიანი აფხაზეთის მმართველადაც დაამტკიცოს. შაჰნავაზი თანხმდება და დასძენს:

„ოდიშარნი რადგან მივეც მემკვიდრესა,
აფხაზეთი ვით წავართუა, სახელმწიფო დაიმცრესა!
თქუენ მსახურეთ ჴელიერთად (ერთად - ვ.კ.) ძუელთაგანვე ვითა წესა"[650].

ამგვარად, ნაწარმოების თანახმად, აფხაზეთი ძვლეთაგანვე ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა.

საქართველოს ერთიანობისა, დამოუკიდებლობისა და ბიზანტიასთან თავის გატოლების იდეა ჩანს ფეშანგის „შაჰნავაზიანში". ქართლის მეფე შაჰნავაზი წერილში თავის მეუღლეს სწერს:

„ღუთისაგან ვპოვე სიმაღლე, ეზომ კაცზედან კმარისა;
მაქუს საქართველოს უფლება, მგზავსებით კეისარისა;
მაქებენ ჩემნი მნახუელნი ნაქმარსა ჩემის მკლავისა"[651].

თუში ჯაშუშები შაჰნავაზზე და მის ჯარზე ამბობენ:

„კეისარს უგავს სიდიდე, რა იგი ვნახეთ დგომითა;
ვიცი თქუენზედა შეძლება მეტი აქუს ათის ზომითა"[652].

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიულ-იდეოლოგიურ ფესვებზე მიუთითებს შაჰნავაზის შემდეგი მოხსენიება:

---

[649] ნიკოლოზ I გულაბერისძე, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.107.
[650] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.492, გვ.84.
[651] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.528. გვ.90.
[652] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1087, გვ.180.

„მათ მეფეთა შენ დაგიგდეს ტახტი სრული,
ლახტი დიდის ვახტანგისა, ჴმალი მკუეთი, იგ ბასრული“[653].

ნაწარმოებში აღწერილია სპარსეთის შაჰის დიდება, სიმდიდრე. ამის შემდეგ შაჰნავაზი ბრძანებს:

„რას მიაჩანს თუალთა ჩემთა ეზომ მალი,
სუე სუიანობს ტახტი ჩემი, სხუას ვის მართებს ნასამალი!
მე ვარ გუარად დიდი ვინმე, სოლომონის ნატამალი,
მით მივმართე შარიერსა (სპარსეთის ხელმწიფე იგულისხმება - ვ.კ.) მოვიძებნე ამად ალი“[654].

ამ მონაკვეთიდან ჩანს ბაგრატიონთა ბიბლიური სოლომონისაგან შთამომავლობის იდეა. შაჰნავაზი შაჰის თანასწორად თუ არა, მასზე ბევრად დაბლა მდგომად არ წამოაჩენს თავს.

ბაგრატიონთა გვარის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს „შაჰნავაზიანის“ შემდეგი მონაკვეთი: შაჰნავაზი გადაწყვეტს დასაჯოს ნესტან-დარეჯანი და მისი მომხრეები, რადგან მათ ბაგრატიონი მეფე გადააგდეს ტახტიდან, იმერეთში. იგი ამბობს:

„ვინ ურჩია სამესისხლოდ, გუართა ჩემთა საკიცხუელად;
ბაგრატოანთ სისხლის დაღურად, გუბი ადგა ეზომ ველად;
ვეჭუ ცოცხალი არ მამირჩეს, ვინცა იყოს ამის მქნელად;
ხუალ წამოვალ, იგინიცა დამხუდენ ჩემად სისხლთა მზღუევად“[655].

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიულ ფესვებზე მიუთითებს იმერეთის დახასიათება. ნაწარმოების მიხედვით, ეს კუთხე არა მარტო მცირე და ურგები ქვეყანაა, არამედ დიდი ისტორიისა და მნიშვნელობის მქონე საქართველოსათვის, ის დიდთა მეფეთა სადგომია. საქართველოს გაერთიანება სწორედ აქედან მოხდა. ამიტომ მას, მის ფლობას საქართველოსათვის დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

შაჰნავაზი, თავის ვაჟს, იმერეთში გამეფებულ არჩილს, იმერეთის დატოვებას სთხოვს, ვინაიდან თურქები წინააღმდეგი არიან იქ მისი მეფობისა. შეწუხებული არჩილი პასუხად წერს:

„ეზომნი მოყმენი ადუილ ვით გარდავყაროა?
ანუ სრა დიდთა მეფეთა საოჴრად რად დავჰყაროა?“[656]

არჩილი (XVII ს.)

რომ-ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენცია ჩანს არჩილის ნაწარმოებშიც „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“. ავტორი გიორგი II-ს ასე მოიხსენიებს „ქცევა ზნე სრული, ზეშთ კეისრული“[657].

ქართული სახელმწიფოებრიობის დიდ ისტორიაზე მიუთითებს არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. სვიმონ ქართლის მეფის ამბის მოთხრობისას ავტორი იხსენებს ვახტანგ გორგასალს და მას სვიმონს ადარებს. როცა სპარსელები დატყვევებულ

[653] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.42, გვ.10.
[654] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.222, გვ.40.
[655] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.288, გვ.52.
[656] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.619, გვ.106.
[657] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.51, გვ.235.

სვიმონს ქართლის თურქთაგან გასათავისუფლებლად აგზავნიან, სვიმონი პარალელს ვახტანგ გორგასალთან ავლებს; ამბობს, რომ როგორც იგი გაჰყვა სპარსელებს სინდეთში, ემსახურა, მაგრამ არ დაუფასეს და ბოლოს ისევ სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა, სვიმონიც იგივე ხვედრს იზიარებს.[658]

დავით გურამიშვილი (XVIII ს.)

ბაგრატიონთა გვარის განსაკუთრებულობის იდეა გამოსჭვივის „დავითიანში". ავტორი წერს, თუ როგორ გაუორგულდნენ ქართველები ვახტანგ VI-ს და, სხვათა შორის, ამბობს „დავით მამისა მისისა დამუსრეს ფსალმუნთ ებანი"[659].

სახელმწიფოს მეთაურის ღირსების შეგრძნება ჩანს „დავითიანის" შემდეგ ეპიზოდში: ვახტანგ VI-ს რუსეთის მეფესთან წასვლა სურს, ქართლელი დიდებულები ურჩევენ მალულად წავიდეს, რომ მტრებმა არ შეიტყონ, მაგრამ ვახტანგი ბრძანებს:

„ვითარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდული,
დავფარო ქრისტეს კვართი და ქნარი დავითის, შურდული;
თან არ ვიახლო სპა-ჯარი, ჩაფრულებ შევქნა ძუნძული,
ვითარ-ღა ვნახო ხელმწიფე ან უცხო თემთა კუნძული!"[660].

მამუკა ბარათაშვილი (XVIII ს.)

ბაგრატიონთა გვარის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს მამუკა ბარათაშვილის „წამებული":

„მეფე ქართლისა, რომელ არს იესინ-დავითიანი,
სოლომონ-პანკრატოვანი ღმრთივ დამყარებით სვიანი"[661].

ბესიკი (XVIII ს.)

ბესიკის ნაწარმოებებში ბაგრატიონების გვარის განსაკუთრებულობის იდეა გამოსჭვივის. თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთში" სოლომონ იმერეთის მეფე „დავითიანად" იწოდება[662].

ლექსში „ქება სოლომონ მეფისა" (სოლომონ I იმერთა მეფე - ვ.კ.) ვკითხულობთ:

„სიბრძნითა ბრძენო"
„იესიანო, დავით სვიანო,
მეფევ, ღვთისაგან ამაღლებულო,...
ღვთისაგან მეფედ დიდად ცხებულო...
გონებით მდაბალ, დიდებით მაღალ"[663].

---

[658] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.429-432, გვ.269-270.
[659] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.146, გვ.83.
[660] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.209, გვ.92.
[661] მამუკა ბარათაშვილი, წამებული, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.36.
[662] ბესიკი, მოგზაურობა სპარსეთში, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.184.
[663] ბესიკი, ქება სოლომონ მეფისა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.62-63.

ამ მონაკვეთიდან, ასევე, გამოსჭვივის რელიგიური შეხედულება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების უზენაესი წარმმართველი ძალა ღმერთია და მეფეთა ზეობა, თუ ამაღლება მის ხელშია.

მონაკვეთიდან იდეალური ლიდერისათვის საჭირო თვისებაც ჩანს - თავმდაბლობა.

§ 2. მასალები: იერარქიულობა საერთაშორისო სისტემაში

სუმბატ დავითის ძე (XI ს.)

სუმბატ დავითის ძის თხზულება დიდმპყრობელურ მისწრაფებებს აშკარად გამოხატავს ბაგრატ III-ის დახასიათებაში. ბაგრატი „დიდად“ იწოდება, რომელმაც „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო სომხითისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა მეგობრად და ერთგულყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა... და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე.“[664]

საქართველოს მეფე, ფაქტობრივად, მთელი კავკასიის მფლობელად გვევლინება, რაც სასურველი უფროა, ვიდრე რეალური. მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს ის საგარეო-პოლიტიკური მიზნებია წარმოჩენილი, რაც, იმ დროისათვის, ქვეყნის გაერთიანების პირობებში, დღის წესრიგში დადგა.

იოანე პეტრიწი (XI-XII სს.)

იოანე პეტრიწის ლექსში, ვკითხულობთ: „დავით,-ვთქვა,-ზესთა განდიდნეს, მით ხრმალი ხორცსა სჭამს ისი, აქილევისებრ ძალითა მპყრობელად ელადს ხამს ისი.“[665].
როგორც ვხედავთ, ავტორის აზრით, დავითი არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ ელადის, საბერძნეთის ფლობასაც იმსახურებს, როგორც აქილევსი. ამ პასაჟში ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენციაც ჩანს.

არსენ ბერი (XI-XII სს.)

არსენ ბერის პოეტურ ნაწარმოებში „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, დავით აღმაშენებელი ალექსანდრე მაკედონელს, ებრაელთა ბიბლიურ მეფე დავითს, რომის იმპერატორებს ავგუსტუსსა და კონსტანტინე დიდსაა შედარებული და მათთან გატოლებული. დავითი დახასიათებულია, როგორც: „აქილევ ელლენთა შორის...განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღჳსტოს კეისართა შორის...ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის“[666].

---

[664] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზულება, გვ.53.

[665] იოანე პეტრიწი, შესხმა დავითისათვის აღმაშენებლისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ.534.

[666] არსენ ბერი, მეფესა დავითს მონაზონი არსენი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ.1, შედგენილი ს.ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ.380.

ნუმიზმატიკა, ეპიგრაფიკა, ქართული სამართლის ძეგლები

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის დროიდან, ქართულმა სამეფო კარმა უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულებზე.[667] ქართული სამართლის ძეგლებში ქართველი მეფეებიც უკვე შეუზღუდავი იმპერიის თვითმპყრობელთა აღმნიშვნელი ტიტულებით მოიხსენიებიან მთელი XII-XIII სს.-ის მანძილზე საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლებში, და ნუმიზმატიკაში. ისინი იწოდებიან "მეფეთ-მეფეებად თუ „დედოფალთა-დედოფლებად", „აღმოსავლისა და ჩრდილოისა მფლობელებად" თუ „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელებად".[668]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (XII ს.)

დავითის ისტორიკოსი დავით IV-ს ალექსანდრე მაკედონელზე მაღლაც კი აყენებს.[669] უკვე თხზულების სახელწოდებაში აღმაშენებელი „მეფეთ-მეფედ" იწოდება.

მის თხზულებაში საინტერესოა ისიც, რომ სივრცითი თვალსაზრისით, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიზნები ქვეყნის გარემომცველ რეგიონსაც სცილდება და მთელ მსოფლიოს მოიცავს. მაგალითად, მემატიანე წერს, რომ დავითმა თავის მემკვიდრეს დიმიტრის „დაულოცა ცხოვრება წარმართებული...თაყუანისცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა."[670] საგარეო პოლიტიკური მიზნების ასეთი მასშტაბების გამოცხადება ალბათ უფრო სახელმწიფოს განდიდებას ემსახურება, ვიდრე ქვეყნის რეალურ საგარეო პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენს.

რუსთაველი (XII ს.)

„ვეფხისტყაოსანი" საგარეო პოლიტიკაში, მთლიანობაში, შემტევი პოლიტიკის მომხრეა. „სამეფოთა მომატება", „ლაშქარმრავლობა და ყმიანობა"[671], ძლიერება, მისი ზრდა რუსთაველის მიერ დახატული მეფეების, სახელმწიფოების ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა.

ჩახრუხაძე (XII-XIII სს.)

ჩახრუხაძის „თამარიანის" იდეალური მეფეები არა მარტო იგერიებენ მტერს, არამედ იმონებენ კიდეც სხადასხვა ქვეყნებს.[672]

---

[667] მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, გვ.233.

[668] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.10, 27, 30 და სხვ.; დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ.71-76.

[669] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.337-338.

[670] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.358.

[671] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.32, 1584.

[672] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.566.

იოანე შავთელი (XIII ს.)

„აბდულმესიანში“ ქართველი მეფე კეისრად იწოდება,[673] მას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ხალხები ერთხმად აქებენ და ადიდებენ,[674] ანუ იგი მთელ მსოფლიოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

თამარის პირველი ისტორიკოსი (XIII ს.)

თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, მეფის დიდების მთავარი მახასიათებელი მისი ქვეყნის ძლიერებაა, რაც დიდი ტერიტორიის ფლობაში გამოიხატება. საქართველოს მეფეები გიორგი და თამარი ალექსანდრე მაკედონელსა და ებრაელთა ბიბლიურ მეფე სოლომონს არიან შედარებული და მათთან გატოლებული. ამავე დროს, მათი დახასიათებისას, ავტორი არა მარტო რეალურ მდგომარეობას ეფუძნება, არამედ სასურველსაც არსებულად აცხადებს. ქართველი მეფეები იწოდებიან „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელებად”, მათ “ჰმონებდეს ყოველნი მეფენი ქვეყანისანი“.[675]

საინტერესოა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი იზიარებს ლეონტი მროველის კონცეფციას საქართველოს მეფეთა სასანიდური დინასტიიდან წარმომავლობის შესახებ. ერთგან იგი წერს, რომ გიორგიმ ლაშქარს „ხმითა მით ხოსროვანითა“ მიმართა.[676]

დიდმპყრობელურ მისწრაფებებზე მეტყველებს ღვთისმშობლისადმი თამარის შემდეგი მიმართვაც:

„ცხებულობასა ღირს მყავ და თჳსობასა.

ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.“[677]

ბასილი ეზოსმოძღვარი (XIII ს.)

თამარის მეორე ისტორიკოსიც ხოტბას ასხამს ქართველი მეფეების ძლიერებას, მათ დიდმპყრობელურ პოლიტიკას, რაც, დავითის ისტორიკოსის თხზულების მსგავსად, ნაწარმოების სახელწოდებაშივე ვლინდება, სადაც თამარი „მეფეთ-მეფედ“ იწოდება. ასეთივე ტიტულით იხსენიებს ავტორი გიორგი III-საც. იგი სიამაყით ხატავს საქართველოს სახელმწიფოს დიდებას, რაც მის ძლიერებაში, სხვა სახელმწიფოების დათრგუნვა-დაშინებაში ვლინდება: „ერაყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარაღამდის, და თჳთ იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე.“[678]

---

[673] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.596.

[674] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.602.

[675] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.2-3, 4, 7, 76, 16.

[676] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.8.

[677] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ.II, გვ.75.

[678] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.124.

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე (XIII ს.)

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე გიორგი III-ზე წერს: „სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მძღვნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს“.[679] ავტორი ხვდება, რომ სწორედ ასეთი პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას. უკანასკნელ სიტყვას მოსდევს: „და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს“.[680]

ნიკოლოზ I კათალიკოსი (გულაბერისძე)

ნიკოლოზ I კათალიკოსის თხზულებაში ყურადღებას იპყრობს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის წერილი რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდისადმი. მირიანი შემდეგნაირად მიმართავს იმპერატორს: „მაღალსა უკუჱ და ზეშთა ვიდრემე აღმატებულსა ყოვლად ბრწყინუალესა და უფროჲსად დიდებულსა მეფესა მეფეთასა. . .დიდსა კოსტანტინეს: აღმოსავალისა უკუჱ კერძოჲთაჲთ საქართუჱლოჲსა ყოვლისა მეფე მირიან.“[681] ამ სიტყვებში იგრძნობა ანარეკლი იმ ურთიერთობისა, რომელიც ბიზანტიას, რომის უშუალო მემკვიდრეს და ქართულ სახელმწიფოებს შორის იყო დამყარებული დავით აღმაშენებლის დრომდე, როცა ქართველი ხელისუფალნი ბიზანტიის კეისარს მთელი საქრისტიანო მსოფლიოს უზენაეს იმპერატორად აღიარებდნენ.[682] სხვა მხრივ, თხზულების სულისკვეთება ბიზანტიასთან თავის გატოლების ტენდენციითაა გამსჭვალული.

ფეშანგი

საერთაშორისო სისტემა, სადაც ერთი სუბიექტისათვის უარყოფითი, მეორისათვის დადებითს ნიშნავს; ერთმანეთის წინააღმდეგობაზე აგებული „ნულოვანი ჯამის თამაში“ ჩანს „შაჰნავაზიანის“ ერთ ფრაზაში. ვახტანგ V-ს წარმატებების შეტყობისას, მარიამ დედოფალი ამბობს „ჩუენ გაგუახარე სრულობით, მტერი ჰყავ ცრემლთა დენითა“[683].

ვახტანგ VI (XVII-XVIII სს.)

იმპერიალისტური სწრაფვის უგუნურებას გამოხატავს ვახტანგის ლექსი „სატრფიალონი“:

„უგუნურსა სჭირს ფიქრითა სვე სვიანობა, დიდება,
მრავლის თემისა დაპყრობა და საუნჯისა მიდება,
ჩაიტკბოს გულსა, ახარებს, არ აქვს ხელისა კიდება,
და განიფრთხობს ხახა მწყურვალი, მუცელი გაუცივდება.“[684]

---

[679] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.367.
[680] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.367.
[681] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ. კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.68-69.
[682] პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ.63.
[683] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.531, გვ.90.
[684] ვახტანგ VI, სატრფიალონი, ლექსები და პოემები, თბილისი, 1947, მ.129, გვ.40.

დავით გურამიშვილი

„დავითიანში“ ეროვნული იდეის, სუვერენულობის კრიზისი იკითხება, კერძოდ, კახეთის მეფე კონსტანტინეს მიმართვაში ვახტანგ VI-ისადმი, რომელმაც შაჰის გვერდის ავლით, რუსეთთან მოკავშირეობა მოინდომა:

„ბატონის უპატიური ყმას არ შერჩების არისა,
არც ღმერთი ბატონს შეარჩენს ყმაზე საუდიაროსა“[685].
„ბატონს აწყინე, გაგიწყრა...
აწ ღმერთიც გიწყენს, იცოდე, არა იქ თუ მოთმენასა“[686].

იგივე იკითხები თეიმურაზ მეფის სიტყვებში. იგი რუსეთის ხელმწიფემ მიიღო, როგორც თანასწორი. თეიმურაზი ამბობს: „თუ ვღირსვარ პირსა მის ფეხთ-მტვერთა სმასა“[687].

ბესიკი

სუვერენულობის კრიზისი ჩანს ბესიკის მიერ იმერეთის დიდებულების სახელით რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი 1784 წ. გაგზავნილ წერილში, რომლითაც იმპერატორს სთხოვენ იმერეთის მფარველობაში მიღებას და იმერეთის გარდაცვლილი მეფის, სოლომონის მემკვიდრის, დავითის მეფედ დამტკიცებას[688].

წერილში ასევე ჩანს რელიგიის, როგორც მოკავშირეობის ინსტრუმენტის გამოყენება. კერძოდ, იმერეთის დიდებულები ხაზს უსვამენ იმერეთის ქრისტიანობას. საკუთარ თავს „ქრისტეს სამწყსოს“ უწოდებენ და სხვა.[689]

ბესიკი დადებითად აფასებს რუსეთის პოლიტიკას, რომლის წყალობითაც რუსეთმა პატარა მოქიშპე სამეფო-სამთავროები დააშოშმინა, რაც ტიპური იმპერიის მიერ დამყარებული „წესრიგია“: „განცხადებულ იყო მოწყალება და კაცთმოყვარება და განფენილ უკვე ყოველთა შინაგანთა და გარეგანთა და ეგრეთვე სინორებთა ზედა რუსეთის იმპერიისათა, რომლითაცა იშვა თვით მხეცებრთა მათ ხალხთა შორის მშვიდობა და სიწყნარე...ესრეთ აღლაგმა (გენერალმა პოტიომკინმა - ვ.კ.) მანკიერობა მუნებურთა მთავართა მათთა დაცვისათვის საზოგადოსა მშვიდობისა.
ეგევითარი ქებული და შესამატი პოლიტიკა“[690].

---

[685] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.278, გვ.102.
[686] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.279, გვ.102.
[687] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.1062, გვ.408.
[688] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი, 1784 წ. (იმერეთის სამეფო კარისაგან), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.192.
[689] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი, 1784 წ. (იმერეთის სამეფო კარისაგან), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.193.
[690] ბესიკი, წერილი რუსეთის გენერალ პოტიომკინთან, 1790 წ. 8 მარტი (იმერეთის სამეფო კარისაგან), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.200-201.

§ 3. მასალები: ომი, ძალა, ძლიერება, საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ინსტრუმენტები

VI საუკუნის ეგრისელი მოაზროვნეები

სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ეგრისის მეფე გუბაზს ბუნებრივად მიაჩნია შეიარაღებული ბრძოლა. მისი აზრით თავდაცვით ბრძოლას ადამიანს თვით „ბუნება აიძულებს“[691]. ამრიგად, ძალას, იძულებით ღონისძიებებს იგი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის, ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტად აღიარებს. საყურადღებოა, რომ თავისი ამ შეხედულების დასამტკიცებლად მას მაგალითად ბუნებიდან ნასესხები სახე - თვითგადარჩენის ინსტინქტი მოჰყავს. ბუნებაზე აპელირებს მისი თანამედროვე და თანამოქალაქე აიეტიც თავისი შეხედულების დასაბუთებისას, მტრისადმი უპირობო მორჩილების მიუღებლობის თაობაზე[692]. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ VI ს.-ის ეგრისში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ბუნებითი სკოლის ნიშნები გვხვდება.

ძალის, ძალისმიერი ღონისძიებების გამოყენებას და ამის მნიშვნელობას ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად, ბუნებრივად თვლიან VI ს.-ის ეგრისის სხვა მოაზროვნეებიც. მაგალითად, გუბაზის ელჩები სპარსეთის შაჰისადმი მიმართვაში[693] სწორედ ძალის გაზრდას მიიჩნევენ სპარსეთისათვის განსაკუთრებით სასარგებლო მოვლენად. ირანის მოწინააღმდეგის, ბიზანტიის დამარცხებაც მოკავშირეების ძალის გამოყენების მეშვეობით ესახებათ. აქვე აღსანიშნავია, რომ გუბაზის ელჩები შესაძლებლად მიიჩნევენ მტრის არა მხოლოდ ერთი დარტყმით განადგურებას („არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ /შავი ზღვის მეშვეობით/ ბიზანტიის პალატს მიაღწიო“[694]), არამედ მის დასუსტებასაც სისტემატური გამანადგურებელი ლაშქრობებით („თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი“[695]). ეს კი ძალის გამოყენების გარკვეული ტაქტიკაა.

აიეტიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სპარსელები ეგრისელთა მიმხრობით „მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანასა და მნიშვნელოვან ჯარს.“[696]

საგარეო პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებიდან, ეგრისელი მოაზროვნეები, კერძოდ ფარტაძი საიდუმლო აქციების მნიშვნელობას გამოჰყოფს დასძენს რა, რომ „ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან.“[697]

სუმბატ დავითის ძე

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ბაგრატ III-ის (975-1014) დახასიათება, რომელსაც სუმბატ დავითის ძე

---

[691] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.148-149.
[692] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ. 66.
[693] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.76.
[694] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.79-80.
[695] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.131.
[696] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.70.
[697] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.77.

გვაძლევს. ბაგრატი „დიდად“ იწოდება, რომელმაც „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო სომხითისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა მეგობრად და ერთგულყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა... და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე.“[698]

აქვე აღსანიშნავია, რომ, როგორც ვხედავთ, მემატიანე „სიბრძნეს“, გონიერებას ანუ რაციონალიზმს მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ იარაღად მიიჩნევს, რომელიც სახელმწიფოს გაძლიერების მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ჯუანშერი

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს საგარეო პოლიტიკური წარმატების მიღწევისათვის მოსახლეობის განწყობაც, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც სათანადოდ აქვს გააზრებული. კეისართან მოლაპარაკების დროს ვახტანგი ბიზანტიურ და სპარსულ ლაშქარსაც ადარებს ერთმანეთს, კერძოდ მათ ფსიქოლოგიურ განწყობას „ერნი თქვენნი განლაღებულ არიან ჯობნასა ზედა სპარსთასა, ხოლო სპარსნი არავე შეშინებულ არიან, არამედ შურითა თქვენითა წადიერ არიან წყობასა; ანუმცა მოკვდეს, ანუმცა იძიეს შური სისხლთა მათთა.“[699]

მრავალმხრივ საყურადღებოა უფლისწულ მირდატის მიმართვა მამისადმი, ქართლის მეფე არჩილისადმი. მირდატი ქართლის მოწინააღმდეგის, ბარზაბოდ რანის ერისთავის ასულზეა შეყვარებული და მეფე არჩილს ამ ქალის ცოლად შერთვას სთხოვს: „ვევედრები მეფობასა შენსა, მომგვარე ცოლად ჩემდა საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი, და შევქმნათ ჩვენ შორის მშვიდობა. დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩვენ ვართ მძლენი, არამედ ვერა ავიხვამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ნუუკვე იცალოს მეფემან სპარსთამან და იძიოს ჩვენ ზედა შური და მოაოხრნეს ეკლესიანი და საზღვარნი ჩვენნი და აწ ამით განქარდეს მტერობა ჩვენ შორის...და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღვარნი ქართლისანი და განმტკიცნეს სჯული ქრისტესი ქართლს და არღარა შეიქმნას გულსა ქართველთასა იჭვი და გმობა სჯულისა ქრისტესისა მძლავრებისათვის სპარსთასა.“[700]

მირდატის სიტყვებში, პირველ ყოვლისა, ეროვნული, კერძოდ სამხედრო უსაფრთხოების

მნიშვნელობის გაცნობიერება ჩანს. მირდატის აზრით, ქვეყნის საზღვრების დაცვა და ეროვნული სარწმუნოების განმტკიცება სახელმწიფოს უმთავრეს ინტერესს შეადგენს, რისთვისაც სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა აუცილებელი. ამისათვის კი არა მარტო სამხედრო ძალა, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-დიპლომატიური ნაბიჯები, კომპრომისებია საჭირო, რადგან პრაგმატულად დანახული რეალობა ისეთია, რომ „ვერა ავიხვამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა.“

მდგომარეობის დასარეგულირებლად საჭირო პოლიტიკურ-დიპლომატიურ ნაბიჯად მირდატი შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულ დინასტიურ ქორწინებას მიიჩნევს, რომელიც ამ გაგებით საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის, მოკავშირეობის საფუძვლის როლს ასრულებს. თავის მხრივ, მოკავშირეობა მირდატს წარმოუდგენია როგორც „მშვიდობა“ მოპირდაპირეთა შორის და „მტრობის განქარება“.

---

[698] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზულება, გვ.53.

[699] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.172.

[700] ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ.141.

ფრიად საგულისხმოა რელიგიის საკითხი, რომელსაც მირდატის სიტყვაში მრავალმხრივი დატვირთვა გააჩნია. იგი ხედავს, რომ „დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩვენ ვართ მძლენი,“ რანის დაპყრობა შეუძლებელია. მეორე მხრივ, თავისი თვალსაზრისის განსამტკიცებლად იგი რელიგიურ მოტივსაც იშველიებს დასძენს რა, რომ რანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში ქართლში ქრისტიანობა განმტკიცდება.

ნუმიზმატიკა

დავით აღმაშენებლის დროიდან, XIII ს.-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველოში მოჭრილი მონეტები მხოლოდ ქართული წარწერებით გამონაკლისს წარმოადგენს. როგორც წესი, მათზე არაბული წარწერები და არაბ მფლობელთა სახელები გვხვდება. თუმცა, ქართული ასომთავრული დაქარაგმებებიცაა გამოხატული, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ეს არაბული წარწერები ქართველ მეფეებს განადიდებენ და მათ ქრისტიანულ სარწმუნოებას უსვამენ ხაზს.[701] საქმე ისაა, რომ ქართული მონეტები მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებშიც ვრცელდება და საქართველოს სამეფო კარისათვის ისინი საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის საშუალებასაც წარმოადგენს. საქართელო ამ გზითაც ცდილობს ძლიერი, უძლეველი ქრისტიანული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაიმკვიდროს, მსოფლიო ასპარეზზე ქრისტიანობის დამცველად გამოაცხადოს თავი.

იოანე პეტრიწი

იოანე პეტრიწი დავით აღმაშენებლის განდიდებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მის ძალაზე, ძლიერებაზე. ლექსში შესხმა დავითისათვის აღმაშენებლისა ვკითხულობთ: „დავით,-ვთქვა,-ზესთა განდიდნეს, მით ხრმალი ხორცსა სჭამს ისი, აქილევისებრ ძალითა მპყრობელად ელადს ხამს ისი.“[702].

მოსე ხონელი (XII ს.)

„ამირანდარეჯანიანში“ ომის დაწყების სხვადასხვა მიზეზია დახატული. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ეს პატრიოტიზმი და ეროვნული ინტერესებია. რომანის გმირები, სამშობლოდან ლტოლვილი არაბები თავიანთი „მამულის“ დასაბრუნებლად იბრძვიან.[703] მეორე შემთხვევაში, ომის გამომწვევ მთავარ მიზეზად სხვადასხვა დამოუკიდებელი ერთეულისაგან შემდგარი, ანუ ანარქიული საერთაშორისო სისტემა გვევლინება, რაც საპირისპირო ინტერესების შეჯახებას იწვევს და შეთანხმებას აძნელებს. ამჯერად საქმე ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველზე აღმოცენებულ კონფლიქტს ეხება. ნაწარმოების გმირი, ინდო ჭაბუკი იამანთა ქვეყნის ნაწილს მიიტაცებს, რასაც ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევს იამანთა მხარე თხზულების მეორე პერსონაჟის, ამბრი არაბის მეთაურობით.

ინდო ჭაბუკი და ამბრი არაბი ხედავენ ერთმანეთის ღირსებებს და ურთიერთსიმპათიებით იმსჭვალებიან, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობენ. თუმცა,

---

[701] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ.71-76.

[702] იოანე პეტრიწი, შესხმა დავითისათვის აღმაშენებლისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ.534.

[703] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1967, გვ.175-176.

საბოლოოდ, სიმპათიები მაინც იმარჯვებს და შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი ხდება.[704] ამგვარად, ავტორი სხვადასხვა ქვეყნის ლიდერთა პირად ადამიანურ ურთიერთობას, მათ მიერ ერთმანეთის ღირსების დანახვას, ომის თავიდან აცილების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მოსე ხონელი ერთმანეთისაგან არჩევს ომის დაწყების ნამდვილ საფუძველს, მიზეზს და კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების საბაბად იქცევა. თხზულებაში ხაზგასმულია, რომ თურქთა და იამანელთა მტრობა, ცუდი დამოკიდებულება, მათ შორის ომის დაწყების მიზეზია, რისი კონკრეტული საბაბიც, გამომწვევიც იამანელების მიერ თურქი მეკობრეების გაწყვეტის ფაქტი ხდება.[705]

ომის მიზეზი, ნაწარმოების მიხედვით, სახელმწიფოს სტრატეგიაც შეიძლება იყოს, რათა საკუთარი პრესტიჟი გარეშე ძალთა ხელყოფისაგან დაიცვას და, ამრიგად, უპასუხოდ უცხო სახელმწიფოთა მიერ არც ერთი მისი საწინააღმდეგო გამოხდომა არ დატოვოს. მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები ამბრი არაბი თურქეთის წინააღმდეგ „შურისძიებისათვის“[706] ლაშქრობს. თავის მხრივ, თურქეთი, ანუ ხანთა მეფე, იამანელთა ლაშქრობასთან დაკავშირებით, დასძენს: „სამძიმარი და აუგი საქმე მოჴდა თურქეთს შემოსვლა იამანთაგან და ჴამს ესე ჩუენგან, რომე შევანანოთ.“[707]

„ამირანდარეჯანიანი“ ომში, საერთოდ, პოლიტიკაში ლიდერის როლსაც საგანგებოდ აფასებს. თურქი დიდებულები ამბრი არაბის შესახებ ამბობენ: „არაოდეს ყოფილარს თურქეთისა დამართებითი იამანეთი, განა, ისი კაცი, რომელი წინამძღუარი არის მათი, მისგან არის ყუელაი, თუარა ვითამც იკადრეს იამანთა თურქეთს მოსვლა?!“[708]

ძალის აპოლოგიზაცია განსაკუთრებულად თვალშისაცემია „ამირანდარეჯანიანში“. ძალა, ძლიერება რომანში ყველა კერძო თუ საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის უმთავრეს საშუალებად გვევლინება.

„ამირანდარეჯანიანიც“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არა მარტო სამხედრო ძალას, არამედ კონფლიქტში ჩათრეულ მხარეთა ფსიქოლოგიურ განწყობილებასაც ანიჭებს. თხზულების ერთ-ერთი გმირი ამბრი არაბი მცირე ლაშქრით მტრის რიცხობრივად დიდად აღმატებულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უფრთხის: „თუცა ლაშქარი დიდი არის, განა შეშინებულანო.“[709]

ამ მხრივ, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ამბრი არაბის პასუხი თურქთა მეფისადმი, რომელიც ამავე დროს დიპლომატიური სიტყვის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

თურქთა მეფე ამბრი არაბს დაზავებას სთავაზობს. ამბრი არაბი მეფეს გარეგნულად ზრდილობიანსა და თითქოს პატივისცემით გამსჭვალულ, მაგრამ, სინამდვილეში, საკმაოდ მწარესა და გამაწბილებელ პასუხს უთვლის: „რა პასუხი ჴამს, მე ვერას ვიტყუი, მით რომე იგი დიდი ჴელმწიფე არის. აწ ამის მეტსა ვერას მოვაჴსენებ, რომე, თუმცა, არ მოსრულიყო კართა ზედა ჩემთა, მუნითმცა ებრძანა, ამას ვიქმოდი, რომე წავიდოდი მისისა სამეფოსაგან და აღარას შევცოდებდი. რადგან თუით მობრძანდა, აწ თუ დავეზაო, ისი ჩემი სიავე არისო, მაგრამ მე მით არას ვკადრებ.“[710]

---

[704] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.155-156, 161-172.
[705] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.119-121.
[706] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.127.
[707] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.130.
[708] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.130.
[709] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.152.
[710] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, იქვე, გვ.141-142.

როგორც ვხედავთ, ამბრი არაბი, თითქოსდა დიდი სახელმწიფოს, მისი მეთაურისადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალული მისივე პრესტიჟზე ზრუნავს და ხელს არ იღებს მასთან ბრძოლაზე. ამით იგი აგრძნობინებს მტერს, რომ დიდი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს რიგითი სარდლის წინააღმდეგ, რომელსაც, ამავე დროს, თავისი ლაშქრის ძირითადი ნაწილი დაკარგული ჰყავს, მთელი ძალებით გამოსვლა, თანაც უმაღლეს დონეზე, სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობით, ამ სახელმწიფოს პრესტიჟის დამამცირებელია. მაგრამ მოწინააღმდეგე სულიერად იმდენად დაძაბუნებულა და დამდაბლებულა, რომ მზად არის პრესტიჟის ასეთ შელახვაზე წავიდეს.

სამაგიეროდ, თვით ამბრი არაბი სულიერად იმდენად ძლიერი და კეთილშობილია, რომ არ უნდა თვით მოწინააღმდეგეც კი ასე დაამციროს და მზად არის ამისთვის საფრთხეშიც კი ჩაიგდოს თავი. ამავე დროს, თურქთა სულმოკლეობა ხდება იმის მიზეზი, რომ ამბრი არაბი „იძულებულია“ თითქოს მათივე პრესტიჟის შესანარჩუნებლად გააგრძელოს ბრძოლა, რადგან მათ რომ დაზავება არ ეთხოვათ, ვითომდა იგი თავად აპირებდა ბრძოლის შეწყვეტასა და თავის სახელმწიფოში დაბრუნებას.

მტრის მორალური მდგომარეობის დაცემისათვის „ამირანდარეჯანიანის“ გმირი, ამბრი არაბი პროპაგანდასაც იყენებს. იგი მოწინააღმდეგე მხარის მებრძოლებს უმტკიცებს, რომ მათ სარდლობას ისინი განწირული ჰყავს.

თხზულებაში, იმის შეგნებაცაა გამოვლენილი, რომ მტერზე გამარჯვება ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი, მისი ბრძოლისუნარიანობა სრულებით უნდა მოისპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გამარჯვება მხოლოდ დროებითი იქნება და, შესაძლოა, მომავალში გამარჯვებულს უფრო მეტი ზიანი შეემთხვეს, ვიდრე თავიდანვე დამარცხების შემთხვევაში, რადგან მტერი უფრო გაბოროტებულად იბრძოლებს. ხოლო თუკი ნახევრად დამარცხებულ მტერს საბოლოოდ არ გაანადგურებ, მაშინ მას უნდა დაუზავდე და კარგი ურთიერთობა დაამყარო მასთან.[711]

არსენ ბერი

არსენ ბერი დავითს შემდეგნაირად ახასიათებს: „ძლიერ, ვითარცა ლომი მჴეცთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის; ახოვან...მხნე...უბრძოლველ, ვითარცა აქილევ ელლენთა შორის...განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღჴსტოს კეისართა შორის...ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის.“[712]

დავითი მსოფლიოს სხვადასხვა ეპოქის ლეგენდარული ძლიერების მქონე პიროვნებებსაა შედარებული. ძლიერებაში არა მხოლოდ პირადი სიძლიერე იგულისხმება, რადგან მარტოდმარტო დიდი პოლიტიკური წარმატებების მიღწევა შეუძლებელია, არამედ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ძალის აკუმულაციის უნარი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დავითის ისტორიკოსისათვის ძალა საგარეო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია. მისი თვალთახედვით, მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა სამეფოს, მისი საზღვრების გარეშე მტრებისაგან დაცვა, ანუ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამისათვის კი

[711] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, იქვე, გვ.135-136.

[712] არსენ ბერი, მეფესა დავითს მონაზონი არსენი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ.1, გვ.380.

სამხედრო ძლიერებაა საჭირო, ანუ სათანადოდ მომზადებული ლაშქარი. ამასთანავე, თვით მეფემაც კარგად უნდა იცოდეს სამხედრო საქმე: „კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი...ლაშქრობათა მეცადინობანი...მჴედართა განწესებანი...სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი...რამეთუ სულტანი დასუა მოხარკედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი“[713].

იოანე შავთელი

იოანე შავთელი განადიდებს ქართველ მეფეთა ძლიერებას, მათ „მტკიცედ მფლობელებს“, „მტერთა ქვესკნელად დამამხობლებს“, „უძლეველებს“[714] უწოდებს. აბდულმესიანის მიხედვით, საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის მქონე იმპერიად გვევლინება.

საგულისხმოა, რომ იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ მეფეებთან ერთად თვით ქართველი ერიცაა განდიდებული:

„ერი რჩეული, ნიჭთა ჩვეული,
მისგანვე იქმნეს კეთილ-სახმარად.“[715]

როგორც ვხედავთ, ავტორს გააზრებული აქვს, რომ რა განსაკუთრებული ნიჭითა და შესაძლებლობებითც უნდა იყვნენ დაჯილდოებული სახელმწიფოს ლიდერები, რომელთაც მისი ხოტბა ეძღვნება, თუ მოქალაქეები არ იქნებიან ღირსეულნი, ვერაფერს გააწყობენ. მოქალაქენი, მოსახლეობა სახელმწიფოს ძლიერების შემადგენელ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენენ. ხოლო ლიდერთა ფუნქცია მხოლოდ ამ კომპონენტის „კეთილად მოხმარებაა“. ამავე დროს, მთელ ერზე და არა მის რომელიმე ნაწილზე, კლასზეა სუბარი. გარდა ამისა, თხზულებაში ქართველი ერის განსაკუთრებულობას, მის რჩეულობასა აქვს ხაზი გასმული.

ჩახრუხაძე

ჩახრუხაძის შესაბამისად, იდეალური მეფის დიდება, რომელიც „თამარიანში“ თამარ მეფისა და, ნაწილობრივ, დავით სოსლანის სახითაა წარმოდგენილი, უპირველეს ყოვლისა, მათი და მათი სახელმწიფოს ძლიერებაში გამოიხატება. თამარი და დავითი ამარცხებენ „ძლიერთ“, „ბევრ ერს“[716], შიშის ზარს სცემენ სპარსელებსა თუ თურქებს.[717]

---

[713] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.351.
[714] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.588, 590.
[715] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, გვ.600.
[716] ჩახრუხაძე, თამარიანი, იქვე, გვ.582.
[717] ჩახრუხაძე, თამარიანი, იქვე, გვ.566.

რუსთაველი

„ვეფხისტყაოსანში“ საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის საგულისხმო სახეა აღწერილი. შოთა რუსთაველი, პატრონ-ყმური ურთიერთობის მომხრე და მეხოტბეა.[718] ასეთი ურთიერთობა, პოეტის შეხედულებით, ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებზეც ვრცელდება, ანუ საუკეთესო საგარეო პოლიტიკურ კურსს წარმოადგენს. ამ იდეის თვალნათელი დადასტურება „ვეფხისტყაოსანში“ ინდოეთ-ხატაეთის კონფლიქტია.

თავისებური იდეალური სახელმწიფოს ნიმუშად წარმოდგენილი ინდოეთი ხატაეთს იმორჩილებს, ის მეფესაც კი იგდებს ტყვედ, მაგრამ დამორჩილებულ ქვეყანას არ არბევს, არც მის უშუალო შემოერთებას ცდილობს. ინდოეთის პოლიტიკის მთავარი ყურადღება იქითკენაა მიმართული, რომ ხატაეთი ვასალურ სახელმწიფოდ აქციოს, ანუ მასთან ურთიერთობა პატრონ-ყმურ პრინციპზე დაამყაროს. მართლაც, ხატაეთს ხარკს აკისრებენ, მის მეფეს დიდი პატივით აბრუნებენ სამშობლოში და ხატაელ ტყვეებსაც ათავისუფლებენ. ამრიგად, ინდოეთსა და ხატაეთს შორის პატრონ-ყმური ურთიერთობა მყარდება. ხატაეთს გარკვეული მოვალეობები გააჩნია თავისი „პატრონი“ სახელმწიფოს მიმართ; თავის მხრივ, „პატრონიც“ მოვალეა დაიცვას თავისი „ყმა“ სახელმწიფო. ტარიელი, ხატაელებისადმი მორჩილების მოწოდებასთან ერთად, დასძენს, რომ ინდოეთის მეფის „ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი“[719]. პატრონსა და ყმას შორის ურთიერთობას ტარიელი მამისა და შვილის ურთიერთობას ადარებს[720].

ამგვარად, რუსთაველი იერარქიულობას საერთაშორისო სისტემის ბუნებრივ მახასიათებლად თვლის.

„ვეფხისტყაოსანი“ აღნიშნავს სამხედრო ძალის ხარისხის მნიშვნელობას. მულღაზანზარის მეფე, ფრიდონი ქაჯთა ციხეზე გალაშქრების წინ ამბობს:

„დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა?

კარგნი გვინდან და ცოტანი“[721].

„ვეფხისტყაოსანი“ ძალის დემონსტრაციასაც სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს, რაც სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის, პრესტიჟის განმტკიცებასა და ზრდას ემსახურება. პოემის გმირი, არაბეთის სპასპეტი, ავთანდილი მეფეს მიმართავს:

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,

თინათინის ხელმწიფება მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო“[722].

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საიდუმლო აქციებსაც. დაზვერვა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სამხედრო ოპერაციის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა. პოემის გმირები, ავთანდილი და ფატმანი ქაჯეთის ციხეში მსახურს აგზავნიან და იქ დამწყვდეულ ნესტანს შეუთვლიან:

„ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?

მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა:

---

[718] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.129.

[719] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.382.

[720] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.424.

[721] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1376.

[722] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.142. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ჯემალ სტეფნაძე, უცხოელ მეფე-მთავართა და დიპლომატთა მიღების წესები (ეტიკეტი) XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999.

ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ-ა?“[723].

დაზვერვა, ანუ რუსთაველის სიტყვით, „სადარნო“ უძღვის წინ ქაჯეთის ციხეზე უშუალო შეტევასაც[724].

და ბოლოს, საიდუმლო აქციებიდან „ვეფხისტყაოსანი“ ხატაელთა ხრიკზე მოგვითხრობს, რომელთაც მათ წინააღმდეგ წამოსულ ტარიელს მორჩილება აღუთქვეს და მისი მცირე ლაშქრით გატყუება სცადეს, რათა გამარჯვება გაადვილებოდათ[725].

თამარის პირველი ისტორიკოსი

ომი, ბრძოლა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, სახელმწიფოს ბუნებრივი მდგომარეობაა. „წინააღმდგომთა მუსვრა და მოწყვეტა“ მეფის ძირითადი ფუნქციაა.[726] უომრად გაჩერება მცონარებადაა შეფასებული და ქართველები უომრად მოწყენილები არიან.[727] გიორგი დაჰყვება ლაშქრისა და დიდებულთა ნებას, როცა ისინი მას მიმართავენ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“[728].

მაგრამ ომი თვითმიზანი არ არის. ავტორი აღწერს მცირე ლაშქრით მყოფი გიორგი III-ის დამარცხებას მტრის მიერ. ივანე ამირსპასალარი და სხვა დიდებულები მეფეს გაქცევას ურჩევენ: „მეფევ, ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლისა.“[729]

ომი, ერთი მხრივ, საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლების მთავარი საშუალებაა, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ამირსპასალარი ზაქარია, მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი თამარ მეფეს ხორასანში ლაშქრობას სთავაზობენ, „ათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი...არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს და ერაყს“.[730]

ძალის გამოყენების სტრატეგიასთან დაკავშირებით საგულისხმოა ავტორის მიერ იმ ფაქტის აღწერა, თუ როგორ გაერიდა გიორგი III-ის ჯარს საქართველოში შემოჭრილი სულთნის ლაშქარი. მეფეს გაქცეულთა გადევნება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ დიდებულებმა ეს უადგილოდ მიიჩნიეს. ავტორი აღშფოთებულია ასეთი საქციელით: „მიზეზი უმიზეზო, სიტყუა უსიტყუე, საქმე უქმი“-ასე ახასიათებს იგი ამ ფაქტს. მართლაც, გარკვეული დროის შემდეგ, სულთნის ჯარი შემობრუნდა და მცირე ლაშქრით მყოფ მეფეს დაესხა თავს.[731]

ასევე, საყურადღებოა, დიპლომატის ხელშეუხებლობის წესის აღიარება. ავტორი აღწერს თუ როგორ გადასცა თავისი პატრონის, რუმის სულთან რუქნ ად-დინის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დანაბარები მისმა ელჩმა თამარს. აღშფოთებულმა ზაქარია ამირსპასალარმა ამის საპასუხოდ ელჩს ისე გაარტყა, რომ გონება დააკარგვინა. როცა დესპანი მოსულიერდა, ზაქარიამ უთხრა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველ ენისა ამოკვეთა

---

[723] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1265.

[724] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1401.

[725] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.415-457.

[726] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.5.

[727] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.59.

[728] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.15.

[729] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.12-14.

[730] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, გვ.103.

[731] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.12.

იყო შენი სამართალი და მერმეღა - თავისა“[732]. შემდეგ ელჩს სათანადო პატივი მიაგეს და ისე გააბრუნეს.

ბასილი ეზოსმოძღვარი

ბასილი ეზოსმოძღვარი ორიგინალურ ტერმინს იყენებს - „ხრმალი მამული“[733]. ამით იგი სამშობლოსა და ხმალს, ძლიერების გამოხატულებას აიგივებს. მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ძლიერია და ქვეყანა სწორედ ასეთი უნდა იყოს კიდეც.

ავტორის თვალით, საერთაშორისო ურთიერთობა, თითქოს ნულოვანი ჯამის მქონე თამაშის ანალოგიურია, სადაც ერთი მხარის მოგება აუცილებლად მეორის წაგებას ნიშნავს და პირიქით: „მოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ჴმოვანობდეს კიდით კიდემდე.“[734]

მაგრამ, ამ მხრივ, ბასილი ეზოსმოძღვრის პოზიცია საკმაოდ მოქნილია, იგი ცდილობს საქართველოს ბატონობას და გავლენას მის მეზობლებზე ზნეობრივ-ლეგიტიმური საფუძველი მოუძებნოს. მისი თქმით, თამარი არ ცდილობდა დაპყრობათა ხარჯზე თავისი სამეფოს ტერიტორია გაეზარდა: „რათა არა უსამართლოდ ჰგონონ, და მიმხუეჭელად, ვინათგან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსღა სცვიდა მაშინებელთაგან, და საშინელ ყოფდა მტერთა ზედა.“[735]

შეიძლება ითქვას, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის ეს პოზიცია იმ შეგნებიდან გამომდინარეობს, რომ საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ტერიტორიის ფლობა, მისი დაპყრობა არ არის აუცილებელი. მთავარი ტერიტორიის კონტროლია. ამასთანავე, ამ კონტროლის ეფექტიანად განსახორციელებლად თვით ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ დახატულ საერთაშორისო სიტუაციაში საქართველო, მისი მეფის, თამარის სახით, თავისი მეზობლების მიმართ ძლიერი პროტექტორის პოზიციაში გვევლინება. მემატიანე წერს თამარზე: „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა“[736]. გარდა ამისა, საქართველო გამოდის, როგორც დიდი სახელმწიფო, რომელიც რეგიონული წესრიგისა და ძალთა წონასწორობის დამცველად გვევლინება, არ აძლევს რა დიდი რაოდენობით არსებულ პატარა ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ ბრძოლის, რეგიონში მშვიდობის დარღვევის უფლებას. მემატიანის სიტყვით, თამარი „ბჭედ ჯდა შორის თავისა თჳსისა და მეზობელთა მეფეთა არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელს მძლავრობისასა ურთიერთას“[737].

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები, უმთავრესად, კავკასიის რეგიონს ეკუთვნიან, მაშინ აღნიშნული პოლიტიკა კავკასიური ძმობის იდეის განხორციელებასაც წარმოადგენს, თანაც საქართველო გვევლინება არა როგორც რომელიმე რიგითი წევრი კავკასიური ერთობისა, არამედ მთავარი, წამყვანი ძალა, ამ ერთობის

---

[732] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.94.
[733] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.116.
[734] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.131.
[735] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.148.
[736] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.147.
[737] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.148.

შემკვრელი და დამცველი. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აქ კარგად გათვლილ რეგიონულ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე.

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე

ლაშა გიორგის დროინდელ მატიანეში ხაზგასმულია ქართველ მეფეთა ძლიერება, მათ მიერ სხვა სახელმწიფოთა დაქვემდებარება. საქართველოს ხელმწიფენი ძლიერების გამომხატველი სხვადასხვა ეპითეტებით არიან დახასიათებული. მაგალითად, დემეტრე I-მა „დაიპყრა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა;“[738] გიორგი III შემდეგნაირად მოიხსენიება: „უმაღლესი ყოველთა მეფესათა, მძლე და მორჭმული.“[739] ლაშამ, „მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიჴადნა“, იგი მოიხსენიება, როგორც „გულოვანი და შემმართებელი“[740].

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე ხაზს უსვამს თამარის შედარებით ლმობიერ პოლიტიკას მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. თამარმა „მოახლენი მათნი სულტანნი მოხარკედ დასხნა და სამეფო განუხეთქელად დაიცვა, ყოველნივე შეიტკბნა და მშჳდობა ყო ყოველთათჳს“[741].

ნიკოლოზ I კათალიკოსი (გულაბერისძე)

გულაბერისძის თხზულებაში შემდეგია ნათქვამი: „რაჟამს უკუჱ მეფენიცა ქუჱყნიერნი მირავიდოდიან რომლისაცა სამეფოჲსა და ქუეყანისა დაპყრობად: წინასწარვე წარავლენენ ძალსა ძლიერებისა მათისასა რათა წინა აღმდგომნი იგი დაპყრობადნი ზარტეხილ და შეშინებულ იყვნენ: რათა რაჟამს თჳთ თავადნი მივიდენ თჳნიერ ბრძოლისა და საჭურუელთა ჴმარებისა: ანუ თუ ივლტოდიან გინა თუ შევრდომით დაემორჩილნენ და დაემონნენ“[742].

ამრიგად, ძალის დემონსტრაცია მოწინააღმდეგის დაშინებას ისახავს მიზნად. ზემოთ მოხმობილი ციტატიდან ისიც ჩანს, რომ ავტორი სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს პრესტიჟს, მის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე, რისი ერთ-ერთი გამოვლინება, სახელმწიფოს მეთაურის, მეფის პრესტიჟია, რომელიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს სამხედრო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობის გარეშე იმორჩილებს.

ფეშანგი

ომის სხვადასხვა მიზეზია ნაჩვენები „შაჰნავაზიანში“.

მიუხედავად იმისა, რომ სულთნის აზრით, შაჰნავაზმა უკანონო საქციელი ჩაიდინა, როცა თურქთა ვასალ ქვეყანაში ილაშქრა და იქ თავისი ვაჟი დასვა მეფედ (დასავლეთ საქართველოში), სულთანი მაინც ერიდება მის წინააღმდეგ ლაშქრობას: „ქართუელთა ომი არ

---

[738] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.365.

[739] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, იქვე, გვ.367.

[740]ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, იქვე, გვ.370.

[741] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.369.

[742] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, ტფილისი, 1908, გვ.50; ამ გამოცემაში მოცემულ კითხვას „შეგინებულ“, „და ემორჩილნენ“ ვამჯობინეთ „საქართველოს სამოთხე“-ში მოცემული (გამოცემული გ.საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882) კითხვა: „შეშინებულ“, „დაემორჩილნენ“.

გუინდა, არიან კაცად ქუელია“[743]. ანუ მოწინააღმდეგის ძლიერება ხდება ომის შემაკავებელი ფაქტორი.

პირადი შეურაცხყოფა ხდება აგრესიის მიზეზი სხვა ეპიზოდში. ვამეყ დადიანმა შაჰნავაზს ჯერ დამოყვრება შესთავაზა, მერე კი უარი უთხრა, ამიტომაც შაჰნავაზი მის დასჯას აპირებს. შაჰნავაზის თქმით, დადიანის საქციელისა და, აქედან გამომდინარე, ომის მიზეზი უკანასკნელის „სირეგვნეა“, ანუ ირაციონალიზმი [744].

პიროვნული ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ომის წამოწყებაში. ომი, როგორც ვნება -ადამიანის მოთხოვნილება რამდენჯერმე გვხვდება ნაწარმოებში:

- თუშები ერეკლეს კახეთში გასამეფებლად „არჩევენ ომსა ფიცხელსა, ვითა დამთურალთა ღუინითა“[745].
- ედიშერ მდივანბეგს „სწადის ფიცხელი ომია“[746].
- შაჰნავაზზე მთიულთა თავდასხმისას ნათქვამია: „ომი სწადს დია ფიცხელი, კლდესა დაარღუევს მყარისა“[747]

ფეშანგის „შაჰნავაზიანში“ სამხედრო ძალა, ძლიერება მეფეთა (და მათი სახელმწიფოების) აუცილებელი თვისებაა. ავტორი წერს:

„ესე ამბავი იწყების ქართუელთა ჴელმწიფეთანი;

ვინ ჴმლითა ბადრობს, მებრძოლთა შეაქნა ყოვლგნით კუეთანი;

ვერვინ დაუდგა სულდგმული, აბჯართა უწყო ფეთანი“[748].

მეფემ: „მტერი ყოვლგნით დაიმონა, მათ მიეცა ლახუარ სობა“[749].

დინასტიური ქორწინების დროსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საქმროს ასარჩევად მისი სახელმწიფოს ძალაა. შაჰნავაზს ელჩი შემდეგნაირად ახასიათებს „აქუს საჴელმწიფო სრულია“[750].

ძლიერების გამომხატველი დიდი ტერიტორიის ფლობაა. კათალიკოსი მიმართავს შაჰნავაზს: „ერან, თურანი შენ გმონებს...ისპაან შარი გიჭირავს, გილანი სრულად სრავია“[751]. აქ მეფის განდიდების ტენდენციაც იკვეთება, ვინაიდან შაჰნავაზის ძლიერება გაბუქებულია.

ძალის დემონსტრირების გზით მტრის დამორჩილების ტაქტიკა ჩანს „შაჰნავაზიანის“ შემდეგ სისასტიკით გამორჩეულ ეპიზოდში: დახოცილ თუშებს შაჰნავაზის ჯარმა თავები დააჭრა. თავებს ტყავები დააძრეს, თივით დატენეს და კოშკი აღმართეს, რათა თუშებმა „რა კოშკი ნახონ თავისა, ახსოვდეს იმა ხანესა, ზავი არჩიონ, მსახურონ, რა ესე მოინახესა“.[752]
დიდების, ძალის დემონსტრირების კიდევ ერთი მაგალითია შაჰნავაზის ლხინი:

„ლხინი აჩუენა მან ყმამან, მორთო წესი და რიგები.

მეფე მორთუით ზის, აცუია ზარქაში განაზიდები;

მთუარისა მგზავსად გავსილსა შუენის თავზედა რიდები.

---

[743] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.585, გვ.100.
[744] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.378-379, გვ.66.
[745] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.821, გვ.138.
[746] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.836, გვ.140.
[747] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1099, გვ.181.
[748] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1, გვ.5.
[749] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.12, გვ.6.
[750] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.128, გვ.25.
[751] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.315, გვ.57.
[752] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1136-1138, გვ.186-187.

თქუეს: „გუასმიაო ароდეს ჴემწიფე ეზომ დიდები!“[753]

„შაჰნავაზიანში“ ასევე ჩანს საერთაშორისო პრესტიჟის, როგორც საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტის მნიშვნელობა.

შაჰნავაზი თავის ვაჟს, არჩილს ირანში აგზავნის, რომ შაჰმა მას კახეთი მისცეს სამეფოდ და თან არიგებს:

„ჩუენგან ჴამს გაჰყუეს სამეფო რიგია,
ვინც ნახოს, ყუელას მოსწონდეს ვერა თქუან, თუ რა რიგია;
დიდნი არიან ერანი, ვინც ხანობს ყუელა იგია,
სახელი სჯობდეს ყუელასა, ვის გაჰყუა, რაც მოუგია“[754].

ერეკლეს მომხრეებზე გამარჯვების შემდეგ, შაჰნავაზის მომხრეებმა გადაწყვიტეს თავიანთი გამარჯვების ამბავი შაჰისათვის შეეტყობინებინათ, რათა „ქება გუეთქმოდის კაცთაგან, სრულად ერანი გია“.[755]

ასლან ფაშამ შაჰნავაზს შესთავაზა მისთვის ბაგრატი გადაეცა, რომელიც იმერეთის მეფეების შთამომავალი იყო. შაჰნავაზმა შეურაცხყოფად მიიღო ფაშასაგან ასეთი წინადადების მიღება, როგორც „ყულულჩობაში გაზრდილისა, ყულისა“ (ყოფილი მონისა).[756]

„შაჰნავაზიანში“ მოლაპარაკების ხელოვნების, დიპლომატიური მჭევრმეტყველების საყურადღებო მაგალითებსაც ვხვდებით. იმერეთს გადედოფლებული ნესტან-დარეჯანი და ვახტანგ ჭუჭუნაშვილი შაჰნავაზს მტრებისაგან (აჯანყებული იმერლები, დადაიანი) დახმარებას სთხოვენ, ელჩს უგზავნიან, რომელიც ამბობს:

„მივალ ტკბილი საუბრითა, მოვახსენებ რაც ვიწამე;
და ნუ ღმერთმან მოაგუაროს, მვიდოდე მე აწამე“[757].

ამ ეპიზოდში, პოლიტიკაში რელიგიური მიდგომაც იკვეთება. ელჩს საკუთარი ხელოვნების იმედი ბოლომდე მაინც არა აქვს, თუ „ღმერთმან მოაგუაროს“, მაშინ დაიყოლიებს მეფეს. ელჩი შემდეგნაირად მიმართავს შაჰნავაზს:

„ხარ უზეშთაესი ყოველთა, თქუენ გეძებს დაკარგულები;
გახლავს და გმონებს მეფენი ერთგულად, არ ორგულები;
უშუელე შეჭირვებულთა, ჰქენ შენგან სავარგულები.

მოგახსენა დედოფალმა: „ვინ პატრონობ ბევრსა ერსა,
არ დამინდო დადიანმა, იგ ძუელიდგან შენამტერსა;
ყმანი სრულად გარდამბირა, წაუვიდენ ფიცსა ბევრსა;
მამინდობა წასაჴდენლად, ვით რას ეტყუის შემოქმედსა“[758].

ამის შემდეგ თავის სამეფოს შაჰნავაზს გადაულოცავს და ითხოვს „ჩუენც რა გვარგე ნატირალსაო“.

საურადღებოა მიმართვის სტრუქტურა, რაშიც დიპლომატიური ხერხები იკვეთება:

1) ჯერ განდიდება შაჰნავაზისა;

2) დახმარების, როგორც კეთილშობილური საქციელის თხოვნა დიდებული მეფისაგან;

---

[753] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.498, გვ.84.
[754] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.635, გვ.109.
[755] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.857, გვ.144.
[756] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.917-921, გვ.153.
[757] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.281, გვ.51.
[758] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.282-283, გვ.51-52.

3) საკუთარი თავის მორალური გამართლება და მტრების გამტყუნება. აქედან გამომდინარე, შაჰნავაზის დახმარების მორალური გამართლება;

4) შაჰნავაზისათვის დახმარების პრაგმატული სარგებლის წარმოჩენა.

ზემოაღნიშნულის მსგავსია ვამეყ დადიანის ელჩის მიმართვა შაჰნავაზისადმი. ელჩს აბარებენ, რომ მჭევრმეტყველება მოიხმაროს მეფისადმი მიმართვისას - „შენც მოიჴმარე ენია“- ო. ელჩი შემდეგნაირად მიმართავს შაჰნავაზს:

„ჴელმწიფეო, ხარ ყოველთა უზედესი;
სიუხუითა ზღუასა გევხარ, ანუ შირვან უკეთესი;
ერთგულთათვის მოწყალება მჭირს შაქრისგან უტკბილესი;
რაცა გკადროთ, მოგუსმინე, არ წავიდეთ დანაკუნესი.

მოგახსენა დადიანმა სიტყუა ტკბილი, არა მწარე;
ჰე მეფეო, ჴელთ გიჭირავს სიმდაბლითა ყოვლი არე;
არას გკადრებთ უწადინსა, თუარემ თქუენვე დაგუაბარე;
ვინ ჴელი ჰყო სიავესა, იგ არ მორჩა დაუმცდარე“ და ა.შ.[759]

ხელშეკრულების, შეთანხმების დადების ფაქტია აღწერილი შემდეგ ეპიზოდში:

„ოდიშართ საქმე ამრიგად გარიგდა, დააყენა მან.
პატრონ-ყმობისა პირობა დასდეს და შეაჯერა მან (შაჰნავაზმა - ვ.კ.)“.[760]

იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი (XVII ს.)

პიროვნული ფაქტორი, ომისადმი ლტოლვაა გადმოცემული „დიდმოურავიანში“: ქართველები ამბობენ ბრძოლის წინ: „გამარჯვება ჩვენია, გავძღებით მათის ომითა“[761].

გიორგი სააკაძე ამბობს: „ომი მწყუროდა მას დღესა, მწადს მათი სისხლი მამესო“[762].

შურისძიების სურვილი ხდება ომის მიზეზი ნაწარმოებში გადმოცემულ კიდევ ერთ ეპიზოდში. სულთანმა შეუთვალა სააკაძეს, შეუტიე სოხტაელებს „ჯავრს ნუ შემარჩენ მაგათსაო“[763].

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით, სწორედ ომში გამოიხატება მეფისა და ქვეყნის ერთგული სამსახური. გიორგი სააკაძე მიმართავს თეიმურაზ მეფეს:

„თქვენთვის ვსძრევდი მე, მეფეო, თავსა, ხელსა, გულსა, ტანსა,
შამხალამდი მივაწივე, მე მიუხე დაღისტანსა,
მოვარბევდი ქვეყანასა, მოვიღებდი მოსატანსა,
და უშიშრად მტერს ვებრძოდი, მაგრა უდეგ მე სატანსა!

ხმლითა გავჰტეხე ოსეთი, ავიღე მაგარ ციხები,
უფროსნი კაცნი გავბეგრე, გაუშვი ზავთი, რიხები,
ჩემის შიშითა შეწუხდეს, დაისვეს გულსა მიხები;

---

[759] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.306-310, გვ.55-56.
[760] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.500, გვ.85.
[761] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.13.
[762] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.
[763] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.59.

და მტერნო, თქვენც იცით, ჩემის ხმლით მრავალჯერ დაიწნიხები“[764].

ომის, ძალის დემონსტრაციის გზით „მტერთა შეშინებაა“ მეფის ღირსების გამომხატველი. ავტორი ლუარსაბ II-ზე წერს: „მტერნი ყველგნით შეაშინა, ომის იყვნენ არ მზარავი“[765].

„დიდმოურავიანში“ ასევე ჩანს პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობა სახელმწიფოს ძალის ფორმირებაში. გიორგი სააკაძე ამბობს:

„უჩემობით მებრალები, ვაიმე, ქართლო, სუსტობისთვის:
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის;
ეგზომ ჩემი ჭირნახული აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?
ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონდეთ ამა თქმისთვის!“[766]

ხალხის, ჯარის ფლიქოლოგიური განწყობის მნიშვნელობას, როგორც ძალის, ძლიერების კომპონენტს უსვამს ხაზს „დიდმოურავიანი“. სააკაძე ამბობს:

„თუ კაცი იტყვის გულშია: „მტერს რომ შევება ომებად,
ვაი თუ იმან მაჯობოს, მე ვიყო ცუდად მშრომებად,
ის არის სპითა მრავლითა, მე ცოტა გვარ და ტომებად,“
და ვერ ვემოწმები, იცოდეთ, არ არის ომის მდომებად!

მას ვემოწმები, რომელიც იტყვის: „გავსწიროთ თავი და!
დღეს უომარი არ დავდგე, კარგი მოჰხდეს თუ ავი და;
ანუ მტერს ვსძლიო, შევმუსრო, ან ვიქმნე გასათავი და!
და კარგს კაცს ვეძებდე საომრად, რომელმაც მთხოოს დავი და!“

კაცობა გწადს, მზასა გქონდეს მიწყივ შენი საომარი,
რა ხმა გესმას რაზმთ წყობისა, მით არ იქმნა შესაზარი!
სიკვდილს ვერვინ ასცილდების, რომ არ ექმნას მოთქმა, ზარი,
და ავს სიცოცხლეს სახელი სჯობს, გინდა ეპყრას რომ ხაზარი!

ზოგი კაცი დაღონდების, ვერ გაბედავს ვერას ვერა;
ვირემ მტერი არ წაახდენს, კაცთა რჩევას არას ჯერა.
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნუღარა გაქვს გულის ძგერა,
და მას კაცობა ხელთ შერჩების, ვის აქვს მტრისა მალ შეძგერა!“[767]

საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის საყურადღებო მაგალითია აღწერილი „დიდმოურავიანში“. სულთანმა სააკაძე თავისი ჯარით სოხტაელების ქვეყნის წინააღმდეგ გააგზავნა და ამავე დროს გააფრთხილა:

„კარგად უნდა მოაგვაროთ, ნურც ადვილ გჩანსთ მათი ბრძოლა;
ქვეყანა აქვთ მწვე მაგარი და მეომართ კართა ყოლა;
მწვე ფთხილობენ ღამე თევით, სრულ არა აქვთ მუდმად წოლა,
და გუშაგები იძახიან, როგორც მწუხრს და ცისკარს მოლა!“[768]

---

[764] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.37.
[765] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.4.
[766] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.45.
[767] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.46.
[768] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.58.

მოწინააღმდეგის ძალის ადეკვატურად შეფასების შემდეგ, სააკაძე პირდაპირ ბრძოლაზე კი არ გადავიდა, არამედ ასე ვთქვათ, შემოვლითი მანევრი განახორციელა და „ჭკუით საქმის მოგვარება“ გამოაცხადა სარდლობის აუცილებელ პირობად. კერძოდ, სააკაძე ამბობს:

„ვჰთქვი, ჭკუით საქმე მოგვარდეს, სარდლობა ამას ჰქვიანო,
დავდგეთ აქ, ყური მიუგდოთ, რაც რომ იმათა თქვიანო,
ფრთხილობას გარდაიგდებენ, უფრო და უფრო გვიანო,
და თვარემ თუ ახლავ შეუტევთ, მებრძოლნი დადაგვიანო!

ბოლოს დავდექით, დავიწყეთ ჩვენ მათში ვაჭრობანია,
ზოგნი მეგობრად ვიჩემეთ, ზოგთ ძმობილ, ვითა ძმანია,
დაწყნარდეს, იარებოდეს მათში სულ ჩვენი ყმანია,
და მიხდომის აზრი გარდადგეს, არ დავიყარეთ ხმანია“[769].

ამგვარად, სააკაძემ ურთიერთობა გააბა მოწინააღმდეგესთან, „დაუმეგობრდა“ მას, გაუქარწყლა თავდასხმის შიში, მისი სიფრთხილე დააჩლუნგა, შემდეგ კი მოულოდნელად დაესხა თავს და გაანადგურა.

არჩილი

არჩილი გმობს უსამართლო ომს, იმპერიალიზმს და ხაზს უსვამს ზომიერებისა და ღვთიური სამართლიანობის მნიშვნელობას საგარეო პოლიტიკაში:

მაკედონელი „წარხდა საზღვარსა, მრავალთ სისხლთ ღვარსა,
უგულებელსყო ღვთის სამართალი.
სჯობს ზომიერი, მორჩილი ერი,
საქმე თუ გინდა, ეს ა მართალი“[770].

არჩილის მიხედვით, ომის, კონფლიქტის მიზეზი ადამიანის ბუნებაა. ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ მეფე თეიმურაზი შაჰ აბასზე ამბობს:

„დედა-მისმა ჩემთვის შობა იგი ასრე ჩანასხამი,
მუდმად ჩემის სისხლის მსმელი, გესლიანი ჩანასხამი;
ტახტზედ იჯდა სამესისხლოდ“[771].

ომი მშვიდობის წინაპირობაა: თეიმურაზი ამბობს, დაღესტანი დავლაშქრეო და „ვეღარ მემტერნეს მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო“[772].

ომში ფსიქოლოგიური განწყობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს თეიმურაზი შემდეგი სიტყვებით: „თავს ლაფი უნდა დაისხას, იმ დღეს ვის ჰქონდეს რბილობა“[773], ანუ ომის დროს სიმტკიცე და მკვეთრი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, „რბილობის“ დრო ომში არ არის და ომის პირობებში ასეთი საქციელი დასაძრახისია.

---

[769] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.59.

[770] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.14, გვ.227.

[771] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ. 3, თბილისი, 1975, მ.448, გვ.273.

[772] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.729, გვ.335.

[773] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.868, გვ.367.

არჩილის მიხედვით, მეფის, სახელმწიფოს უმთავრესი საჭიროებაა ძალა, ჯარის სიმრავლე და მტერთა დამარცხება. მის ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზ მეფე დასძენს:

„რაც მინდოდა ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაძე.

მუნ სიმრავლე სპა-ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოვლგნით ვაძე“[774].

ძალაა ასევე, საერთაშორისო პრესტიჟის უმთავრესი საშუალება. არჩილი აღწერს ქართველების ერთ-ერთ გამარჯვებას და წერს „ამაღლდა მეფის სახელი ამ ომით სვე-სვიანამდი“[775].

რუსთაველი ასე ახასიათებს თამარ მეფეს:

„არ მისწვდა მისი სახელი, ხმელზედ ქვეყანა სად იყო.

ლაშქრის სიმრავლე, სიდიდე, კმარა თუ ზღვასა არ იყო.

ოთხთა კიდეთა იპყრობდა, თუ ადრე არ მამკვდარიყო“[776].

ამ სტროფში იმპერიალისტური ტენდენციაც იკვეთება. ავტორის თანახმად, თამარს მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეეძლო, რომ დასცლოდა.

საგულისხმოა ასევე, რომ არჩილი ძლიერების ერთ-ერთ კომპონენტად რიგითი მოქალაქეების, გლეხების მნიშვნელობას გამოყოფს, ანუ მის შემოქმედებაში დემოკრატიზმის ელემნტები იკვეთება. მარაბდის ბრძოლის წინ ბაადურ ციციშვილი ამბობს „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“[777].

არჩილი ასევე ხაზს უსვამს მეფეთა პირად, მხედრულ ძლიერებასა და სიმამაცეს, როგორც იდეალური ლიდერის აუცილებელ თვისებებს. იგი მეფეებს ასე მოიხსენიებს:

„მხნედ და ძლიერთა, საძებნიერთა,

ახოვნად, ქველად გმირებ გებულთა“[778].

მრავალმხრივ საყურადღებოა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“-ს შემდეგი სტროფი. თეიმურაზი ერთ-ერთი ბრძოლის დროს ამბობს:

„გულნი მათნი *(მოწინააღმდეგეების - ვ.კ.)* გავაცვილე, ჩემთა ყმათა გავასალე.

შეუზახე: ჩემნო ყმანო, თავნი თქვენნი ისაამეთ,

მოიგონეთ მოწამენი, თქვენც ეწამეთ, ისა ამეთ“[779].

აქ იკვეთება ხალხის ფსიქოლოგიური განწყობის, როგორც ძლიერების ერთ-ერთი ასპექტის მნიშვნელობა. გარდა ამისა, ჩანს ომისადმი რელიგიური ხედვა. მეომრები რჯულისათვის მოწამეებს არიან შედარებული. ამგვარად, ბრძოლაში დაღუპვა მოწამეობის ტოლფასი გმირობაა.

საინტერესოა არჩილის დამოკიდებულება ტერიტორიისადმი. ერანის მპყრობელი ბობქარი შირვანს შეესია, რომელიც საქართველოს ყმადნაფიცი იყო. ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ რუსთაველი ამაზე ამბობს „რა ხელი ჰქონდა ბობქარს, ვინ ის და ვინ ესა?“[780]. ქართველები შირვანელებს ეხმარებიან. ბრძოლის წინ რუსთაველი ამბობს „ჩვენ

---

[774] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.379, გვ.259.

[775] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.873, გვ.368.

[776] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.855, გვ.365.

[777] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.628, გვ.312.

[778] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.7, გვ.226.

[779] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.551-552, გვ.295.

[780] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.858, გვ.365.

განვაახლებთ, ვიშოებთ საჯილდოოსა მამულსა“[781]. ამგვარად, შირვანის ტერიტორია გვევლინება, როგორც „საჯილდოო“, ანუ ტერიტორია, რომელიც ქართველებმა, საკუთარი ძალისხმევის შედეგად, „ჯილდოდ“ დაიმსახურეს.

საყურადღებოა არჩილის დამოკიდებულება ელჩობისადმი. ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ იგი გამოჰყოფს ელჩობას, როგორც ერთ-ერთ ხელობას, პროფესიას:

„მრჩევლობა, სიტყვის გაკვეთა, თავს ჩემობს ამისი სწავლა,
ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა“[782].

მრავალმხრივ საყურადღებოა ნაწარმოების „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ შემდეგი ეპიზოდი: შაჰ აბასი გიორგი იმერთა მეფეს მასთან შეხიზნული ლუარსაბ ქართლის მეფისა და თეიმურაზის გადაცემას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმერეთში შეჭრით იმუქრება. გიორგი ელჩს უგზავნის შაჰს და აბარებს:

„მოახსენე ხელმწიფესა მას მაღალსა,
სამართალი მეფეთ ეს არს, შენახვეწს კაცს შეიწყალსა,
თუ რამ ამათ დააშავეს, ვხედავთ თავსა დანაბრალსა,
რისხვა დიდი გარდაჰხდია, გეხვეწები აწ წამალსა.

თვით იცით, დიდო ხელმწიფევ, ჩვენცა კაცნი ვართ სეფენი,
გვარი გვაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი;
აწ უპატიოდ ნუ გაგვხდით, ხვეწნით ვართ შემომყეფენი:
უბოძე ორთავ თვის-თვისი, უცხო ჰქენ სიიეფენი.

აწ ეს შეიძღვენ ფეშქაშად ხვეწნა დ მუდარებანი,
შენ, ბრძენო, კარგად ისმინე ეს ჩემი უმეცრებანი;
უხვად წყალობა მოჰფინე ხმა-ტკბილი, ვითა ებანი,
პატივი დამდე, წაბძანდი, ამათ ქნან მანდეთ რებანი“”[783].

მერე ელჩს უთხრა (მალაქია კათალიკოსს):

„მიდი სიტყვა გაუსინჯე, ბრძენი ხარ და მალ აქია *(ბევრი აქვო - ვ.კ.).*
ამათს ბაღსა ვარდი დარგე, მოგესწრების მალ აქია“[784].

პირველ ყოვლისა, ზემოაღნიშნული პასაჟი დიპლომატიური მჭევრმეტყველების მაგალითია. თხოვნას წინ უსწრებს შაჰისადმი ხოტბის შესხმა, სათხოვარი გამართლებულია, ზნეობისა და სამართლიანობის კუთხით. გამოყოფილია ელჩისათვის აუცილებელი თვისებები - სიბრძნე და მჭევრმეტყველება. ასევე, იკვეთება ბაგრატიონების ბიბლიური წარმომავლობის იდეა.

რელიგიური ომის სურათია დახატული ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. თეიმურაზი ამბობს, დიდოეთზე სალაშქროდ იმიტომ წავედი, რომ მათი ქრისტიანობაზე მოქცევა მინდოდა, ისინი წარმართები იყვნენო:

„ამად წაველ მათ წარმართზედ, მინდოდა რომ მამექცია,

---

[781] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.865, გვ.367.

[782] არჩილი, საქართველოს ზნეობანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.36, გვ.7.

[783] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.486-488, გვ.281-282.

[784] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.490, გვ.282.

მერმე, თუ არ დაეჯერათ, ციხეები მამექცია“[785].

ძალის გამოყენების სტრატეგიის ჭრილში აფასებს თეიმურაზი თავისივე ლაშქრობას დიდოეთზე: „რადგან ბევრი მტერი მყვანდა, რას ვებრძოდი ჭკუათ მოკლეს?“[786] - ჭკუამოკლე მტერს რატომ ვებრძოდი, როცა ბევრი მასზე ჭკვიანი მტერი მყავდა და სჯობდა მათთან მებრძოლა, მე კი ძალას ჭკუამოკლეზე ვხარჯავდიო.

სულხან-საბა ორბელიანი (XVII-XVIII სს.)

საერთაშორისო კონფლიქტების ერთ-ერთ მიზეზად სულხან-საბა აულაგმავ ძალადობას ხედავს, რომელიც ნებისმიერი ზომისა, თუ სიძლიერის სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი და რომელიც, ცხადია ამ სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტისაგან მომდინარეობდა. ამიტომაც იგი სასტიკად ამხელს ძალაუფლების მპყრობელთ და მეფეებს მოძალადეებთანაც კი აიგივებს: „ქვეყნისა ამის მეფენი რომელნი მძლავრობენ სოფელსა ამას“[787].

ომის კიდევ ერთი მიზეზი სულხან-საბას მიხედვით არის „უთმინოება“, ანუ სიდინჯის ნაკლებობა, გადაწყვეტილებების მიღება სათანადო, რაციონალური განსჯისა და დაფიქრების გარეშე. მისი თქმით, „უთმინოება მოაოხრებს ქვეყანასა და აღადგინებს მეფეთა ბრძოლად მეფეთა ზედა და განამრავლებს შფოთსა და ჴდომასა კაცთა შორის“[788] .

კონფლიქტების კიდევ ერთი მიზეზი, სულხან-საბას მიხედვით, არის უნდობლობა და კომუნიკაციის სიმწირე დაპირისპირებულ მხარეებს შორის. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, მტრები, ერთმანეთის შესახებ მიღებულ ინფორმაციას არ გადაამოწმებენ და თუ „შეამოწმებენ, კიდეც დამოყვრდებიან“[789].

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)

ვახუშტის თხზულებაში ომის წამოწყების სხვადასხვა მიზეზები გვხვდება.

სიმონ ქართლის მეფემ „მოიჴსენა შური (იგივე წყენა – ვ.კ.) გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა“ (XVI ს. ბოლო)[790]. როგორც ვხედავთ, შური, პირადი ანგარიშსწორების სურვილი იქცა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების – ომის წამოწყების მიზეზად.

აგრესიის მიზეზი მოწინააღმდეგის მხრიდან არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების შეგრძნება, ან შურისძიების სურვილი შეიძლება გახდეს. ბაგრატ იმერთა მეფემ სამცხეს გაილაშქრა (XVI ს. I ნახ.), რადგან ეს მხარე „შეავებული“ ნახა და „კუალად მოიჴსენა შური მზეჭაბუკ ათაბაგისა, რაჟამს მოუძღუა ოსმალთა“[791].

---

[785] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.761, გვ.342.

[786] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.766, გვ.343.

[787] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა წმიდისა ზიარებისათვის V, სწავლანი, იქვე, მ.92, გვ.44.

[788] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა უთმინოებისათვის, სწავლანი, იქვე, მ.323, გვ.111.

[789] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.53.

[790] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.415.

[791] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.811.

ასევე, აგრესია შეიძლება გამოიწვიოს მეზობლის ზედმეტმა გაძლიერებამ. გიორგი იმერთა მეფე შეაშფოთა დადიან-გურიელის გაერთიანებამ და დაუწყო მტრობა (XVII ს. I ნახ.)[792].

საინტერესოა, აგრეთვე, მშვიდობის მიზეზები.

ლუარსაბ II ქართლის მეფეს (XVII ს დასაწ.) „აქუნდა ჟამი მშჳდობისა, რამეთუ კახნი მოყუსობდნენ და ყეენი უცალო…იყო და ხონთქარცა ეგრეთვე უცალოებდა“[793]. ამრიგად, მშვიდობის მიზეზი პატარა ქვეყნისათვის ხდება, ერთი მხრივ, მოკავშირეობა, მეორე მხრივ კი მეზობელი დიდი ქვეყნების მოუცლელობა, მოცემული პატარა სახელმწიფოს საქმეებში ჩაერიონ.

მშვიდობის მიზეზი ძალთა დისბალანსიც შეიძლება იყოს. ახალციხის ფაშა ისაყთან (XVIII ს.) ყიზილბაშთაგან გამოქცეულმა ვინმე შანშემ შეაფარა თავი. შაჰ ნადირმა ისაყს შანშეს დაბრუნება მოსთხოვა. „მაშინ ისაყ-ფაშამ აღირჩია მშვიდობა, რამეთუ ეშინოდა მისგან მორბევისა და მოოჴრებისა ქუეყნისა“ და გაგზავნა შანშე.[794]

ვახუშტის თხზულებაში სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისა და დიპლომატიური ხრიკების საინტერესო მაგალითები გვხვდება.

შაჰის მოკავშირის, კახეთში გამეფებული კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ (XVII ს. დასაწ.), შაჰ აბასი შეშინდა, კახეთი ქართლის მეფემ არ დაიპყროსო და კახეთში მეფედ თეიმურაზი გამოგზავნა.[795] ამრიგად, ვახუშტის აზრით, შაჰი ცნობილი სტრატეგიით „გათიშე და იბატონე“ მოქმედებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შენარჩუნებას. ამავე დროს, ამ პრიორიტეტული მიზნისათვის შაჰი მცირე ბოროტების პოლიტიკასაც მიმართავს, ანუ, ალტერნატივის არარსებობის პირობებში, კახეთში მეფედ მისთვის არასასურველ კანდიდატს სვამს, რომელსაც არც კი ენდობა.
კიდევ ერთი პოლიტიკური ხრიკის მაგალითია შაჰ აბასის მცდელობა თეიმურაზ მეფის შვილი სპარსეთში გაეტყუებინა და მძევლად აეყვანა. მან თეიმურაზს სთხოვა შვილი ოსმალეთზე ლაშქრობაში გაეყოლებინა. თეიმურაზმა არ დაიჯერა შაჰის დანაბარების გულწრფელობა.[796]

მტრის თავდასხმის თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებად გამოიყენებოდა მისთვის მორჩილების გამოცხადება და საბოძვრის მიცემა. ასე, შაჰ აბასის შემოსევისას კახელებმა არც კი სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, იმის იმედით, რომ ზემოაღნიშნული გზით ომისაგან თავის დაღწევას შესძლებდნენ.[797]

ძალთა წონასწორობის შენარჩუნებისა და დიპლომატიის კარგი მაგალითია, ქალბალი-ხანის (განჯისა და კახეთის მმართველი, XVII ს. ბოლო) პოლიტიკის ვახუშტისეული აღწერა. ხანს ლეკები მოხარკედ ჰყავდა, კახეთთან კი კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ლეკთა შემოსევებით შეწუხებულმა კახელებმა არაერთხელ სთხოვეს ხანს მათ წინააღმდეგ დახმარება, მაგრამ ხანი არაფერს აკეთებდა. მას ხელს აძლევდა კახეთის დასუსტება. სამაგიეროდ კახელებს ტკბილად მიიღებდა ხოლმე და დასაჩუქრებულებს ისტუმრებდა.[798]

ძალთა წონასწორობის შენარჩუნების კიდევ ერთი მცდელობა გვხვდება ბაადურ სამცხის ათაბაგის (XV ს. II ნახ.) პოლიტიკაში. ბაადურის მამას, ყვარყვარეს ქართლ-კახეთის

---

[792] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.826.
[793] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.420.
[794] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.740.
[795] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.583.
[796] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.586.
[797] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.587.
[798] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.609.

მეფე გიორგი დატყვევებული ჰყავდა. ამასობაში იმერეთის სამეფო გაძლიერდა. ბაადური შიშობდა, რომ იმერეთი მის ბატონობას შეუქმნიდა საფრთხეს, ამიტომაც გადაწყვიტა დატყვევებული გიორგი მეფის გათავისუფლება და მასთან დაზავება.[799]

ძალის გამოყენებისადმი მიდგომის თვალსაზრისით ნიშანდობლივია პაატა წუწკის (წულუკიძის, 1640-იანი წლები) სიტყვები: „უჯერო არს განტევება მტრისა, რამეთუ მოიცემს რა ძალსა, კუალადცა არს მტერი“[800]. ასე არ გააშვებინა მან ლევან დადიანს ტყვედ ჩავარდნილი მამუკა, ალექსანდრე იმერთა მეფის ძე, რომლის გაშვებასაც ლევანი თეიმურაზ I-ს შეჰპირდა.

ძალთა გაწონასწორებისა და დიპლომატიის საგულისხმო მაგალითია XVI ს. შუა წლების სამცხის ცხოვრებიდან აღწერილი შემდეგი ფაქტი. ქაიხოსრო ოსმალებმა დასვეს ათაბაგად, მაგრამ საათაბაგოს ავიწროებდნენ. ქაიხოსრომ საკუთარი „თავისუფლებისათჳს“ ხონთქრის წინააღმდეგ დახმარება შაჰ თამაზს სთხოვა და საათაბაგოს დაპყრობა შესთავაზა. შაჰ თამაზიც გამოემართა თავისი ლაშქრით სამცხის დასაპყრობად. ხონთქარმა სულეიმანმა ეს ამბავი შეიტყო და ისიც გამოემართა სამცხისაკენ. შეშინებულმა ქაიხოსრომ შაჰ თამაზს სთხოვა მისთვის რისხვით სავსე წერილი მიეწერა, რომელშიც დამორჩილებას მოსთხოვდა. შაჰ თამაზმა მართლაც მისწერა ასეთი წერილი ქაიხოსროს, სადაც ღალატში სდებდა ბრალს, ვითომდაც ჩემი სამფლობელო ოსმალებს ჩააბარეო და ლაშქრობით იმუქრებოდა. ქაიხოსრომ ეს წერილი ხონთქარს გაუგზავნა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი შაჰთან შეთქმული არ იყო. ხონთქარმა დაიჯერა და გადაიფიქრა ქაიხოსროს დასჯა. პირიქით, ლაშქარი დაახმარა. ამის მხილველი შაჰ თამაზი კი აღარ შევიდა სამცხეში და თავის სამფლობელოში გაბრუნდა.[801]

საინტერესო ეპიზოდია აღწერილი XVI ს. კახეთ-ირანის ურთიერთობიდან. ალექსანდრე კახთა მეფემ თავისი ვაჟი ერეკლე სტამბოლში, ოსმალეთის სულთნის კარზე გააგზავნა. ამ ფაქტით გაგულისებულმა შაჰ თამაზმა კახეთზე ლაშქრობა მოინდომა, თუმცა კახელებმა მოახერხეს შაჰ თამაზის აგრესია თავიდან აერიდებინათ და სამცხისაკენ წარემართათ. ამრიგად, მათ შაჰს მრისხანება სხვა მიმართულებით ამოანთხევინეს და ამის შემდეგ ალექსანდრე მეფის უმცროსი ვაჟი კონსტანტინე გაუგზავნეს და თან უთხრეს, თითქოს ერეკლე თვითნებურად წავიდა სტამბოლში და ალექსანდრე კვლავ შაჰის ერთგული რჩება. „მაშინ დამცხრალმან მრისხანებისაგან შაჰთამაზ შეიწყნარა ძღუენი და ტყუენიცა“[802]. ამ ფაქტში კარგად ჩანს, იმ დროის კახეთის სამეფო კარის დიპლომატიის ინსტრუმენტები და მათ შორის ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ოსტატური გამოყენება საგარეო ურთიერთობებში.

დავით გურამიშვილი

პიროვნული ფაქტორი, ირაციონალიზმი ხდება ქართლსა და კახეთს შორის კონფლიქტის მიზეზი „დავითიანის“ მიხედვით:

„მეტად უზომოდ გაჯავრდენ, ვერ გასზლეს გულის ჯავრნია;
აჩქარდენ, ვეღარ გასინჯეს მათ საქმე საშინჯარნია,
მტერთ ნებით კარნი განუღეს მაგროვნად დანაჯარნია“[803].

„დავითიანის“ მიხედვით, ომში, მტერზე გამარჯვებაა მეფის მთავარი საზრუნავი:

---

[799] ვახუშტი ბატონიშვილი,აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.705-706.
[800] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.831.
[801] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.715.
[802] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.577.
[803] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.310, გვ.106.

„ვახტანგ თქვა - „მე წავახდინო სუხავი (სპარსთა ერთ-ერთი სარდალი - ვ.კ.),
ის არის ჩემის ქვეყნისა დამწველი, ცეცხლით მხუხავი;
შამახიაში ყუმბარა ვყარო მეხისებრ მქუხავი,
თუ ღმერთმან ეგ კი მაღირსა, სხვა რა მაქვს შესაწუხავი!“[804]

ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლისა და რუსეთთან მოკავშირეობის სურვილის აშკარად გაცხადების გამო ქართლელი დიდებულები „მეფეს სძრახევდენ“[805]:

„სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!“[806]

„ჩვენ ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:
რა სამთავ (ხონთქარს, შაჰს, რუსეთის მეფეს - ვ.კ.) ცემა შაექნასთ, ჩვენზე მათ შექნან ონარი,
გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი...“[807].

ამგვარად, წარმოჩენილია ძალთა დაბალანსებისას სიფრთხილის აუცილებლობა, რათა ქვეყანა, მასზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებს შორის ქიშპობის მსხვერპლი არ აღმოჩნდეს.

მრავალმხრივ საინტერესოა „დავითიანში“ აღწერილი შემდეგი შემთხვევა. შაჰმა ვახტანგ VI-ის ორგულობა შეიტყო და ქართლი კახეთის მმართველ კონსტანტინეს, ანუ მამადყული ხანს უბოძა. მაგრამ კონსტანტინეს არ სურდა ვახტანგს ქართლში შესცილებოდა. ამის მიზეზები, მისი შეფასებით, იყო: 1) ვახტანგთან ფიცით ძმობის (ანუ მოკავშირეობის) პირობა ჰქონდა დადებული; 2) „მე ჩემს ძმაზე სამტეროდა არაოდეს ჯავრს არ ვიყრი!“ - ანუ ეთნიკური ერთობა, როგორც პოლიტიკური მოკავშირეობის წინაპირობა. 3) ეს შაჰის ფანდია, იმისათვის, რომ ძმები ერთმანეთს გადაჰკიდოს და კონსტანტინეს მცდელობას ქართლ-კახეთის გაერთიანება არ მოჰყვება - ანუ „გათიშე და იბატონეს“ სტრატეგია:

„ყეენს შიშით თავითგანვე გაუხდივართ ერთი-ორად,
ახლა როდის შეგვაერთებს, საქმე გვიგდო მოსაღორად,
ქართლი მომცა ძმად საჩხუბრად, ამხანაგთა მოსაშორად“[808].

„გარს გვარტყია ვით სარტყელი, სულ სხვადასხვა მტერთა გუნდი.
ჩვენ ერთმანერთს ხმალსა ვსცემდეთ, ეგ რჩევა არს დიაღ ცუდი!“[809]

თუმცა, კახელებში საპირისპირო აზრიც იყო: „რაც ღმერთს შენთვის მოუცია, რაღად ჰკარგავ შენის ნებით?“[810]

ბესიკი

მეომრების ფსიქოლოგიურ განწყობაზე, როგორც ძლიერების კომპონენტზე, სამშობლოს დასაცავად ომზე, როგორც ადამიანის უმაღლეს მისიაზე წერს ბესიკი „რუხის ბრძოლაში“:

[804] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.506, გვ.137.
[805] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.214, გვ.92.
[806] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.214, გვ.92.
[807] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.215, გვ.92.
[808] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.236, გვ.95-96.
[809] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.238, გვ.96.
[810] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.234, გვ.95.

„მისსა მცირესა სიყმესა სხვამცა მეტი რა ექმნა, რომელ მათსა სისხლისა ტბასა მისიცა სისხლი მდინარედ შესდინებოდა, და ვითარ მთით ნადენსა ტკბილსა წყაროსა ომსა შიგან მორბედი ცხენითა თვისსავე სისხლსა შეხვრეტდის მის დღისათვის ღვთისა მადლობელი“[811].

იგი ხაზს უსვამს მეომრების მეფისადმი ერთგულებასა და სიყვარულს, რის გამოც ისინი რიცხობრივად აღმატებული მტრის წინააღმდეგაც მიჰყვებიან მას. აქვე ჩანს, მსოფლიო იმპერიებთან თავის გატოლების ტენდენციაც. ქართველი მეფე კეისარსაა შედარებული.

„აწ ნახეთ ომი მჭვრეტელთ სანდომი
მიდგენ მარცხნითთა მარცხად მცირენი,
კეისართ ტოლი, შავ ჩოხით მძღოლი,
თეთრსა ზედან ზის თავგამწირენი;
გაჰყვა ვინ გულით, მისთანა ბმულით,
ჭირსა ჭირობდენ არცუდმღირენი“[812].

თუმცა, როგორც ვხედავთ, ბესიკს ამ პასაჟში ომი, ასევე, წარმოჩენილი აქვს, როგორც კარგი სანახაობა - „მჭვრეტელთ სანდომი“. ომისადმი ლაღი დამოკიდებულება, ომისადმი ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება, მისი ხალისი, წყურვილი არაერთ ადგილას გვხვდება ბესიკის ნაწარმოებებში. ლექსში „ასპინძისათვის“ ბესიკი წერს: „თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ“[813]; მიმართავს მეომრებს „მწყურვალე ხრმალი დაგეთროთ“-ო[814].

„რუხის ბრძოლაში“ იმერეთის მეფე სოლომონ I-ზე ნათქვამია: „ქუთაისს მორჭმით მჯდომელსა, ომისა მომანდომელსა“. სოლომონმა რომ გაიგო მის წინააღმდეგ მტერი მოდიოდა „გაღიმდა“, მაგრამ მერე

„ვითა ბავლად[815] გამზიდვლისა შავარდნისა შეხვდა შური,
გუგას ცეცხლი მოდებული გამოაჩნდა ვით ალმური“[816].

იგივე სოლომონ მეფე ამბობს: „მისთვის მოველ, ჩემთა სპათ სისხლი ვასვა, ვით სწყურდა“[817]. ხოლო „სამძიმარში“, ლეონ ერეკლე II-ის ძის დაღუპვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო ოდაში, ბესიკი ლეონს მოიხსენიებს, როგორც „ბრძოლადმი განუძღომ“ ლომს[818].

მრავალმხრივ საინტერესოა ბესიკის მიერ იმერეთის სამეფო კარის სახელით რუსეთის მაღალი რანგის სამხედრო პირისათვის, ვინმე ვასილ სტეფანიჩისათვის (რუსეთის იმპერიის ბრიგადირი და კავალერი) მიწერილი წერილები.

1788 წ. 2 ივნისით დათარიღებულ წერილში ბესიკი დახმარებას ითხოვს იმერეთისათვის და დასძენს „თუ თქვენ იმათ საქმეს აწ არ დააგვიანებთ, იმისი სიმაღლე ჩვენი მეფე ღვთის მოიმედე არის, რომ სახელოვანი საქმეები მალე გიჩვენოთ. და თუ კიდევ არ ინებებთ და ამისთანას დროებშიაც უიმედო და უპასუხო გაუშვით, საკეთილო რიგები ბიჯითობას ვეღარ მიიღებს და ამით ქრისტიანული გარჯილობა და ფიქრიც ნაკლებობაში შევა“; „თუ ახლა, ამისთანას დროს ჩვენი მეფე და მისი მხედრობა აქედამ ახლაც უპასუხოდ დარჩნენ, ვიცი, რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმარჯვეს

[811] ბესიკი, რუხის ბრძოლა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.55, გვ.134.
[812] ბესიკი, რუხის ბრძოლა, იქვე, მ.26, გვ.128.
[813] ბესიკი, ასპინძისათვის, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.81.
[814] ბესიკი, ასპინძისათვის, იქვე, გვ.83.
[815] ბავლი - დასაგეში ქორის ან შავარდნის მიერ პირველად დაჭერილი ფრინველი.
[816] ბესიკი, რუხის ბრძოლა, იქვე, მ.10-11, გვ.125.
[817] ბესიკი, რუხის ბრძოლა, იქვე, მ.16, გვ.126.
[818] ბესიკი, სამძიმარი, იქვე, მ.6, გვ.137.

ვეღარ მივიღებთ... თუ აქედამ არაფერი პასუხი მიუვათ...ხონთქრის მამულებს ხმალი რომლის იმედითა და რიგით უჩვენონ“.[819]

როგორც ვხედავთ, წერილში ხაზგასმულია ხალხის ფსიქოლოგიური განწყობის მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფოს ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტისა. იმედიანი ჯარი, ხალხი უკეთესად იბრძვის, ვიდრე უიმედო, დემორალიზებული. ამგვარად, ჯარისათვის გამარჯვების იმედის ჩასახვა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ასევე, სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოკავშირისათვის დროული დახმარების გაწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მტრის წახალისებას იწვევს.

ვასილ სტეფანიჩისადმი 1789 წ. 14 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ბესიკი იმერეთისათვის დახმარებას ითხოვს, იმიტომ, რომ იმერეთის მეფეს „უძღვის კეთილსაქმენა მამულისა თავისისათვის და რუსეთისა მიმართ. ვინაცა ამის მიზეზისათვის ღირს არს იგი, რათა იზრუნოს მისთვის“ რუსეთის იმპერატორმა, „ვინათგანცა სცნა მან მტერნი რუსეთისანი მტრად თვისდა“. ანუ იმერეთის მეფე დახმაერების ღირსი იმიტომაა, რომ მან საქმით დაამტკიცა რუსეთის მოკავშირეობა და საკუთარ სამეფოზე ზრუნვა.

ბესიკი ხაზს უსვამს რუსების „კაცთმოყვარებას“, იმას, რომ საქართველო „რუსეთის საჭურვლითაა გამოხსნილი“.

იგი დავით იმერთა მეფის პოლიტიკას უპირისპირებს „მეზობლის“ (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფის) პოლიტიკას, რომელიც რუსეთის მტრებთანაც შედიოდა კავშირში. დავით იმერთა მეფე ითხოვს, „რათა თავის შეძლებით და თავისის ჯარით...ემსახურა რუსეთისათვის და ამით აღესრულებინა მოვალეობა ქვეყანისა და ქრისტიანეთა შორის შეკრულობისა“[820].

როგორც ვხედავთ, წერილი დიპლომატიური მჭერვმეტყველების ერთ-ერთი ნიმუშიცაა. მასში ხაზგასმულია მოკავშირეობის რელიგიური საფუძველი, ანუ ერთმორწმუნეობა.

გოდერძი ფირალაშვილი (XVIII ს.)

ომის ხალისი და წყურვილი იკვეთება გოდერძი ფირალაშვილთანაც. ლექსში „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა“ ომში მიმავალ ჯარზე პოეტი წერს:

„წინ მივალთ შენნი მეჭვრენი, ვითა მეგონნი ლხინისა,
შევჰსვამთ სისხლსაცა მტერთასა, უტკბესს კახეთის ღვინისა“.[821]

ფირალაშვილის მიხედვით, ქვეყნის პრესტიჟი მის ძლიერებაში, მტერთა ძლევაში გამოიხატება. ლექსში ქართველები მიმართავენ ერეკლე მეფეს:

„არ გნახოს მტერმან ძაბუნად, ვჰსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია“,
„გაშალე დროშა მძლეველი, წვერმახვი, მტერთა ზარია,
მოყმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქდეს მთა და ბარია,
ქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცით მეხის გვარია,

[819] ბესიკი, 02.06.1788 წერილი ვასილ სტეფანიჩისადმი (იმერეთის სამეფო კარის სახელით), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.195.

[820] ბესიკი, 14.10.1789 წერილი ვასილ სტეფანიჩისადმი (იმერეთის სამეფო კარის სახელით), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.196-197.

[821] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.328.

განვჰფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.“[822]

იესე ბარათაშვილი (XVIII ს.)

ომის ხალისი და წყურვილი იკვეთება იესე ბარათაშვილთ. იგი შემდეგნაირად ახასიათებს ჯარს: „დიდად ომის მოსწრაფენი და უცხოდ ხელის გამომღებნი“[823].

§ 4. მასალები: რაციონალიზმი, პრაგმატიზმი

VI საუკუნის ეგრისელი მოაზროვნეები

ეგრისელი მოღვაწეების ჩვენამდე მოღწეული გამონათქვამები ნათელი დადასტურებაა პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებისა, რომ ყოველი სახელმწიფო რაციონალური მოქმედი პირია და პირადი სარგებლიანობის პრინციპიდან, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ეგრისელ მოაზროვნეებს სათანადოდ აქვთ შეფასებული სახელმწიფო პოლიტიკის გამომუშავებაში ანალიზის საჭიროება და სარგებლის ძიება. გუბაზის ელჩები, რომლებიც სპარსელებს დახმარებას სთხოვენ, ეგრისისათვის დახმარებას სპარსეთის ეროვნული ინტერესებით ამართლებენ; კერძოდ იმით, რომ 1) „სპარსელთა ძალას... უძველეს სამეფოს“ შეჰმატებენ და ამის საშუალებით მათი „ჰეგემონიის ღირსებას“ გაზრდიან, ანუ ირანის საერთაშორისო ავტორიტეტი, როგორც დიდი სახელმწიფოსი, გაიზრდება; 2) სპარსეთის ძლიერება, ახალი ქვეყნის მიმხრობით, რეალურადაც უფრო მაღალ საფეხურზე ავა; 3) ეგრისის მიმხრობა განსაკუთრებით სასარგებლოა სპარსეთისათვის მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. გასასვლელი შავ ზღვაზე ირანს ახლო აღმოსავლეთში მისი მთავარი მტრის, ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლას გაუადვილებს, შესაძლებელი გახდება ახალი მოკავშირეების შეძენა ეგრისის მოსაზღვრე იმიერკავკასიელი „ბარბაროსების“ სახით. ბოლოს ელჩები ამბობენ: „სარგებლობა თვალსაჩინოა... ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული.“[824]

გუბაზის ელჩების ანალოგიურ მტკიცებას ვხვდებით მისიმიელთა მიერ სპარსელებისადმი მიწერილ წერილში, სადაც ისინი მათ მოკავშირეობას სთავაზობენ: თქვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეგვიძლია, კარგი მებრძოლები ვართ და კოლხეთთან მიმართებაში ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა გვიკავიაო.[825]

საერთაშორისო ავტორიტეტს, პრესტიჟს, აიეტიც სათანადოდ აფასებს და სახალხო კრებაზე თავისი წინადადების მართებულობას იმითაც ამტკიცებს, რომ ეს დიდ სახელს მოუხვეჭს ეგრისელებს.[826]

რაციონალურობისა და სარგებლიანობის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აიეტის შემდეგი სიტყვებიც: „არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის

---

[822] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.328.

[823] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983, გვ.695.

[824] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.79-81.

[825] პროკოპი კესარიელი, იქვე, გვ.173.

[826] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ. 3, გვ.70.

საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან...ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით ისინი (სპარსელები) მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანასა და მნიშვნელოვან ჯარს...გავაკეთოთ ის, რაც...სარგებლობას მოგვიტანს."[827] აიეტი იმასაც ანიჭებს მნიშვნელობას, რომ მოკავშირეც რაციონალურად უნდა უდგებოდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას და არარაციონალური მოკავშირის ყოლა სასარგებლო არ არის: „არ უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ."[828] აიეტი ეროვნული ინტერესების, საგარეო-პოლიტიკური მიზნების სხვადასხვა საფეხურს გამოყოფს: 1) სხვებზე მბრძანებლობა; 2) თვითგადარჩენა ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა სხვა სახელმწიფოებს არ მიეცემათ საშუალება „ძალიან დაჩაგრონ" მოცემული სახელმწიფო (განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ადრე ამ სახელმწიფოს „ქვეშევრდომნი" იყვნენ).[829]

აიეტის ოპონენტი ფარტაძი, მართალია, სპარსეთის მოკავშირეობის მომხრე არ არის, მაგრამ თავის შეხედულებებს იგიც „მიზანშეწონილობისა" და „სარგებლიანობის" თვალსაზრისით ასაბუთებს. „რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიო იქიდან ის, რაც უმჯობესია," ის, რაც „მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული იქნება"[830] - დასძენს ფარტაძი და აგრძელებს: „თუ ჩვენ შევუდგებით გადადგომას ისეთი იმედებით, რომლებიც ბუნდოვანია და ჰგულისხმობენ საქმის წარმართვისას სასწორის ან აქეთ ან იქით გადახრას, მაშინ ხომ საშინელება იქნებოდა ასეთ გადამწყვეტ წუთებში მხოლოდ ბედზე ვყოფილიყავით დამოკიდებული."[831]

რაციონალური მიდგომიდან გამომდინარე, ფარტაძი არარაციონალურად აცხადებს აიეტის მოთხოვნასა და შეხედულებებს. მისი შეფასებით, აიეტმა თავისი ემოციური გამოსვლით, მჭევრმეტყველებით, კრება შეცდომაში შეიყვანა, მაგრამ ემოციები, სუბიექტური მიდგომა ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, მით უმეტეს კი სახელმწიფო საქმეების მოგვარების დროს, არ არის მართებული. „ჭეშმარიტი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია რეალურად არსებული მდგომარეობის კრიტიკული შეფასების გარეშე, ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მოვლენების შესახებ სუბიექტურ, არაჯანსაღ წარმოდგენებს, ობიექტური მიზეზებით ჩამოყალიბებულ მდგომარეობაზე, არ იქნება სწორი."[832]

ამავე დროს, ნებისმიერ ადამიანს, მით უმეტეს კი პოლიტიკოსს, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებმა სასოწარკვეთილება არ უნდა დააუფლოს და მომავლის იმედი არ უნდა დააკარგვინოს. სახელმწიფოს ბედის გადაწყვეტისას გონიერებაა საჭირო, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ადამიანი ემოციებს არ უნდა აჰყვეს, „უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები."[833]

უმაღლესმა სახელმწიფო მოღვაწემ, მეფემ, გმირულად უნდა აიტანოს ყოველგვარი გასაჭირი, ქვეყნის ინტერესები პირადულზე მაღლა დააყენოს, ქვეშევრდომებს თავი კი არ უნდა შეაბრალოს, არამედ მძიმე მდგომარეობაში მყოფიც კი მათ უზნეო საქციელისაკენ,

---

[827] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.70.
[828] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.68.
[829] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.66.
[830] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.76-77.
[831] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.80.
[832] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ. გვ.31-32.
[833] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.74.

მამაპაპური წესების დარღვევისაკენ, მოკავშირისაგან განდგომისა თუ შურისძიებისაკენ არ უნდა მოუწოდებდეს.[834]

კოლხი ანონიმი იურისტები მათთვის ისეთ მტკივნეულ და ზნეობრივი თვალსაზრისით ყოველმხრივ დასაძრახის საქციელზე, გუბაზის მკვლელობაზე მსჯელობის დროსაც კი არ ივიწყებენ ბიზანტიელებს მიუთითონ, რომ გუბაზის მკვლელობას არ შეეძლო რომისათვის სარგებლობის მოტანა.[835]

იქიდან გამომდინარე, რომ საგარეო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტები, როგრიცაა დიპლომატია, პროპაგანდა, სიტყვასთან, აზრის გამოთქმასთანაა დაკავშირებული, საგულისხმოა ფარტაძის შეხედულება მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებით: „უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია.“[836] „საქმის დაწყების ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოხერხებულად და წარმტაცად წარმოთქმული სიტყვა, აზრი...“[837]. მაგრამ ფარტაძის ეს შეხედულებაც, ისევე, როგორც მისი მთელი მსოფლმხედველობა რაციონალურ და პრაგმატულ პრინციპებს ემყარება, ამიტომ იგი აქაც აღნიშნავს, რომ „ყველა აზრი და სიტყვა შინაარსით, სასარგებლო ზემოქმედებითი ძალით ერთნაირი არ არის, თუნდაც მაღალი ორატორული ოსტატობით იყოს ჩამოყალიბებული. სიტყვა და აზრი მაშინ არის უძლეველი, როდესაც გონივრულია, საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება, სასარგებლო და მიზანშეწონილია.“[838]

ლეონტი მროველი

„ცხოვრება მეფეთაში“ ინტერესს იწვევს გეოგრაფიული პუნქტის სტრატეგიული მნიშვნელობისა და სახელმწიფო მიზნების შეფასება. სპარსთა მეფემ მცხეთა „უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა.“[839]

თხზულება სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს რაციონალიზმს სახელმწიფოს მართვის საქმეში. მაგალითად, ქართლის 28-ე მეფე თრდატმა, თხზულების მიხედვით, „სიბრძნითა თჳსითა დაამშვდნა სპარსნი.“[840]

ქართლის ერისთავები (ასფაგურ მეფის დროს) შემდეგსაც დასძენენ: „არა ვაუფლოთ გულთა ჩვენთა მწუხარება, რათა არა მიგუეღოს გონიერება.“[841]

ჯუანშერი

ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგ გორგასალი გვევლინება, როგორც მოქნილი პოლიტიკოსი, რომელიც თავის ყოველ ნაბიჯს ზომავს და რამდენადაც შექმნილი სიტუაცია შესაძლებლობას იძლევა, თავისი ქვეყნისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობს.

---

[834] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.81.
[835] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.135.
[836] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.72.
[837] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.29.
[838] ვახტანგ აბაშმაძე, იქვე, გვ.29-30.
[839] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, იქვე, ტ.I, გვ.64.
[840] ლეონტი მროველი, იქვე, გვ.62.
[841] ლეონტი მროველი, იქვე, გვ.62.

ამაზე მისი სინდეთში ლაშქრობის საკითხიც მიანიშნებს. იგი თავის სამხედრო ძლიერებას ერთი მიმართულებით წარმართავს, მაშინ, როცა სრულიად სხვა მიმართულებით (როგორც გეოგრაფიულად, ისე შინაარსობრივად) ელის ამ ქმედების შედეგს. იგი ასე მიმართავს სინდთა მეფეს: „არა მიქმნია მოსლვა ამას ქუეყანასა...მსახურებისათჳს სპარსთა მეფისა... რამეთუ ჩემითა აქა მოსლვითა პირველად გამომიჴსნია იერუსალემი...და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიჴსნია მოოჴრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყუენვად ყოვლისა საქრისტიანოსა.“[842]

მსგავს ტაქტიკას მიმართავს იგი მაშინაც, როდესაც გარეგნულად სპარსეთის მოკავშირე მის მტერთან, ბიზანტიის კეისართან[843] სპარსელთა წინააღმდეგ მოლაპარაკებას აბამს. მართალია, მას, კეისრის წინადადებით, მოლაშქრე სპარსთა გაწყვეტა შეუძლია, მაგრამ ამას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს და ბიზანტიის მხარეზე აშკარად გადასასვლელად უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ელის.[844]

რუსთაველი

სიბრძნის, რაციონალიზმის აუცილებლობას სახელმწიფოს მართვისა თუ სხვა საქმეში, რუსთაველთან არაერთხელა აქვს ხაზი გასმული. „ვეფხისტყაოსნისეული“ სულისკვეთებით, გონიერი ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციაშიც არ უნდა აჩქარდეს, არც ემოციებს აჰყვეს, ამაო დარდს მიეცეს, არამედ ყოველთვის გონების კარნახით უნდა მოქმედებდეს:

„გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს“[845];
„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“[846].

§ 5. მასალები: მოკავშირეობის საკითხი

VI ს.-ის ეგრისელი მოაზროვნეები

ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია VI ს.-ის კოლხი მოაზროვნეების შეხედულებანი.

მათი თვალსაზრისით, მოკავშირეობა ორმხრივ სარგებელს გულისხმობს. მეფე გუბაზის ელჩები შაჰის კარზე აღნიშნავენ, რომ უწინ კოლხებმა, როგორც სპარსთა მოკავშირეებმა „ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან.“[847] მოკავშირეთა შორის ურთიერთობაში „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთსულოვნებასა და აზრთა ერთიანობას, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს მათ შორის, როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს.“[848]

---

[842] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.192.
[843] მემატიანე კეისრის სახელს არ მოიხსენიებს.
[844] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.171.
[845] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.534.
[846] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.106.
[847] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.76.
[848] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.44.

აიეტის თქმით, ნამდვილი მოკავშირე „ურყევად უნდა იცავდეს კეთილგანწყობილებას მოკავშირეთა მიმართ“.[849]

კოლხი ანონიმი იურისტები დასძენენ, რომ მოკავშირის მიმართ ლმობიერი, სამართლიანი და ერთგული დამოკიდებულება უნდა არსებობდეს, რაც მოკავშირეებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულებაშიც ვლინდება. სახელმწიფოს ყველა მოკავშირის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, რათა ერთისადმი უსამართლო ქმედებამ სხვათა მხრიდან უნდობლობა არ გამოიწვიოს. თუ მოკავშირეებს შორის ზემოაღნიშნული დამოკიდებულება არ არსებობს, მაშინ მათ მოკავშირეობასაც წყალი აქვს შემდგარი და ასეთი ურთიერთობა შესაძლოა მტრობაშიც გადაიზარდოს. ბიზანტიელების საქციელზე, რომლებმაც მეფე გუბაზი მოკლეს, ისინი ამბობენ: „რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულებათა დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნიან, რომ, თუ თქვენიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ლმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრებელია, რომ ერთგულნი დარჩებით უცხოელთა და გარეშეთა მიმართ, რომლებთანაც მხოლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ ურთიერთობა“[850]; „გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით“[851].

ზემოაღნიშნული ციტატებიდან ისიც ჩანს, რომ კოლხი ანონიმი იურისტები დასაშვებად მიიჩნევენ სამოკავშირეო ურთიერთობა მხოლოდ აუცილებლობით იყოს გამოწვეული, შექმნილი საგარეო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით.[852] იგივე აზრს ვხვდებით მეფე გუბაზის ელჩების სიტყვაშიც: „კოლხები...ძველითგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ...ხოლო შემდგომ ხანებში...მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა.“[853]

ფარტაძი უფრო ღრმად განიხილავს მოკავშირეობის საკითხს. იგი მის ორ სახეს გამოჰყოფს, როგორც იძულებითი და ამდენად დროებითი ხასიათის, ისე ხანგრძლივ და მტკიცე მოკავშირეობას: „ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასოდეს არ არის მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოვება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა: საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან.“[854]

ფარტაძის აზრით, სპარსელები კოლხებისაგან რწმენით, შეხედულებებითა და აზრით განსხვავდებიან. მათთან მოკავშირეობა ამ განსხვავებას ვერ მოსპობს და ამდენად, მათ შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებაც მხოლოდ ფორმალური იქნება.[855] მოკავშირეობა, რომელიც „აზრთა ერთიანობით“ არ არის განმტკიცებული, სინამდვილეში არც არის მოკავშირეობა, რადგან ასეთ პარტნიორებს შორის ფარული მტრობა სუფევს.

---

[849] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.66.
[850] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.136.
[851] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, გვ.139.
[852] აგათია სქოლასტიკოსი, იქვე, ტ.3, გვ.136.
[853] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.76.
[854] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.77.
[855] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.77.

ასე რომ, ფარტაძის აზრით, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მოკავშირეობისათვის ფუნდამენტური ეროვნული ინტერესების თანხვედრაა აუცილებელი, რის შედეგადაც მოკავშირეობის აუცილებელი პირობა - მტკიცე ნდობა აღმოცენდება.

ფუნდამენტური ეროვნული ინტერესების თანხვედრის უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა შორისაა, ფარტაძის აზრით, რწმენა, რელიგია, მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. სპარსელებისადმი მიმხრობასთან დაკავშირებით იგი დასძენს: „თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ...რომ კიდევაც ნება დაგვრთონ და ჩვენ ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია, მაინც არ ექნებათ ჩვენ მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა; მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული.“[856].

აქვე აღსანიშნავია, რომ ფარტაძი დროებითი მოკავშირეობის ერთ-ერთ მიზეზად გაჭირვებასა და მოპირდაპირის მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებსაც ასახელებს: „როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას“[857].

ერთმორწმუნეობის დიდ მნიშვნელობას მოკავშირეობისათვის ანონიმი კოლხი იურისტებიც უსვამენ ხაზს. ზემოთ მოხმობილი ციტატაც ამის დასტურია: „თუ თქვენიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ლმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრებელია, რომ ერთგულნი დარჩეთ უცხოელთა და გარეშეთა მიმართ.“[858]

რელიგიის ერთიანობაზე საგანგებოდ მიანიშნებენ მისიმიელებიც ბიზანტიელებისადმი მიმართვაში, სადაც უკანასკნელთ მორჩილებას ჰპირდებიან.[859]

გარდა ამისა, ეგრისელი მოაზროვნეების აზრით, მოკავშირის შეძენა ნებისმიერი ძალის მქონე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. გუბაზის ელჩები ამიტომაც ამახვილებენ სპარსელთა ყურადღებას იმ სარგებელზე, რაც ირანმა ეგრისის მოკავშირეობით შეიძლება მიიღოს.[860]

ლეონტი მროველი

ლეონტი მროველი კავკასიელებს საერთო წარმომავლობის ხალხად აცხადებს: „სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, /კავკასიანთა/ და მეგრელთა, ამათთჳსთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს.“[861] ამასთანავე, „ცხოვრება მეფეთას“ მიხედვით, „თარგამოსიანნი“ ჯერ კიდევ ქართლში მეფობის დაწესებამდე ერთად იბრძვიან მტრის წინააღმდეგ.[862]

რას ემყარებოდა ლეონტი მროველი თავისი ზემოაღნიშნული ცნობების მოწოდებისას და რამდენად შეესაბამება ისინი ჭეშმარიტებას, სხვა საკითხია. განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია, რომ ფაქტობრივად ლეონტი მროველი კავკასიური ერთიანობის იდეის პირველი

---

[856] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.77.
[857] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.77.
[858] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.136-137.
[859] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.173.
[860] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.79-81. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ გვ. 48.
[861] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.VIII, თბილისი, 1974, გვ.178.
[862] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.11-16.

მქადაგებელია. ეს იდეა პატარა ქვეყნების რეგიონული კოალიციისა და, უფრო მაღალ საფეხურზე, ინტეგრაციის იდეოლოგიურ დასაყრდენს ქმნის.

მოსე ხონელი

„ამირანდარეჯანიანში“ მოკავშირეობის ორი ფორმა გვხვდება. ერთი მათგანი ნათესაობაზეა დაფუძნებული, რაც შუა საუკუნეებში ჩვულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. არაბეთში ორი მეფეა, რომლებიც ერთმანეთს მტრობენ. ერთი თურქთა მეფის მძახალია და თურქეთი მის მოკავშირედ გვევლინება, მეორე კი იამანთა მეფის მძახალია და იამანეთი მისი მოკავშირეა.[863]

მოკავშირეობის მეორე სახე, თურქეთ-არაბეთის კონფლიქტისას წარმოჩნდება, როცა თურქეთის მეფე მოკავშირეობას თავის ნახევრადდამარცხებულ მოწინააღმდეგეს სთავაზობს, რომლის საბოლოო დამარცხებაც უჭირს. ეს კი ე.წ. სუსტის ძლიერების ფენომენის ერთგვარი გათვალისწინება და ფაქტობრივად, გამარჯვებაა, როდესაც ძლიერი სახელმწიფო იძულებულია სუსტსაც გაუწიოს ანგარიში და მის მიმართ დათმობაზე წავიდეს. გარდა ამისა, ასეთი მოკავშირეობა, განსაკუთრებით საშიში მტრის გაჩენის თავიდან აცილების საშუალებაა.[864]

თუმცა, აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ პოლიტიკური მოკავშირეობის განმტკიცებას თურქთა მეფე ამბრი არაბს ნათესაური კავშირითაც სთავაზობს, კერძოდ, მისთვის თავისი რომელიმე დიდებულის ქალიშვილის შერთვით. ასე რომ, ნათესაობაზე დაფუძნებული მოკავშირეობაც სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების სურვილიდან გამომდინარეობს.[865]

რუსთაველი

მოკავშირეობას დიდი ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსანში“. ნესტან-დარეჯანის გათავისუფლება „პოემის ძირითადი სიუჟეტური კვანძის გახსნას“[866] წარმოადგენს. ეს კი სწორედ სამი სახელმწიფოს მოკავშირეობით ხდება შესაძლებელი. შემდგომში იგივე სახელმწიფოების ძლიერება სწორედ მოკავშირეობის შედეგად იზრდება:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყლულდეს,
მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს.“[867]

მოკავშირეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ლიდერთა პირად ურთიერთობებს. „ვეფხისტყაოსანში“ მოკავშირეობა სწორედ ასეთ ურთირეთდამოკიდებულებაზე, მეგობრობაზეა დაფუძნებული ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს შორის. მაგრამ, პოემაში შუა საუკუნეების დროს სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების ტრადიციული ფორმაც, სამეფო დინასტიების წარმომადგენელთა შორის

[863] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.114.
[864] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.140.
[865] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ.140.
[866] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.134.
[867] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1584.

ქორწინებაცაა (ხვარაზმშას შვილისა და ნესტან-დარეჯანის) დახატული, თუმცა იგი არ შედგება.[868]

ვახუშტი ბატონიშვილი

ძლიერი მტრისგან თავდაცვის აუცილებლობის გაცნობიერება შედარებით სუსტ სახელმწიფოებს ერთმანეთთან კონფლიქტის მოგვარებისაკენ უბიძგებს. ვახუშტი აღწერს ლევან კახთა მეფისა და დავით ქართლის მეფის კონფლიქტს. მათ შორის შუამავლობა გურიელმა იკისრა. ზავის საჭიროებას იგი იმით ასაბუთებდა, რომ „არიან მტერნი ძლიერნი გარემოს, ვითარცა ყეენი, რომელი იპყრობს ქუეყანათა“[869].

საინტერესოა ზავის პირობები, რომელიც დავით ქართლის მეფემ და ლევან კახთა მეფემ დადეს: „ჰყვეს ზავი განჩინებითა საზღვრისათა და მტერ-ყოფა მტერთა ზედა, და სიყუარული მტკიცე“. ამრიგად, შეთანხმება შემდეგს ითვალისწინებდა: 1) თავის სამფლობელოებს შორის საზღვრის დადგენას, 2) ურთიერთდახმარებას სამხედრო სფეროში, და 3) მოკავშირეობას ფართო გაგებით. სწორედ ასე გვესმის ავტორის მიერ გამოთქმული „სიყუარული მტკიცე“[870].

მოკავშირეობის კიდევ ერთი საფუძველი, ვახუშტის თხზულების მიხედვით, არის საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება. „მწეობა დიდი იქმნების ალექსანდრე იმერთა მეფისა, ვინაადგან მეგობრობდნენ ესენი *(ერეკლე I კახთა მეფე და ალექსანდრე იმერთა მეფე – ვ.კ.)* გიორგი მეფის *(XI, ქართლის მეფე -- ვ.კ.)* მტერობისათჳს“[871].

მსგავსი მაგალითი გვხვდება XVI ს.-ის 60-იანი წლების დასავლეთ საქართველოდანაც. გურიელი დადიანს მტრობდა. შემდეგ იგი გიორგი იმერთა მეფეს დაუმოყვრდა და ორივე ერთად დაუპირისპირდა დადიანს.[872]

მოკავშირეობის ნიშანდობლივი მაგალითია ბაგრატ იმერთა მეფის მიერ სამცხეში ლაშქრობის მზადება. მან გურიელი სამცხის მიწების ნაწილის მიცემის პირობით მიიმხრო, „ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისათჳს მოერთო“[873].

ავტორის აღწერით, ალექსანდრე იმერთა მეფის კარზე ყოფნისას თეიმურაზი ცდილობდა იმერეთსა და სამეგრელოს შორის ზავის ჩამოგდებას. ამ გზით იგი შესძლებდა საერთო სამხედრო ალიანსი შეეკრა ქართლ-კახეთში ტახტის დასაბრუნებლად: „თეიმურაზ...იწვია ლევან დადიანმან“; „წარსლვისა არა მნებელსა თეიმურაზს განუზრახვიდა მეფე ალექსან\დრე, რათა ჰყოს მათ შორისცა ზავი. ესე განიხილა თეიმურაზ თჳსად უმჯობესად, რამეთუ უკეთუ შეაერთოს იგინი, მოიცეს მათგან ძალი.“[874]

მოკავშირეობის საფუძველი არის ასევე ნათესაობა და რჯულის ერთიანობა. ვახუშტი აღწერს კახეთის მეფე „ავგიორგის“ მიერ ქართლის აოხრებას და დასძენს, რომ „მონათესავეთა და ერთსჯულთა“ შორის მტრობა არ უნდა ყოფილიყო.[875]

---

[868] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.508, 535-539.
[869] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.397.
[870] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.571.
[871] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.465.
[872] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.815-816.
[873] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.712.
[874] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.598.
[875] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.570.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში მმართველი ელიტების დანათესავება ხშირად გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური მოკავშირეობის განმტკიცების ინსტრუმენტი. ასეთი შემთხვევები ვახუშტის თხზულებაშიც არაერთხელ გვხვდება. მაგალითად, როსტომ ქართლის მეფემ ლევან დადიანის და, მარიამი შეირთო ცოლად. „ესე ჰყო როსტომ, რამეთუ ვინაჲთგან ბატონის თეიმურაზის მოყუარე იყო გიორგი მეფე იმერთა, და დადიანი და მეფე იმერთა მტრობდნენ…ამითი მოაკლო თეიმურაზს ძალი დადიანისაგან“[876].

კიდევ ერთი მაგალითია თეიმურაზის მიერ ზურაბ არაგვის ერისთავისათვის ქალიშვილის მითხოვება. ვახუშტის თქმით, ეს თეიმურაზმა იმის იმედით გააკეთა, რომ ზურაბის დახმარებით ქართლის დაპყრობას შესძლებდა: „ამისთჳს სთხოვეს მოურავმან და ზურაბ თეიმურაზს ასული თჳსი დარეჯან ცოლად ზურაბისათჳს. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თჳსი ზურაბს.“[877]

ფეშანგი

მოწინააღმდეგის ძლიერება, როგორც მოკავშირეობის საფუძველი გვევლინება „შაჰნავაზიანში“. როცა ვამეყ დადიანმა გაიგო, შაჰნავაზი იმერეთში აპირებს ლაშქრობასო (როცა იგიც აპირებდა ლაშქრობას და იმერეთის დაკავებას), შეწუხდა, რადგან იცოდა, რომ იგი მასზე ძლიერი იყო: „მათთა შემბმელთა დაჰჴოცენ, მათის აბჯრისა მკრეფეთა“[878]. ამიტომაც გადაწყვეტს დაუთმოს შაჰნავაზს იმერეთი. „სჯობს მივყუეთ მათსა წადილსა, რაც ბძანოს, მისი მქნელია“[879]. დადიანი შაჰნავაზს მოკავშირეობისათვის დამოყვრებასაც შესთავაზებს.

შაჰი ამბობს, რომ შაჰნავაზმა ბევრი ზიანი შეგვამთხვია, ამიტომაც ზავი ვარჩიეთ, ქონება მივეცით და ამით დავიყოლიეთ, მოკავშირედ ვაქციეთო[880].

მოკავშირეობა, ქვეშევრდომობის, პატრონ-ყმობის სახესაც იძენს. აფხაზები მიმართავენ შაჰნავაზს:

„სფაადო, გიაჯით, გუამყოფო თქუენსა სეფესა;
ან მიგუეც ლევანს ვმსახუროთ, ამა სისხლისა მჩქეფესა,
ერთგულთა გუიყოს წყალობა, უქებდეთ სიიეფესა“[881].

შაჰნავაზი ლევან დადიანს ასულს სთხოვს ცოლად, რის საპასუხოდაც დადიანი დასძენს:

„ვიცით დიდნი მეფენია, ჩუენ არ გუინდა სხუისა დარგა,
ჴამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, სად რა ვარგა;
დამიც პირი მოყურობისა, წაიტანე თანა ბალგა“[882].

ამ მონაკვეთში რაციონალიზმის მნიშვნელობაც იკვეთება საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას.

---

[876] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.440-441.
[877] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.591.
[878] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.302, გვ.55.
[879] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.304, გვ.55.
[880] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.588-589, გვ.100-101.
[881] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.486, გვ.83.
[882] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.130, გვ.25.

არჩილი

ერთმორწმუნეობა, როგორც მოკავშირეობა-ქვეშევრდომობის საფუძველი გვევლინება ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. თეიმურაზმა რუსეთთან კონტაქტის დამყარება სცადა და თავისი შვილიშვილი ერეკლე გაგზავნა რუსეთში: „ურჯულოთ წილად მორწმუნეს აწ ამას დავემონებით“[883].

§ 6. მასალები: მშვიდობა

პეტრე იბერიელი

მშვიდობის საკითხზე მსჯელობისას მეტად საყურადღებოა პეტრე იბერიელის შეხედულებები, რომლებიც ნაშრომის „საღმრთოთა სახელთათვის“ თავ ია-შია გადმოცემული.

თუკი პეტრე იბერიელის მოსაზრებებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კუთხით განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ავტორს სხვადასხვა ეთნოსების გაერთიანების, თანხმობის, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ინტეგრაციის საფუძვლად მშვიდობა მიაჩნია და არა, ვთქვათ ძალა, ძალადობა. სწორედ მშვიდობა აცხრობს ხალხებს შორის წინააღმდეგობას, ბრძოლას („ტომითსა მას ბრძოლასა“) და მათი გაერთიანების საფუძველია („თანა-მოკარვეობად შეაერთებს“). ამ გაგებით მშვიდობა არის არა დროებითი დაზავება მოწინააღმდეგე მხარეებს შორის, არამედ მყარი სტაბილურობა და, ამავე დროს, „ერთნებაობა“ და „ერთგანზრახვობა“. მშვიდობა აერთიანებს, ათანაბრებს განსხვავებებს, განსხვავებულ ინტერესებს. მისკენ სწრაფვა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და ავტორის აზრით არის კიდეც - „ყოველთა მისსა მიმართ სურის“. ასეთი გაგებით, მშვიდობა მყარი მოკავშირეობა და გაერთიანებაა, მაგრამ, ამავე დროს, მშვიდობა „ყოველთა ურთიერთას შეზავებულ ჰყოფს შეურევნელითა მით ერთობითა მათითა, რომლითა დაღათუ განუყოფელად და განუწვალებლად შეერთებულ არიან ურთიერთას, არამედ ეგრეთცა ჰგიესვე რომელობაჲ მათი სახესავე და წესსა ზედა თითოეულისა.“[884]

გაერთიანება მშვიდობის საფუძველზე, ჩვენს შემთხვევაში ერებისა, მათ აღრევას, მათი ინდივიდუალური სახის დაკარგვას არ ნიშნავს. პირიქით, ავტორის აზრით, სწორედ ის არის ჭეშმარიტი მშვიდობა, როცა განსხვავებულნი თანაარსებობენ, როცა განსხვავებული მისწრაფებების, ინტერესების შეთანხმება ხდება. მართლაც, სადაც ერთფეროვნებაა, იქ დაპირისპირებაც აღარ არის და, აქედან გამომდინარე, მშვიდობის საჭიროებაც.

ავტორისეული მიდგომით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნამდვილი, მტკიცე მშვიდობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი და მხოლოდ ისაა, როცა საერთაშორისო ურთიერთობების თითოეული სუბიექტის თვითმყოფადობა, სუვერენიტეტი, ხელშეუხებელია.

იმისათვის, რომ მშვიდობა მართლაც მტკიცე იყოს, საერთაშორისო ურთიერთობების თითოეული სუბიექტი საერთაშორისო ცხოვრებაში თავის როლს უნდა ასრულებდეს, როგორც ეს ჩამოყალიბებული და დამტკიცებულია; ჰქონდეს იმის საშუალება იღებდეს და

---

[883] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.1047, გვ.404.

[884] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.

ინარჩუნებდეს იმ ძალებს, რესურსებს, რომელთა მეშვეობითაც არსებობას, თვითმყოფადობა-სუვერენიტეტს ინარჩუნებს.

მშვიდობის დარღვევის საფუძველია „სხუებრიობა“ და „არა ყოველთა მიერ სასურველ-ყოფა მშვიდობისა“[885], ანუ განსხვავება და მშვიდობის სურვილის არ ქონა.

რაც შეეხება განსხვავებას: „არარაჲ არს არსთაგანი ყოვლითურთ განვრდომილი ერთობისაგან“[886] ანუ, ჩვენთვის საინტერესო კუთხით რომ შევხედოთ, საერთაშორისო ურთიერთობების ყოველი სუბიექტი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია საერთაშორისო სისტემასთან, დანარჩენ მსოფლიოსთან, ამიტომ მშვიდობა იმ დადებით კავშირებზე უნდა აიგოს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ სუბიექტს დანარჩენ მსოფლიოსთან აკავშირებს და საერთოდ სუბიექტებს აკავშირებს ერთმანეთთან. „რამეთუ ყოვლად დაუდგრომელ და განუზომელ, დაუმტკიცებელ და შეუსაზღვრელ დაბადებულთაგანი რაჲმე არცა არს არს არსთა შორის“[887] ანუ არ მოიძებნება საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე სუბიექტი, რომელსაც მშვიდობა არ სურდეს და მუდამ ომი, წინააღმდეგობა შეეძლოს, არც იმდენად დიდი სუბიექტებია, რომ ყველა დანარჩენს თავისი ნება იძულებით მოახვიოს თავზე.

რაც შეეხება მათ, ვისაც მშვიდობა არ სურს და მადესტაბილიზირებელ როლს თამაშობენ საერთაშორისო ურთიერთობებში, სინამდვილეში სურთ მშვიდობა, მაგრამ ასეთი გზით წარმოუდგენიათ მისი მიღწევა.

ავტორის აზრით, ასეთ პირობებში მხოლოდ ღმერთს შეუძლია მშვიდობა დაამყაროს, მხოლოდ მისი ძალით შეიძლება ეს მოხდეს, „რომლისა მიერ არღარა ვისწავებთ მერმეცა ბრძოლად.“[888]

თამარის პირველი ისტორიკოსი

თამარის პირველი ისტორიკოსის აზრით, ომი მშვიდობის, ანუ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრესი იარაღია. საქართველოს მდგომარეობის აღწერისას ავტორი არაერთხელ აღნიშნავს, რომ იყო „მშვიდობა და მტერთა მძლეობა“[889]. ასე რომ, ავტორის კონცეფციით, მშვიდობა არა საომარი მოქმედებების არარსებობაა, არამედ ასეთი მოქმედებების არარსებობა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მის გარეშე მტერთაგან დაცვა და მათზე გამარჯვება. ამ გაგებით, „მშვიდობის ყოფა“ მეფის უმნიშვნელოვანეს მოვალეობათაგანია.[890]

ფეშანგი

„შაჰნავაზიანში“ ფეშანგი აღწერს შაჰნავაზის იმერეთში ლაშქრობას, რომელიც ოსმალეთის ვასალი იყო. თავის მხრივ, ირანის შაჰი, თავისი ვასალის, შაჰნავაზის ამ ნაბიჯს თურქების წინაშე იმით ამართლებს, რომ შაჰნავაზმა იმერეთში მშვიდობა და წესრიგი დაამყარა, ხოლო იქ მეფედ დასმული თავისი ვაჟი თურქებს საყმოდ მისცა. ამგვარად,

---

[885] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.
[886] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.
[887] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.
[888] პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ.89.
[889] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.48,54-55.
[890] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.35.

ნაწარმოების მიხედვით, გამართლებულია საერთაშორისო სისტემის ერთი სუბიექტის მიერ მეორეში, ამ უკანასკნელის მიწვევის გარეშე, მშვიდობისა და წესრიგის დამყარება[891].

სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა მეფისათვის აუცილებელ თვისებად მშვიდობის დაცვას ასახელებს. „წიგნში სიბრძნე სიცრუისა“ მოტანილ „მეფეთა წესში“ სამართლიანობა, წესრიგი, თავდაცვისუნარიანობა არაერთხელ ფიგურირებს: „უქრთამო სამართალი“, „სიმართლე უზაკველი“, „ზავთი *(დაშინება – ვ.კ.)* მართებული“, „მეკობრეთაგან მორჩენა“, „ზღუდე ქალაქთა“. „მეფეთა წესის“ საჭიროების დასაბუთებაშიც სტაბილურობასა აქვს ხაზი გასმული: „რომელმან ჰყოს იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“[892] .

ამ მხრივ, სულხან-საბა უფრო შორსაც მიდის. თავის „სწავლან“-ში იგი პირდაპირ მოუწოდებს ძალაუფლების მქონეთ: „ნუ აღიჭურვი ჯაჭვითა, ნუ განეწყობი მჴედრებითა, ნუ აღიღებ მახვილსა“[893], „არა ნეტარ-ჰყოფს ქრისტე მძლავრთა, არცა გმირთა, არცა ქვეყნისა მაოხართა, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით რმვ ფსალმუნსა შინა: „სხვილბარკალი მამაკაცისა არა სთნდეს უფალსა, არამედ სთნდეს მოშიშნი მისნი“ (ფსალმუნი 146, მუხლი 10-11).“[894]

ამგვარად, სულხან-საბა პირდაპირ მოუწოდებს ძალაუფლების მქონეთ აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე, არააუცილებელ ძალადობაზე უარის თქმისაკენ.

§ 7. მასალები: ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოება

VI საუკუნის ეგრისელი მოაზროვნეები

აღსანიშნავია მეფე გუბაზის სიტყვა, რომლითაც მან 550 წ. მდ. ცხენისწყლის ნაპირას, ბრძოლის წინ თავის მეომრებს მიმართა: „საფრთხე არსებობს... სამშობლო ქვეყნისთვის... არავინ არ დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის.“[895] მეფე გუბაზი ხატავს იმ საფრთხეს, რომელიც ეგრისელებს ემუქრებათ: 1) საფრთხე, რომელიც მოსახლეობის სიცოცხლეს ემუქრება; 2) საფრთხე, რომელიც ადამიანის პირად თავისუფლებებსა და უფლებებს, მის ღირსებას ემუქრება; 3) ეკონომიკური საფრთხე - მტერი მატერიალურ ზარალსაც მიაყენებს ხალხს; 4) საფრთხე ქვეყნის მოსახლეობის მორალურ მდგომარეობასაც ემუქრება, რადგან „ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ვეღარ აღორძინდება,“[896] ანუ დამარცხებისა და მტრისადმი დამორჩილების შემთხვევაში, ეგრისის მოსახლეობას დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის, მისთვის ბრძოლის უნარის დაკარგვის საფრთხე

[891] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.591, გვ.101.
[892] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.49.
[893] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა სიმშვიდისათვის, სწავლანი, იქვე, მ.382, გვ.128.
[894] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა სიმშვიდისათვის, სწავლანი, იქვე, მ.382, გვ.128.
[895] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.148-149.
[896] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.148-149.

ემუქრება. და ბოლოს, ეს საფრთხე საყოველთაოა, ეროვნულია, რადგან იგი სახელმწიფოს არა მხოლოდ ერთ ნაწილს, არამედ მთელ „სამშობლო ქვეყანას“ ემუქრება, ამიტომაც მისი თავიდან აცილება ეგრისის ეროვნული ინტერესია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუბაზი ლაპარაკობს როგორც რიგითი მეომარი, რომელმაც სხვებთან ერთად უნდა გაინაწილოს მომავალში ავიცა და კარგიც. იგი არ უსვამს ხაზს სხვებზე თავის აღმატებულებას, არც მისდამი, როგორც მეფისადმი ერთგულების საჭიროებას შეახსენებს მებრძოლებს, რაც მის დიპლომატიურ ალღოზე მიუთითებს, ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაურისათვის აუცილებელ უნარზე ქვეყნის გაჭირვების ჟამს ხალხს უჩვენოს, რომ იგი მათ გვერდით დგას და ამით მოქალაქეთა მორალური დონე ასწიოს, სახელმწიფოს ძალთა კონსოლიდაცია მოახდინოს.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ფარტაძის მოსაზრებანი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიზმის თვალსაზრისითაც. მისი თქმით „უკეთესი გადაწყვეტილება მხოლოდ კრიტიკული სჯა-ბაასის, საყოველთაო განხილვისა და მსჯელობის გზით შეიძლება მივიღოთ, რადგან წარმოუდგენელია, რომ ხალხი ცდებოდეს. ამიტომ კოლხეთის სახელმწიფოში დაარსებულმა სახალხო კრებამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საჯარო განხლივის შედეგად უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად.“[897]

გიორგი მერჩულე

დემოკრატიული მიდგომის განმახორციელებელია გრიგოლ ხანძთელი. იგი ყველას იღებს თავის მონასტერში, წოდების მიუხედავად. სასულიერო ფენაში, რომელიც მრავლად შედგება მამა გრიგოლის მოწაფეთაგან და სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობს, ყველა წოდების წარმომადგენელნი არიან. ხელისუფლებთან ურთიერთობისას გრიგოლ ხანძთელი გლახაკთა მიმართ მოწყალებისა და „ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაზე“ ამახვილებს ყურადღებას[898]. ამგვარად, მისი აზრით, სახელმწიფომ მთელი ერის ინტერესები უნდა უზრუნველყოს და არა მისი ცალკეული ფენისა.

ჯუანშერი

ჯუანშერის თხზულების მიხედვით, ეროვნული ინტერესების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიას. პოლიტიკური წარუმატებლობით შეწუხებული ქართველების სიტყვებში - „ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“[899], ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიზნად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ცხადდება. იგივე ჩანს სპასპეტ ჯუანშერის მიმართვაში ვახტანგ გორგასლისადმი: „შენ მიერ მოველით... წარმატებასა საზღვართა ჩვენთასა ყოვლისა ჟამისასა.“[900]

მეტად საყურადღებოა, რომ ქართლის ეროვნული ინტერესების სფეროში ქრისტიანობის არა მარტო თვით ქართლში დაცვა ექცევა, არამედ მთელ მსოფლიოშიც. სინდთა წინააღმდეგ სპარსეთის ლაშქრობაში მონაწილეობას ვახტანგი სწორედ იმით ამართლებს, რომ

---

[897] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.32.

[898] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

[899] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.146.

[900] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.149.

„ჩემითა აქა მოსვლითა პირველად გამომიხსნია იერუსალიმი...და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყვენვად ყოვლისა საქრისტიანოსა.“[901]

ამგვარად ჯუანშერთან საქართველო - მთელი ქრისტიანული სამყაროს ინტერესების დამცველად გვევლინება და იგი ბიზანტიასთანაა გატოლებული.

სუმბატ დავითის ძე

სუმბატ დავითის ძის თხზულებაში აღწერილია 1028 წ. ბიზანტიელების საქართველოში ლაშქრობა. მომხვდურს მედგარ წინააღმდეგობას უწევს ტბეთის ეპარქიის მოსახლეობა ეპისკოპოს საბას მეთაურობით. ქართველები მათ მიერვე აშენებულ სვეტის ციხეში მაგრდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელებიც მართლმადიდებელნი არიან, სუმბატი ქართველთა საქციელს ქრისტიანულ გმირობად მიიჩნევს და მებრძოლებს სარწმუნოებისათვის წამებულებს ადარებს. იგი წერს: „ღმერთმან განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღდელთმოძღუართათა.“[902] ხოლო ის ხალხი, რომელიც ბიზანტიელების მხარეზე გადავიდა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვა არ მოინდომა, ავტორის აზრით, არიან „უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“.[903]

ეპისკოპოსის, სასულიერო პირის საერო საქმეებში, თანაც ომში ასეთი აქტიური მონაწილეობის დადებითად და მეტიც, გმირობად შეფასება ავტორის მიერ, იმაზე მიუთითებს, რომ სამშობლოს მტერთაგან დაცვა ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანის მოვალეობაა. თუკი ეპისკოპოსი, ბერი სწყდება თავის მოღვაწეობას და ბრძოლას უდგება სათავეში, უფრო მეტი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში საერო პირებს ეკისრებათ. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მტრის რელიგიურ მრწამსს. სამშობლოს დაცვა ნებისმიერი სახის მტრისაგან წმინდა საქმეა.

ამ ნაწყვეტში ეროვნული უსაფრთხოების რელიგიური მდგენელი და სუვერენული თვითშეგნებაც ჩანს, რაც „მსოფლიო ქრისტიანობის დამცველი“ ბიზანტიის წინაშეც კი ქედის მოხრას გამორიცხავს.

გიორგი მცირე

ივ.სურგულაძის თანახმად, „ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელი ქართულ ეკლესიაში დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო“[904], რაც სახელმწიფო საქმეებზეც ვრცელდება და ეროვნული ინტერესების მიმართ მის დამოკიდებულებაზეც მიუთითებს. თავისი საქმიანობით იგი ცდილობს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის უსამართლო უთანასწორობა მოსპოს. ეკლესიაში იგი გაბატონებულ ფეოდალებს უტევს. გიორგი ბაგრატ მეფესაც მოუწოდებს, რათა „არა მისდრეკდეს სასწორსა

[901]ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.192.
[902] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზ., გ.არახამიას გამოკვლევა, გვ.58-59.
[903] სუმბატ დავითის ძე, დასახ. თხზულ., გვ.59.
[904] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.71.

სიმართლისასა დიდისა მიმართ, გინა მცირისა“ და „უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა.“[905]

იოანე შავთელი

მსგავსი ხედვა ჩანს იოანე შავთელთანაც. ქვეყნის ეროვნული ინტერესები უცვლელია საუკუნეთა და ეპოქათა განმავლობაში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დგას სახელმწიფოს სათავეში. თამარ მეფე ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის საქმის გამგრძელებლად გვევლინება.[906]

გარდა ამისა, შავთელის მიხედვით, მეფის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ქვეშევრდომთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნაწარმოების იდეალური მეფენი „ერთა საფარველნი“[907] არიან. ასე რომ, შავთელისთვის მეფე მთელი ერის ინტერესებისათვის უნდა ზრუნავდეს და არა მისი რომელიმე ფენისა თუ კლასისათვის.

ჩახრუხაძე

ჩახრუხაძისთვის ქვეყნის ძირითადი ინტერესები დროში უცვლელია. თამარი ვახტანგ გორგასლის საქმის გამგრძელებლად, მისი მიუღწეველი მიზნის, სპარსთა დამარცხების განმახორციელებლად გვევლინება.

„მიეც ქადილსა, სრულ-ჰყავ წადილსა
ვახტანგს სწორებით შემას-მქენალი“[908];
„ვახტანგის ტომსა, მას ვეფხებრ მხლტომსა,
მზისა გშვენიან განმშვენებანი.“[909]
ლაშა-გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით ავტორი წერს:
„ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომსა,
რომელ ენატრა მისად სწრებულად,
ვითა იწადა, რა დაიბადა
სპარსთა სიმაღლე და-ცა-დებულად?“[910]

რუსთაველი

პატრონ-ყმური ურთიერთობა „ვეფხისტყაოსანში“[911] ქვეყნის შიგნით, თუ მისი საგარეო გავლენის სფეროში, იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია მთელ სახელმწიფოს ისე „უპატრონოს“, როგორც თავის ოჯახს, ანუ დღევანდელი სიტყვით რომ

---

[905] გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, თბილისი, 1967, გვ.162.
[906] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.329. ეს ტენდენცია არაერთ სხვა ქართველ მოაზროვნესთანაც იკვეთება. უფრო დაწვრილებით იხ. გვ.63.
[907] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.605.
[908] ჩახრუხაძე, თამარიანი, იქვე, მ.71, გვ.576.
[909] ჩახრუხაძე, თამარიანი, იქვე, მ.93, გვ.582.
[910] ჩახრუხაძე, თამარიანი, იქვე, მ.9, გვ.559.
[911] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. §5. პატრონ-ყმობა, როგორც საგარეო პოლიტიკური სტრატეგია.

ვთქვათ, არა მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები დაიცვას, არამედ მთელი ქვეყნის ინტერესები და უსაფრთხოებაც. ამ აზრის ნათელ დადასტურებას თუნდაც შემდეგი სიტყვები წარმოადგენს, რომელთაც ინდოეთის მეფე, ფარსადანი თავისი სახელმწიფოს მომავალ მეფეზე, თავის მემკვიდრეზე ბრძანებს:

„სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,

არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“[912].

როგორც მალხაზ მაცაბერიძე წერს, რუსთაველი „ქადაგებს ჰუმანიზმს – მონებისა და ყმებისადმი ადამიანურ დამოკიდებულებას და ქველმოქმედებით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“. რუსთაველს პატრონყმურ ურთიერთობაში შეაქვს „მამა-შვილური“ დამოკიდებულებისა და სიყვარულის ელემენტები: „სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“[913].

ვ.აბაშმაძის აზრითაც, შოთა რუსთაველი საზოგადოებრივი სოლიდარობის, კლასობრივი ზავისა და საყოველთაო მშვიდობის იდეებს ქადაგებს, რაც წარმოადგენს კიდეც „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ თემასა და იდეას.[914] მაგალითისათვის მას „ვეფხისტყაოსნის“ ფინალი მოჰყავს, სადაც პოემის გმირების ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის სახელმწიფოებრივი საქმიანობაა შექებული და შემდეგიცაა ნათქვამი:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,

ობოლ ქვივრნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,

ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,

შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“[915];

აგრეთვე:

„ფილოსოფოსნი შემოკრბეს, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:

პატრონი ყმასა რითა სჯობს და ჭკუას გამოცდილობა.

ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა:

თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.“[916]

რუსთაველის აზრით, ეროვნული ინტერესები სახელმწიფოში ყველაზე მაღლა დგას. სამაგალითოა ინდოეთის ერთ-ერთი ნაწილის გამგებლის, სარიდანის საქციელი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებს და თავის სამფლობელოს მთელი დანარჩენი ინდოეთის მეფეს, ფარსადანს ნებით გადასცემს.[917]

რუსთაველი უფრო შორსაც მიდის და, ფაქტობრივად, ამბობს, რომ ეროვნული ინტერესები მეფეზე მაღლაც დგას. იგი „მართალი სამართლის“ პრინციპით ამართლებს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ჩანაფიქრს მოკლან მეფე ფარსადანის მიერ მისი ერთადერთი ქალიშვილის, ნესტან-დარეჯანის საქმროდ მოწვეული ხვარაზმელი უფლისწული, რადგენ ეს ინდოეთში უცხოელთა გაბატონებას ნიშნავს და, ამდენად, ქვეყნის

---

[912] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.504.

[913] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.27.

[914] პოემის მთავარ თემად და იდეად სხვადასხვა მეცნიერმა თუ პირმა შეიძლება სხვადასხვა რამ აღიქვას და „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების დიდი ღირებულებაც ალბათ სწორედ ამაში ვლინდება.

[915] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1164.

[916] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.138-139.

[917] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.308-314.

ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამასთანავე, როგორც ვ.აბაშმაძე აღნიშნავს, რუსთაველის აზრით, „ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კოლიზიის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ტარიელისა და ნესტანის შეუღლება და მათი სამეფო ტახტზე ერთდროული ასვლაა“[918]. ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის პოზიცია შემდეგ ფრაზებში გამოიხატება:

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“[919];

„სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,

ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,

არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა!“[920].

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“[921].

მაგრამ აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ნესტანისა და ტარიელის გათვლით, მათმა ქმედებამ ქვეყანაში შინაომი არ უნდა გამოიწვიოს. შექმნილი მდგომარეობა (ამირბარ ტარიელის აჯანყება, ხვარაზმის სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის საშიშროება, ანუ ერთდროულად საშინაო და საგარეო საფრთხე) მეფე ფარსადანს აიძულებს ტარიელს მიათხოვოს თავისი ქალიშვილი და, ამდენად, სამართლიანობა აღდგეს ისე, რომ ქვეყნის შიდა სტაბილურობას საფრთხე არ დაემუქროს. ხოლო თუკი ტარიელი თავიდანვე აღუდგებოდა წინ მეფის გადაწყვეტილებას სასიძოს მოყვანის შესახებ, როგორც ნესტანი ბრძანებს:

„ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,

შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!“[922]

როგორც ვხედავთ, ეროვნულ ინტერესებზე აქაცაა ყურადღება გამახვილებული. ამავე დროს, ისიცაა საგულისხმო, რომ რუსთაველს უფრო მნიშვნელოვნად სახელმწიფოს შიდა სიმტკიცე მიაჩნია, ვიდრე საგარეო საფრთხის თავიდან აცილება. როგორც დავინახეთ, როცა ნაწარმოების გმირები, დილემის წინაშე დგანან, შიდა არასტაბილურობას შეეგუონ, თუ გარეშე საფრთხეს, ისინი უკანასკნელს ირჩევენ.

ხვარაზმის უფლისწულის ამბავი იმასაც ნათელჰყოფს, რომ ნესტანი და ტარიელი საჭიროდ თვლიან თავიანთ ქმედებას ლეგიტიმური საფუძველი მოუძებნონ, ასეთად კი „მართალი სამართალი“ და ეროვნული ინტერესები გვევლინება.

სასიძოს შერჩევის ამბავი იმის ერთ-ერთი დადასტურებაცაა, რომ ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვა რუსთაველისათვის წარმოუდგენელია ძალის გარეშე. ამიტომაც ძალის აკუმულირება, თავისთავად, უმთავრეს ეროვნულ ინტერესად იქცევა. იგი განაპირობებს, როგორც მტრულ, აგრესიულ, ისე სამოკავშირეო საგარეო პოლიტიკას. სასიძოს შერჩევა ფარსადანისათვის სწორედ ძლიერი მოკავშირის შეძენას გულისხმობს:

„ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი,

მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“[923].

---

[918] ვახტანგ აბაშმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.152. მონარქისადმი რუსთაველის დამოკიდებულების საკითხზე იხილეთ აგრეთვე გიორგი მჭედლიშვილის „შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი““, თბილისი, 2000, გვ.59-71.

[919] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.535.

[920] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.539.

[921] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.524.

[922] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.534.

[923] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.508.

თამარის პირველი ისტორიკოსი

თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი წერს, რომ გიორგი III-ის გამეფებით ვახტანგ გორგასლის მისწრაფება აღსრულდა - მისი მოდგმიდან გამოვიდა „მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“.[924]

როგორც ვხედავთ, XIII საუკუნეში დაწერილ თხზულებაში საუკუნეების წინადელ ფიგურასთან - ვახტანგ გორგასალთანაა პარალელი გავლებული, და ამგვარად, ქვეყნის ინტერესები, მიზნები, მეტად ხანგრძლივი პერსპერქტივის ჭრილშია დანახული.

მალხაზ მაცაბერიძის აზრით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს სახელმწიფოს წარმატებად ესმის არა მარტო „პატრონის“, არამედ „ყმის“ კეთილდღეობაც, აღტაცებულია, რომ თამარის მეფობაში არა მარტო „აზნაურნი გადიდებულდეს და დიდებულნი გახელმწიფდეს“, არამედ „ქვეყნის მოქმედნიც (გლეხები) გააზნაურდეს“-ო“.[925]

ბასილი ეზოსმოძღვარი

ბასილი ეზოსმოძღვრის აზრით, ნამდვილი მეფე არის მონაცვალე „ღმერთისა სამეფოსა და ერისათვის“.[926] ანუ სახელმწიფოს ინტერესები მთელი ერის ინტერესებთან არის გაიგივებული.

ნიკოლოზ I კათალიკოსი (გულაბერისძე)

ნიკოლოზ I კათალიკოსის თხზულებაში „საკითხავი სუჭტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“, მირიანი მთელი საქართველოს მეფედ გვევლინება. რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდისადმი მიწერილ წერილში იგი თავს შემდეგნაირად წარადგენს: „აღმოსავალისა უკუჭ კერძოჲთაჲთ საქართუჭლოჲსა ყოვლისა მეფე მირიან“[927]. მეცნიერები დიდი ხანია შეთანხმებული არიან იმაზე, რომ მირიანი მხოლოდ ქართლის და არა მთელი საქართველოს მეფე იყო. თუმცა, XIII საუკუნის თხზულებაში ერთიანი საქართველოს უკვე IV საუკუნეში არსებობის გამოცხადება საქართველოს ერთიანობის იდეის უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ინტერესად წარმოდგენისა და მის იდეოლოგიურ საფუძვლად შეგვიძლია გავიხილოთ. ეს ფაქტი ეროვნული ინტერესების ფართო დროითი პერსპექტივით დანახვასაც მოწმობს.

---

[924] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბილისი, 1959, გვ.4.

[925] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.26.; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.34.

[926] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.117.

[927] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჭტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908, გვ.68-69.

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე წარმოგვიდგენს თამარის მეფობის დროს შექმნილ საყოველთაო წესრიგისა და კეთილდღეობის სურათს და დასძენს „აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“[928].

ამგვარად, მისთვის მოსახლეობის კეთილდღეობის ინტერესი ყველა კლასსა და ფენაზე ვრცელდება.

ფეშანგი

ფეშანგის აზრით ქვეყნის შიგნით მშვიდობის დასამკვიდრებლად აუცილებელია სამართლიანი მიდგომა ყველა სოციალური ჯგუფის მიმართ. „შაჰნავაზიანში“ ქართლის მეფე შაჰნავაზის თაობაზე ავტორი წერს: „ვინცა უსამართლო რამ იკადრის, თავითგან განაშორიან. ესრეთ მშუიდობა შექნა, ვითა თხა და მგელი სწორად სძოვდიან“[929].

ფეშანგისათვის საქართველოს ერთიანობის იდეა ცოცხალია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უკვე 2 საუკუნის მანძილზე სამეფო-სამთავროებად არის დაყოფილი. ამავე დროს, ნაწარმოებში „საქართველოს გაერთება“ ძალის მეშვეობით ხდება და ეს ნორმალურ მოვლენად არის მიჩნეული.

მარიამ დედოფალი (შაჰნავაზის მეუღლე მიმართავს შაჰნავაზს):

„საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ, ვითა მთუარე,

ერთგულთ მიეც გახარება, ურჩნი ყუელა გაამწარე“[930].

ავტორი გამოყოფს ქვეყნის სიმდიდრეს, როგორც ეროვნულ ინტერესს. მეფის, პოლიტიკური ლიდერის ერთ-ერთი დანიშნულება, სწორედ ქვეყნის გამდიდრებაა. არჩილზე საუბრისას, რომელიც იმერეთში გასამეფებლად წავიდა, ავტორი წერს:

„შექნას ქუეყანა მდიდარი, მას სხუა რა დაედაროსა“[931].

იოსებ ტფილელი

იოსებ ტფილელი გამოყოფს გარეშე მტერთაგან დაცვას, როგორც მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესს. „დიდმოურავიანის“ მთავარი გმირი, გიორგი სააკაძე აცხადებს: „ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა“[932].

ამავე დროს, ავტორი ხაზს უსვამს რიგითი მოქალაქეების დაცვისა და კეთილდღეობის აუცილებლობას. გასამართლების დროს სააკაძე ამბობს „დაბალს კაცს ბევრი შევმატი, არ უყვი დიაღ მცრობანი“; ჩემს სახლში იყო: „ყმის სამსახური სამართლით, არავის სჭირდა ძალობა“[933].

ნაწარმოებში გამოყოფილია ეროვნული ინტერესები. ბრძოლაში გამარჯვების მერე ქართველები ამბობენ: „რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაკაი ისე ვჰქენით“[934].

---

[928] ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, იქვე, ტ.I, გვ.369.
[929] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ.3.
[930] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.535, გვ.91.
[931] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.539, გვ.92.
[932] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.43.
[933] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.49.
[934] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.

ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა მოქალაქეთა ვალდებულებაა. მეფე ეუბნება მეომრებს: „დღეს, ქართველნო, ვით გმართებდა ჰქენით ბრძოლა, ვფიცავ, რომე ჩემისთანა არვისა ჰყავს ყმისა ყოლა“[935].

ეროვნული ინტერესებისათვის სიცოცხლის გაწირვა გამართლებულია. დიდებულები ლუარსაბ მეფეს ეუბნებიან: „ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი“[936].

გიორგი სააკაძის მზადაა ეროვნული ინტერესებისათვის თავი გასწიროს: „ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული! მათ მოჰფენოდათ კეთილად მზეს ემზო დარი დარული, და მათთან სიკვდილსა ვჯერვიყავ“[937].

არჩილი

არჩილისათვის ცოცხალია ერთიანი საქართველოს იდეა. ლექსში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ერთ კონტექსტშია მოხსენიებული საქართველოს სხვადასხვა კუთხე:

„იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა ანუ საქართლეთ,
ვინ ჩემის ცრუ-დიდებისად აქ რამე იუსამართლეთ,
ტყვე სტყვევნეთ, ზაკვით იფიცეთ და ამხანაგი მოღაფლეთ,
და რამე მიუგოთ უფალსა, ბრძანეთ თუ, რითა განმართლდეთ?!“[938]

ერთიანი საქართველოს იდეა ჩანს შემდეგ ეპიზოდშიც. შაჰ აბასი გიორგი იმერთა მეფეს მასთან შეხიზნული ლუარსაბ ქართლის მეფისა და თეიმურაზის გადაცემას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმერეთში შეჭრით იმუქრება. გიორგი გაკვირვებულია „ამაზედ ელჩი რა მოსასვლელია?“[939], „ჯავრი კაჟს ჰკრევდა, ცეცხლს ჰყრიდა“[940]. მან შაჰის ელჩს მიმართა:

„ვაჟო, რა სთქვი, მეფეს აგრე ვინ მოუხდა?
ნუღარ იტყვი მაგ სიტყვასა, ჯავრით გული შემიწუხდა.
ვით მოჰხდება ეგრე აგრე, ძმა და შვილი ადვილ გავსცე,
ლიხს იქითი საქართველო ავიღო და პირქვე დავსცე?“[941]

ეროვნული ინტერესებისათვის მსხვერპლის გაღება მისაძაბ მაგალითადაა მოყვანილი ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

შაჰ აბასი ლუარსაბ ქართლის მეფეს, რომელიც იმერეთშია შეხიზნული თავისთან იბარებს. სხვა მეფეები ლუარსაბს დარჩენას ურჩევენ, მოგკლავს ან დაგატყვევებსო. ლუარსაბი არ რჩება „ქართლი ყონ ცეცხლ-მოდებული?!“-ო[942].

---

[935] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.
[936] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.19.
[937] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.21.
[938] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.208, გვ.44.
[939] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.481, გვ.280.
[940] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.482, გვ.281.
[941] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, მ.483-484, გვ.281.
[942] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, მ.516, გვ.287.

გიორგი სააკაძე ამბობს: „მე შვილს დავსთმობ ქვეყნისათვის“[943]. ზურაბ ერისთავი კი იძულებულია ცოლის დაკარგვას შეეგუოს, რომელიც შაჰმა მძევლად დაიტოვა „მეც მოვითმენ ქართლისათვინ“-ო, ამბობს იგი[944]. არჩილი ასე აფასებს მათ საქციელს:

„სახელისათვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდათ სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?
აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!“[945]

არჩილისათვის ქვეყნის შიდა სიმტკიცე, ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტია:

„მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს?!
მძლავრისა მტრისაც კიდევე ერთს რასმე გზასა გაიღებს.
თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მიიღებს,
ვინ გარდაჰკიდებს ამათა, ჩემთ სისხლით ხელსა შეიღებს.“[946]

ნაწარმოებში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ „სწავლაში“ მხედართა, ანუ მეომართა მიმართ („სწავლა სოფლისაგან მხედართა“) არჩილი აყალიბებს მეომართა ქცევის, ეთიკის კოდექსს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების არაერთ თეორიულ საკითხს მოიცავს.

„თავადთ, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა,
პირველად სჯული, მეორედ ყველამ ეს დააპირეთა:
თავის პატრონსა დამონდით კარგ-გულად, ნუ ავ-პირეთა,
სჯულის-თავთ, ეფისკოპოსთა თავმდაბლად ემსახურეთა.

მონათა უხამს უფლისა მოწყალეთ, უწყალოთაცა,
სახიერს დამორჩილება, უსახურს უწყალოთ აცა,
ვის რა გაქვსთ ნურავისთვინ გშურსთ მდიდართა, საწყალოთაცა,
და ჰხამს დაჯერება ამისი, ვითარ უწყალოთ ა ცა.

ერთმანერთის სიყვარული, ზომისაებრ ცხენ-აბჯარი,
ნუ ტყვის სყიდვით და პარვითა, ეგ არ არის მოსახმარი,
ისე შოვნით და ბატონის ბოძებითა, ესა კმარი,
და მუდამ უნდა მის ქვეყანას განწყობილი იყოს ჯარი.

ქვეყნის და თქვენის სჯულისა აღგიჩნდესთ მტერი სამეთა,
სიმხნით შეითქვით მათზედან და ყველამ ეს იწამეთა,
მათი შებმა და სიკვდილი ლხინურად გაიამეთა,
და თუ მათგან მოჰკვდეთ, მიიღოთ ნაწილი თქვენ მოწამეთა.

მხედარი უყვარს მომჭირნე უფალსა ერთგულობისა,
ცხენ-გაწყობილი, იარაღ მორთული უკლებლობისა,
მეფეთ ერთგული, ქვეყნისა შემძლე გარ-შემამვლობისა,
და ხელ-გამომავლად მომკრები სიკეთის დარგულობისა.

---

[943] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.594, გვ.304.
[944] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.596, გვ.304.
[945] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.610, გვ.308.
[946] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, იქვე, მ.987, გვ.392.

ვახ, ვახ, რა სანატრელია, მოყმე ასეთი მქცეველი,
სჯულ-მტკიცე სათნოებითა, ქვეყნისა არ მაქცეველი,
ცხენ-აბჯარ დაუკლებელი, მამაცი, არ გამქცეველი,
და მისის სჯულისა მტერისა მებრძოლი, სისხლ-დამქცეველი“[947].

ამგვარად, არჩილი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მებრძოლთა მორალსა და იდეოლოგიურ განწყობას. მეომრები მზად უნდა იყვნენ, რომ საკუთარი ძალა, მხოლოდ ქვეყნის ინტერესების განსახორციელებლად და არა ანგარებით გამოიყენონ. ისინი საკუთარ სულიერ და საერო ლიდერთა მორჩილნი უნდა იყვნენ, ანუ ჯარში დისციპლინა უნდა იყოს; სულიერად მტკიცედ უნდა იდგნენ მტერთან საბრძოლველად და სიკვდილისთვისაც მზად უნდა იყვნენ.

მეომართა კოდექსის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი დასაყრდენია რელიგია. მეომრებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ თავისი საქმიანობით ისინი ღმერთს მსახურებენ, მისთვისვე კვდებიან და ასეთ შემთხვევაში მოწამეებად შეირაცხებიან, რაც ქრისტიანს სამოთხის დამკვიდრებას უქადის. ნიშანდობლივია, რომ ეს კოდექსი თანაბრად ეხება ყველა მეომარს „თავადთ, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა“. იგი ამით თანასწორ მდგომარეობაში აყენებს ყველა მოქალაქეს, წოდების მიუხედავად.

კოდექსიდან ისიც ჩანს, რომ სამხედრო ძალა ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელი ატრიბუტია.

ანალოგიური აზრებია გატარებული პოემის სხვა ნაწილში „სწავლა სათანადო სოფლისაგან ყოველთა კაცთა“:

„შეირტყეთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
თქვენის ქვეყნის სიმაგრის, მეფეთა ერთგულობისა;
ცხენი, აბჯარი გაიწყეთ სალაშქრო, ნადირობისა.
და როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.

სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენთხეოდეს,
ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვინ შეუღონდეს.
ვინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე ცხონდეს,
და რაც გარდარჩეს მეწინავე, მას სახელი დიდი ჰქონდეს.

კარგია და ღვთის წყალობა, თუ ჟამია მშვიდობისა“[948].

ასე რომ, მშვიდობა კარგია, მაგრამ მოქალაქე ომისათვის მუდამ მზად უნდა იყოს. არჩილი დემოკრატიზმის, ადამიანის ღირსების პატივისცემას უსვამს ხაზს. იგი ჭკვიან მონასაც მეფეზე წინ აყენებს: „სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა“[949].

ლექსში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ განსაკუთრებულად უსვამს ხაზს იმას, რომ მთავარი ადამიანში არის არა მისი გარეგნული დიდებულება, წარმომავლობა, არამედ ზნეკეთილობა და გონიერება. ასეთ ადამიანებს მეფენიც მეტ პატივს სცემენ, ვიდრე მაღალი წარმომავლობისა, თუ თანამდებობის, მაგრამ შეუფერებელი ქცევის ადამიანებს.

„ამით სცან, მეფეს თუ ვინმე ესტუმროს კაცი შორითა,

---

[947] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.274-279, გვ.52.

[948] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.286-288, გვ.53-54.

[949] არჩილი, ლექსნი ასნი ორმუხლნი, იქვე, მ.63, გვ.77.

უცნობო მისი სახელით და მერმე გვარის-გვარითა,
ამხანაგი და მის ალაგს მყოფნი პატივის სწორითა,
და ერთი საიად, მეორე მორთული თვალ-გუარითა.

უწინ მას უპყრან პატივი, რომელს ემოსნეს სტავრები.
ტანისამოსის სიკეთით ვნახე თავს გარდმონარები,
დიდებულთანა დამჯდარი, შინაგან ეკალ-ნარები,
და რა გაუსინჯეს ზრდილობა, არ იყო მოსახმარები.

ჰკითხეს და ვერა ეგეთი თქვა რამ, ვით გარეთ ემოსა.
გათითხნა რამე, შეჭამა, აჰყვა სულ პირის გემოსა.
კვლავ დაჰპატიჯეს, ზნეობა, შეხეთ, თუ არ იჩემოსა!
და მაგრამ ზედა-ზედ პატიჯმა, მგონია, გააჩემოსა.

საიად მოსილს უმზერენ საქციელ განკრძალულადა,
მერმეღამ რა თქვა სასიბრძნო, ყური მიუპყრეს სრულადა,
დაჰკრა ზნე-კეთილობასა სანდომად, კარგ-უსულადა,
და მორთული ესრეთ გაზრდილა, ეს ასე ამოსულა, და.“[950]
„მაშინ მეფემან შეხედა, მას დაუტევა ეს ახლო,
დაუწყო იმას ალერსი, ბძანა თუ: „ეს ა საახლო,
ეს ისმენს წადიერად და ძლივ საჭმელს ხელი დაახლო“.
და თქვეს: „მისი თესლიმც გასწყდება, აშენდი ამისო სახლო!

....შემკული გარეთ, შინაგან საუნჯე სხვას აქვს იგა ვით“[951].

ზემოთ მოხმობილ პასაჟში დიპლომატიური ეტიკეტის ელემენტებიც იკითხება. დიპლომატიური მისიით მიმავალ კაცს შესაფერისად რომ დახვდნენ:

1) დიდებულად უნდა ეცვას,

2) სუფრასთან თავშეკავებულად მოიქცეს,

3) ჭკვიანური საუბარი უნდა შეეძლოს.

ნაწარმოებში „ლექსნი ასდაათნი“, „ამ სოფლიო მოწესეთა“ შორის ყველას თავისი როლი და ფუნქცია აქვს სახელმწიფოში, რაც ყველამ ღირსეულად უნდა აღასრულოს, მეფიდან დაწყებული, რიგითი მოქალაქით დამთავრებული. სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის, მეფე ერთ-ერთია და რაიმე უპირატესობით არ უნდა სარგებლობდეს.

„დიდადვე შემირაცხია მხედრობის კარგ გაგებისა,
შიში უფლის(ა), პატრონის ერთგულად განსაგებლისა,
სისხლთა დათხევად მზა-ყოფა, სულ წოლა არ საგებლისა.
და ყოვლთა სწორებით მიგვაჩანს დღე ერთი სიტყვის გებისა.

მხედართა დიდი ღვაწლია სიქველე შემსგავსებულნი,
მეფეთა ქვეყნის შემოვლა და მსჯავრი პირ-განვსებულნი,
უღონოთ მოწყალებანი, აღმართნეს სახლს-დავსებულნი;

---

[950] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.292-295, გვ.54.

[951] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.296-297, გვ.55.

და დრკუთ სწვრთიდეს, მისით ხარობდენ სიმხნესა ზედა გებულნი.

მხედართაგან რა წესია სრულ ჩოგური, ვარადაო?
მთიდამ გბრძვიან, რახელი გაქვს შენ სასმელად ბარადაო?
სარდალი ხარ, არას ნაღლობ, დაგაყენეს მაშ რადაო?
და თუ ჯაბნობდე, ვით გახსენონ მეგობართა კარგადაო?

დიდი ძე საქმე მათ შორის ამ სოფლიოთა მოწესეთ:
მეფეთ, მხედართა, მღდელმთავართ და მონაზონთა მოწესეთ,
ვაჭართ, მუშაკთა, გლახაკთა, - თვით თვისით თქვენ გაიწესეთ.
და ვინ არ იცოდეთ, ამიერ მითქვამს და ეს დაიწესეთ.

რა მეფეთ შესაფერია თვით ხნევდეს და ან ბარევდეს,
საქმეს რასმე აამოსა ხელ ჰყოფდე და გარდარევდეს,
თვისსა ავად განაგებდეს, მძლავრებითა გარდარევდეს?
და მაშინ ყველა მაღლა ხმობდეს, რა დრო აღარ უდარევდეს!“[952]

ვახუშტი ბატონიშვილი

ვახუშტი ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობაზე და მაგალითები მოჰყავს საქართველოს ისტორიიდან. მისი თქმით, ქართლოსის შთამომავლების ჩვეულება იყო „მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა“[953].

ვახუშტის თხზულების მიხედვით, მისი თანამედროვე ქართლის მეფეები თავს „წინავეთავე ჩუეულებითა“ „მეფეთ-მეფეს“ უწოდებდნენ[954]. ამრიგად, ქართლის მეფეები საქართველოს ერთიანობისა და განდიდების ხანის სახელმწიფოს მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს და ცდილობდნენ ერთიანი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა შეენარჩუნებინათ, რომელმაც IX-XI საუკუნეებში მყარად მოიკიდა ფეხი ქართულ აზროვნებაში.

იგი არაერთხელ გამოჰყოფს საქართველოს საერთო ინტერესებს. ამ მხრივ, საგულისხმოა ლუარსაბ II ქართლის მეფის (XVII ს. დასაწ.) შეხედულებების ვახუშტისეული გადმოცემა: „ლუარსაბს ეძჯნებოდა ტყუეობა საქართველოსი *(საქართველო უკვე დიდი ხანია დაშლილია – ვ.კ.),* შემცირება და განხეთქილება თჳსთაგან და მტერთა მიერ, რათა არა იქმნას მაჰმადიანად“[955]. ამრიგად, ლუარსაბი წარმოჩენილია, როგორც მთელი საქართველოს ინტერესებზე მოფიქრალი და არა მხოლოდ თავისი სამფლობელოსი.

ვახუშტი შემდეგნაირადაც ახასიათებს ლუარსაბ მეფეს: „შერაცხილი მოწამეთა თანა, ვითარცა გორგასალ. გარნა ესე მეფე ბრძოდა დღეთა თჳსთა მაჰმადიანთა, რათა არა დაუტეონ ქრისტე ქართველთა და უკეთუმცა მორჩილ მათდა ქმნილ იყო, საეჭუელ იყო, რამეთუ მრავალგზის დიდნი ძლევანი და მაგრებანი შესძინა ქუეყანათა სიმჴნითა თჳსითა“[956].

---

[952] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.61-65, გვ.104.
[953] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბილისი, 1973, გვ.15.
[954] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.37.
[955] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.403.
[956] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.406.

გორგასალთან პარალელის გავლებით ვახუშტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული სახელმწიფოებრიობის უძველეს ტრადიციებს.

ამავე დროს, სამშობლოს დასაცავად ბრძოლა სარწმუნოების დაცვასთანაა გაიგივებული.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ ბრძოლის უკომპრომისობის მიუხედავად, ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული ლუარსაბის მიერ მტრების უზენაესობის აღიარება, მათი მორჩილება, როგორც ტაქტიკური ნაბიჯი.

ვახუშტი გულისტკივილით ახსენებს მკითხველს იმ დროს, როცა „აღიხოცაცა თავისუფლებითი მეფობა ქართლისა, და შევარდა ქუჱშე ჴელთა სპარსთასა, და იგინი მისცემდიან მეფობასა ბაგრატიონთ გუართა“[957].

ამრიგად, ვახუშტი ცდილობს თავის თანამედროვეებში არ განადგურდეს „თავისუფლებითი მეფობის“ – ეროვნული სუვერენიტეტის ხსოვნა, შეგნება და ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა. ვახუშტის გააზრებული აქვს, რომ, ამ თვალსაზრისით, ისტორიოგრაფიას დიდი როლი ეკისრება. მისი თქმით „მატიანე ერთგულ ჰყოფს ქუეყნისად“[958].

ვახუშტი სასტიკად ძრახავს განდგომილ მთავრებს და საქართველოს მმართველებად მხოლოდ ბაგრატიონები წარმოუდგენია. გურიელი, დადიანი და ათაბაგი „არიან მესისხლენი მამა-ძმათა თჳსთა ცუდად და კეთილშემძლებელთა წარჩინებულთა თჳსთა და სხუათა მიყოლითა და მინდობითა საქმეთა თჳსთა განმართვენ და ჰყოფენ, და არა თჳთ თავით თჳსით. რამეთუ არა სადა ცხოვრებასა შინა ვიხილავთ ესრეთთა ბაგრატიონთა ტომსა“[959].

გარდა ამისა, ვახუშტი გულისტკივილით მოგვითხრობს იმ ფაქტების შესახებ, როცა საქართველოს რომელიმე კუთხის წარმომადგენლები, სხვა კუთხეების საზიანოდ საქართველოს მტრებთან ალიანსში შედიან. მაგალითად, ვახუშტი ძრახავს კახთა მეფე ლევანს, რომელმაც „ქუეყანისა თჳსისა უვნებლობისათჳს განუტევა სიყუარული საქართველოსათა“[960] და სპარსეთის შაჰ თამაზს მორჩილება აღუთქვა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა და ამრიგად, გაუადვილა სპარსელებს საქართველოს სხვა მხარეებში ლაშქრობა (XVI ს.).

სხვა ანალოგიური შემთხვევაც არის თხზულებაში მოტანილი. კერძოდ, კახელებმა გადაწყვიტეს, ლეკთა თავდასხმების თავიდან ასაცილებლად, მათთვის სხვა მეზობელი მხარეების, მათ შორის ქართლისკენ მეგზურობა გაეწიათ (XVIII ს. დასაწ).[961]

ერთიანი ქართული თვითშეგნებისა და ამ მხრივ, სხვადასხვა მიდგომების კონფლიქტია წარმოჩენილი შემდეგ ფაქტში, რომელიც ვახუშტისა აქვს აღწერილი. ერთმა შაქელმა მედუქნემ შაქში სავაჭროდ ჩასული ერთი მესხი სცემა (XV ს. ბოლო). მესხმა ამის შესახებ ყვარყვარე ათაბაგს შესჩივლა. ყვარყვარე ლაშქრით გაემართა და ვაჭარი დასაჯა. როცა შიდა ქართლის გზით საათაბაგოში ბრუნდებოდა, ქართლელები დაედევნენ. ათაბაგმა მათ შეუთვალა: ქვეყნისათვის არაფერი მივნია, „არამედ უმეტეს განვადიდე სახელი ქართველთა, ვინაჲთგან უმტერე მტერსა“, ამის გამო თქვენც უნდა გიხაროდეთ, „რამეთუ ვარ მკჳდრი და მონათესავე

[957] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.444.
[958] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.4.
[959] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.566.
[960] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.573.
[961] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.615.

თქუენი“[962]. ამის საპასუხოდ, მროველმა ეპისკოპოსმა შეუთვალა: „მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩუენს, ვინაჲთგან ხარ მკჳდრი“[963].

ეს ფაქტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ათაბაგის საქციელში ძალის დემონსტრაცია და საკუთარი სამთავროს პრესტიჟის დაცვის სურვილი იკვეთება. ცხადია, თავისთავად, რიგითი ვაჭრის დასჯა არ იქნებოდა იმდენად მნიშვნელოვანი საათაბაგოსათვის, რომ ამის გამო შაქში ელაშქრათ.

ეროვნული შეგნების კიდევ ერთი მაჩვენებელია ვახუშტის თხზულებაში აღწერილი შემდეგი ფაქტიც. ლუარსაბ II ქართლის მეფესა და თეიმურაზ კახთა მეფეს შორის ურთიერთობა უკიდურესად იძაბება, ავტორის თქმით „უკეთუ ენებათ მეფეთა ბრძოლა, გარნა არა ინებეს ქართველთა და კახთა“ (XVII ს.).[964]

ეს ფაქტი კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ სამეფო ხელისუფლება ვახუშტისთან იდეალურად სულაც არ არის მიჩნეული და ზემოთ მოხმობილი შემთხვევის მაგალითზე, ძმათამკვლელი ომისაგან საქართველო ხალხის ნებამ იხსნა.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მისი შიდა სიმტკიცის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ, ვახუშტიმ ერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა. ქართლის მეფე კონსტანტინემ (XV-XVI სს.) შემოკრიბა უმაღლესი სასულიერო და საერო პირები და რჩევა ჰკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო, რათა კახეთი, სამცხე და იმერეთი დაებრუნებინა. დიდებულებმა უთხრეს: „ვინაჲთგან მტკიცედ დგანან ერთგულებასა თჳსთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთჳს არა განგიზრახავთ ბრძოლასა; რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი“[965].

ეს ცნობა საგარეო პოლიტიკის მიმართ რაციონალური მიდგომის საილუსტრაციოდაც გამოდგება, გარკვეული საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის მაჩვენებელიცაა.
ვახუშტი საქართველოს დაშლის მიზეზებსაც გამოჰყოფს, რაც, მისი აზრით, მოხდა „შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან“[966]. ანუ, შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენის შედეგად.

იგი შემდეგსაც დასძენს, „არღარა იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნვიდა მეფე სუფევისა და ქუეყანისათჳს, გარნა განცხრომისათჳს…ამისთჳს მიიტაცეს მთავართა თჳს-თჳსნი მჴარენი, ქუეყანა-ციხე-სიმაგრენი სამეფოთანი“[967]. ასე რომ, ვახუშტის აზრით, ეროვნული ინტერესების დაცვა უშუალო კავშირშია მოქალაქეთა, და, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ელიტის სულიერ-ზნეობრივ მდგომარეობასთან.

თეიმურაზ II (XVIII ს.)

კახეთისა და ქართლის მეფე თეიმურაზ II თავის ნაწარმოებში „სარკე თქმულთა“ ხაზს უსვამს ქვეყანაში მიუკერძოებელი სამართლის მნიშვნელობას, რომელიც არ უნდა გადაიხაროს მდიდართა მიმართ და სოციალურად შეჭირვებულთა დაცვა უნდა უზურნველყოს

„თვით ღმერთი სინჯავს მსაჯულის სამართალს სწორეს მას დღესა,
არ უნდა უდგეს მდიდარსა, საქმეს იქმოდეს სწორესა,

[962] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.709.
[963] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.709.
[964] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.587.
[965] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.390.
[966] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.292.
[967] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.443.

ობოლთ-ქვრივთ შემაწუხებელთ სჩაგრავდეს უუმძლავრესა“[968].

დავით გურამიშვილი

„დავითიანის“ მიხედვით, ქვეყნის შიდა სიმტკიცე ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი პირობა და გარანტიაა. ავტორი ქართლსა და კახეთს ერთმანეთში მოჩხუბარ მამლებს ადარებს, რომლებიც ერთმანეთთან ბრძოლით ქანცმილეულნი ძაღლის, ანუ გარეშე მტრის საკბილოდ იქცნენ[969].

ქართველთა უბედურება, სახელმწიფოს დაქცევა იწყება მეფის, ხელისუფლებისადმი ხალხის დაუმორჩილებლობით, შემდეგ კი მტრებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებით[970]. ქვეყნის შიდა სისუსტე გარე აგრესიას ახალისებს. ირანთან დაკავშირებით გურამიშვილი წერს, რომ შაჰ თამაზის უნიათობამ, ქვეყნის პატრონობის უუნარობამ ის გამოიწვია, რომ

„სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღმოსავლეთით ავღანი:
ჩრდილეთის მხარეს რუსეთსა გილანით მისცა დავღანი (გადასახადი - ვ.კ.),
დაღისტნით ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშ-ყავლანი“[971].

მამუკა ბარათაშვილი

მამუკა ბარათაშვილი გამოყოფს ხელისუფლებისადმი მორჩილებას, როგორც სამოქალაქო და ღვთაებრივ მოვალეობას:

„ხელმწიფეთა მორჩილობა მამცნოს სხვამან, დამაბაროს,
ქმნა მაკეთებს, სულთა ნაცვლად ტანჯვად თხემსა დამაბაროს.
ღმერთმან შორ ჰყოს ჩემგან მისის ბრძანებისა არკინება,
მონა, მიწა, ფერხთა მტვერი დამირთვია არ კი ნება“[972].

§ 8. მასალები: იდეალური ლიდერი

გიორგი მერჩულე

გიორგი მერჩულის თხზულების თანახმად, გრიგოლ ხანძთელი აქებს ლიდერებს - მეფეებს, რომლებიც ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვასა და განმტკიცებას ცდილობენ, სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან, სამართლიანობას იცავენ და თავად არიან ზნეობის მაგალითი: „ღვთისმსახურნო მეფენო, ჭეშმარიტად გულნი თქვენნი ხელთა შინა ღმრთისათა არიან, რომელმანცა ჩვენ, გლახაკთა, გულსა ნუგეშინის სცა პირითა თქვენითა და კეთილითა თქვენითა უხვად მონიჭებითა.“[973] გრიგოლის სიტყვით, ბერები მათთვის ლოცულობენ „უმეტესად ამისთვის, რამეთუ მეფობისა სიმაღლესა თანა გაქვს თქვენ ქრისტეს

[968] თეიმურაზ მეორე, სარკე თქმულთა, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939, გვ.54.
[969] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ.85.
[970] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ.83-84.
[971] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.187, გვ.89.
[972] მამუკა ბარათაშვილი, შაირის ლექსი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.13.
[973] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

მიმსგავსებული სიმდაბლე და მოღვაწებაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაჲ."[974]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დავითის ისტორიკოსის შეხედულებით, მეფე საგარეო ურთიერთობების მთავარი მარეგულირებელია. ის იღებს უცხო სახელმწიფოთა ელჩებს და, თავის მხრივ, საკუთარ მოციქულებს, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა ქვეყნებში გზავნის.[975]

მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა სამეფოს, მისი საზღვრების გარეშე მტრებისაგან დაცვა, ანუ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამისათვის კი სამხედრო ძლიერებაა საჭირო, ანუ სათანადოდ მომზადებული ლაშქარი. ამასთანავე, თვით მეფემაც კარგად უნდა იცოდეს სამხედრო საქმე: „კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი...ლაშქრობათა მეცადინობანი...მჴედართა განწესებანი... სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი...რამეთუ სულტანი დასუა მოხარკედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი".[976]

იოანე შავთელი

„აბდულმესიანი" იგივე „თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა", ანუ ქებაა. ეს მეფეები გაიდეალებულები არიან ამ ნაწარმოებში, როგორც იდეალური ლიდერები. თამარზე ნათქვამია:

„ძე ადამისი, მსგავსად ამისი,
ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი?"[977]

ავტორის წრმოდგენით, იდეალური ლიდერი არის სათნო, ლმობიერი, ბრძენი, რიტორი, მამაცი და ძლიერი პიროვნება, ძლიერი სახელმწიფოს მფლობელი. თამარ მეფე მოხსენიებულია, როგორც „სიბრძნის ზღვა"[978], „ერთა შემცველი, მტერთა შემწველი"[979].

დავით სოსლანზე ავტორი წერს:

„მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,
შრავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი,

---

[974] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.276.

[975] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.351,355-356.

[976] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.351.

[977] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1978, მ.3, გვ.587.

[978] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, მ.53, გვ.601.

[979] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, მ.47, გვ.599.

ასპარეზთა ზედა მსპარაზნობელი.“[980];

„მხედრობს ჰუნესა, გულად უნესა,
სათნოებისა ჭური რჩეული.
ე საც ერია, მეხებრ ერია,
რაზმნი შეიქმნეს სულ-დალეულნი.

ქმნის რა ნავარდი, მყის განავარდი,
ფერობს ვით ვარდი თვით დაცვარული.
იხმარნის მკლავნი, ხაფად მომკლავნი,
აღმტაცებელნი, გრიგალ-ქარული.“[981]

ამასთანავე, ნამდვილი სახელმწიფოს მეთაური მშობელივით ზრუნავს ქვეყნის მოქალაქეებზე, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ და დაბალ ფენებზე. ავტორი წერს თამარზე:

„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი!“[982]

თამარის პირველი ისტორიკოსი

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, თამარი, რომელიც თხზულებაში იდეალური მეფის სახეს წარმოადგენს, დახასიათებულია „გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერითა, ცნობიერითა, გონიერითა და შვენიერითა“[983]. ანუ რაციონალიზმი ლიდერის აუცილებელი თვისებაა.

ბასილი ეზოსმოძღვარი

ბასილი ეზოსმოძღვარი არაერთხელ უსვამს ხაზს თამარის „დიდ გონებას“[984].

ავტორის მიხედვით, თამარი ხალხთანაც, თავისი სახელმწიფოს მოქალაქეებთანაც ახლოს დგას. საბრძოლველად მიმავალ მეომრებს იგი „ძმებს“ უწოდებს.[985]

---

[980] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, მ.4, გვ.588.
[981] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მ.29, გვ.594.
[982] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, იქვე, მ.63, გვ.603.
[983] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.26.
[984] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.116,117.
[985] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, ტ.II, გვ.126.

რუსთაველი

იდეალური მეფე „ვეფხისტყაოსანში“ თავმდაბალია, უხვი, სამართლიანი, მოწყალე, მჭევრმეტყველი[986].

ქართული სამართლის ძეგლები

მე-13 საუკუნის დოკუმენტებში საქართველოს მეფეები „ღვთის სწორად“ იწოდებიან. მაგალითად,

- წყლობის დაწერილი ნკოლოზ კათალიკოზისა არვანბეგ საბაისძისადმი (1281-1282 წწ.): „ღმრთისა სწორი დავით მეფე“[987]. როგორც ჩანს დავით აღმაშენებელი იგულისხმება.
- შეწირულების დაწერილი გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი (1259-1293 წწ.): „ღმრთისა სწორთა პატრონთა რუსუდანის ძისა დავით მეფეთ-მეფისა წყალობითა“[988].
- წყალობის დაწერილი მიქელ კათალიკოზისა მსახურთუხუცესის ვაჩე გურამაისძისადმი (1241 წ.). ხელრთვა: ჯერ ამტკიცებს დავით მეფე, მერე კათალიკოსი, მერე წერია „ამის ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი ავაგ ათაბაგი...ამა ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა სიგელისა მე შაჰანშა მანდატურთუხუცესიცა დამამტკიცებელ ვარ...ამას ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ...იოანე მაწყუერელი...ესე ვითა ქართლისა კათალიკოზთა დაუწერია ვაჩე გუარამასძისადა და ღმრთისა სწორთა მათითა ჴელითა დაუმტკიცებია, მე გამრეკელი მეჭურჭლეთ-უხუცესიცა მოწამე ვარ“[989].

თუმცა, ერთი დოკუმენტის ხელრთვაში ეპისკოპოსიც კი ქრისტეს სწორად იწოდება: წყალობის დაწერილი არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა მგელა აბულახტარისძისადმი (1241-1242 წწ.): „ესე ვითა ქრისტეს სწორსა არსენი ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა და მწიგნობართუხუცესსა შეუწყალებია...დამამტკიცებელ ვარ მეცა...ქართლისა კათალიკოზი არსენი“[990].

ფეშანგი

„შაჰნავაზიანი“ ვახტანგ V-ის სახით ხატავს იდეალური მეფის, ლიდერის სახეს და მას ასე ახასიათებს: „ბურთობა, ნადირობა, ლხინი, სოიბათი (საუბარი - ვ.კ.), სიუხუე, სიჩაუქე, ასპარეზობა, სიმჴნე, კისკასად ქცევა ლომისა მსგავსად, ნაკუთიანობა, გონებისა სიმდაბლე, სიტყუით, სიტკბოებით სრულქმნილი, გლახაკთა მწყალე, დავდრომილთა ხელის

---

[986] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.32.
[987] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.170.
[988] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.173.
[989] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, გვ.157.
[990] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3,159.

ამპყრობელი“[991]. როგორც ვხედავთ, ამ დახასიათებაში პიროვნული, ფიზიკური ძლიერება, შერწყმულია სათნოებასა და დაბალი სოციალური ფენების ქომაგობასთან.

ფეშანგი ასევე ჩამოთვლის ქართველთა დიდებულ მეფეებს. ისინი ძლიერებით, მტერთა ძლევით, ურიცხვი ლაშქრით, სარწმუნოებითა და სარწმუნოების საქმეებით გამოირჩევიან[992].

სამხედრო ძლიერებაა ხაზგასმული და იმპერიალისტური მისწრაფებანი ვლინდება ბაგრატ იმერთა მეფისაგან შაჰნავაზის განდიდებაში:

„უზედესი ხარ ყუელასა, ვინც იყო ტახტოსანია“[993];

„გადიდებს ყოვლის სულდგმული, ვინც არის ყმა და ბერია;

დაიპყარ ყოვლი ქუეყანა, შეგექმნეს ფეჯთა მტუერია“.[994]

ასევე ძლიერება გამოარჩევს ირანის მეფეს და გაიდეალებულია მისი და შაჰნავაზის მოკავშირულ-პატრონ-ყმური ურთოერთობები:

„ერან თურანის ჯელმწიფე სიმაღლით ცისა სწორია;

უძრწის და მონებს ყოველი, ახლოს ვინ, ანუ შორია;

მისის შიშითა მდაბლობენ, მთა ვაკედ გასასწორია;

მეუნებლეთა დაამჯხობს, ექნების დასამორია.

მას უჭირავს ჩინ მაჩინი, აგრევ სრულად ინდოველი;

არაბნი და ქურთისტანი, მსახურებენ მათი ელი;

დაამდიდრა მისნი ყმანი, ვის უჭირავს გაშლით ჯელი;

შემცოდესა არ გაიცდის, იგ უწყალოდ არის მკულელი.

მეფე შაჰნავაზ ყაენსა მიაჩანს ძმად და ძმობილად;

ფიცი სწამს, ამად იმოყუსებს, მუსაფი არ დაგმობილად;

ერთობა უძეს, მიაჩანს სიტყუა შეჰკადრა ლმობილად; სხუა პატრონ ყმანიც ყოფილან ამათებრ არა შობილად“[995].

ძალა, ძლიერება, სხვა ქვეყნების დამცრობა, ავტორიტეტი და სამართლიანობაა ხაზგასმული შაჰნავაზის მიერ ლევან დადიანის დახასიათებაში:

„თქუენც გასმია ლევანისა ჯემწიფობა;

მას მონებდენ ოდიშარნი, მებრძოლზედა ჰქონდა ფლობა,

მორჭმული და მოვლენილი, ვის ძალედვა იმოდნობა,

მისმა ჯმალმა შეაშინა, მტერთა მისცა დია დნობა“[996].

„სხუა ჯემწიფე ლევანისებრ არა თქმულა,

მამაცი და გულოვანი, თუალადცა ჯავარ სრულა.

მტერი ჯლმითა დაუფანტავს, სამუქაროდ სად წასულა.

ურჩნი ადუილ შეუყრია, გაუკიცხავს, გაბასრულა.

აფხაზეთი დაუჭირავს ხარაჯისა მოსართმელად;

ზაფხულ სუფუს მივიდოდის, იგი იყუის ხანდაზმულად;

ჯიქისა და ალანისა დაუდგომლად სისხლთა მღურელად,

---

[991] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ.3.

[992] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.23-35, გვ.8-9.

[993] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.927, გვ.154.

[994] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.928, გვ.154.

[995] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.215-2017, გვ.39-40.

[996] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.471, გვ.80.

ორგულისა მავნებელი, ერთგულთათუის კარგის მქნელად.

მთას გავიდის ეილაღად, მას საპატრონო ებარა;
ფასლი მოვიდის აყრისა, სადაც მართებდა, ებარა;
მას უმგზავსოსა წალკოტსა ნაყოფი მცირე ებარა;
აწ მისად ნაცულად მიმართა შავთა მიწათა ებარა“[997].

მშვიდობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, როგორც მმართველის მოვალეობაა ხაზგასმული შაჰნავაზის მიერ დადიანად შამადავლეს დასმასთან დაკავშირებით თქმულ სიტყვაში:

„მეფემ ბრძანა: „საპატრონოდ მიუთუალო ამა ყმასა;
გაამაგროს მთა და ბარი, მოსვენებით იჯდეს სრასა;
ბურთობდეს და ნადირობდეს, დაისწავლოს ამა თქმასა;
ჩუენ მიგუაჩნდეს შუილის ოდნად, ვინდომებდეთ არა სხუასა“[998].

მსგავსი აზრი იკვეთება ბაგრატ იმერთა მეფის მმართველობის დახასიათებისასაც: „გამართა თემი, ქუეყანა, დაშუენდა ტყე და ველანი“[999].

ნამდვილი ლიდერი არის ხალხის პატრონი. იმერეთში შაჰნავაზის მიერ გამეფებულ არჩილზე (შაჰნავაზის ძეზე) იმერლები ამბობენ: „ამისებრსა პატრონზე ყმა ვით არ გარდეგებოდა“[1000].

მსგავს გამონათქვამს ვხვდებით სხვა ადგილასაც: „ყმა პატრონითა იხარებს, თუცაღა არის ჴლმიანი“[1001].

ანალოგიური დამოკიდებულება იკვეთება ნაწარმოების შემდეგ ეპიზოდშიც: შაჰნავაზი, თავის ვაჟს, იმერეთში გამეფებულ არჩილს, იმერეთის დატოვებას სთხოვს, ვინაიდან თურქები წინააღმდეგი არიან იქ მისი მეფობისა. ამას რომ იმერლები იგებენ:

„იმერელთ შექნეს უზომოდ მეფის გაყრითა წყენანი,
თქუეს: „გავჴდით მგელთა საჭმელად, ასრე საწყალად ვზენანი;
ცოდვა გუეკითხა ყუელასა, მით გავიწყრომეთ ზენანი;
მზე მოგუშორდების სამუდმოდ, არ მოგხუდეს შუქთა ფენანი“[1002].

ამავე დროს, ხალხისათვის აუცილებელია ლიდერის-მმართველის ყოლა. როცა რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილი ჩამოვიდა თუშეთში, თუშებმა თქვეს:

„უპატრონოდ ვით ვიყოთ? გუმართებს ამისი მბობანი;
მკუიდრი მოგუსულია პატრონი, ნუ გინდა სხუისი ყმობანი“[1003].

ლიდერი, ამ შემთხვევაში მეფე, იმდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რომ მისთვის, სიცოცხლის დათმობაც ღირს. შაჰნავაზს თავისი თავადები ეუბნებიან:

„„არ დავრიდოთ სასიკუდილოდ თავი ჩუენი“ აგრე თქუესა;
„თუ ჴემწიფე კარგად არის, რაღას ვპოვებთ უკეთესსა?
თავი დაგუიც საახლებლად, ვმორჩილებდეთ უზედესსა“[1004].

---

[997] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.493-494, გვ.84.
[998] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.483, გვ.82-83.
[999] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1047, გვ.172.
[1000] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.540, გვ.92.
[1001] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.549, გვ.94.
[1002] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.621, გვ.107.
[1003] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.813, გვ.137.
[1004] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.856, გვ.144.

ბარათაშვილების ლაშქრის სარდალი ამბობს: „პატრონს წინ მოვკუდეთ ყუელანი, ვიბძოლოთ ღამე, დღისია!“[1005]

მეფე - სახელმწიფოს მეთაური განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს ფეშანგის მიხედვით. „მეფეთ სისხლი ვინ შეიდვა, მას სარჯელი არ დავრიდი“[1006] - ამბობს შაჰნავაზი იმერეთის მეფის წინააღმდეგ აჯანყებულებზე.

ვამეყ დადიანი ერიდება შაჰნავაზთან ბრძოლას და დასძენს „სისხლი მეფეთა ძნელია“[1007].

იოსებ ტფილელი

„დიდმოურავიანის“ მიხედვით, ლიდერისათვის - მეფისათვის უანგარო სამსახური და თავის გაწირვა ყველა მოქალაქის ვალია: „მეფისათვის თავს ვინ დაზოგავს“[1008].

სააკაძე ამბობს:

„მეფის, ქვეყნის უნებელნი ავხსნი, ზოგი მაშინ ება“[1009].

„არა მშურდა სასიკვდილოდ მე გარდმედვა თქვენთვის თავი
აწ რად იქმენ ხელმწიფეო, დღეთა ჩემთა გასათავი...
გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვჰქნათ კვერთხის რგვანი,
სად გვიბრძანოს, მივესივნეთ, სიგრძის გზა ვვლოთ, ანუ განი...
ხელმწიფეო შენთვის დღენი გავიწამე,
და რაც მიბძანო სამსახური, წავაკვდე და წავე წამე!“[1010].

არჩილი

არჩილი თავის შემოქმედებაში საკმაოდ ფართოდ შლის მეფის-ლიდერისათვის საჭირო თვისებებს. ლიდერი უნდა იყოს: მორწმუნე, სამართლიანი, ამავე დროს ზომიერად მკაცრი და მწყალობელი, ბრძენი, მომავლის პროგნოზირების უნარის მქონე („ჭკვით ცოდნა საქმისა მომავალისა“), სოციალურად მოწყვლადი ფენების (ქვრივი, ობოლი, გლეხი) დამცველი, საჩივრისადმი ყურადღებიანი და იმის მომსმენიც, ვისაც უჩივიან („მომცდელი მის მეორეთა“); არ უნდა ძალადობდეს და არავის მისცეს ძალადობის უფლება; ქვეყნის უსაფრთხოება დაიცვას; ინდივიდუალური მიდგომა უნდა ჰქონდეს ქვეშევრდომების მიმართ, მათი საჭიროებებისა და ზნის შესაბამისად, როგორც ბრძენ მკურნალს; ყოველი საქმის დრო-ჟამი უნდა იცოდეს, საქმის კეთებისაც და განცხრომისაც; სულისა და ხორცის მკურნალობის უნარი უნდა ჰქონდეს, როგორც ექიმსაც და როგორც სულიერ მოძღვარსაც -- მატერიალური საჭიროებებიც უნდა დაუკმაყოფილოს ქვეყნის მოქალაქეებს და უზნეობასაც უნდა დაუპირისპირდეს, რაც ქვეყანაში შფოთის შემომტანია.

„მეფეთ უხმს შიში ყოვლს კაცთა, უფროსი ღვთისა ცხოვლისა,
მით რომ ის არის მეუფე მაღალ-მდაბლისა ყოვლისა,
იგია ყველგან მხედველი დასავალ-აღმოსავლისა,

[1005] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.1103, გვ.182.
[1006] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.299, გვ.54.
[1007] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.386, გვ.67.
[1008] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.14.
[1009] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.55.
[1010] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.54.

და თუ მე არ მიჯერ, ისმინე სიტყვა მის პავლე-სავლისა.

ამასთან რჯულის სიმტკიცე, სიფრთხილე სამართალისა,
მცოდველთა ზომით შერისხვა, ჩვენება მრუდად თვალისა,
ერთგულთ წყალობა, პატივი ბევრგვარად დანათვალისა.
და სიბრძნე, გონება, ჭკვით ცოდნა საქმისა მომავალისა.

ქვრივთა, ობოლთა მოწყალე, თვალის მომვლები შორეთა,
ყოვლს მძლავრს შიშს უნდა დასდებდეს, გლეხს ძალი მოაშორეთა,
მართლის ყურისა მიმგდები, მოძულე ცრუ მეჭორეთა,
და საჩივრის გამგონებელი, მომცდელი მის მეორეთა.

ოდეს ნახოს მიმძლავრებით ქვრივი ძალს ქვეშ ნარებია,
ასე უნდა იტკივნებდეს, ვით დედა შესწუხებია;
კვლავ ობოლი - ვითამც შვილი თვისი წინ ასტირებია,
და დაადუმოს სამართლითა და სიტკბოთ ნამტირებია.

არცავის თვითან მძლავრობდეს, არცავის სხვას ამძლავრებდეს,
ლაშქრის გაწყობა-ზავთითა ქვეყანას გარე მორებდეს;
წარმოიტყოდეს ბრძნად სიტყვას, ავს პასუხს არ აშურებდეს,
და ვინ ღმერთი იცის, ესეც სჭირს, მას მტერი რითღა მორევდეს?

მეფე ჰხამს მგზავსი მკურნალის ბრძნისა მის ხელოვანისა,
ვით მან სნეულს და მრთელზედა არ მაჯა ერთი ჰპოვნისა,
ყოველს სნეულსა სხვადასხვა წამალი მოუშოვნისა,
და ზოგს კიდევ წყლული გაუჭრა, იმ სხვას კი მოუწოვნისა.

ვითა ვთქვი საქმე მკურნალთა, მეფეთზეც აგრევ მეთქმისა,
ჟამი პატივის სიტკბოთა, ჟამი შერისხვა-წყრომისა,
ჟამი დუმილი საქმისა და ჟამი კვლავ განცხრომისა,
და ვით იტყვის ბრძენი სოლომონ, ჟამია ყოვლი საქმისა.

არც ყოვლთა სწორი პატივი, არს სწორი რისხვა ზოგადო,
პატივის შემწყნარებელთა მის-მის დროს მისა მგზავსადო;
მას რისხვა, ამას საწვრთნელი; ვინ შფოთობს, არის ბორგადო,
და ზოგს შეუნდობდეს და ზოგი არ უნდეს დასაზოგადო.

მოძღვარი ცოდვის მკურნალ არს, აქიმი ხორცთა სენისა,
თუ ერთმან ხორცს არ დააკლოს, სულს ვერათ განუსვენისა;
მეორემ ხორცი განჰკურნა, რომლითა სულსა კბენისა.
და ბრძენს მეფეს ორთავ წამლობა ძალუც და კარგაც შვენისა.“[1011]

[1011] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.258-266, გვ.50-51.

„დიდი მეფე, ბრძენი სრული, მოწყალე და სულ-გვიანი“[1012].

„სიმართლისა, ქმნა სამართლისა,
მოწყალების და სიმდაბლებისა,
კვლა სიუხვისა მის ურიცხვისა“[1013].

მეფე მუდამ მტერთან ბრძოლაში უნდა იყოს, მისი ხმალი მუდამ „მტრის სისხლით“ არის „სველადა“[1014].

არჩილი სიტყვის, საიდუმლოს შენახვასაც გამოყოფს, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი მოხელისათვის აუციებელ თვისებას: „ვაზირობაში თავს ჯდები, სიტყვას არ შეინახავა“[1015].

ნაწარმოებში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ არჩილი, თითქოს, ერთი შეხედვით, მეფეებისადმი ყურმოჭრილ მორჩილებას ქადაგებს. სოფელი კაცს ასე მიმართავს:

„არა ჯერა არს წადილი მეფობის ურჩის უღლითა“[1016].

„მონისაგან ვით ეგების მეფობისა ნდომა ყოლად?
როს გონებამ ეგ გიზრახოს, სცან, ეშმაკის ხარ ამყოლად,
ეგ არ არის მოსაგონად, თუმც ძლივ ღირსხარ ყმურად ყოლად,
და ეგებ ეს კი მოინდომო, გვერდს იახლო კაამყოლად.

ადვილი ტვირთი გგონია მეფობის უღლის დადება,
ვერ ხედავ რაზმთა სიმრავლეს საშიშრად დაექადება,
მერმე წყალობით მიხედავს, მისცემს და არ იქადება,
და მეფე სიმართლის მსაჯული ღვთისაგან დაიბადება.

რაჟამს ნახო მეფე სვითა, ერი მის გარ მდგომარენი,
განკრთი ღვთისა ძლიერებას, ვით ამონა ერთს ამდენი;
ვისცა სწყალობს, იხარებენ, შიშით ძრწიან დამქადენი,
და ვინცა იცის, კარგი არის უფრო ტკბილი, ხარ მწარენი.

ოდეს სჭვრეტდე ქვეყანას და ერს სიმართლით გაგებულსა,
დამონდი და ემსახურე მას და ყოვლსა მის ერთგულსა.
უსამართლოს ასრე მზერდი, ხეს ფესვ-დამპალს დანერგულსა,
და მცირე რამ სჯობს სიმართლითა დიდს სიცრუით მოგებულსა“[1017].

კაცი პასუხობს, როგორ არ მინდოდეს მეფობა, როცა შიმშილით კუჭი მიხმება და ნაფლეთებში ვარ გახვეულიო. სოფელი დასძენს:

„რა იხილო ამხანაგი ეგე რომელს დიდებასა,
ერთგულობით ნაშოვარსა, არ ცოდვისა კიდებასა,
შენც მას სთხოვე, ვინც მას მისცა, ეს სჯობს სხვის საჭიდებასა,
და მოგცეს შენცა, ვინცა იცის -- გაცემას სჯობს კიდებასა.

[1012] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.72, გვ.105.
[1013] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.15, გვ.228.
[1014] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.324, გვ.58.
[1015] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.5, გვ.97.
[1016] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.148, გვ.37.
[1017] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.149-152, გვ.37-38.

ნუ მისთვისა გშურს, მიეცა, რომელსა სიმართლისადა,
შენცა მან მოგცეს, თუ გნახოს ერთგულად მონებისადა;
როს ნახო მეფე სჯულ-მტკიცე შინაგან გონებისადა,
და გინდოდეს მისვლა სიახლეს, თავდაბლად იყოს ისა და.

მეფე თუ ერჩდეს ცუდს სიტყვას, ნუ გინდა მისვლა სიახლეს,
რამეთუ ყველა ცრუ იყოს მის ქვეშნი, ვინ მას იახლეს;
მართალს არ ხედვენ არცერთი, ძველი საცდური იახლეს,
და გული განიგდეს მსაჯულით, უსამართლობას მიახლეს.

მასთან ეს სჯობს, არ მიხვიდე, მგზავსი მგზავსთან მივიდესა,
ესევე სჯობს, მოიცადო, ვირემდის მზე დავიდესა,
გლახაკი სჯობს სიმართლისა სხვის სიცრუიის სიმდიდრესა,
და მამული სჯობს მამეული ნაძალადევს უმკვიდრესა“[1018].

როგორც ვხედავთ, ავტორი არ გამორიცხავს, რომ უღირსი, უსამართლო მეფეც შეიძლება არსებობდეს. ღირსეულ მეფესთან მოქალაქეს სიახლოვისაკენ მოუწოდებს, ხოლო უღირსის მორიდებას ურჩევს. ასეთ შემთხვევაში, მოქალაქეს ისღა დარჩენია დაელოდოს უღირსი მეფის „მზის ჩასვლას“, რაც ადრე, თუ გვიან მოხდება.

ასე რომ, ზემოთ მოხმობილი სტროფები უფრო კანონმორჩილებისადმი მოწოდებაა, ვიდრე მეფის ბრმა განდიდება.

სხვა ნაწარმოებში „ლექსნი ასდაათნი“ არჩილი კიდევ უფრო მწვავედ ამხელს მეფეთა დანაშაულებს:

„მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა“[1019].

„მივდრკით მეფენი თანად და ერნი და მღვდელნიც ჩვენთანა,
რაზომ გამსტოვრნენ პირველნი, სხვა ვერ ვიპოვენ ჩვენთანა;
გვამხელენ ჩვენი საქმენი, ვით დავითს მაშინ ნათანა.
და ვის რასაც ავგლეჯთ, დაგვრჩება აქავ, წარგვყვება არ თანა“.[1020]

იგი განსაკუთრებით ამხელს მეფეთა მიერ სოციალურად დაბალ ფენებზე მძლავრობას:

„გლეხთა მიმძლავრებთ, ვერ გაიმრავლებთ
მონახოჭს მათსა, ვის აამებთა?
გლახაკთ არ უსმენთ, მსგავსად მათ უსმენთ
სიტყვის თქმადათცა დაადუმებთა“[1021].

არჩილი აქებს ღვთისმსახურ, „სჯულისმდებელ“ მეფეებს, „მათ, ვინ ყვეს ღვთისა მიახლებანი“[1022].

მეფეთათვის აუცილებელ თვისებებსა და მათ ღვაწლთ ჩამოთვლის: სიმშვიდე, სიბრძნე, მშვიდობის დამკვიდრება, მტერთა ძლევა, მათ შორის „ჯვართ-აპყრობითა“, ურიცხვი ერის დამონება[1023].

[1018] არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, იქვე, მ.164-167, გვ.39.
[1019] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.4, გვ.97.
[1020] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.15, გვ.98.
[1021] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, იქვე, მ.86, გვ.242.
[1022] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.17, გვ 228.
[1023] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.33-34, გვ.233.

დავით აღმაშენებელს დავითის ძედ წოდებულს უწოდებს:
„გამსგავსებ დავითს თვით დავით მშვიდსა“,
„მამულთა შენთა ყვინ დასამშვიდსა.
(მტერთ) განაძებდი, მკვიდრთ მოიძებდი,
თურქთა, წარმართთა, სპარსთა და მიდსა“[1024].

როგორც ვხედავთ, ამ სტროფში ხაზგასმულია სახელმწიფო ძლიერების მნიშვნელობა და ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის იდეა.

არჩილი შაჰ-აბასსაც აქებს
„ნუვინ იჩემებს ზესთაობასა,
მისი სწორება სჯობს იკმაროსა!
სამსოფლიო (და) სამეფო წესი
სხვამ ისე ვეღარ მოიხმაროსა“[1025].

იგი გამოყოფს, ასევე, შაჰის სამართლიანობასა და თავის ქვეშევრდომებზე ზრუნვას.[1026]

არჩილი რუსეთის მეფე პეტრე I-საც ახასიათებს, როგორც „მაღალი მდაბალთ ხელთ ამპყრობელი“. აღნიშნავს, რომ იგი ყოველთვის დროულად და სრულად აძლევდა თავის ჯარისკაცებს ჯამაგირს[1027].

ავტორი ხაზს უსვამს ლიდერის ყოლის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის. პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ალექსანდრე იმერთა მეფის სიკვდილთან დაკავშირებით თეიმურაზ მეფე ამბობს:

„ჭკუათმყოფი დიდად ტირან, ეძახოდეს, თუ: „სად წადი?
საქართველო დაემხობა, მტერთ მიხვდება სულ საწადი,
ჩვენ წახდენად ქვე დაგვყარენ, შენ სუფევის ტახტსა ადი.“[1028].

მეფის სიკვდილმა მართლაც არეულობა და ქიშპი გამოიწვია იმერეთში.

სულხან-საბა ორბელიანი

ტიპური, კარგი მეფის მაგალითია „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ში წარმოდგენილი ფინეზის პერსონაჟი. იგი დახასიათებულია, როგორც კეთილი, ქველი, მას „სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა“[1029]. ამავე დროს, „მისი შიში და ზარი ესრეთ განფენილ იყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხისა უსაზარლესად მიაჩნდათ“[1030]. ამრიგად, სულხან-საბას აზრით, კარგ სახელმწიფოს მეთაურში შერწყმული უნდა იყოს სიკეთე და სიმკაცრე.

სულხან-საბა კარგი მეფის სახეს არა მარტო თავისი ნაწარმოების პერსონაჟის სახით წარმოგვიდგენს, არამედ, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მეთაურის თავისებურ კოდექსსაც კი აყალიბებს, წარმოგვიდგენს რა თავის შეხედულებებს მეფისათვის არა მხოლოდ ზოგადად

[1024] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.49, გვ.234.
[1025] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.59, გვ.236.
[1026] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.56-57, გვ.236.
[1027] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.62, გვ.237.
[1028] არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, იქვე, მ.1090, გვ.413.
[1029] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983, გვ.7.
[1030] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.7.

აუცილებელი თვისებების შესახებ, არამედ მეფის დამოკიდებულების თაობაზე სახელმწიფოს მოქალაქეთა თითოეულ ფენასთან მიმართებაში.

თავისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, სულხან-საბას „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს სხვა პერსონაჟის, უფლისწულ ჯუმბერის აღმზრდელის ლეონის პირითა აქვს გადმოცემული:

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმდაბლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში-ჭირსა და ლხინში-ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდების შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.“[1031]

სულხან-საბა მეფეებს მწყემსებთან აიგივებს, მათ ადარებს: „მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს“[1032].

როგორც მალხაზ მაცაბერიძე „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს განხილვისას წერს, „რათა ყველა აქ ჩამოთვლილი მოვალეობანი შეასრულოს, მეფე უნდა იყოს განათლებული, საქმის მცოდნე, ყველაფერში გაგებული…საჭიროა ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა შესაფერისი განათლება მიიღოს…აღსაზრდელმა ცხოვრების ყველა მხარე არა მარტო უნდა შეისწავლოს, არამედ უნდა განიცადოს კიდეც.“[1033] ამიტომაც „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს პერსონაჟმა

[1031] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.48-49.

[1032]სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.34.

[1033] მალხაზ მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999, გვ.64.

ლეონმა უფლისწულ ჯუმბერს ყველა ის გაჭირვება გამოაცდევინა, რასაც მეფის უბრალო მსახურები განიცდიან ხოლმე. „ამიტომაც ქანცავს მსახურებით…რომ მოსამსახურეთა გაჭირვება გაიგოს, წარმოიდგინოს „გლახაკთა და უღონოთა“ მდგომარეობა. ჯოხითაც სცემა, რომ გაეგო, თუ რას ნიშნავს ეს სასჯელი“[1034]. „თუ მემკვიდრემ განცხრომის მეტი არაფერი იცის, ის მოსწყდება ხალხს, ვერაფერს გაუგებს მას. თუ მემკვიდრე სათანადოდ იქნება აღზრდილი…თავისთავად ეს გარემოება ხელს შეუწყობს მის მეფობას. მას ეცოდინება, თუ როდის რა ღონისძიება ჩაატაროს“[1035].

სულხან-საბა არა მარტო იდეალური მეფის ნიმუშს ხატავს, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების ვეზირებისათვის აუცილებელ თვისებებსაც აყალიბებს, ანუ იმ პოლიტიკური ელიტისა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოს საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. ვეზირნი „რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ...ვაზირნი ერთმანერთის მოყვარულნი ხამს.

ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტერობით არ კარგა იქმნება, თუ ვაზირი ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა.

ვაზირი ხვაშიადის შემნახავი ხამს. თუცა ერთმანერთში შუღლი მოხდა, ხვაშიადი გამჟღავნდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიცემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ – მან თქვა, არა მას უთქვამსო.

ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. რა მეფე ერთს წყალობას უზამს, მეორე მისი ქიშპი გაორგულდების.

ვაზირი ღვთის მავედრებელ და ჭკუისა და სიბრძნის მჩხრეკელი ხამს. და, რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული აუდუღდეს და ჭკუა და მცნება დაეფანტოს. ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან.

ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა“[1036].

„მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს: ერთი, რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს. მეორე: აგრევ ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს. მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს. მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას. მეხუთე: ასეთი ენა უნდა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივ სდიოდეს“[1037].

როგორც ვხედავთ, სულხან-საბას აზრით, ვეზირობა არა მხოლოდ პატივია, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობა და მეტად საფრთხილო საქმეც, რომელიც ადამიანისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ნამდვილი, წარმატებული პოლიტიკური ლიდერი (მეფე იქნება ეს თუ ვეზირი) მხოლოდ ის არის, ვინც ჭეშმარიტად ხალხის სამსახურში დგას, ვისთვისაც თავისი ქვეყნის ინტერესებია წინა პლანზე და ყოველივე პირადული სწორედ ამას ექვემდებარება; ის, ვინც დგება საკუთარ თავზე მაღლა; ის, ვინც, საჭიროების შემთხვევაში, პირადად უდიდეს რისკზეც მიდის და არა მარტო სიცოცხლეს სწირავს თავისი ქვეყნისათვის, არამედ საკუთარ სახელსაც, ავტორიტეტსაც, საზოგადოებაში თავის მდგომარეობასაც.

[1034] ივანე სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1959, გვ.96.

[1035] ივანე სურგულაძე, იქვე, გვ.97.

[1036] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.53.

[1037] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.23.

„მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს, და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს“, „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათა გაუნათებს. მეფისა საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ.“[1038]

ვეზირის აუცილებელი თვისებაა ასევე კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი მოგვარების უნარი: „ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს,…გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს,…პირიდამ ავი სიტყვა არ წაიცთუნოს;…სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს…რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს“[1039].

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა არ იწონებს მართვის ერთპიროვნულ მეთოდს, როცა სახელმწიფოს მეთაურები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავისი მრჩევლების აზრს. იგი ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სანდო და საგნის მცოდნე პირების მონაწილეობის აუცილებლობას „ერთის ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს“[1040].

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა სახელმწიფო მმართველობაში დემოკრატიული მიდგომის მომხრეა იმ გაგებით, რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას კომპეტენტური პირების თანამონაწილეობის საჭიროებას ასაბუთებს, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს მართვისას მის მოქალაქეთა ყველა ფენის ინტერესების დაკმაყოფილება აუცილებლად მიაჩნია.

ამავე დროს, სულხან-საბა არ ერიდება პოლიტიკური ელიტის ნაკლოვანებების მხილებას. „სულხანი აღწერს სამეფო კარზე არსებულ სიტუაციას ზოგადად, სიცრუეს, მლიქვნელობას, შურს, დაბეზღებას. ამაში დიდი ბრალი მეფესაც მიუძღვის…მეფეები ხშირად ბოროტად იყენებენ თავის ძალაუფლებას, იღებენ გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე, მაშინ, როდესაც ემოცია ბატონობს, ხშირად ხარბები და გაუმაძღრები არიან.“[1041]

მეფეთა თავგასულობის ერთ-ერთი მაგალითია „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ში აღწერილი ამბავი: ლეონმა ისე არ დაიწყო უფლისწულის აღზრდა, ვიდრე მეფემ ხელწერილი არ მისცა, რომ სხვების შესმენით ისე არ მოკლავდა, ვიდრე მასაც არ მოუსმენდა. მოგვიანებით ლეონი მეფისგან სიკვდილით დასჯას სწორედ ამ ხელწერილის წყალობით გადაურჩა.

სულხან-საბას თქმით, „მეფისა კართა მდგომნი კაცნი მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხსა და ხრიკსა ცდილობენ, რათა შეაძაგონ იგი (მეფის რომელიმე მსახური – ვ.კ.)“[1042]. ამიტომაც სულხან-საბა მოუწოდებს მეფეებს, რომ ერთგული მსახური „ადრე არ შეიბეზღოს“[1043].

სიბრძნე სიცრუისას ერთ-ერთი პერსონაჟის, უფლისწულის აღმზრდელ ლეონის პირით იგი შემდეგსაც ამბობს: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“[1044].

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ მეფეებს გლახაკებსაც ადარებს და უპირატესობას ამ უკანასკნელთ ანიჭებს: „ერთმა გლახაკმან თქვა: - მეფეთა ვჯობივარო, ამად რომე მე რაც მაქვს,

---

[1038] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.23.
[1039] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.11.
[1040] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.53.
[1041] ივანე სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, გვ.44.
[1042] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.25.
[1043] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.25.
[1044] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.34.

მეყოფის და კიდეც ვჯერვარო; და მათ ხმელეთი იშოვონ, არ იმყოფინებენ და არც გაძღებიანო“[1045].

„სწავლან“-ში სულხან-საბა წუთისოფელს ნოეს კიდობანს ადარებს, სადაც სხვადასხვა მტაცებელმა შეაფარა თავი, რომლებიც იქ ყოფნის დროს ერთმანეთს არაფერს ერჩოდნენ, „ხოლო თქვენ (ძალაუფლების მქონენი – ვ.კ.) სდევნით გლახაკთა და შეიპყრობთ ქვრივთა და დაბზარავთ ტყავთა ობოლთასა“[1046]. „მეპატრონენი ქვეყნისანი სისხლთა ყმათასა დასთხევენ, რათა თვით შეიძინონ მსახურებითა მათითა, არა თუ თვისი სისხლი დასთხიონ მონათა თვისთათვის. და უფალნი სოფლისანი წინაშე თვისსა მოაკვდინებენ ბრძოლასა შინა მჴედართა მათთა, არა თუ თვით მოკვდნენ ყმათათვის…(ხოლო ქრისტე – ვ.კ.) თვით მოკვდა...ჩვენთვის“[1047].

ამრიგად, სულხან-საბა სახელმწიფოს მეთაურებს ნიმუშად თავის ქვეშევრდომთა მიმართ ქრისტესეულ თავგანწირვას უსახავს და უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული მოქალაქის სიცოცხლეს.

სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ მოგვითხრობს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის შესახებ, რომელშიც მონარქია არ არის. მათ შორისაა ჟენევის რესპუბლიკა. სულხანს განსაკუთრებით მოსწონს „ჯენევიის“ ქალაქი და მისი წყობილება. „მრავალი კაი ქალაქია, მაგრამ ეს ქალაქი სხვა ქალაქია. კონსტანტინეპოლი იმტოლია, მაგრამ ამის შენებულობა და სიმდიდრე, სამართალი და სიმშვიდე იქ არც ერთია, არც სიმაგრე“[1048].

ამავე დროს, მწვავე კრიტიკის მიუხედავად, სულხან-საბა მონარქთა დაკნინების მომხრე როდია. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ იმ განსაკუთრებულ, ობიექტურ უპირატესობასაც აღწერს, რომელიც მეფეს, სახელმწიფოს მეთაურს გააჩნია: „მეფენი საჭურისთა და სხვათაცა საქმესა სცნობენ და მეფეთა საქმესა ვერავინა სცნობენ, თუ ცა კაცი არ გამეფდა, - რომ მათის საჯდომი მაღალია და დაბლიდამ არ ინახება“[1049].

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს პერსონაჟი, უფლისწული ჯუმბერი მამასთან სპილოზე ამხედრებული მიდის. მიზეზად იმას ასახელებს, რომ „მეფეთა გვარი და დიდი კაცი დიდსა რასამე უნდა იჯდეს“[1050]. მაგრამ იგი იქვე იმასაც დასძენს „რაგინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე – მიწა ხარ და მიწად მიიქცევი, ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა“[1051].

როგორც ვხედავთ სულხან-საბას შეხედულებით, იდეალური ლიდერისათვის აუცილებელია ზომიერების დაცვა საკუთარი ძლიერების, ღირსების დემონსტრირების დროსაც.

საყურადღებოა, რომ სულხან-საბას რეკომენდაციები ხელისუფალთა მიმართ დასაბუთებულია, როგორც რელიგიურ-ზნეობრივი, ისე პრაგმატული, რაციონალური არგუმენტებით. მეფეთა მიმართ ზემოთ მოტანილი რეკომენდაციები იწყება ამ უკანასკნელთა მიმართ ღვთის მიერ წაყენებული მოთხოვნებით და მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ესე არს

[1045] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.54-55.

[1046] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის მეორე, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, თბილისი, 1963, მ.51, გვ.33.

[1047] სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის მეორე, სწავლანი, იქვე, მ.90, გვ.44.

[1048] სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბილისი, 1940, გვ.8.

[1049] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.80.

[1050] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.57.

[1051] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.57.

წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“[1052].

რეალიზმთან ერთად, სულხან-საბას მსოფლმხედველობას წითელ ზოლად რელიგიურობა გასდევს. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა არა მარტო პრაგმატული მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელოს, არამედ ქრისტიანული ზნეობითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი საქმიანობა ადრე თუ გვიან მარცხისათვის იქნება განწირული.

ვახუშტი ბატონიშვილი

საგულისხმოა ქართული სამეფო დინასტიების ვახუშტისეული დახასიათება: „იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნობითა, შემმართებლობითა, ხოლო ბაგრატიონი მჴნეობითა, სიბრძნე-ქუელობითა და ქუეყნისათჳს თავდადებულობითა“[1053].

ამრიგად, ვახუშტი იდეალური ლიდერისათვის საჭირო თვისებებს გამოჰყოფს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩამოთვლილი თვისებების კომპლექსებიდან იგი უპირატესობას ბაგრატიონებისათვის მიწერილი თვისებების კომპლექსს ანიჭებს.

იდეალური ლიდერის სახეა უდავოდ ლუარსაბ II ქართლის მეფე, რომლისთვისაც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ვიდრე თავისი სიცოცხლე. იგი სიცოცხლის რისკის ფასად ნებაყოფლობით მიდის ირანის შაჰთან და თავის ამ ნაბიჯს შემდეგნაირად ასაბუთებს: „უკეთუ არა წარვიდე, ამიყრის ქუეყანათა და მოაოჴრებს, რა მადლი არს ჩემდა“[1054].

ლიდერისათვის აუცილებელ თვისებად ვახუშტის ასევე მშიდობის მოყვარეობა მიაჩნია. მისი თქმით, ყვარყვარე ათაბაგმა (XV ს.) „დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რამეთუ იყო მშჳდობის-მოყუარე, გარნა მჴნე, ახოვანი და შემმართებელი“[1055]. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ მშვიდობისმოყვარეობა ძლიერებასთანაა შერწყმული.

გარდა ამისა, ვახუშტის აზრით, იდეალური ლიდერი, მეფე განათლებული უნდა იყოს. სწავლა, ცოდნა ვახუშტისთან ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება: „სწავლა სულგრძელ ჰყოფს მეფეთა და დიდებულთა პატივსცემს, და ერთა მოურნე ექმნების, მტერთა დაამდაბლებს და მშიშრეულ ჰყოფს, თჳსთა აღამაღლებს და აკადნიერებს“[1056].

ამრიგად, ვახუშტი იდეალური ლიდერის, მეფისათვის აუცილებელ თვისებებსა და საქმიანობასაც გამოჰყოფს, ანუ სულგრძელობას, დიდებულთა და მსახურთა პატივისცემას, ხალხის პატრონობას, მტერთა დათრგუნვასა და დაშინებას.

დავით გურამიშვილი

„დავითიანში“ გურამიშვილი იდეალური ლიდერის, მეფის დახასიათებას გვთავაზობს:

„ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია,
ბრძენი, უხვი და მოწყალე, მრისხველი ზომიერია;

[1052] სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, იქვე, გვ.48-49.
[1053] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.27.
[1054] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.426.
[1055] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.708.
[1056] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.2.

სჯულმტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ყვანდეს ერია,
მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი - ხელთ სკიპტრა - მას უჭერია“[1057].

რუსთა მეფის, პეტრე I-ის დახასიათებისას, გურამიშვილი ხაზს უსვამს არა მარტო იმ ღვაწლს, რაც ამ მეფემ თავის სიცოცხლეში გაკეთა, არამედ იმასაც, თუ რა გავლენა მოახდინა მან თავის შთამომავლებზე. კერძოდ, მისი მომდევნო მეფეები პეტრეს მიერ შექმნილი სახელმწიფოს მართვის სისტემის ერთგულნი რჩებიან:

„ვიდრემდის იყო ცოცხალი, რუსეთზე გარდამწვდარია;
ბრძენ-უხვი, მართალ-მოწყალე, სამართალ-დაუმცდარია;
მტერთა მებრძოლთა ყოველთა მან ყველას ხელი დარია,
მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარია.

პეტრეს აქეთნი მეფენი, რომელნიც ტახტზე ჯდებიან,
პეტრეს ბრძანებას მოწმობენ, მის მცნებაზედა დგებიან,
გინდ უჩნდესთ წინააღმდეგად, მას წინ არ აღუდგებიან,
არს პეტრეს თქმულნი უკვდავნი, მიდღეში არ მოკვდებიან.

პეტრეს ხელმწიფის ბრძანებას სრულყოფად არა ზარობენ,
წინ უძესთ მისი ანდერძი, მით დგანან, მითვე მგზავრობენ,
მითვე ლაშქრობენ, ვაჭრობენ, მოდუქან-მობაზარობენ,
მით ჰკვლენ და ჰკარგვენ, რომელნიც მათ წესზედ აბეზარობენ“[1058].

„დავითიანში“ ხელმწიფობა წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი პროფესიათაგანი: „მწყემსი, ხელმწიფე, გლახაკი, გინა მხვნელია, მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი, ოსტატ, ბრძენ-მსიტყველია“[1059]. ამ პროფესიას, ისევე, როგორც სხვებს, სწავლა უნდა. „რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია!“[1060].

რა თქმა უნდა, მეფედ გასახდომად მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი, მაგრამ ავტორს ან იმის თქმა უნდა, რომ ყველა ადამიანი ღვთის წინაშე თანასწორია და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ხელმწიფე იყოს, მისი გვარ-ტომობის მიუხედავად, ან კი იმას ამბობს, რომ ადამიანს, რომელსაც შესაძლოა მემკვიდრეობით მეფობა ეკუთვნოდეს, არ არის აუცილებელი, რომ მეფობა აირჩიოს, იგი შეიძლება, თავისი მოწოდებით, მიწათმოქმედი, ან ოსტატი იყოს, ან მათხოვრობის მეტი არაფერი შეეძლოს. წარმომავლობა არ განაპირობებს ადამიანის ნიჭსა და უნარს. მეფობასაც სწავლა სჭირდება. მემკივდრეობით გამეფებულებსაც უნდა ჰქონდეთ მეფობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

დავითი ასევე აღწერს რუსეთთან მოკავშირეობისა და ამის აშკარად გაცხადების სურვილს, რომელიც ვახტანგ VI-ს გააჩნდა. ქართლელი დიდებულების ნაწილი ამის წინააღდეგი იყო და ამის გამო მეფეს ძრახავდა:

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“[1061].
„მისგან წახდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური,
ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური,

[1057] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.42, გვ.67.
[1058] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.190-192, გვ.89.
[1059] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.39, გვ.66.
[1060] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.39, გვ.66.
[1061] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.216, გვ.93.

ყეენზედაც ავად დარჩნენ, მათ დაკარგეს ორგნივ პური“[1062].

დავითი მეფის გამართლებას არ ცდილობს, პირიქით, მის სიტყვებში მეფისადმი საყვედური იკითხება. გამოდის, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართლი ასეთი მცდარი გზით წავიდა ის იყო, რომ მის სათავეში მეფე იდგა, რომელსაც შეეძლო არავისი რჩევისათვის მოესმინა და „იქმოდა, რასაც ინებდა“.

ბესიკი

ბესიკი „სამძიმარში“ (სამგლოვიარო ოდა ლეონ ერეკლე II-ის ძის დაღუპვის გამო) განადიდებს ლეონს, როგორც სამხედრო ლიდერს. აქებს მის ძლიერებას, იარაღს, უწოდებს ლომს, „ბრძოლადმი განუძღომ“-ს, „ყმათა გულების ხომო! (ხომლო - ვ.კ.)“[1063].

მამუკა ბარათაშვილი

მამუკა ბარათაშვილი აქებს ლიდერთა, მეფეთა ფიზიკურ და სამხედრო ძლიერებას. „იამბიკოში“ ვახტანგ VI-ზე წერს:

„იტყვიან: ვახტანგ მებრძოლთა მახეთ,
არის დამძლევი ლახვართა მახეთ,
ქართლისა მპყრობად მიწათა და ხეთ“[1064].

ხოლო ლექსში „ქება მეფისა ბაქარისა“ აღნიშნავს არა მხოლოდ მის ფიზიკურ ძლიერებას („ბეჭ-მთა, მძლე მკლავი...ვეფხისებრ მალ“ და ა.შ.,[1065]), მას უწოდებს „სიბრძნის ზღვას“[1066], „ქრისტეს მოსავსა, შიშველთ მოსავსა...მსაჯულსა მართალს, ვით ცეცხლი მართ ალს ადენს - მტყუართა მიხვდება წილი...სიმაღლედ ზრდილი, მდაბალ და ტკბილი, მარჯვე მთქმელ, კეთილ სრულ რიტორ ენად...უხვი ზღვისაებრ გამომცამდენად...მხნე მეომარი სულთა“[1067].

როგორც ვხედავთ, ავტორი გამოყოფს ლიდერის ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორებიცაა მორწმუნეობა, მართლმსაჯულება, სოციალურად დაბალი ფენების დახმარება, თავმდაბლობა, მჭევრმეტყველება და სიუხვე.

მამუკა ბარათაშვილი თავის ლექსში „წამებული“ ამგვარად გამოხატავს სახელმწიფო ლიდერის - მეფისადმი ერთგულებას: „მე მონა მათი (მეფისა - ვ.კ.)(ორგულიმც მათი კვდებისა!)“[1068].

ანტონ I კათალიკოსი (XVIII ს.)

ანტონი უღირსი მეფეების მხილებას არ ერიდება. რუსუდან მეფეს ანტონი „არამრთელცნობიერსა“ და „არაგრძელგანმსჯელს“ უწოდებს. იგი რუსუდანის დანაშაულებსა და ცოდვებს აცხადებს მონღოლთა მიერ საქართველოს დამარცხების მიზეზად, პირველ

[1062] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.218, გვ.93.
[1063] ბესიკი, სამძიმარი, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.6, გვ.137.
[1064] მამუკა ბარათაშვილი, იამბიკო, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.8.
[1065] მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, იქვე, გვ.38.
[1066] მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, იქვე, გვ.38.
[1067] მამუკა ბარათაშვილი, ქება მეფისა ბაქარისა, იქვე, გვ.39.
[1068] მამუკა ბარათაშვილი, წამებული, იქვე, გვ.36.

ყოვლისა კი თავისი ძმისწულის, მომავალში ულუდ წოდებული დავითის დატუსაღებას: „რომლისა ცოდვითა განიპატიჟა (დაისაჯა - ვ.კ.) ღმრთისაგან მონარხიაჲ მისი, რამეთუ, რაჲვეცა ჰყო მან ძმისწულსა მისსა ზედა დავითს და/ხატებასა ზედა ღმრთისასა არსებასა თჳსსა, უკმოიზღო ღმრთისაგან მოსაგებელი ესე“.[1069]

გოდერძი ფირალაშვილი

გოდერძი ფირალაშვილს ლიდერის მნიშვნელვან ღირსებებადად მიაჩნია მტრების დამარცხება, ქვეყნის შეგნით თანხმობისა და ურთიერთსიყვარულის დამყარება.
ლექსში „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა“ იგი წერს:

„თუ შენ არ გნახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წარსვლა ძნელია“
„რაღადმე გვკიდავნ ფარ-ხმალნი, უმისოდ ცუდი ბარგია,
დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწათ შესჭამნეს კარგია,
იგი არა გვყავს საჭვრეტლად, სხვა ვიღა ვსძებნეთ ვარგია?
ჰოჲ, წარხდი, ჩვენო ნუგეშო, დიდებავ, დაგვეკარგია!“[1070].

„დაშთნენ მას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა,
გმირნი მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძმობასა,
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა-თანხმაობასა,
აწყა გამოვჰსცნათ, მოძმენო, ვინმცა იქმს ერეკლობასა“.[1071]

§ 9. მასალები: პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დავითის ისტორიკოსი წერს: დავითს „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო.“[1072] ამიტომაც უფრო ნიშანდობლივია, თუ რამდენს მიაღწია მან, როგორც „მცირე“ ქვეყნის მეფემ: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგს“ და დავითი რომელიმე დიდი სახელმწიფოს მეფე რომ ყოფილიყო „მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი უაღრეს სხუათა ქებულთანი.“[1073]

როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსს პატარა ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობანი რეალისტურად აქვს გააზრებული. დავითის მიერ მიღწეულ საგარეო

[1069] ანტონ I კათალიკოსი, სიტყვა ასი ათას მოწამეზე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.VI, გვ.259.
[1070] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.329.
[1071] გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990, გვ.330.
[1072] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.358.
[1073] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.359.

პოლიტიკურ წარმატებებს იგი არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი გაგებით აფასებს. როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, მემატიანის აზრით, „ისტორიულ პიროვნებას პირობებიც უნდა უწყობდეს ხელს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ფართო გაქანებისა, ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს სიდიდე, სიძლიერე, ძალა.“[1074]

რუსთაველი

პატარა ქვეყნის თემას „ვეფხისტყაოსანში“ ფრიად საგულისხმო ადგილი უკავია. ჯერ ერთი, ამასთან დაკავშირებით, ის თვალსაზრისი იკვეთება, რომ ძალა ნებისმიერი ზომის სახელმწიფოსთვისაა აუცილებელი, რაც ე.წ. „სუსტის ძალის“ ფენომენის დანახვას წარმოადგენს. გარდა ამისა, ფრიდონის სიტყვებიდან („დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგნი გვინდან და ცოტანი“,[1075]) ჩანს, რომ ძალის ეფექტიანი გამოყენებაა მთავარი და არა მისი მასშტაბები. მოქმედებს პრინციპი „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“[1076]. სახელმწიფოს სიმცირე მის სხვების მიერ დამოჩილებას ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს. პატარა ქვეყანასაც შეუძლია დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა მოიპოვოს. ფრიდონის სახელმწიფო იწოდება „ტურფად“, „ყოველგნით სიკეთე მიუწვდომლად“, მისი მეფის „ვნება არავის არ ძალ-უც“. რუსთაველი ხაზს უსვამს, რომ ქვეყანას, მისი სიმცირის მიუხედავად, შეუძლია სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანს ატარებდეს. ფრიდონის ქალაქი შემდეგნაირადაა დახასიათებული:

„ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა“[1077].

რაც მთავარია, პატარა ქვეყანა დიდი სახელმწიფოების თანასწორუფლებიან პარტნიორად გვევლინება. მართალია, ფრიდონი ინდოეთის მეფესთან შედარებით, თავს უფრო დაბლა აყენებს და მის მონად იწოდება[1078], მაგრამ ეს, როგორც პოემიდან ჩანს, თავმდაბლობის გამომჟღავნება უფროა, ვიდრე რეალური მდგომარეობის გამოხატულება. თავად დიდი სახელმწიფოების მესვეურები მას ისეთივე პატივს მიაგებენ, როგორც სხვა დიდი სახელმწიფოების მეფეებს. მაგალითად, ინდოეთში, ფრიდონს არაბეთის მეფედ ახლად გამხდარი ავთანდილივით სამეფო ტახტზე სვამენ[1079]. მანამდე კი ჯერ კიდევ არაბეთის სპასპეტი ავთანდილი მულღაზანზარის მეფეს შემდეგნაირად მიმართავს:

„ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო.
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქმოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო!“[1080].

ფრიდონის სამეფო დიდი სახელმწიფოების მეტად საჭირო და შეუცვლელი მოკავშირეცაა. პარადოქსია, მაგრამ ნესტან-დარეჯანის გათავისუფლება, რაც ნაწარმოების

[1074] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985, გვ.92.
[1075] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1376.
[1076] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1381.
[1077] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1001.
[1078] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.631.
[1079] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1579.
[1080] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1308.

გმირთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, ძირითადად, სწორედ ფრიდონის სახელმწიფოს რესურსების ხარჯზე ხდება შესაძლებელი.

რაც შეეხება თვით ფრიდონის სახელმწიფოს დამოკიდებულებას დიდი ქვეყნებისადმი, ფრიდონი აქტიურად ცდილობს მიაღწიოს და განამტკიცოს მათთან მოკავშირეობა. მართალია, მისი პირადი ურთიერთობები დიდი სახელმწიფოების ლიდერებთან მნიშვნელოვნად განაპირობებს მათდამი ფრიდონის დახმარებას, მაგრამ უეჭველია, რომ იგი, როგორც ერთ-ერთი იდეალური სახელმწიფოს მეთაური, „პატრონი“, მუდმივად ზრუნავს თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე და მათ საზიანო ქმედებას არ სჩადის. ამიტომაც, დიდი ქვეყნების მიმართ დახმარებაში იგი უეჭველად თავისი სახელმწიფოსათვის სასარგებლო ფაქტს ხედავს. მულღაზანზარისათვის თითქოს რაიმე ინტერესს არ წარმოადგენს შორეული ინდოეთის სადედოფლოს აუღებელი ციხე-სიმაგრიდან გამოხსნისათვის ბრძოლა, მაგრამ სწორედ ამ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად შეიძენს იგი ძლიერ მოკავშირეებს და მისი სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის უმნიშვნელო სუბიექტიდან ძლიერ სახელმწიფოდ იქცევა, „სამეფოებს მოიმატებს“ და „გამორჭმულდება“[1081].

ამრიგად, რუსთაველი პატარა ქვეყნის მიერ მდგომარეობის განმტკიცების ერთ-ერთ გზად ძლიერი მოკავშირეების შეძენას მიიჩნევს. ამავე დროს, მისი აზრით, საერთაშორისო სისტემაში პატარა სახელმწიფოსაც შეუძლია თავისი ადგილის მოძებნა.

ფეშანგი

„შაჰნავაზიანში“ საყურადღებოა პატარა ქვეყნის შეზღუდული მატერიალური რესურსების შეფასება, რის გამოც მისთვის ბრძოლა არც კი ღირს.

შაჰმა შაჰნავაზს წერილი მისწერა, სადაც სთხოვა შაჰნავაზის მიერ იმერეთში გამეფებული ვაჟი, არჩილი იქიდან წამოეყვანა და სამაგიეროდ კახეთს უბოძებდა. იმერეთი თურქეთის ვასალი იყო და შაჰნავაზმა ეს ქმედება მათ უკითხავად განახორციელა, რამაც ოსმალები განარისხა. შაჰმა თავის ვასალ შაჰნავაზს შეუთვალა: იმერეთი ღარიბი ქვეყანაა და, ადრე თუ გვიან, ბოლო მოეღებაო[1082].

შაჰნავაზი დათანხდა შაჰს და არჩილს ასეთი რამ მისწერა:

„ეგე სამეფო ნუ გინდა, არ შენი შესაფერია,
არის მცირე და ურგები მეფობის, არაფერია“[1083].

თანაც იმერეთს თურქები გვედავებიან და მათთან ომი მოგვიხდება. ეს არ გვინდა და არ გვიღირსო[1084].

[1081] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.1584.
[1082] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.608, გვ.105.
[1083] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.615, გვ.106.
[1084] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.617, გვ.106.

§ 10. მასალები: რელიგიურ-ზნეობრივი პოლიტიკა

ნუმიზმატიკა

VI-VII სს.-ის ქართლის ერისმთავართა დრაჰმები, რომლებზეც „რელიგიურ-ეროვნული სიმბოლო-ჯვარია“[1085] გამოსახული, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ დროს ქართლის მმართველებს ქრისტიანობა საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელოვან იარაღად და მის გამოხატულებად მიაჩნდათ.

VI საუკუნის ეგრისელი მოაზროვნეები

VI საუკუნის ეგრისელ მოაზროვნეებს არ რჩებათ მხედველობიდან ის, რომ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ქმედებას, შეხედულებას რაიმე ლეგიტიმური, ზნეობრივ-რელიგიური საფუძველი მოუძებნონ, რათა მისი ეფექტიანობა გაზარდონ.

გუბაზის ელჩები შემდეგს ეუბნებიან შაჰს: „(ჩვენდამი დახმარებით) თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს...უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის.“[1086]

გუბაზის მკვლელთა სასამართლოზე, კოლხი ანონიმი იურისტები დასძენენ, რომ გუბაზის მკვლელობას ბიზანტიისათვის თუნდაც მხოლოდ იმიტომ არ შეეძლო სარგებლობის მოტანა, რომ უსამართლო და უკანონო იყო. ისინი იმასაც უსვამენ ხაზს, რომ კოლხები „უზენაესისი შესახებაც“ მათნაირად (ბიზანტიელების მსგავსად) მოაზროვნენი და მათი წესების მიმდევარნი, ანუ ერთმორწმუნენი არიან.[1087]

აიეტი ბიზანტიელების მოკავშირეობას იმიტომაც არ თვლის მიზანშეწონილად, რომ მათ ღმერთი ურისხდება. სპარსელთა მხარეზე გადასვლა კი, მისი აზრით არა თუ ვერაგობა, უსამართლობა იქნება ბიზანტიელთა მიმართ, არამედ პირიქით, სამართლიანობა და აქედან გამომდინარე, ღვთისათვის სათნო საქციელი. არსებული მდგომარეობის შენარჩუნება კი - ლაჩრობა, უქნარობა, დაუდევრობაა. „სასირცხო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ,“ „გავაკეთოთ ის, რაც სწორი და სამართლიანია.“[1088]

თავის პოზიციას ფარტაძიც განამტკიცებს რელიგიურ-ზნეობრივი თავლსაზრისით. ამ მხრივ, საგულისხმოა მისი შეხედულება იდეალური მეფის, სახელმწიფო მოღვაწის შესახებ (იხ. ზემოთ, თავი 3, §. 2). კერძოდ, ის, რომ რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდეს, სახელმწიფოს ლიდერი ხალხს უზნეო საქციელისაკენ, მამაპაპური წესების დარღვევისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს. ამის გარდა ფარტაძი შემდეგსაც დასძენს: „ყველაზე უფრო უწმიდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით (სპარსთა მხარეზე გადასვლით) ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმიდა საიდუმლოთა უმწიკვლობას. თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენ საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა

[1085] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ.50.
[1086] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ.2, გვ.77.
[1087] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.130, 135.
[1088] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.69-70.

უნდა განვიცადოთ ჩვენ...რას მოვიგებთ იმით, რომ ვთქვათ მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ?“[1089]

ფარტაძის სიტყვები ზნეობისა და პოლიტიკის დაპირისპირების დილემის თვალსაზრისით, ისევე როგორც პოლიტიკაზე რელიგიის გავლენის მხრივ, მეტად საყურადღებოა. ფარტაძი რელიგიურ-ზნეობრივ მომენტს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე პოლიტიკურ სარგებლიანობას. საგულისხმოა ისიც, რომ კრებაზე ფარტაძის წინადადებამ გაიმარჯვა. სხვა საკითხია მის მიერ წამოწეული არგუმენტებიდან რომელმა მოახდინა კრების მონაწილეებზე გადამწყვეტი გავლენა, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება მაინც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეგრისის პოლიტიკოსთა, საზოგადოების უმრავლესობა, ფარტაძის უკანასკნელ მიდგომასაც მეტ-ნაკლებად იზიარებდა. მით უმეტეს, რომ აგათია სქოლასტიკოსიც აღნიშნავს: ფარტაძის გამოსვლამ „განსაკუთრებით იმოქმედა მათზე (კრების მონაწილეებზე), შიში აღუძრა, რომ გადავდგეთ, უზენაესის წყალობას მოვწყდებითო.“[1090]

ამ საკითხებს უკავშირდება ეგრისელთა თვალსაზრისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე მოვლენებზე ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალის ზეგავლენის შესახებ. აიეტის აზრით, ბიზანტიელების დაბალი ზნეობა, კერძოდ, მათი გაიძვერობა, სიფლიდე, მზაკვრობა, მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლო სისხლის ღვრა იწვევს იმას, რომ ისინი უზენაეს მფარველობას მოკლებულნი არიან[1091], რაც მათ წარუმატებლობასა და მარცხს განაპირობებს, ე.ი., აიეტის აზრით, ზნეობრივი, ღვთისათვის მოსაწონი ქცევა პირდაპირ კავშირშია პოლიტიკის წარმატებასთან. უზნეო პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, მარცხდება. ზნეობრივი მოქმედება კი პირიქით, იწვევს და განამტკიცებს წარმატებას: „გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა.“[1092] ამ გაგებით ზნეობაც კი საგარეო პოლიტიკის, ისევე, როგორც საერთოდ პოლიტიკის, ინსტრუმენტად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

მოქცევაჲ ქართლისაჲ

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ღვთის ხელშია ქრისტიანთა გარეშე მტერთაგან დაცვა. წმ. ნინო მეფე მირიანს შემდეგს ეუბნება: „აღმართენით ორნი ესე ჯუარნი საცოდ ყოველთა ქრისტიანეთა და დასამჴობელად მტერისა.“[1093]

გიორგი მერჩულე

გრიგოლ ხანძთელის თანახმად, ბერებიც ქვეყნის სამსახურში მყოფი ჯარისკაცები არიან. იგი შემდეგნაირად მიმართავს ქართველ ხელისუფალთ: „სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი უდაბნოთა მამანი, არიან ჴორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა.“[1094]

[1089] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.76-77.
[1090] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.81.
[1091] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.67.
[1092] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, გვ.67.
[1093] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, გვ.150.
[1094] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.290.

სუმბატ დავითის ძე

სუმბატ დავითის ძის თანახმად საგარეო-პოლიტიკური ვითარების მთავარი წარმმართველი ძალა ღმერთია. აშოტ კურაპალატის შესახებ სუმბატი წერს. აშოტს „მისცა ღმერთმან გამარჯვებაჲ და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა...მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კუროპალატსა ძლევა და დიდი დიდებაჲ ბრძოლათა შინა.“[1095]

სუმბატ დავითის ძე აღწერს ბიზანტიის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ და დასძენს: „მსწრაფლ ეწია რისხუა უმსჯავროსა მას მეფესა კოსტანტინეს...უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა მოოჴრებისათვს მამულისა მისისა.“[1096] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სუმბატის აზრით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა სამართლიანობას უნდა ეფუძნებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა უსამართლო და უმოწყალო პოლიტიკოსმა ამქვეყნადვე დაიმსახუროს ღვთის რისხვა.

ჯუანშერი

საყურადღებოა ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ მოყვანილი შემთხვევა, როდესაც ვახტანგი წინ აღუდგება ბიზანტიელთა განზრახვას მოლაშქრე სპარსთა გაწყვეტის შესახებ, მაშინ, როცა ამ უკანასკნელთ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძთ. ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვახტანგი სპარსთა გაწყვეტას უადგილო სისასტიკედ მიიჩნევს: „რომელი არა შვენის შენსა ღმრთისმოყვარებასა, რომელი შენ არა ჰყო, სხვასა ნუ აწვევ, რამეთუ ღადრობა არა ხელ არს კაცთა პატიოსანთა...უმეტეს ჩვენსა აქვს მრავალთა მათგანთა სიყვარული ქრისტესი, არამედ შიშისაგან მათისა ვერ გამოაცხადებენ. აწ ბრძანე, რათა საქმე ესე ჩვენი მშვიდობით ვყოთ...და ნუმცარა რა იქმნების საქმე უშვერი და ნუცა საქმე შფოთისა თქვენ მიერ.“[1097] - მიმართავს იგი კეისარს.

როგორც ვხედავთ, მართალია, ვახტანგი მტერს ებრძვის, მაგრამ, როდესაც ეს შესაძლებელია, ცდილობს მის მიმართ სისასტიკე არ გამოიჩინოს და პრობლემები მშვიდობიანად მოაგვაროს. ასე რომ, ვახტანგი, ასე ვთქვათ, ზნეობრივ პოლიტიკოსად გვევლინება. მისთვის მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას.

მეორე მიზეზი სპარსთა ლაშქრის დანდობისა საკუთარი პრესტიჟის გაფრთხილებაა („დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი არა უკვე განცრუვდესა სახელი ჩემი?“[1098]). რადგან ქართლის მეფეს სპარსელებთან სამოკავშირეო შეთანხმება აქვს დადებული. მათი ლაშქრის დახოცვა კი ამ შეთანხმების დარღვევა იქნება.

ჯუანშერის თხზულებაში, ვახტანგ გორგასლის, ისევე, როგორც მისი მამის, მირდატის მიერ ეროვნული ინტერესების განსაზღვრისასაც, რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ჭეშმარიტი სარწმუნოების, ისევე როგორც საერთოდ, ქვეყნის არსებობის შენარჩუნება ვახტანგისათვის სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესია. იგი ქართლში შემოჭრილი სპარსელების შესახებ პეტრე კათალიკოსს ეუბნება: „უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათვის გვბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათვის. აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიკვდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა.“[1099]

[1095] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ.45.
[1096] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ.59.
[1097] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.171.
[1098] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.171.
[1099] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.201.

მატიანე ქართლისა

ყურადღებას იპყრობს „მატიანე ქართლისაში“ გადმოცემული შემდეგი ფაქტი: არჩილ მეფის ძეს, ჯუანშერს ხაზართა ხაკანი დის, შუშანის ხელს სთხოვს. სამაგიეროდ, არაბთა წინააღმდეგ დახმარებას სთავაზობს. ჯუანშერის დედა და ძმა, იოანე, ამასთან დაკავშირებით ამბობენ: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ.“[1100]

ქართველები ხაკანს უარს უთვლიან. სამი წლის შემდეგ ხაკანი ძალით იგდებს შუშანს ხელში, მაგრამ „წარმართის მიერ შეგინებას“ ქალი თვითმკვლელობას არჩევს.

ლეონტი მროველი

„ცხოვრება მეფეთას“ მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი წარმმართველი ძალა ღმერთია: „კოსტანტინე ბერძენთა მეფემან (იგულისხმება კონსტანტინე I დიდი - ვ.კ.) ძალითა ქრისტესითა და წინამძღურებითა ჯუარისათა იოტნა მეფენი და სპანი მათნი ურიცხუნი მოსრნა“[1101]; პირველი ქრისტიანი მეფე, მირიანი თავის ვაჟს მიმართავს: „წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩუეულება გულითა მოსავთა მისთა.“[1102]

სარწმუნოებრივი ერთიანობა, ლეონტი მროველის მიხედვით, პოლიტიკური მოკავშირეობის საფუძველია. გაქრისტიანებულმა მირიანმა რომის იმპერატორ კონსტანტინეს წერილი გაუგზავნა, სადაც თავისი მოქცევის ამბავს აუწყებდა და ღვთისმსახურთა გამოგზავნას სთხოვდა.

კონსტანტინე და მისი დედა ელენე ამ წერილმა დიდად გაახარა მათ შორის იმიტომაც, რომ „დაიდასტურეს მირიან მეფისაგან სრულიად მოწყვედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყვარულისა მათისა“[1103]. კონსტანტინემ მირიანს მძევლად წაყვანილი მისი ვაჟი ბაქარიც გამოუგზავნა, რადგან „არღარა მიხმს მე შენგან მძევალი. არამედ კმა არს ჩვენ შორის შუამდგომელად ქრისტეო.“[1104]

ნინოს ცხოვრება (VII ან IX ს.)

რელიგია საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წონის გაზრდის, ტრადიციულ მოწინააღმდეგეებთან და, პირველ ყოვლისა, ბიზანტიასთან თავის გატოლებისა და მის მიმართ უპირატესობის დამტკიცების საშუალებასაც წარმოადგენს. „ნინოს ცხოვრების“ ავტორი სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებზე მოგვითხრობს, რომლებიც შუა საუკუნეებში, მათ შორის, ბიზანტიაშიც წარმოიშვა და გარკვეული დროის მანძილზე აქ მართლმადიდებლობის ადგილიც დაიკავა, კერძოდ ე.წ. ხატმებრძოლეობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველოში ხელდასხმის მისაღებად გუთი ეპისკოპოსიც კი ჩამოვიდა. ამ მხრივ, ადარებს რა ბიზანტიელებს ანუ ბერძნებსა და ქართველებს ერთმანეთს, წერს: ჩვენ, ქართველები „არაოდეს მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა...არამედ ეკლესიანი...და

[1100] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.249-250.
[1101] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.95.
[1102] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.130.
[1103] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.97.
[1104] ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.109.

ყოველი ერი ჩვენი მტკიცედ და შეურყევლად ჰგიან აქამომდე მართალსა ზედა სარწმუნოებასა.“[1105]

დავით IV აღმაშენებელი (XI-XII სს.)

აღმაშენებლის აზრით, ამქვეყნიური ცხოვრების და მათ შორის, ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობების უზენაესი განმგებელი ღმერთია. თავის ყველა წარმატებას მეფე ღვთის წყალობას მიაწერს: „ხატსა თჳსსა მამსგავსე...ბუნებითსა რაჲ პორფირისასა თჳთ მფლობელობასა-თანა, მეფობისაცა შარავანდედნი მარწმუნენ“[1106]; „თვით იგი ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა თჳსითა რაჲთამე განგებით არა-უღირს-მჩენელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაითგანვე აღიღო ჴელი სიტკბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა და თჳთ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად.“[1107]

ამავე დროს, აღმაშენებელი ადამიანის პირად ძალისხმევას რაიმე მიზნის მისაღწევად და, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოებისა, თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, არ გამორიცხავს. ამ მხრივ, იარაღის ძალის გამოყენება დავითისათვის ბუნებრივია. 1125 წლის ანდერძში, რომელიც რელიგიური მსოფლმხედველობითა და სულისკვეთებითაა გამსჭვალული, განსაკუთრებულადაა ხაზგასმული მეფისა და მის ქვეშევრდომთა „ღვაწლით მოგებული“ ტერიტორია „ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღვადმდე და ოვსეთითგან სოერად და არეგაწადმდე.“[1108]

დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობის კიდევ ერთი გამოხატულებაა მისი მეფობის დროს მოჭრილი მონეტები, რომლებზეც იგი „მეფეთმეფედ“ და „მესიის მახვილად“ იწოდება[1109].

როგორც ვხედავთ, საგარეო პოლიტიკური ინტერესების გამომუშავებაში დავითი რელიგიურ ფაქტორებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მათ საგარეო პოლიტიკური პროპაგანდისთვისაც იყენებს. დავითის მსოფლმხედველობაში დიდმპყრობელური ტენდენციაც იკვეთება - თავის სახელმწიფოს აღმაშენებელი არათუ საერთაშორისო ურთიერთობის სრულუფლებიან, დამოუკიდებელ სუბიექტად ხედავს, არამედ მას სხვა სუბიექტებზე მაღლა აყენებს.

თუმცა, დავითისათვის მიუღებელია ისეთი მიზნების დასახვა, რომლებიც არა ეროვნული ინტერესებიდან, არამედ პირადი გულისთქმებიდან გამომდინარეობენ და მიზნის, მიუხედავად იმისა, თუ რა უდევს მას საფუძვლად, ნებისმიერი საშუალებით მიღწევა. რელიგიური მსოფლმხედველობა აღმაშენებელს, ამ მხრივ, გარკვეულ ზღვრებს უწესებს. ასე რომ, იგი ზნეობრივი პოლიტიკის მომხრეა. ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“ დავითი დასძენს:

„წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად
და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,
ვითარცა მცირეთა და უნდოთა,

[1105] ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.392.

[1106] დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბილისი, 1989, გვ.19-20.

[1107] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი (1123 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.12.

[1108] ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.19.

[1109] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ.71-76.

ჩემისადმი უძღებებისა და გულისთქუმისა.

ბოროტად გარდავჰხედ
საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა
მივჰხვეჭე ნაწილი მათი
და ვიღვწიდ უმეზობლობასა,
ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა.“[1110]

დავითი ინანიებს საკუთარ გულისთქმებს, მანკიერებებს, რომლებიც მას სახელმწიფოს მმართველობის, მათ შორის საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს ეძალებოდა და იმ შეცდომებს, რომლებსაც იგი ამ მანკიერებებიდან გამომდინარე სჩადიოდა: სიხარბეს („წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი“, „ჩემისადმი უძღებებისა და გულისთქუმისა“), ამპარტავნებასა და ღვთისადმი ერთგვარი ქიშპობას („ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ, ვითარცა მცირეთა და უნდოთა“, „ვიღვწიდ უმეზობლობასა ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობ ქვეყანასა ზედა“), დაუნდობლობას, სისასტიკე („ბოროტად გადავჰხედ საზღვართა“, „უუძლურესთა მივჰხვეჭე ნაწილი მათი”).

იგი თავის ანდერძშიც წერს: „უკვდავი და დიდებისა მოყვარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ და არა მიოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლვისა ჩემისასა.“[1111] შიომღვიმის მონასტრისადმი დაწერილ ანდერძშიც დავით მეფე შემდეგს დასძენს: ღმერთმა „ყოვლად უმადლო ესე ჯერისაებრ ვერმმადლობელიცა არა მომიძაგა.“[1112]

ნიკოლოზ I კათალიკოსი (გულაბერისძე)

ნიკოლოზ I კათალიკოსი შემდეგს წერს: „მიშუჱბითა ღუთისათა თურქნი შემოვიდეს ქუჱყანასა ამას ჩუჱნსა.“[1113] „ღვთის მიშვების“ მიზეზად კი ავტორი ქართველთა ცოდვებს ასახელებს.

იოანე შავთელი

შავთელი საქართველოს, მისი მეფეების მართლმორწმუნეობას, მართლმადიდებლობას უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებმა ჭეშმარიტება უარყვეს და, ამრიგად, მათი სახელმწიფოებრივი საქმიანობაც ღვთის შემწეობასა და წარმატებას მოაკლდა.[1114] საქართველო, მისი მეფეები კი თავიანთი მართლმორწმუნეობის გამო, ღვთის განსაკუთრებულ მფარველობას განიცდიან, მტრებზე მათი ძლევა „უფლისმიერია“.[1115]

[1110] დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბილისი, 1989, გვ.24.
[1111] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.19.
[1112] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, გვ.12.
[1113] ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, ტფილისი, 1908, გვ.107.
[1114] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.609.
[1115] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 596, 600.

შავთელისთვის საქართველოს მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა სწორედ რჯულის დაცვაა. იგი „სჯულის სვეტი“, „სულის ზღუდე“ და „ქრისტეს მხედარია“.[1116] ერთი მხრივ, ურჯულოთა წინააგმდეგ ბრძოლა, იგივე რჯულისათვის ბრძოლაა, ხოლო, მეორე მხრივ, ურჯულოების წინააღმდეგ მეფე რჯულის განმტკიცებისათვის იბრძვის: „ექმნა წარმართსა და ერსა მათსა განსახრწნელ, რომელ სრულ პყრობილ იყვნეს.“[1117]

თამარის პირველი ისტორიკოსი და ბასილი ეზოსმოძღვარი

თამარის ისტორიკოსების აღწერით, რუმის სულთნის მიერ დამორჩილების თავხედურ მოთხოვნას თამარი უპასუხებს: შენ შენი სიმდიდრით შეკრებილი ლაშქრის იმედზე ხარ, მე კი - ღვთის იმედზეო[1118]. ომში მიმავალ ლაშქარსაც თამარი ბიბლიური მაგალითებით ამხნევებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, ქრისტიანობის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილი რჯულისათვის თავის დადებაა, ამიტომაც „დიდად კეთილ არს“.[1119] როგორც წესი, ბრძოლის წინ ქართველი მხედართმთავრები სწორედ ამას შეახსენებენ მეომრებს. მაგალითად, შამქორის ბრძოლის წინ ქართველი სპასპეტები ლაშქარს შემდეგნაირად მიმართავენ: „ჩვენცა ხელნი ხრმლად და სული ღმრთად!“[1120] ქართველი მეფეების შეტევა მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ქრისტიან მოწამეთა ღვაწლსაც კია შედარებული. მაგალითად, მემატიანე აღნიშნავს, რომ თუკი წმ. გიორგიმ ერთი გველეშაპი მოკლა, მეფე გიორგიმ ბევრი გველი გამოასალმა სიცოცხლესო.[1121]

ერთმორწმუნეობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ქორწინების მაგალითს ვხვდებით ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში. ქართველმა პოლიტიკოსებმა ისეთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური აქტის დროს, როგორიც მეფისათვის საქმროს შერჩევა იყო, ერთმორწმუნეობის პრინციპით იხელმძღვანელეს და არჩევანი რუს უფლისწულზე შეაჩერეს.[1122]

ჩახრუხაძე

ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელება ყოველთვის გულისხმობს ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვას. რადგან სხვა რჯულის აღმსარებელი მტერი მუდამ ცდილობს საქართველოს მისი ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიურ-სულიერი დასაყრდენი ქრისტიანობა წაართვას, ამიტომ სამშობლოსათვის დაღუპულნი, ჩახრუხაძის მიხედვით, სარწმუნოებისათვის წამებულებთან არიან გაიგივებული.[1123]

ჩახრუხაძე მსოფლიო მასშტაბით საკუთარი ჭეშმარიტი რელიგიის პოზიციების განმტკიცებას საგარეო პოლიტიკურ მიზნად აცხადებს. თამარი მესიის შემწეა და დგას „აგარის

[1116] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.591, 607.

[1117] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.594.

[1118] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.93-94; ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.135.

[1119] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.8.

[1120] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.70.

[1121] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.7-8.

[1122] ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე, გვ.119.

[1123] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.560.

ტომთა გულსა შხამისად“[1124], საქართველოს მეფე მსოფლიოს მუსლიმთა ლიდერების სულთანისა და ხალიფას „მგოდი“ და „სვისა ჯავართა მშლელია“[1125].

თამარ მეფე (XII- XIII სს.)

თამარ მეფე, ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, მუსლიმებთან ომში ნაალაფარ დროშას მონასტერს სწირავს და ამ ბრძოლას სარწმუნოების დაცვასთან აიგივებს. ღვთისმშობლისადმი მის მიმართვაში ვკითხულობთ: ქართველებმა „მოწყლეს, მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი“, დავით სოსლანმა „მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით“[1126].

ქართული სამართლის ძეგლები

დოკუმენტში „ერთგულების დაწერილი ნიკოლოზ მაწყუერლისა იოვანე კათალიკოზისადმი“ (1346-1360 წწ.) დავით აღმაშენებლის მეფობა ღვთის უშუალო განგებულების შედეგად წარმოჩნდება: „მას ჟამს ოდეს ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოძლეველი ღმრთივ-გუირგუინოსნობა მეფეთა მეფისა დავითისი“[1127].

იოსებ ტფილელი

იოსებ ტფილელის მიხედვით, მტრებზე ქართველების გამარჯვება ღვთის ძალითაა მოპოვებული „ქართველთ ხმალს ქვეშე, ღვთის ძალით, თათრებმან ვერ იმაგარა“[1128].

„დიდმოურავიანის“ თანახმად, სააკაძე აცხადებს, რომ ქართლში რჯულის შემრყვნელებს ებრძოდა: „ვინ სჯულს რყვნიდნენ (ქართლში - ვ.კ.), გვისუსტებდენ, მათთვის მშვილდი აწამება, მათგან ბევრი დავასუსტე, ავხსნი ზოგი აწ ამება“[1129]. ამგვარად, რჯულის დასაცავად ბრძოლა პოლიტიკური ლიდერის ერთ-ერთი ფუნქციაა.

ფეშანგი

„შაჰნავაზიანში“ კათალიკოსი უშლის ქართლის მეფეს ტერიტორიის, ძლიერების უსაზღვრო ზრდას. ამას რწმენას, ზნეობრიობას უპირისპირებს: „ღმერთსა ნუ აწყენ, გეყოფი მეტის მეტობაც ავია“[1130].

შაჰნავაზი თავის პოლიტიკურ წარმატებებს ღმერთს მიაწერს: „სუე ბედი და გამარჯუება მას უმადლი, ვინ რომ მამცა“[1131].

ნაწარმოების თანახმად, ზნეობრივი პოლიტიკა იმარჯვებს:

„სიმართლისა მოიმედე ვინ სდევს საქმე არ წამჴდარა“[1132].

[1124] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.577.
[1125] ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.574.
[1126] თამარ მეფე, ცასა ცათასა, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.74-75.
[1127] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, 1970, გვ.182.
[1128] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.11.
[1129] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ.45.
[1130] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.315, გვ.57.
[1131] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.501, გვ.85.
[1132] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.378, გვ.66.

„მომავალი საქმე ზენა კაცსა ზედა არ აჰ3დების;
უღმრთო საქმე ვინ ინდომა ცუდია და ცუდად სცდების“[1133].
„ვინ პატრონს მონებს გულწმინდად, მას აროს არ ევნებისა“[1134].
ამ მონაკვეთში პატრონ-ყმობის გაიდეალებაც იკვეთება.
შაჰნავაზთან შემცდარი დადიანი ხვდება, რომ მართალი არ არის, ამიტომაც ამბობს „სჯობს რომ გაუფრთხილდეთ (მტერს, შეტაკება თავიდან ავიცილოთო - ვ.კ.), უსამართლო მალ წახდების“[1135].

არჩილი

ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ ჩამოთვლის სხვადასხვა „ზნეობას“ ანუ ცოდნას, საქმიანობას, ზნე-ჩვეულებებს, თვისებებს. ამავე დროს „თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე საქმე რაც არი“[1136].
ნაწარმოებში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ აზრთა შემდეგი შეჯახებაა გადმოცემული: ადამიანი საწუთროს სიმუხთლეს, ყოველგვარი „წესების გარეშე თამაშს“ აბრალებს. საწუთრო, სოფელი კი ამბობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თუკი ადამიანები ღვთის მცნებების შესაბამისად იცხოვრებენო. იგივე შეიძლება გადავიტანოთ საერთაშორისო ურთიერთობებზე, რადგან „სოფლის“ ეს ნათქვამი ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება.
ღვთის ნება, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში ჩანს არჩილის შემდეგ სიტყვებშიც:
„თუ ღმერთსა უნდეს, ამისგან უკეთეს(ს) ზედა მომაცლის,
ჩემს ქვეყანასაც ხელთ მიგდებს, აგარიანთაც გამაცლის“[1137].
ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თავის სათაურში, სადაც სპარსელების წინააღმდეგ ქართლელთა აჯანყება და მარტყოფის ბრძოლაა აღწერილი, ნათქვამია, რომ ის რაც აქაა აღწერილი **„განგებამ** (ხაზგასმა ჩვენია - ვ.კ.) და უსამართლოდ ქვეყნის ამოწყვეტის მდომებამ“ მოახდინაო[1138].

ვახტანგ VI

ვახტანგ VI-ის ლექსში „სატრფიალონი“ ლაკონურადაა გადმოცემული სახელმწიფოსათვის სულიერი და ხორციელი ძლიერების ჰარმონიის მნიშვნელობა:
„კარგს მოლაშქრეს მონაზონზე ნუ ჰგონია თავი მცირად,
თუ ის სჯულსა აღასრულებს, შენ სჯულსა სცავ მონამჭირად;
ცეცხლს თუ შეშა თან არ ახლავს, დაშრტების და იქმნას მწირად,

[1133] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.475, გვ.80.
[1134] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.340, გვ.60.
[1135] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, მ.383, გვ.67.
[1136] არჩილი, საქართველოს ზნეობანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.4, გვ.3.
[1137] არჩილი, ლექსნი ასდაათნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ.1, ტფილისი, 1936, მ.105, გვ.108.
[1138] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975, გვ.302.

და თუ ერთმანეთს არ უმწობენ, ორნივ იქმნას კარგზე ძვირად“[1139].

ვახუშტი ბატონიშვილი

ვახუშტის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა” ქრისტიანობის დაცვა თავისთავად გვევლინება ერთ-ერთ უმთავრეს ეროვნულ ინტერესად. მაგალითად, ვახტანგ V შაჰნავაზმა რუსეთის მოკავშირეობა გადაწყვიტა იმის იმედით, რომ `ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტეანობისასა”.[1140]

სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორების მიუხედავად, ვახუშტისათვის, როგორც რელიგიური ადამიანისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების, ისევე, როგორც, ზოგადად, ადამიანთა ყოფის უმაღლესი წარმმართველი ძალა ღმერთია. ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას იგი დასძენს: „მოსცათ ძლევა ღმერთმან ბარათიანთა“[1141]. დავით ქართლის მეფემ „ძალითა ჯუარისათა განხეთქა რაზმი“ მტრებისა, ან „ცოდვათა ჩუენთათჳს იძლივნენ დავით მეფისანი“[1142] და სხვა.

საქართველოს დასაცავად ბრძოლა ვახუშტის თხზულების მიხედვითაც სარწმუნოების დაცვასთანაა გაიგივებული, რომელშიც, აუცილებლობის შემთხვევაში, თვით ეპისკოპოსებიც კი მონაწილეობენ. მაგალითად, მარაბდის ბრძოლაში მროველი ეპისკოპოსიც მონაწილეობდა და მას სწორედ სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისათვის ბრძოლას უწოდებდა.[1143]

რელიგიის მნიშვნელობის კუთხით, საგულისხმოა ვახუშტის ცნობა მისი თანამედროვე ქართველი მეფეების ტიტულატურის შესახებ. ამ ცნობის მიხედვით, მეფეები იწოდებიან „ღვთივ-ცხებით გვირგვინოსნებადა“ და „იესიან, დავითიან, სოლომონიანად“[1144], ანუ მათ ბიბლიურ წარმომავლობასა აქვს ხაზი გასმული, ბაგრატიონთა ტრადიციისამებრ.

ვახუშტის თხზულების მიხედვით, რელიგია სხვა სახელმწიფოებისთვისაც წარმოადგენს მოკავშირეობისა, თუ მტრობის საფუძველს. შაჰ აბასმა ალექსანდრე კახთა მეფის გამაჰმადიანებულ ვაჟს, კონსტანტინეს სწორედ ერთმორწმუნეობის გამო დაავალა კახეთში გამეფება და შემდეგ – ამ მხარის გამაჰმადიანება.[1145]

შაჰ აბასმა ასევე აიძულა თეიმურაზს ლუარსაბ ქართლის მეფის ასული ცოლად მოეყვანა, თუმცა თავიდან თეიმურაზი უარზე იყო, რადგან ეს ქალბატონი ნათესავად ეკუთვნოდა. ავტორის თქმით შაჰ აბასმა ეს იმის გამო გააკეთა, „რათა დაამდაბლოს და ნებისა თჳსისა ჰყოს, რათა შერიოს რჯულითა და მერე მაჰმადიან ჰყოს“.[1146]

ეს ფაქტი შაჰის პოლიტიკის გარკვეულ ტაქტიკაზეც მიუთითებს. იგი ნელ-ნელა ცდილობდა თეიმურაზის გადაბირებას და არა ერთბაშად. ამის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად კი თეიმურაზის მორალურად მოტეხვა მიაჩნდა.

ვახუშტის თხზულების პატრიოტული სულისკვეთების ფონზე, შემდეგ პარადოქსულ ცნობასაც ვხვდებით: თხზულების თანახმად, „ქართველთა ტომნი იყვნენ ყოველთა ტომთა და

[1139] ვახტანგ VI, სატრფიალონი, ლექსები და პოემები, თბილისი, 1947, მ.130, გვ.40.
[1140] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.500.
[1141] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.390.
[1142] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.397.
[1143] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.38.
[1144] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.37.
[1145] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.582.
[1146] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.585.

ნათესავთა უუბოროტესნი და უუღთოესნი“[1147] და ალექსანდრე მაკედონელმა (აგრესორმა) „განწმიდა საქართველო ესევითართა უკეთურებათაგან“[1148]. რამდენად სწორია ეს ცნობა, ცალკე საკითხია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვახუშტი არ ერიდება ქართველთა უარყოფითი თვისებების წარმოჩენას, როცა საქმე ზნეობას ეხება.

დავით გურამიშვილი

„დავითიანის“ მიხედვით, ღმერთი არის „ქართველთ სპა-ჯართა, ყოველთა ერთა მსაჯულად ცნობილი“[1149], „მას მორჩილებენ სულნი და ურიცხვი სპა-ჯარი, ერი“[1150].

ავტორი ჩამოთვლის ცოდვებს, რომლებიც ქართველებმა ჩაიდინეს და ამბობს, რომ ამის შედეგად დასუსტდა მათი სახელმწიფო, შეუტიეს მტრებმა[1151]. იგივე აზრია გატარებული შემდეგ ნაწყვეტში:

„ქართველთ მადლს ცოდვამ სძლია, რაც აღმწონელმან აწონა;
წუნებულ იქმნენ ღვაწლითა, თავი ვეღარვინ აწონა;
მის გამო მტერთა მათზედა დანაცემინა აწ ონა“[1152].

ბესიკი

ლექსში „ქება სოლომონ მეფისა“ სოლომონი წარმოგვიდგება, როგორც ღვთის შემწეობით მტერთა დამმარცხებელი და მაჰმადიანების წინააღდეგ მებრძოლი:

ღმერთმა „ხელი აღგიხვა, მტერი დაგიმხვა,
ქრისტიანები ესრეთ ეწყალვის.
აწ ამ ნიშითა მოსწდენ შიშითა,
ვინცა ვინ იქმნეს ფრიად დიდ ძალის.
აწ მოგცეს ხრმალი, მერთ სალახვარი,
მაჰმადის მოსავთ ი ამან დაღის“[1153].

რუხის ბრძოლაში სოლომონ მეფის ჯარებმა ქრისტიანული რწმენისა და სათნოებების წყალობით გაიმარჯვეს „საქმეცა უდიდესი სიმდაბლითა მოიპოვეს“[1154]. ბრძოლის წინ ქართველებმა:

„მისცეს სული ღმერთს, აგრევ ღონე ყოვლი მიაბარნეს,
სპანი მცირე წაიტანნეს, მაგრავ მათთვის ბევრად კმარნეს:
ერთნი ათთა, ათნი ასთან, ასნი ათასთ შეეყარნეს.
და აწ ნახენით: სიმცირესა სიმრავლე სით გაეპარნეს!“[1155].

[1147] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.14.
[1148] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.16.
[1149] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.9, გვ.61.
[1150] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.9, გვ.62.
[1151] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ.85.
[1152] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.319, გვ.108.
[1153] ბესიკი, ქება სოლომონ მეფისა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.63.
[1154] ბესიკი, რუხის ბრძოლა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.15, გვ.126.
[1155] ბესიკი, რუხის ბრძოლა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.17, გვ.126.

რჯულისათვის ბრძოლა სასიქადულოა ყველა ლიდერისათვის. ელიზბარ ერისთავზე ნათქვამია: „სჯულისა და მეფისათვის სისხლთა დენას ვერ იკმარობს“[1156].

ბესიკი წმ. გიორგის დახმარებას გამოითხოვს რუსეთის ჯარის ლაშქრობაში. „ქრონიკებში“ თავად პოტიომკინზე წერს: „განმზადებულარს, (რათა) ანატოლისა და პონტოს ზღვის პირების ქვეყნები დაიპყრას და რათა მათ ზედა ილაშქროს ზღვით და ხმელით. წმინდა გიორგი, შემწე ექმენ!“[1157].

იმერეთის სამეფო კარის სახელით ბესიკის მიერ „დიდ იმპერატრიცა ეკატერინას“-ადმი წერილში რუსეთი წარმოჩენილია, როგორც ქრისტიანთა ურჯულო მტრებისაგან განმათავისუფლებელი, ხოლო ქართველთა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, როგორც ქრისტიანობისათვის ბრძოლა: „ყოველთა ქრისტეანეთა აღმართებისა მღვიძარედ მოღვაწეო“, „თქვენის მოწყალებით გამოხსნილი არის ეს ქვეყნები (იგულისხმება საქართველო - ვ.კ.) და ჩვენ უსჯულოთა მათ ოსმანიანთაგან მრავალი ხანი არის, რომ განვთავისუფლებულვართ“[1158]. „ჩვენ თუმცა მზა ვართ ქრისტეანობისათვის სისხლთა ჩვენთ დათხევად და ჩვენის შეძლებისაებრ თავსა ჩვენსა აღარ მივსცემთ მონად და არცაღა ჩვენგან მათი ყმობა იქნება“[1159].

ამ ნაწყვეტში სუვერენულობის შეგნებაც ჩანს - ქართველები ოსმალებისადმი დამონებას აღარ აპირებენ.

მამუკა ბარათაშვილი

მამუკა ბარათაშვილი „იამბიკოში“ ვახტანგ VI-ის გამეფებას ღვთის უშუალო განგებას მიაწერს:

ღმერთს „მეექვსე ვახტანგ უბადებია,
თვით ქართლის მპყობად უმზადებია“[1160].

იესე ბარათაშვილი

იესე ბარათაშვილი მუსლიმებთან ომში წასვლის წინ თავის ანდერძში წერს: „მე სიკვდილისა არ მეშინიან, მეტად ახლა, რომ ქრისტესთვის გვებრძვიან“[1161].

§ 11. მასალები: რაციონალური რელიგიურობა

VI საუკუნის ეგრისელი მოაზროვნეები

რელიგიურობის მიუხედავად, აიეტის შეხედულებით, „საზოგადოების, სახელმწიფოს და სხვა სოციალური მოვლენების განვითარების კანონზომიერებათა“ განმსაზღვრელი

[1156] ბესიკი, რუხის ბრძოლა, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, მ.52, გვ.133.
[1157] ბესიკი, ქრონიკები, (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.187.
[1158] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი (1784 წ., იმერეთის სამეფო კარის სახელით), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.189.
[1159] ბესიკი, წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი (1784 წ., იმერეთის სამეფო კარის სახელით), (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი, თბილისი, 1962, გვ.190.
[1160] მამუკა ბარათაშვილი, იამბიკო, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ.8.
[1161] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983, გვ.693.

ბუნებრივი საფუძვლებია, კერძოდ, „ჟამთა ტრიალი“, „ბედის უკუღმართობა” და ა.შ.[1162] სწორედ ამას მიაწერს იგი კოლხეთის სახელმწიფოს დასუსტებას.

გიორგი მერჩულე

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, ბაგრატ კურაპალატი გამორჩეული იყო „ყოვლითა ღმრთის-მსახურებისა სიხარულითა, რამეთუ მსგავსი იყო წინაწარმეტყველისა დავითისი და ნეტარისა ბაგრატ მოციქულისა და მღდელ-მოწამისა“; „და მადლითა ქრისტჱსითა განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ჴელმწიფეთაჲ (ბაგრატ კურაპალატისა და მისი ძმებისა - ვ.კ), რამეთუ შეწევნითა ღმრთისაჲთა ჴრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი“[1163].

ამგვარად ბაგრატის პოლიტიკური წარმატებების საფუძველი მისი რელიგიურობა ხდება; მაგრამ მიზნის მისაღწევად იგი სამხედრო ძალას იყენებს.

სუმბატ დავითის ძე

სუმბატ დავითის ძე თავის თხზულებაში მოვლენებს, ძირითადად, ბუნებრივი კანონებით ხსნის. აშოტის არაბებთან ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების მიზეზად იგი იმას ასახელებს, რომ მას სათანადო ლაშქარი არ ჰყავდა.[1164] შირიმის ბრძოლაში ქართველების დამარცხება კი, მემატიანის აზრით, მათი სულმოკლეობის ბრალია.[1165]

ნინოს ცხოვრება

რელიგიური შინაარსის მიუხედავად, „ნინოს ცხოვრების“ შესაბამისად, უსაფრთხოების დაცვის საშუალებათა შორის ძალა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მაგალითად, თხზულებაში ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობაა აღწერილი, მისი ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ბრძოლა სპარსთა წინააღმდეგ. შემდეგ კი ავტორი დასძენს ვახტანგის შესახებ: „იყო იგი ფრიად შემკულ ღმრთის მსახურებითა და კეთილად მორწმუნეობითა.“[1166]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დავითის ისტორიკოსის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დავითი მართლმორწმუნე ქრისტიანია, საქართველოს შეზღუდულმა შესაძლებლობებმა არ მისცა მას საშუალება ისეთი საგარეო პოლიტიკური წარმატებებისათვის მიეღწია, როგორც წარმართ ალექსანდრე მაკედონელს.

[1162] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ.3, თბილისი, 1936, გვ.66.

[1163] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963, გვ.272.

[1164] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთ, გვ.45.

[1165] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ.54.

[1166] ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ.392.

იგი წერს: დავითს „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო.“[1167] „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგს“ და დავითი რომელიმე დიდი სახელმწიფოს მეფე რომ ყოფილიყო „მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი უაღრეს სხუათა ქებულთანი.“[1168]

რუსთაველი

„ვეფხისტყაოსნის“ რელიგიური მსოფლმხედველობის მიუხედავად, ბუნებრივი კანონზომიერების გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე რუსთაველთან შემდეგნაირადაა გამოხატული: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!“[1169]

თამარის პირველი ისტორიკოსი

რაციონალურ რელიგიურობაზე მიუთითებს თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ აღწერილი შემდეგი ფაქტები: შამქორის ბრძოლის წინ ქართველი სპასპეტები ლაშქარს შემდეგნაირად მიმართავენ: „ჩვენცა ხელნი ხრმლად და სული ღმრთად!“[1170]

მცირე ლაშქრით მყოფ გიორგი III-ს ივანე ამირსპასალარი და სხვა დიდებულები მტრისაგან გაქცევას ურჩევენ: „მეფევ, ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს.“[1171]

ბასილი ეზოსმოძღვარი

როგორც ივ.სურგულაძე აღნიშნავს, ბასილი ეზოსმოძღვარი „ფატალისტი მაინც არ არის. თამარი, მისი თხრობით, ლოცვით არ კმაყოფილდება. დასახული მიზნის მისაღწევად ის ყოველთვის სათანადო ნაბიჯებს დგამს. ამასთანავე, მართალია ავტორი ღმერთსა და განგებას დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ სინამდვილის აღწერისას ის მოვლენებს რეალური, ჭეშმარიტი ფერებით...აგვიწერს...ცხოვრებისეულ მოვლენებს ის რეალურად აფასებს“.[1172]

ნიკოლოზ I კათალიკოსი (გულაბერისძე)

ნიკოლოზ I კათალიკოსის (გულაბერისძის) თხზულებაში, დავით აღმაშენებელი სანიმუშო მეფედ, პიროვნებად და ქრისტიანად გვევლინება: „დიდი იგი, მეფეთა შორის სანატრელი დავით სიტყუასა ყოველსა ზედა უფროჲს ყოველთა კაცთასა მსასოებელი ღმრთისაჲ და მჴურვალედ ტრფიალი ღმრთისმსახურებისაჲ“[1173].

[1167] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.358.

[1168] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.359.

[1169] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ.943.

[1170] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.70.

[1171] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.12-14.

[1172] ივანე სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, გვ.132.

[1173] ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი და გალობანი სვეტიცხოველისანი, თბილისი, 2008, გვ.55.

თუკი დავით IV-ის შემტევ საგარეო პოლიტიკას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გულაბერისძე ამასაც უჭერს მხარს და არა მხოლოდ შემოსეული მტრის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას.

დავით გურამიშვილი

„დავითიანში“ აღწერილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი საგულისხმო ფაქტი. პეტრე I-მა ვახტანგ VI-ს მოკავშირეობა შესთავაზა და ამის გარანტად ერთმორწმუნეობა მოიტანა:

„ხელმწიფებ ვახტანგს მისწერა: მოდი მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო,
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებრ მამადო“[1174].

რუსეთთან მოკავშირეობის საკითხზე ქართლელებს შორის აზრები გაიყო: ერთნი ამბობდნენ: „ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დადებულნი შევიქნებით, ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით!“[1175].

მეორეთ უფრო რეალისტური შეხედულება ჰქონდათ:

„არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების.
ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების“[1176].

[1174] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.196, გვ.90.
[1175] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.204, გვ.91.
[1176] დავით გურამიშვილი, დავითიანი, მ.206, გვ.91.

ბიბლიოგრაფია

1. (უცნობი ავტორი) აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963.
2. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა, ტ.3, თბილისი, 1936.
3. ანტონ I კათალიკოსი, სიტყვა ასი ათას მოწამეზე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.VI, თბილისი, 1980.
4. ანტონ პირველი (ბაგრატიონი), პოეტური ქმნილებანი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო პროფ. თამარ კუკავამ), თბილისი 1996.
5. არსენ ბერი, მეფესა დავითს მონაზონი არსენი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ.1, შედგენილი ს.ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.
6. არჩილი, საქართველოს ზნეობანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936.
7. არჩილი, გაბაასება კაცისა და სოფლისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936.
8. არჩილი, ლექსნი ასდაათნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936.
9. არჩილი, ლექსნი ასნი ორმუხლნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936.
10. არჩილი, მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, ტფილისი, 1936.
11. არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ.3, თბილისი, 1975.
12. იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983.
13. მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, (გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი მიქაძემ), თბილისი, 1969.
14. ბასილი ეზისმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.II, თბილისი, 1959.
15. ბერძნული წარწერები საქართველოში, შეადგინა თ.ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1951.
16. ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებანი (ალ.ბარამიძისა და ვ.თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1962.
17. ბიბლია, თბილისი, 1989.
18. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963.
19. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, თბილისი, 1967.
20. დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა კრებული (შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო სარგის ცაიშვილმა), თბილისი, 1980.

21. დავით აღმაშენებელი, ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, ტ.2, თბილისი, 1965.
22. დავით აღმაშენებელი, ანდერძი, ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, ტ.2, თბილისი, 1965.
23. დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბილისი, 1989.
24. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955.
25. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები (ალ.ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით), თბილისი, 1947.
26. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით, ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
27. თამარ მეფე, ცასა ცათასა, ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბილისი, 1959.
28. თამარის პირველი ისტორიკოსი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბილისი, 1959.
29. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული (გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით), თბილისი, 1939.
30. იოანე პეტრიწი, შესხმა დავითისათვის აღმაშენებლისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978.
31. იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978.
32. იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963.
33. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თეიმურაზ ბარნაველმა, თბილისი, 1961.
34. ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955.
35. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955.
36. მატიანე ქართლისა, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955.
37. მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელაშვილმა, თბილისი, 1967.
38. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბილისი, 1963.
39. ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, საქართველოს სამოთხე (გამოცემული გ.საბინინის მიერ), პეტერბურგი, 1882.
40. ნიკოლოზ I კათალიკოზი, საკითხავი სუჴტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, რედაქტორი ვ.კარბელაშვილი, ტფილისი, 1908.
41. ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი და გალობანი სვეტიცხოველისანი, თბილისი, 2008.

42. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები (ეფრემ მცირის თარგმანი), გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს.ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1961.
43. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.2, თბილისი 1965.
44. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართული მწერლობა, ტ.4, რედაქტორი ს.ცაიშვილი, თბილისი, 1988.
45. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბილისი, 1940.
46. სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის მეორე, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963.
47. სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა სიმშვიდისათვის, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963.
48. სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა უთმინოებისათვის, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963.
49. სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა წმიდისა ზიარებისათვის V, სწავლანი, თხზულებანი, ტ.III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963.
50. სულხან-საბა ორბელიანი, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ქართული პროზა, წ.V, თბილისი, 1983.
51. სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი, 1990.
52. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი (გიორგი ლეონიძის რედაქციით), თბილისი, 1939.
53. ფეშანგი, შაჰნავაზიანი (გიორგი ლეონიძისა და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით), 1935.
54. გოდერძი ფირალაშვილი, თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბილისი, 1990.
55. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი, http://geonumismatics.tsu.ge/ge/.
56. ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, ტ.2, თბილისი, 1965.
57. ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, ტ.3, თბილისი, 1970.
58. ქართული წარწერების კორპუსი, წ.1, შეადგინა ნ.შოშიაშვილმა, თბილისი, 1981.
59. ქართული წარწერების კორპუსი, წ.2, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ.სილოგავამ, თბილისი, 1980.
60. ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978.
61. (ავტორის ვინაობა სადაოა), ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, მოამზადა ივ.ლოლაშვილმა, თბილისი, 1978.

62. წესი და განგება მეფეთა კურთხევისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, ტ.2, თბილისი, 1965.
63. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.I, თბილისი, 1955.
64. ვ.აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბილისი, 1992.
65. ა.აბდალაძე, დავით დიდი კურაპალატის მკვლელობის კვალდაკვალ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბილისი, 1997.
66. ზ.ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989.
67. ნ.აფხაზავა, ალანები და საქართველო, ჟურნალი „მაცნე“, თბილისი, 1991, N. 3.
68. შ.ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბილისი, 1984.
69. ა.ბაქრაძე, დავიწყებული იდეა, ქართული მწერლობა, ტ.5, თბილისი, 1988.
70. ა.ბაქრაძე, რ.თვარაძე, შენიშვნები, ქართული მწერლობა, ტ.2, თბილისი, 1987.
71. ნ.ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965.
72. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990.
73. ა.ბოგვერაძე, „ზემონი ქვეყანანი“ საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ-დიპლომატიურ ურთიერთობაში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბილისი, 1997.
74. გ.ბუაჩიძე, საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბილისი, 1997.
75. გ.გასვიანი, ბიზანტია-ირანის ბრძოლა ეგრის-სვანეთის გამო, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბილისი, 1995.
76. ვ.გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991.
77. ლ.გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, წიგნიდან „დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი“, თბილისი, 1989.
78. ზ.დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998.
79. ვ.დონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები, საქართველო რუსთაველის ხანაში (კრებული), თბილისი, 1966.
80. პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.
81. დ.კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969.
82. კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბილისი, 1941.
83. დ.ლეთოდიანი, აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII სს.), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, 1995.
84. დ.ლეთოდიანი, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის II ნახევარში. გუბაზ I-ის დიპლომატია, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.

85. დ.ლეთოდიანი, ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VI საუკუნის I ნახევარში. 532 წლის „უვადო ზავის“ შედეგები, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
86. ბ.ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბილისი, 1966.
87. ნ.ლომოური, ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობის გამწვავება VII საუკუნის 20-იან წლებში და ბიზანტიის გავლენის დამყარება ქართლში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
88. ნ.ლომოური, „დიდი ომიანობა“ ეგრისში VI საუკუნეში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
89. ნ.ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, 1975.
90. ნ.ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბილისი, 1989.
91. მ.ლორთქიფანიძე, არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII საუკუნეებში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
92. მ.ლორთქიფანიძე, ვახტანგ გორგასლის დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, I, თბილისი, 1994.
93. მ.ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება? თბილისი, 1989.
94. მ.ლორთქიფანიძე, საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბილისი, 1979.
95. მ.ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XI ს.-ის 80-იანი წლებიდან XI ს.-ის 80-იან წლებამდე, ტ.3, თბილისი, 1979.
96. მ.ლორთქიფანიძე, ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V საუკუნის II ნახევარში. ვახტანგ გორგასლის დიპლომატია, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
97. მ.ლორთქიფანიძე, ზ.პაპასქირი, ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. და X ს.-ის I ნახევარი), ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
98. მ.ლორთქიფანიძე, XI-XII საუკუნეების წყაროები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბილისი, 1979.
99. მ.ლორთქიფანიძე, ზ.პაპასქირი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
100. მ.ლორთქიფანიძე, ზ.პაპასქირი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
101. მ.მამულაშვილი, ქრისტიანობა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ისტორია საქართველოში (IV-XII სს.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2002.

102. მ.მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები (V-XVIII სს.), ლექციების კურსი, თბილისი, 1999.
103. გ.მელიქიშვილი, საქართველოს ძველი და უძველესი ისტორიის წყაროები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I, თბილისი, 1970.
104. გ.მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1973.
105. გ.მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ.ჯავახისვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, ტ.IV, ნაკვ.I, 1958.
106. შ.მესხია, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროების მოკლე მიმოხილვა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბილისი, 1973.
107. შ.მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1979.
108. შ.მესხია, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბილისი, 1986.
109. შ.მესხია, ძლევაი საკვირველი, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბილისი 1986.
110. რ.მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1990.
111. რ.მეტრეველი, მეფე თამარი, თბილისი, 1991.
112. რ.მეტრეველი, ზოგიერთი ქართული დიპლომატიური ტერმინის შესახებ (მოციქული, დესპანი, ელჩი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბილისი, 1995.
113. რ.მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
114. რ.მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII ს-ის 30-80-იანი წლების დამდეგს. დემეტრე I-სა და გიორგი III-ის დიპლომატია, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
115. რ.მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1998.
116. ნ.მიწიშვილი, „მეფეთა მეფე“, „დიდი მეფე“ (ქართველ მეფეთა ტიტულატურის საკითხისათვის), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2002.
117. დ.მუსხელიშვილი, თბილისი ადრეული შუა საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, 2000.
118. დ.მუსხელიშვილი, კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში (XIII საუკუნემდე), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი 1998.
119. გ.მჭედლიშვილი, შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 2000.
120. ზ.პაპასქირი, „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999.

121. პოლიტოლოგია, ნაწილი I, ი.რეხვიაშვილი; ჯ.ჯალიაშვილი; ვ.ხოჭოლავა, თბილისი, 1991.
122. ჯ.სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბილისი, 1974.
123. ჯ.სტეფნაძე, უცხოელ მეფე-მთავართა და დიპლომატთა მიღების წესები (ეტიკეტი) XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999.
124. ივ.სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985.
125. ივანე სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1959.
126. ლ.ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წ. 1, თბილისი, 1994.
127. ნ.შენგელია, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა და ქართული დიპლომატია, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998.
128. ნ.შენგელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბილისი, 1979.
129. ნ.შენგელია, სელჩუკებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა XI-XIII სს., ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IV, თბილისი, 1997.
130. ს.ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ქართული მწერლობა, ტ.4, თბილისი, 1988.
131. მ.ციხესაშვილი, საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან X საუკუნემდე, ჟურნალი „მნათობი“, N. 9, თბილისი, 1988.
132. ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.VIII, თბილისი, 1974.
133. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, ტ.I-III, თბილისი, 1979-1983.
134. ს.ჯანაშია, არაბთა მფლობელობის დამყარება ქართლში, შრომები, ტ.V, 1987.
135. ს.ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ.I, თბილისი, 1949.
136. ს.ჯანაშია, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, შრომები, ტ.V, 1987.
137. გ.ჯაფარიძე, „აჯა იბ ად-დუნია“ აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999.
138. გ.ჯაფარიძე, ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბილისი, 1995.
139. გ.ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბილისი, 1995.
140. Ю.Кукулка, Проблемы теории международных отношений (перевод с польского), Москва, 1980.
141. Цыганков П.А., Международные отношения, Москва, 1996.
142. S.P.Huntington, The Clash of Civilizations?, "Foreign Affairs", Summer 1993, N.3.
143. D.S.Papp, Contemporary International Relations, New York, 1994.
144. Paul R.Viotti, Mark V.Kauppi, International Relations Theory, Third Edition, USA, 1998.
145. T.L.Knutsen, A history of International Relations Theory, Manchester and New York, 1992.